

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

შოთა ვადაჭკორია

ებრაელთა საკითხი და
ქართული სინამდვილე
(1921–1940)

თბილისი
2005

უკ (UDC) 63. 3 (2 F) 947. 922

ვ. 126

საარქივო დოკუმენტებისა და პრესის მასალების საფუძველზე შესწავლილია საქართველოში მცხოვრები ებრაელების ისტორიის ერთი კონკრეტული მონაკვეთი-1921-1940 წლები. ნაჩვენებია ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მიზნით გაწეული მუშაობის შედეგები. დიდალი ფაქტობრივი მასალის გაანალიზების საფუძველზე წარმოჩენილია ის წამატებები, რომელსაც ებრაელობამ ქართველი ერის დახმარებით და თანადგომით ეკონომიკისა და კულტურის სფეროში მიაღწია. ნაშრომს დართული აქვს ჩვენს მიერ არქივსაცავებში გამოვლენილი 57 საარქივო დოკუმენტი.

რედაქტორი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ალექსანდრე დაუშვილი

რეცენზენტები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი ავთანდილ სონდულაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
ლოცენტი მამია დღვილავა

წიგნი იბეჭდება ბადრი პატარკაციშვილის
საქველმოქმედო ფონდის დახმარებით

ვ. 134

2005

ISBN 99940-0-366-6

© "მემატიანე"

თბილისი

2005

შესავალი

საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მის გარშემო მიმდინარე რთულმა ისტორიულმა პროცესებმა, ქართულ მიწაზე უცხო ეთნიკური მოსახლეობის დასამკვიდრებლად, განსაკუთრებული როლი შეასრულა. იმ არაქართული ეთნიკური წარმონაქმნებიდან, რომლებმაც თავშესაფარი საქართველოში ჰპოვეს და მეორე სამშობლოდ აღიქვეს—ებრაელები იყვნენ. საქართველოში მაცხოვრებელი სხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით, მთელი ისტორიის მანძილზე ისინი ქართველ ერთან მიმართებაში უპრეტენზიო ქმედებით გამოიჩნეოდნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ებრაელებს, საქართველოში ცხოვრების და ქართველ ხალხთან მჭიდრო ურთიერთობის 2600 წლის ისტორია აკავშირებს. საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ებრაელები ყველაზე უძველეს მაცხოვრებლებად უნდა ჩაითვალოს. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის სახელმწიფოების ფონზე, საქართველო ერთადერთი (ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი მაინც) ქვეყანა იყო, სადაც ქართველ ერთან თანაცხოვრების ათეული საუკუნეების მანძილზე, ებრაელებს ანტიისემიტიზმით დევნა და შევიწროება რომ არ განუცლია. ქართველი ერის ღირსეულ მასპინძლობას, ებრაელებმაც ადეკვატური ნაბიჯით უპასუხეს. მთელი ისტორიის მანძილზე ებრაელებს, ქართველი ერისადმი განსაკუთრებული დაპირისპირებისა და მასპინძლობაზე თავის გამოდების გზა არ აურჩევია, სხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით, ძნელბედობის უამს, ქართული სახელმწიფოსადმი ზურგში ჩასაცემად გაღესილი მახვილი არასოდეს მოუმარჯვებია. სწორედ ამაშია მათი დიდი ღირსება.

საქართველოში ებრაელთა პირველი ნაკადის გამოჩენას, ქართული საისტორიო მწერლობა, ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას უკავშირებს. ამ ფაქტის შესახებ ლეონტი მროველის “ცხოვრება ქართველთა მეფეთა”—ში კვითხულობთ: “მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქვიან ხერკ ხარკისა მისთვის.”¹ თუკი ამ ცნობას სარწმუნოდ მივიჩნევთ, გამოდის რომ ებრაელები საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში (586 წელი) მოსულან და მცხეთის ერთ-ერთ სოფელ ზანავში დამკვიდრებულან. ხოლო დროთა განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რაიონების საეკჯრო—სახელოსნო უბნებში დასახლებულან.

საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა საქმიანობასთან დაკავშირებით, აკად. ნბერძენიშვილი საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით სამართლიანად მიუთითებდა: “ებრაელობა საქართველოში უმთავრესად ხელოსნობა აღებ-მიცემობას მისდევდა ყმა ებრაელი, რა თქმა უნდა, მიწასაც ატუშავებდა, ვენახს, ხილს აშენებდა, პურეულიც მოჰყავდა, მაგრამ “ურიას” ეს კი არ ახასიათებდა, არამედ ვაჭრობა. ბატონს ებრაელი უმთავრესად თეთრით ემსახურებოდა.”² მიუხედავად ამისა, “ღარიბი ყმა ებრაელი ყმა ქართველთან...ერთად ერთ სოციალურ კატეგორიას ქმნიდა, მათთან ერთად ატარებდა მებატონის მძიმე უღელს და მჩაგვრელთა წინააღმდეგ მათთან ერთად იბრძოდა.”³ ყოველივე ეს, იმის დამადასტურებელია, რომ ფეოდალური საქართველოს მშენებლობაში, ებრაელები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი და მის ერთ-ერთ ორგანულ ნაწილს წარმოადგენდნენ. ამიტომ, საქართველოს ებრაელთა წარსული, ნბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხთაგანია.⁴ ჩვენს მიერ საკვლევად აღებული მონაკვეთი (1921–1940 წლები) ურთულესთაგანია იმ თვალსა-ზრისით, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლების მმართველი წრეების წინააღმდეგობებით აღსავსე საქმიანობასთან არის დაკავშირებული. საარქივო მასალებით დადასტურებულია, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისადმი ქართველი ერი განსაკუთრებულ დამთმობლობას იჩენდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს “პატარა იმპერია” უწოდეს (ა.სახაროვი), ხოლო ქართველ ერს განსაკუთრებულ ნაციონალიზმში და ეთნიკური უმცირესობების ასიმილაცირობაში დასდეს ბრალი (ა.სოლჟენიცინი). ამ “თეორიის” მიმდევართა მიმართ, დაპირისპირებისა და მათი თვალსაზრისის უარყოფის ერთ-ერთ საფუძვლად, საქართველოს ებრაელთა ისტორიასთან დაკავშირებული ფაქტები და მოვლენები გამოდგება.

საქართველოში მცხოვრებელი ეთნიკური უმცირესობების მიმართ გაწეული საქმიანობიდან, განსაკუთრებულ ინტერესს, საქართველოს ებრაელებში გატარებული ღონისძიებები იქცევს. მის ძირითად მიზანს, ებრაელთა ცხოვრებისეული პირობების ყოველმხრივი შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება წარმოადგენდა. წინამდებარე ნაშრომის ამოცანაა: საქართველოს ებრაელთა კულტურული და ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიზეზების ახსნის ფონზე წარმოაჩინოს, ა) სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მიზნით, საქართველოს ებრაელებში გაწეული საქმიანობა, ბ) მისი შედეგები და მიმდინარე პროცესებისადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულება. დასახეული მიზნის განსახორციელებლად, პირველი რიგის ამოცანას იმ საარქივო და პრესის მასალების საფუძვლიანი გაანალიზება წარმოადგენს,

რომელიც ამა თუ იმ საკითხებთან მიმართებაში ხშირად წინააღმდეგობრივ ინფორმაციას შეიცავს. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, პირველადი წყაროებისადმი კრიტიკულმა დამოკიდებულებამ, საქართველოს ებრაელებში გატარებული ღონისძიებების ობიექტურად შეფასების შესაძლებლობა მოგვცა.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარსულის მდიდარი გამოცდილების შესწავლას და თანამედროვეობაში მის გამოყენებას, ამის შესახებ დიდი ილიას გამონათქვამს დავიმოწმებთ: “აღდგენა ისტორიისა, ერის გამოცოცხლებაა, გამომხსნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამოკვლევაა სიბნელისაგან.” რამდენადაც წარსულის მდიდარი გამოცდილების ობიექტური შესწავლა თანამედროვეობის უკეთ გაგების გასაღებს წარმოადგენს, ჩვენს მიერ არჩეული თემაც ლოგიკურ გამართლებას პოულობს. ისტორიული მოვლენების ობიექტურად წარმოჩენა და შესაბამისი დასკვნების გათვალისწინება, ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობაში წამოჭრილი პრობლემების უმტკივნეულოდ მოგვარების გარანტს იძლევა. საქართველოს ებრაელთა 1921–1940 წლების ისტორიის საკითხებზე დღემდე გამოქვეყნებული პუბლიცისტური და სამეცნიერო შრომებიდან, ჩვენს ყურადღებას მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებთ. პრობლემასთან მიმართებაში აქტუალობით გ.ბააზოვის საგაზეთო პუბლიკაციები—“წერილები ქართველ ებრაელებზე” გამოირჩევა.⁵ მასში ახსნილია ებრაელთა კულტურული ჩამორჩენის ძირითადი მიზეზები და დასშულია საკითხი საქართველოს ებრაელთა კულტურული განვითარების სარბიელზე გამოსაყვანი გზის ძიების შესახებ. რაც შეეხება მის მიერ გახეთ “კომუნისტში” და ჟურნალ “საბჭოთა აღმშენებლობაში” გამოქვეყნებულ წერილებს “მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობა” და “ახალი ეპოქა მშრომელ ებრაელთა ცხოვრებაში,”⁶ იმდენადაა საინტერესო. რამდენადაც საქართველოს ებრაელთა მიწაზე დასაქმებას ეხება. გ.ბააზოვი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოების (მემსი), მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტის (მემკი) და ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის (ღარებკომი) საქმიანობას. იმავე პრობლემატიკას ეხება ს.პაიკინის ნაშრომი “საქართველოს ებრაელთა დამხმარე კომიტეტი. მოღვაწეობის ისტორიული მიმოხილვა და ანალიზი.”⁷ საქართველოს “ღარებკომის” საქმიანობა, მეფის ხელისუფლების დროინდელი და დემოკრატიული საქართველოს ებრაელთა მდგომარეობის საერთო დახასიათების ფონზეა განხილული. ს.პაიკინის ეს ნაშრომი, აღნიშნული პრობლემის მეცნიერული შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენდა. საქართველოს ებრაელთა შრომითი საქმიანობას ეხება ი.ქუჩიშვილის სტატია “ებრაელთა

კოლმეურნეობა “წითელი გორა.”⁸ იგი დაწერილებით განიხილავს ებრაელების მიწათმოწყობასთან დაკავშირებით საქართველოში დაწყებულ მასობრივ მოძრაობას და ამ სფეროში გატარებულ ღონისძიებებს დადებითად აფასებს. მდიდარი ფაქტობრივი მასალის ურთიერთ შეპირისპირების საფუძველზე დამაჯერებლად არღვევს ებრაელების “ბუნებით ვაჭრების” შესახებ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ შეხედულებას. თავის არგუმენტაციას ლაგოდეხის რაიონის “წითელი გორა”—ს ებრაელთა კოლმეურნეობის წვერთა შრომითი საქმიანობის მაგალითებით ამაგრებს.

ებრაელთა კულტურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებს ეხება ი.პაპისმელოვის ნაშრომი “თვითნასწავლი მხატვარი შ.კობოშვილი და მისი შემოქმედება.”⁹ შ.კობოშვილის ახალგაზრდობის პერიოდის მძიმე ცხოვრების აღწერის ფონზე, ავტორი საინტერესოდ წარმოაჩენს ამ პიროვნების, როგორც მხატვრის ჩამოყალიბების პროცესს. ხოლო მხატვრული ტილოების შეფასებიდან გამომდინარე არკვევს შ.კობოშვილის როლსა და დამსახურებას მხატვრული ხელოვნების განვითარების საქმეში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ი.პაპისმელოვის მეორე ნაშრომი “ნანახი, მოსმენილი, განცდილი.”¹⁰ მართალია, იგი ეთნოგრაფიული ხასიათისაა, მაგრამ მასში საქართველოს ებრაელთა სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებს გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი.

საქართველოს ებრაელთა 1921–1940 წლების ისტორიის ძირითადი საკითხებია წარმოდგენილი საქართველოს ებრაელთა ისტორიულ—ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის გამოფენის მეგზურში.¹¹ ნაშრომის პირველი ნაწილი, საქართველოს ებრაელთა ისტორიას უძველესი დროიდან 1921 წლამდე ასახავს. მეორე ნაწილი ებრაელთა ყოფითი კულტურას ეხება. ხოლო მესამე ნაწილში, ებრაელთა მიწათმოწყობის, ებრაული კოლმეურნეობების შექმნის, ებრაელების სამრეწველო საწარმოებში დასაქმების, მათი კულტურული განვითარებისა და 1941–1945 წლების ომში ებრაელთა მონაწილეობის მოკლე ისტორიაა გადმოცემული. ამ ნაშრომის ღირსება იმაშია მდგომარეობს, რომ მან საქართველოს ებრაელთა ყოფილი მუზეუმის ექსპოზიციის განლაგება შემოგვინახა.

საქართველოს ებრაელთა კულტურული ცხოვრების საკითხებს ეხება გ.ციციშვილის ნაშრომი “გერცელ ბააზოვი, ცხოვრება და შემოქმედება.”¹² ავტორი დაწერილებით მოგვითხრობს ცნობილი ქართველი ებრაელი მწერლის გ.ბააზოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. საინტერესოდ აღწერს საქართველოს ებრაელებში მიმდინარე კულტურულ ძვრებს. ხოლო თვით გ.ბააზოვს, როგორც ამ პროცესის ერთ—ერთ აქტიურ მონაწილეს განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩნეული. გ.ციციშვილის აღნიშნული ნაშრომი გ.ბააზოვის შესახებ ერთ—ერთი პირველი მონოგრაფიული გამოკვ-

ლევა. იგი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ამ უაღრესად ნიჭიერი დრამატურგისა და ბელეტრისტის განვლილი გზის შესახებ.

საქართველოს ებრაელებში კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაწეული მუშაობის შესწავლას ისახავს მიზნად აკიციანიშვილის ნაშრომი “სიონიზმი და საბჭოთა სინამდვილე.”¹³ საქართველოს ებრაელთა ისტორიის ფონზე, იგი განსაკუთრებულ ადგილს, საბჭოთა პერიოდის ქართველ ებრაელებში მიმდინარე პროცესებს უთმობს. ავტორი თანმიმდევრულად იხილავს ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ გაწეულ მუშაობას. პირველწყაროებზე დაყრდნობით, ებრაელთა კულტურული და ეკონომიკური ჩამორჩენის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზების ახსნას იძლევა. წინამორბედ ავტორთა შრომების გათვალისწინებისა და მდიდარი საარქივო მასალების გამოყენების საფუძველზე, ებრაელთა მიწათმოწყობის, კოლმეურნეობებსა და სამრეწველო საწარმოებში დასაქმების მიმდინარე პროცესს იგი საინტერესოდ წარმოაჩენს. იმავე პრობლემატიკის ზოგიერთი საკითხია განხილული მისსავე საკანდიდატო დისერტაციაში.¹⁴ ჩვენთვის ზოგიერთ საინტერესო საკითხს ეხება შ.წიწუაშვილის ნაშრომი.¹⁵ 20-იანი წლებიდან ქართველ ებრაელთა რიგებში მიმდინარე ეკონომიკური და კულტურული ძვრები, მან ებრაელთა განსაკუთრებული რელიგიურობის ფონზე განიხილა

ზემოთ ჩამოთვლილი ავტორთა ნაშრომების საერთო ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაკანონებული იდეოლოგიის ჩარჩოშია მოქცეული. ბუნებრივია, განსახილველი საკითხები ცალმხრივი პოზიციიდანაა შესწავლილი. დღევანდლობამ, მისი გადახედვისა და საარქივო დოკუმენტური მასალის ობიექტური ინტერპრეტაციის აუცილებლობა მოითხოვა. საქართველოს ებრაელთა ისტორიის აქტუალური საკითხების შესწავლას ისახავს მიზნად ზ.ჯინჯიხაშვილისა¹⁶ და ქ.აბულაძის¹⁷ საკანდიდატო დისერტაციები.

წინამდებარე ნაშრომი ძირითადად საარქივო მასალებს ეყრდნობა. ჩვენს მიერ დამუშავებული იქნა: საქართველოს პრეზიდენტის არქივის, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივის, საქართველოს საისტორიო არქივის ქუთაისის ფილიალის შესაბამისი ფონდები. გაზეთების: “ტრიბუნა”-ს, “კომუნისტი”-ს და “ახალგაზრდა კომუნისტი”-ს ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები. ვისარგებლეთ დ.ბოჯგუას პუბლიკაციით—“გ.ბააზოვის ორი უცნობი წერილი,”¹⁸ რომელიც საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში ანგარიშგასაწევ ინფორმაციას იძლევა.

ჩვენს მიერ არქივსაცავებში მოპოვებული ფაქტობრივი მასალა, საქართველოს ებრაელთა 1921–1940 წლების ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემების ახლებურად შესწავლისა და გააზრების შესაძლებლობას იძლევა.

თავი I

ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში

საბჭოთა რუსეთის ხელმძრვანელობამ, გარეგნული ფონის შექმნის მიზნით, ქვეყნის ეროვნულ პოლიტიკას, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურულად და ეკონომიკურად განვითარების პროპაგანდა დაუდო საფუძვლად. იგი შემთხვევითობით არ იყო განპირობებული. მიზანს, მეფის რუსეთის ეროვნული პოლიტიკისადმი დაპირისპირება წარმოადგენდა. ამით, საბჭოთა რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური კურსი, გარეგნულად ყველა ერებისა და ეთნიკური უმცირესობების თანასწორუფლებიანობის დამცველის სახეს იღებდა. იმ ეტაპზე, იგი გარკვეულ პოლიტიკურ დატვირთვას იძენდა, რადგან ახლად შექმნილი სახელმწიფო, ეთნიკური უმცირესობებისაგან მასობრივად მხარდაჭერის გარანტიას იქმნიდა. რაც შეეხება რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ებრაელებისადმი გამოკვეთილი ფორმით ყურადღების გამახვილებას, იგი 20–იანი წლების საბჭოთა რუსეთის ანტიებრაული პოლიტიკური კურსის შენიღბვას ისახავდა მიზნად. მეფის რუსეთში ებრაელთა მძიმე მდგომარეობის შესახებ, საარქივო მასალებში ვკითხულობთ: “ყველაზე მეტ ღვენას განიცდიდნენ მშრომელი ებრაელები, რომლებიც მეფის მთავრობის მიერ მოკლებულნი იყვნენ თითქმის ყველა პოლიტიკურ უფლებებს და ეკონომიკურ შესაძლებლობებს.”¹ ეს იმას ნიშნავდა, რომ ებრაელებს სახელმწიფო დაწესებულებებში ნაკლებად ღებულობდნენ, ეკრძალებოდათ საცხოვრებელი ადგილის ამორჩევა, მთელ რიგ სამრეწველო და ადმინისტრაციულ ცენტრებში თავისუფლად ცხოვრება, და რაც მთავარია, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ა.ჭყონია სტატიის “ებრაელნი სოფლის მეურნენი” მიუთითებდა: რუსეთის იმპერიაში “მცხოვრებ ებრაელებს მეფის მთავრობა გერებად ეკიდებოდა და იგი ექს-

პლოატაციის საგანი იყო. ებრაელობა, ამასთან ერთად მოკლებული იყო მთელ რიგ უფლებრივ ნორმებს და თითქმის კანონგარეშე იყო გამოცხადებული. ნაციონალური ღვენიის და შვეიწროების სიძძიმე მთლიანად ღარიბ ებრაელებს აწვა კისერზე.“² ხელოვნურად შექმნილი ეს ბარიერი, საზოგადოებრივ ასპარეზზე ებრაელთა გამოსვლას მნიშვნელოვნად აფერხებდა. ეს ფაქტორი, რუსეთის იმპერიაში მაცხოვრებელ ებრაელებს არსებობისათვის საჭირო გზების ძიების აუცილებლობისაკენ უბიძგებდა. იმ ეტაპზე გამოსავალ საშუალებად, ებრაელებისათვის წერილმანი ვაჭრობა გადაიქცა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, “მემსის” მეორე ყრილობაზე (1931 წელი) მ.კალინინი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ “ებრაელები ვაჭრობდნენ არა მოწოდებით, არამედ იძულებით—სხვა გამოსავალი მათ არ ჰქონდათ.”³ ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობიდან გამომდინარე, XIX საუკუნიდან—XX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით შექმნილი ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომებში, ებრაელების შრომითი საქმიანობის შეუძლებლობის და “ბუნებით ვაჭრის” მტკიცების ტენდენცია დამკვიდრდა. ამ მცდარი თვალსაზრისის დარღვევის შესაძლებლობა, ებრაელთა დასაქმებამ და შრომის ფრონტზე თავის გამოჩენის ფაქტებმა შექმნა. “ამ თვალსაზრისით თუ მივედგებით...” ებრაელთა საკითხს, “—წერდა ი.ქურჩიშვილი—უნდა ითქვას, ებრაელების პოლიტიკურ უფლებრივი გათანასწოების მხრივ ჩვენ ამ მოკლე ხანში...ბევრი გავაკეთეთ, გაცილებით მეტი, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფომ.”⁴

ებრაელთა მიმართ გატარებული კონკრეტული ღონისძიებებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის თ.ჯულელის 1929 წლის მოხსენების თეზისები — “ებრაელთა მიწათმოწყობის მონაცემებისა და პერსპექტივების შესახებ.” ეს დოკუმენტი ებრაელთა უმუშევრობის შესამცირებლად, ფაბრიკა—ქარხნებში და სოფლის მეურნეობაში მათი დასაქმების ფაქტებზე ამახვილებდა ყურადღებას.⁵ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიკურმა პოლიტიკამ, კერძოდ, კოოპერატივების სახელმწიფოს დაქვემდებარებაში გადასვლამ, კუსტარული საწარმოების აკრძალვამ და ვაჭრობის ყველა მუშაკის არასაიმედო ელემენტად გამოცხადებამ, ებრაელები მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ბანძის თემის მცხოვრებთა მიერ, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარისადმი გაგზავნილ კოლექტიურ განცხადებაში მოტანილი იყო ფაქტები; ვაჭარი ებრაელების ანტისაბჭოთა ელემენტებად გამოცხადების, ხმის ჩამორთმევის, კოოპერატივებიდან სურსათ—სანოვაგის შეძენის აკრძალვის და კოოპერატივის წევრებად მიღებაზე უარის თქმის შესახებ.⁶

საბჭოთა კავშირში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაცია, გაბატონებული იდეოლოგიისადმი მოსახლეობას იძულებითი მორჩილებისაკენ

უბიძგებდა. ამ ფაქტორმა, მიწაზე დასახლების მსურველ ებრაელთა და დამოუკიდებელი ებრაული კოლმეურნეობების შექმნისადმი, ებრაული მოსახლეობის მასობრივი მხარდაჭერის გამოსავლინებლად განსაკუთრებული როლი შეასრულა. ასეთი კურსის გატარებამ, საბჭოთა ხელისუფლების მესვეურები ერთი უკიდურესობიდან მეორეში ჩააყენა. “კლასობრივი ბრძოლისა” და “არასაიმიედო ელემენტების” განადგურების პოლიტიკური კურსით, ებრაელებს ვაჭრობა—ხელოსნობაზე ხელი ააღებინეს. ხოლო იძულებითი ფორმების გამოყენებით, მიწაზე მასობრივად დასახლების ოფიციალური თანხმობა მიიღეს. ეს ფაქტორი, საბჭოთა კავშირის მასშტაბით 1925—1936 წლებში ებრაელთა მიწაზე “დამკვეთური” წესით დასახლებას და კოლმეურნეობებში მასობრივად გაერთიანებას დაელო საფუძვლად.

საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკისადმი ებრაელთა “მასობრივი მხარდაჭერა” უმეტესწილად შიშის ფსიქოლოგიური ზემოქმედებით იყო განპირობებული. ამ მომენტს, მთავრობა იმ პერიოდში გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მთავარი მათთვის დასტურის მიღება იყო და როცა ესეც გაინადღეს, ებრაელთა მიწაზე მასობრივად დასახლებისა და სოფლის მეურნეობაში დასაქმების საკითხი ოფიციალურად დააყენეს. ხელისუფლების მიერ, ებრაელთა მიწაზე დასახლების კურსი, ძირითადად სწორი იყო, მაგრამ მისთვის მასობრივი სახის მიცემა და ნებაყოფლობის იგნორირება—შეცდომას წარმოადგენდა. აუცილებლობა, ამ პროცესის ნებაყოფლობითობაზე დაფუძნებას და ეტაპობრივად განხორციელებას მოითხოვდა. ცალკე ებრაული კოლმეურნეობების შექმნა შეცდომად უნდა იქნას აღიარებული. დოკუმენტური მასალებით დასტურდება, რომ ეთნიკური უმცირესობების პრინციპით შექმნილმა კოლმეურნეობებმა, დროის გამოცდას ვერ გაუძლო და 40—იანი წლების შემდეგ დაიშალა.

ებრაელთა მიწათმოწყობა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას საჭიროებდა. ამ მიზნით, სსრ კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1924 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით, სსრ კავშირის ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმთან შეიქმნა მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობი კომიტეტი “შემკი,” ხოლო 1925 წლის 17 იანვრის დადგენილებით, მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობი საზოგადოება “შემსი.” “შემსი, როგორც ორგანიზაცია — ვკითხულობთ დოკუმენტში— მიზნად ისახავს მობილიზაცია გაუკეთოს საზოგადოებრივ თვისთაქმიანობას, გააერთიანოს ღარიბ ებრაელთა მიწათმოწყობის ყველა აქტიური მომხრეები, ყველა ვინც მზად არის დაეხმაროს საბჭოთა მთავრობის წამოწყების განხორციელებას ებრაელთა

მასების გაჯანსაღებისათვის და საწარმოო მიწათმოქმედების შრომისაკენ მიზიდვისათვის.”⁷

მართალია, ამ საზოგადოებას საპასუხისმგებლო მისია დაეკისრა, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შესაბამისი დახმარების გარეშე, მისი საქმიანობა წარუმატებელი იქნებოდა. ამ შემთხვევაში ებრაელებისათვის დასასახლებელი მიწებისა და ფულადი კრედიტის დროულად გამოყოფა გვაქვს მხედველობაში. რაც შეეხება სსრკ-ის მასშტაბით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ებრაელთა დინამიკურ პროცესს, ამის საილუსტრაციოდ ჩვენს მიერ შედგენილ ცხრილში ქვემოთ მოტანილი ციფრობრივი მონაცემები გამოდგება.

წელი	ებრაელებისათვის გამოყოფილი მიწის რაოდენობა ჰექტარებში	წელი	სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ებრაელთა რაოდენობა
1923	153298	1923	75911
1924	162875	1924	83000
1925	270533	1925	120288
1926	375296	1926	125051
1927	488054	1927	130000
1928	642054	1928	200000

ებრაელთა მიწათმოწყობის მიზნით, სსრ კავშირის მთავრობამ 1924—1928 წლებში 4 მილიონი მანეთი გამოყო. აქედან 1927 წელს 30000 ებრაული ოჯახის მიწაზე მოსაწყობად 1500999 მანეთი იქნა დახარჯული.

სსრ კავშირის მასშტაბით დაწყებულ ებრაელთა მიწათმოწყობის კურსს ებრაული მოსახლეობით დასახლებულმა რესპუბლიკებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს. დოკუმენტური მასალებიდან ირკვევა, რომ ბელორუსიაში 1924 წელს შექმნილ საგანგებო კომისიას, 1925 წლისათვის 30000 ებრაული ოჯახის მიწაზე დასახლება ჰქონდა დასახული მიზნად. იმავე კომისიის დახმარებით, 1924 წლისათვის ბელორუსიაში მიწით 1500 ებრაული კომლი დაკმაყოფილდა. ასეთივე პროცესი მიმდინარეობდა უკრაინაში. 1925 წელს, ყირიმში ებრაელებისათვის 40000 ღესეტინა მიწა გამოიყო, რომელზედაც 1400 ებრაული ოჯახი დაასახლეს. ხოლო ხერსონის ოლქში—3000 ებრაული ოჯახი იქნა მიწით დაკმაყოფილებული.⁸ აღნიშნული ფაქტები ჰქონდა მხედველობაში მ.კალინინს, როცა საკავშირო “მემსი”—ს პირველ ყრილობაზე (1926 წლის 18 ნოემბერი) გაკეთებულ მოხსენებაში ამბობდა: “დღევანდელი ყრილობა, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო დამახასიათებელია საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, ყველაზე უფრო

გამოხატავს მის არსს. არცერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში არ არის შესაძლებელი ასეთი ყრილობა—ებრაელთა გლეხობის ყრილობა. რას ნიშნავს ეს? ეს უპირველეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ ამ კავშირს ძველი რუსეთის შინაარსი კი არ აქვს, არამედ კავშირია ყველა ერისა, რომლებიც შედიან მასში...და სწორედ ებრაელ მიწათმოქმედთა ყრილობა ნათელყოფს ნამდვილ არსს ჩვენი კავშირისა, რომელშიდაც ყოველი ერი აყალიბებს თავის ეროვნულ სახეს.”⁹

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მ.კალინინის ეს განცხადება ჭეშმარიტებას იყო მოკლებული. იგი მიმდინარე პროცესებს შელამაზებული ფორმით განიხილავდა, საბჭოთა სახელმწიფოს იდეოლოგიურ ჩარჩოში ათავსებდა და ებრაელთა სოფლის მეურნეობაში დასასაქმებლად გატარებულ ძალდატანებით ფაქტებს ყურადღების მიღმა ტოვებდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალებით დასტურდება, რომ ებრაელთა მიწათმოწყობის ზემოაღნიშნული და საერთოდ, ებრაელთა ყურადღების ცენტრში მოქცევის პროცესი, ძირითადად ორი ფაქტორიდან გამომდინარეობდა: 1) სსრ კავშირის მაშინდელი (20–30 -ანი წლების) სახელისუფლო ორგანოების დიდ ნაწილს, ებრაული ეროვნების წარმომადგენლები ედგა სათავეში. სანამ ისინი ძალაუფლებას ფლობდნენ, ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, ებრაელებს ყურადღებას არ აკლებდნენ. 30-იან წლებში მათ მიმართ განხორციელებული რეპრესიების შემდეგ, ებრაელებისადმი ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება შესამჩნევად შეიცვალა, რამაც გარკვეული ასახვა მის დაჭეშმობარებაში მყოფი რესპუბლიკების მმართველ წრეებზედაც კპოვა. 2) ებრაელთა საკითხის წინ წამოწევას, საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებმა კაპიტალისტური ქვეყნებისადმი დაპირისპირება დაუდეს საფუძვლად და იდეოლოგიური დატვირთვა მისცეს. ამით, საერთაშორისო საზოგადოებისათვის სურდათ ეჩვენებინათ, რომ საბჭოთა კავშირმა თითქოს ძველი თვითმპყრობელური რუსეთის შინაარსი დაკარგა და “ნებაყოფლობის” პრინციპებზე აგებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. საკითხისადმი ასეთი პოზიციიდან მიდგომამ და არსებული პრობლემების პრიმიტივიზმის დონეზე გააზრებით გადაწყვეტამ, უარყოფითი შედეგები განსაკუთრებით 30-იან წლებში გამოიღო. რამდენადაც ებრაელთა მიწათმოწყობის ღონისძიებები ცენტრიდან იყო დაგეგმილი, ამ პროცესში საქართველოც აქტიურად ჩაერთო. ებრაელთა მიწათმოწყობას, საქართველოში სოფლის მეურნეობის აღსადგენად, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 3 აპრილის პლენუმის მიერ მიღებული საგანგებო დეკრეტი¹⁰ და 1923 წელის მაისში დამტკიცებული მიწათმოწყობის დებულება დაედო საფუძვლად. ამ დოკუმენტების მიხედვით, ხელისუფლებას მიწით უნდა უზრუნველყო უმიწაწ-

ყლო და მცირემიწიანი გლეხები, სახელმწიფო და კერძო სამეურნეო ორგანიზაციები, გლეხთა ურთიერთდამხმარე და კოოპერაციული საზოგადოებანი. მჭიდროდ დასახლებული სოფლების განტვირთვის საფუძველზე შეიქმნა ებრაელთა ახალშენები და ა.შ.¹¹ რაც შეეხება ებრაელთა სოფლის მეურნეობაში დასაქმებას, იგი ნებაყოფლობის გარანტიას იძლეოდა. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, ამ სფეროში საგანგებო ღოკუმენტის შექმნის აუცილებლობას მოითხოვდა. ამ მიზნით, საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა “ებრაელ მოსახლეობას შორის გასათარებელი ღონისძიებების შესახებ,” 1926 წლის 18 ივნისს საგანგებო დადგენილება მიიღო. ამ ღოკუმენტის მეთერთმეტე პარაგრაფში ეკითხულობთ: “ეროვნულ უმცირესობათა ...განყოფილების მუშაობის გეგმაში შეტანილი იქნეს საკითხი ებრაელთა შორის მუშაობის შესახებ, რათა დამუშავებულ და წამოყენებულ იქნეს ის მიმდინარე საკითხები, რომელთა მიზანია ჩააბან მშრომელი ებრაელობა საბჭოთა აღმშენებლობაში.”¹² ებრაელთა მიწაზე მოწყობის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, აღნიშნული ღოკუმენტი მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს პრაქტიკული წინადადებების შემუშავებას და შესაბამისი ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარებას ავალებდა. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებით, ებრაელთა საკითხის შემსწავლელი საგანგებო კომისია შეიქმნა. (ვ.სტურუა (თავმჯდომარე), კუჭაიძე, კანდელაკი, დ.ბააზოვი, დაჯიანაშვილი). კომისიამ მუშაობა 1926 წლის 26 იანვრიდან დაიწყო. მისი საქმიანობის ძირითად ამოცანას, პირველ ეტაპზე, ებრაელთა საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა, სოფლის მეურნეობაში ჩაბმის მსურველ ებრაელთა ოჯახების რაოდენობის დადგენა და მათი კულტურულ— ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებელი პროგრამის შემუშავება წარმოადგენდა.¹³ ზემოაღნიშნული ღოკუმენტის ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ხელისუფლებისაგან ებრაელთა ხელოვნური იზოლაციის პროცესებს უგულვებელყოფდა. იმ ეტაპზე ებრაელთა უფლებრივი შევიწროების დამადასტურებლად გამოდგება “მოხსენება სენაკის მაზრის სოფლების: ბანძის და სუჯუნის ქართველ ებრაელთა მდგომარეობის გარშემო.” “სენაკის მაზრის ებრაული მოსახლეობის 90% როგორც ვაჭრები— ეკითხულობთ ღოკუმენტში— მოკლებულნი არიან ხმის უფლებას...სუჯუნაში 178 ამომრჩევილიდან 158 ანუ 90,4%—ს არა აქვს ხმის უფლება. სოფელ ბანძაში...324 ამომრჩევილიდან—308 კაცს, ანუ 95,1%—ს ჩამორთმეული აქვს ხმის უფლება.”¹⁴

თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებისაგან გარიყული ადამიანები რეპრესიებისათვის გამზადებულ რეალურ მსხვერპლს წარმოადგენდნენ, სოფლის მეურნეობაში დასაქმებისადმი, ებრაული მოსახლეო-

ბისაგან გამოთქმული “მასობრივი სურვილი” შიშის ფაქტორიდან გამომდინარეობდა. ამ გარემოების უკრადღების მიღმა დატოვებამ, კომისის წევრები მცდარ დასკვნამდე მიიყვანა. მხედველობაში გვაქვს, მათ მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადება—სოფლის მეურნეობაში დასაქმება, თითქოს საქართველოს ებრაელთა უმრავლესობის სურვილს წარმოადგენდა. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1927 წლის 19 ივლისის საგანგებო დადგენილება, ებრაელთა მიწათმოწყობის დაჩქარების მიზნით, მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს შესაბამისი ზომების მიღებას ავალებდა.¹⁵ წინასწარი სამუშაო პროგრამის არარსებობისა და ადგილებზე პრობლემის სიღრმისეულად შეუსწავლევლობის მიუხედავად, ებრაელთა სოფლის მეურნეობაში დასაქმების დაჩქარების მიზნით, ახალქალაქისა და ახალციხის ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან სათანადო თანხის გამოყოფის შესახებ თხოვნით, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მიმართა.¹⁶

რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ განხორციელებული მიწათმოწყობის დაკერითი ტემპი, სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ საფუძველად იქნა აღიარებული. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების V ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: “რამდენადაც მიწათმოწყობის საქმე ჯერ კიდევ მთლად განხორციელებული არ არის, რაც აბრკოლებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რათა სამიწათმოქმედო მუშაობას მიეცეს დაკერითი ხასიათი.”¹⁷ დასახული მიზნის განსახორციელებლად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1927 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოში შეიქმნა საკავშირო “მემსის” ქართული განყოფილება—“საქ.მემსი” (საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწათმოქმედო საზოგადოება) და “მემკი” (მშრომელ ებრაელთა მიწათმოქმედო კომიტეტი). ამ საზოგადოებისა და კომიტეტის ძირითად ამოცანას, ებრაელების მიწაზე დასახლების პროგრამის დაუყოვნებლივი შედგენა და მისი განხორციელება წარმოადგენდა. იმავდროულად, სათანადო საფუძველი უნდა მომზადებულიყო ებრაელთა შრომითი არტელების შესაქმნელად და კულტურული მუშაობის გასაღრმავებლად.¹⁸

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, “მემსისა” და “მემკის” წევრების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, ებრაელებში გასატარებელ ღონისძიებათა ერთიანი გეგმის პროექტი შემუშავდა. საჯარო განხილვისა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ, იგი “მემსის” 1928 წლის 11 თებერვლის გამგეობის სხდომამ დაამტკიცა.¹⁹ ამ

დოკუმენტზე დაყრდნობით, თბილისის კომიტეტის სამდივნოს 1928 წლის 18 მაისის დადგენილებით, საქართველოს “მემსის” დაეკავა: 1) რესპუბლიკის რაიონებში შეექმნა განყოფილებები და უჯრედები. ებრაელთა შრომითი მოწყობის შესახებ, შესაბამისი აგიტაცია გაეწიათ კრებებზე და რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე. 2) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმის მსურველ ებრაელთა აღრიცხვა ჩატარებინათ. 3) შეესწავლათ ღარიბ ებრაელთა მდგომარეობა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გაეძლიერებინათ.²⁰ ამ საპასუხისმგებლო მისიის დროულად და სრულყოფილად შესრულება, სხვა ორგანიზაციების დაუხმარებლად “მემსის” საზოგადოების 1500 კაციან შემადგენლობას უთუოდ გაუჭირდებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1928 წლის თებერვლის ცირკულარი, შესაბამის ორგანიზაციებს მემსისადმი დახმარების ოფიციალურ მითითებას აძლევდა. დოკუმენტის პრეამბულაში “მემსის” მიერ ებრაელთა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაწეული საქმიანობა დადებითადაა შეფასებული. აქედან გამომდინარე, მემსისადმი დახმარება აუცილებლობადაა გამოცხადებული. “საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი აძლევს რა დიდ პოლიტიკურ და პრაქტიკულ მნიშვნელობას საქართველოს მემსის მიერ წარმოებულ მუშაობას, — კვითხულობთ დოკუმენტში — წინადადებას აძლევს ყველა პროფორგანიზაციას მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინონ მემსის მუშაობას იმ მხრივ, რომ ყველა ეროვნებათა კავშირის წევრებს გაუადვილონ საზოგადოებაში შესვლა. აუხსნან და განუმარტონ... მემსის მიზნები, ამოცანები და დანიშნულება. პროფკავშირებმა კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი მაქსიმალურ დახმარებას უწევენ... ებრაელთა საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობაში ჩაბმას და მეფის წყობილების მიერ ებრაელთა მოსახლეობის ჩაგვრის ნაშთების ლიკვიდაციას.”²¹ ასეთი გაფრთხილების მიუხედავად, რესპუბლიკის რეგიონალურმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მემსისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება გამოიჩინეს. ელემენტარული პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას, დახმარების ნაცვლად, შეგნებულად ხელსაც კი უშლიდნენ. შექმნილ ურთულეს მდგომარეობასთან დაკავშირებით, “მემსი” — ს 1928 წლის 12 იანვრის სხდომამ საგანგებოდ იმსჯელა და შესაბამისი დადგენილებაც მიიღო. “იმის გამო, რომ ზოგიერთ პარტიულ, საბჭოთა და პროფესიულ ორგანიზაციას კარგად არ ესმის მემსის მიზნები და ამოცანები, უარს ეუბნებიან უკანასკნელს დახმარებაზე, ზოლო ბევრი პარტიული თავს არიდებს მასში მუშაობას, რადგან საზოგადოება მიაჩნია ვიწრო ეროვნულად. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცენტრალურმა კომიტეტმა და თბილისის კომიტეტმა პარტიულ

უჯრედებსა და პროფკავშირებს მისცეს სათანადო ღირებულება დაეხმარონ მემსის ორგანიზაციას მუშაობაში.”²²

აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის პროფსაბჭომ, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ერთობლივი ცირკულარი დაუგზავნა. იგი “მემსის” ახლადშექმნილი განყოფილებებისადმი დახმარებას ყველა ორგანიზაციას ავალდებდა. ეს ოფიციალური მითითება საკმარისი აღმოჩნდა, რომ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს მემსისადმი უარყოფითი დამოკიდებულება კეთილგანწყობილებით შეეცვალათ. ხელისუფლების მიერ ზემოდან გატარებულმა ღონისძიებებმა, საზოგადოება “მემსის” ხელმძღვანელობას ებრაელთა შორის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების თანდათანობით დახვეწის საშუალება მისცა.

“მემსის” საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, საგანგებოდ იმსჯელა ეროვნულ უმცირესობათა კომისიის 1928 წლის 28 თებერვლის სხდომამ. მიღებულ დოკუმენტში ის სახელმძღვანელო დებულებებია ჩამოთვლილი, რომლის პრაქტიკულად გატარება “მემსის” საქმიანობის დახვეწას, ებრაელთა რიგებში მუშაობის გაფართოებას და რაც მთავარია, დასახული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას შეუწყობდა ხელს. კომისიის აზრით აუცილებლობას წარმოადგენდა: 1) კომისიების რაოდენობა “მემსის” მინიმუმამდე დაეყვანა, და ძირითადი ყურადღება მუშაობის ხარისხზე გადაეტანა; 2) საქართველოს რეგიონებში ებრაული მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით “მემსის” ახალი განყოფილებები გაეხსნა; 3) პირველ რიგში “მემსის” ეზრუნა ებრაელთა მიწათმოწყობისათვის საჭირო თანხების შეგროვებაზე და გაწეული პრაქტიკული საქმიანობის პრესაში ასახვაზე.²³

ამრიგად, მოტანილი მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა, კერძოდ, საზოგადოებების “მემსისა” და “მემკის” ვრცელი სამუშაო პროგრამების შედგენამ, უღარიბეს ებრაელთა მიწათმოწყობის საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის აუცილებელი და საჭირო პირობების შესაქმნელად, გარკვეული საფუძველი მოამზადა.

ებრაელთა მიწათმოწყობის მიზნით, მართალია სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა ებრაულ მოსახლეობას ეკუთვნოდა. ამ შემთხვევაში, ხელისუფლების ზემოდან დაწოლის პოლიტიკური კურსი პირველ რიგშია გასათვალისწინებელი. ამ ფაქტორმა ებრაელთა მიწათმოწყობისადმი დამოკიდებულებაზე განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინა. რაც შეეხება “მემსის,” იგი მთავრობის ღირეყ-

ტივებით მოქმედებდა და მისთვის მისაღები კურსის გამტარებელი იყო. ამის დადასტურებას “მემსის” თბილისის ორგანიზაციის საერთო კრების (1928 წლის თებერვალი) მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს. “მშრომელ ებრაელთა მიწაზე დასახლების ამოცანები—ვკითხულობთ დოკუმენტში—დიდი ხარჯების გაღებას მოითხოვს. ყველა მშრომელი ებრაელის ამოცანაა დაეხმაროს საბჭოთა ხელისუფლებას...თავისი აქტიური მონაწილეობით. კრება თვლის, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და მემსის ღონისძიებები მშრომელ ებრაელთა მიწაზე დასახლებისათვის სწორია.”²⁴ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, მიწათმოწყობისადმი ებრაელთა მხარდაჭერის იურიდიული დოკუმენტი გააფორმა. ამ ფაქტით, მის მიერ ჩაფიქრებული ღონისძიების პრაქტიკულად გატარების ოფიციალური დასტური მიიღო. რაც შეეხება ებრაელთა მიწათმოწყობისადმი მხარდაჭერი საზოგადოებრივი აზრის შექმნას, ამ ხაზით კონკრეტული ღონისძიებების გატარება “მემსის” დაეკისრა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება იმავე საზოგადოების პირველი ყრილობის (1928 წლის 16 მარტი) მასალებმა მიიქცია. ეს ყრილობა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ, მან 1927 წლის 25 დეკემბრიდან 1928 წლის მარტამდე “მემსის” მიერ გაწეული საქმიანობა შეაჯამა. იგი ორგანიზაციული მომზადებისა და გამოცდილების დაგროვების პერიოდად გამოაცხადა. ებრაელთა მიწათმოწყობისადმი საზოგადოებრივი აზრის მობილიზება “მემსის” მთავარ პირობად იქნა მიჩნეული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა აღნიშნულ სფეროში “მემსის” მიზნების, ამოცანებისა და პრაქტიკული საქმიანობის პოპულარიზაციას. დასახული მიზნის შესრულების საუკეთესო საშუალებად მოხსენებები, ლექციები, “მემსის” ლიტერატურის, ჟურნალ “ტრიბუნა”—ს მოსახლეობაში გავრცელება იქნა აღიარებული. იმავე ყრილობის დადგენილება, “მემსის” წევრთა ზრდას და მასობრივ-საზოგადოებრივ ორგანიზაციად გადაქცევას ითვალისწინებდა. იგი “მემსის” ორგანიზაციების გამგეობების წინაშე აყენებდა საკითხს, თითოეული ორგანიზაციებისა და უჯრედების ურთიერთკავშირის გამტკიცების, ზედმეტი ინსტანციების გაუქმების და საქ.მემსის ორგანიზაციული სტრუქტურის გამარტივების შესახებ.

საქ.მემსის წინაშე დასმული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ პირობად, ამ ორგანიზაციისათვის საფინანსო ბაზის შექმნა და სახსრების რაციონალური ხარჯვა იქნა მიჩნეული. ყრილობამ, საფინანსო დისციპლინისა და მკაცრი საფინანსო კონტროლის შემოღების აუცილებლობა დააყენა. “მუშაობის საკომისიო მეთოდით—ვკითხულობთ დოკუმენტში— შესაძლებლობას იძლევა, მუშაობაში ჩააბას გამგეობის მთელი შემადგენლობა და აქტივის ნაწილი, საუკეთესოდ მოამზადოს და დაამუშაოს პრინციპული საკითხები...ყრილობა მხარს უჭერს შეიქმნას გამგეობასთან განყოფილება

და დანაყოფები...მუდმივი და ღროებითი კომისიები. ყრილობა მიზანშეწონილად თვლის 4 მუდმივი კომისიის არსებობას: ორგანიზაციულ-საფინანსო, კულტურული, სასოფლო-სამეურნეო, ქალთა. ცალკეული რთული სამუშაოებისა და დავალებების შესრულების მიზნით შეიქმნას ღროებითი კომისიები. კომისიები არა ნაკლებ ოთხ თვეში აბარებენ ანგარიშს გაგეობას გაწეული მუშაობის შესახებ.”²⁵

როგორც ვხედავთ, ყრილობის მიერ მიღებული დოკუმენტი ებრაელთა მიწათმოწყობის საკითხთან მიმართებაში “საქმემის” საქმიანობის სრულყოფას და დაშვებული შეცდომების გამოსწორებას ითვალისწინებდა. მიუხედავად ამისა, მასში კონკრეტულად არ იყო განსაზღვრული-სოფლის მეურნეობაში ებრაელთა რომელი ფენის დასაქმება იყო განსაკუთრებით მიზანშეწონილი. ამ ხარვეზის შევსების მცდელობას წარმოადგენდა “თეზისები მემსის პროპაგანდისტებისათვის.” იგი განსაკუთრებულ აქცენტს იტარებს უმუშევარ და უღარიბეს ებრაულ მასაზე აკეთებდა. იმავედროულად “მემსის” ორგანიზაციის წევრებს შეახსენებდა: “მემსი წინააღმდეგია მიწაზე კვალიფიციური მუშების ან კუსტარული მეწარმეების გაგზავნისა, რომელთაც აქვს სამუშაო, ან იოლად შეუძლიათ მისი შოვნა. მემსი არაა დაინტერესებული იმაში, რომ მუშები და ხელოსნები, რომლებიც უკვე ჩაბმულნი არიან ინდუსტრიულიზაციის პროცესში, გადააქციოს მიწათმოქმედებად. მემსი არ აპირებს შეიქმნას კოლექტივები მხოლოდ ახალგაზრდებისაგან; სამიწათმოქმედო მეურნეობა უფრო მეტად საჭიროებს დოჯახებულთ, ვიდრე ახალგაზრდობას.”²⁶ მიწაზე დასასახლებელი ებრაული ოჯახების შერჩევის ამ ახალი ფორმის პრაქტიკულად განხორციელებამ, სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ ებრაელთა გამოვლენას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. დოკუმენტური მასალებიდან ირკვევა, რომ 1928 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმების სურვილი 288 ებრაულმა კომლმა გამოთქვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისათვის საქმემსის განკარგულებაში 11000 ჰექტარი მიწის ფართობი იყო, ებრაელთა მიწაზე დასახლება შეფერხდა. იგი საჭირო რაოდენობის თანხის უქონლობით იყო განპირობებული. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ცენტრალური კომიტეტისადმი 1928 წლის 26 აპრილს საქმემსის მიერ გაგზავნილ მოხსენებაში ვკითხულობთ: საქმემსი გთხოვთ, დაავალოთ აღმასკომებს... აუხსნან აღნიშნულ 288 კომლს, რომ მათი მიწებზე დასახლება-მოწყობის საკითხი ასე ჩქარა ვერ გადაწყდება, რადგან ამ საკითხის დამუშავება მოითხოვს შეთანხმებას სხვა ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, დიდი სახსრების გამონახვას.”²⁷

მიმდინარე პროცესებმა, მიწაზე დასასახლებელ ებრაელთა გაერთიანების ფორმის ძიების საკითხი, საქართველოს ხელისუფლების წინაშე პრინ-

ციპულად დასვა. ამ შემთხვევაში უპირატესობა მსხვილი კოლექტიური მეურნეობის შექმნას მიეცა. ეს არჩევანი შემთხვევითობით არ იყო განპირობებული. იგი სკკპ (ბ) XV ყრილობის (1927 წლის 2-19 დეკემბერი) მიერ კოლექტივიზაციის შესახებ მიღებული რეზოლუციის გამოძახილს წარმოადგენდა. “წერილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტივებად გაერთიანებისა და გარდაქმნის ამოცანა— ვკითხულობთ დოკუმენტში—დღევანდელ პირობებში პარტიის ძირითად ამოცანად უნდა იქნას დასახული სოფლად. პარტია კატეგორიულად მიუთითებს იმაზე, რომ ეს გადასვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მშრომელი გლეხობის თანხმობით და გადაუდებელ საქმედ აღიარებს ფართო პროპაგანდის გაჩაღებას, რომ გლეხობისათვის აუცილებელი და ხელსაყრელია თანდათანობითი გადასვლა მსხვილ საზოგადოებრივ სოფლის მეურნეობაზე.”²⁸

თუ გავითვალისწინებთ იმ შეცდომებს, რომელიც კოლექტივიზაციას მიჰყვა და სოფლის გლეხკაცობის განუკითხავი რბევით დასრულდა, ბოლშევიკური პარტიის მიერ აღნიშნული კურსის გატარებისას გამოყენებული ფორმები, დანაშაულებრივ ქმედებად უნდა ჩაითვალოს. კოლექტიური მეურნეობა, საქართველოს გლეხობისათვის შენიღბული ექსპლოატაციის, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციული მეურნეობის მსხვერველსა და განადგურების ერთ-ერთ საშუალებად გადაიქცა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ, სოფლის მეურნეობის დარგების საშუალო დონეზე განვითარებაც კი ვერ შეძლო.

რამდენადაც, კოლექტივიზაციის კურსი სოფლის მეურნეობის “განვითარების” აუცილებელ ფორმად იქნა აღიარებული, იგი საქართველოში მაცხოვრებელ ეთნიკურ უმცირესობებსაც შეეხო. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კპ (ბ) VI ყრილობის (1929 წლის 1-10 ივლისი) მიერ მიღებულ რეზოლუციაში საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული. “ახლო მომავლისათვის,—ვკითხულობთ რეზოლუციაში—დამუშავდეს სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა სისტემა და მიეცეს სათანადო დირექტივები მიწსახკომს იმის შესახებ, რომ მან გააძლიეროს მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში.”²⁹ აღნიშნული საკითხი, საქართველოს საბჭოების მეხუთე ყრილობაზედაც (1929 წელი) დაისვა. წინა პლანზე, განსაკუთრებით ებრაელთა საკითხი იქნა წამოწეული. კულაშიდან, ყრილობაზე წარგზავნილმა დელეგატმა—შამელაშვილმა, ებრაელთა მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება. ამ ფონზე, სოფლის მეურნეობაში დასაქმების მსურველი ებრაელების სახელით ოფიციალური განცხადება გააკეთა. “მე ვაცხადებ—ამბობდა იგი—რომ ებრაელები თხოულობენ კოლექტიურ მეურნეობაში ჩაბმას...კოლექტიური

მეურნეობის მოწყობას. ამისათვის გთხოვთ დახმარება მოგვეცეს ინვენტარით, იარაღით, რომ დავხნათ და დავთესოთ.”³⁰ როგორც ვხედავთ, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან თავის დაღწევის რეალურ გზას, ღარიბი ებრაელების ნაწილი, კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანებაში ხედავდა. მეორე მხრივ, მეურნეობის გასამართავად, ხელისუფლებისაგან მიწის დამუშავებისათვის საჭირო იარაღის გამოყოფას მოითხოვდა. ებრაელთა სურვილიდან გამომდინარე, 288 ებრაული ოჯახისადმი საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის დაჩქარების საკითხი, საქმემსმა ხელისუფლების წინაშე პრინციპულად დააყენა. იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ერთობლივი თათბირის მსჯელობის საგანი გახდა. მიღებული დადგენილებით, ლავოდების რაიონში “წითელ გორაზე” მხოლოდ 123 ებრაული ოჯახისათვის გამოიყო მიწის ნაკვეთი 1000 ჰექტარის მოცულობით.³¹ როგორც ვხედავთ, სოფლის მეურნეობაში დასაქმების მსურველი 288 ებრაული ოჯახიდან მხოლოდ 123 დაკმაყოფილდა. გარკვეული მოსაზრებებით, 165 ოჯახს მიწაზე დასახლებაზე უარი ეთქვა. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, საარქივო მასალებში შესაბამისი მოტივაცია დასახელებული არ არის.

იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პასუხობდა “წითელი გორა” სამოსახლოსადმი წაყენებულ აუცილებელ მოთხოვნებს, ამის შესახებ ამომწურავ პასუხს ორი საარქივო დოკუმენტი იძლევა: 1) საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტის მიერ გამოყოფილი კომისიის ანგარიში, 2) მასალები “წითელი გორას” ებრაელთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივის “ახალი დასაწყისის” მდგომარეობის შესახებ. პირველი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ აღნიშნული კომისია, “წითელი გორას” მდგომარეობის დაწვრილებითი შესწავლის მიზნით, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მითითებით შეიქმნა. კომისიის დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერდნენ: ირაბიშვილი, ლ. კიკნაშვილი, იასათიანი და ა. ცხვარაძე, მითითებულია რომ “წითელი გორაზე” ებრაელთა დასახლებისათვის გათვალისწინებული მიწის ფართობი 1300 ჰექტარს შეადგენდა. აქედან 1000 ჰექტარი ტყის საფარს წარმოადგენდა, ხოლო დანარჩენი 300 ჰექტარი დაფანტული ველებისგან შედგებოდა. თუ რამდენად ვარგისიანი იყო ეს ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად, ამის შესახებ კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ: “წითელი გორას ნიადაგი გამოსადეგია ამ რაიონში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ყველა კულტურისათვის, ხოლო რაციონალურად ამ ადგილზე მეურნეობის წარმოება პირველ ხანებში, სანამდე გაშენდილი არ იქნება ტყისაგან და ჭაობისაგან დაშრობილი-შეუძლებელია.”³² აღნიშნული სა-

მუშაობის ჩატარების გეგმა, საკარმიდამო ნაკვეთების გაწმენდით დაწყებას და ებრაელთა დასახლებისათვის სათანადო პირობების შექმნას ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში, თუკი მას ებრაელები შეასრულებდნენ, მათთვის სათანადო ინვენტარი, პროდუქტები და 153758 მანეთი უნდა გამოეყოთ. იმავე კომისიის გაანგარიშებით, ოროთახიანი 123 სახლის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა 49200 მანეთით იყო ნაგარაუდები. ხოლო 123 კომლის დასახლება და მოწყობა 10296 მანეთით. ე.ი. თითოეულ კომლზე 830 მანეთი იყო გათვალისწინებული.³³ მართალია, ეს ხარჯთაღრიცხვა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მიერ უცვლელად იქნა დამტკიცებული, მაგრამ დადგენილებაში სამუშაოების დაწყებისა და თანხის გამოყოფის კონკრეტული დრო მითითებული არ იყო. მითუმეტეს, სამელიორაციო და ტყის გაკაფვის სამუშაოებისათვის საჭირო თანხები, ხარჯთაღრიცხვაში საგეგმო კომიტეტს შეტანილი არ ქონდა. ყოველივე ეს, დასახული პროგრამის განხორციელებას გარკვეულ სირთულეებს უქმნიდა. მიუხედავად ამისა, “წითელ გორაზე” ებრაელთა დასახლება 1928 წლის 7 ნოემბერს დაიწყო და მას აბრამ ჯინჯიხაშვილი ხელმძღვანელობდა. პოლიტიკური დატვირთვის მიზნით, ეს ღონისძიება ხელისუფლებამ ოქტომბრის “რევოლუციის” XI წლისთავს დაამთხვია. მოუმზადებელობის გამო, ებრაელები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობაში ებრაული მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელობის შესახებ, “შემსის” სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მაღალ დონეზე მიმდინარეობდა. სასწავლებლებში, საწარმოებში, სოფლის კლუბებში, ახალგაზრდობის კრებებზე, საერთო-საქალაქო და სარაიონო საღამოებზე ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებელი პროგრამის³⁴ და “შემსის” პროპაგანდისტებისათვის შედგენილი თეზისების³⁵ პოპულარიზაციამ, “წითელ გორაზე” დასახლების მსურველ ებრაელთა რაოდენობა საგრძნობლად გაზარდა. ამ ფაქტმა, ზემოთ აღნიშნული სიძნელეების დროულად დაძლევის მექანიზმის შემუშავების აუცილებლობა მოითხოვა. პრობლემის დროულად შესწავლისა და გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით, სპეციალური სამთავრობო კომისია შეიქმნა (შ.დადიანი, ტ.დანილოვი, ზ.გოგოლიშვილი). არსებული მდგომარეობის შესწავლიდან გამომდინარე, ებრაელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, კომისიამ ხელისუფლების წინაშე შესაბამისი თანხების გამოყოფის საკითხი დააყენა. კომისიის დასკვნაზე დაყრდნობით, სახალხო კომისართა საბჭომ, ებრაელთა თითოეულ ოჯახს დამატებით 400 მანეთი გამოუყო, ხოლო თვით კოლმეურნეობას 36800 მანეთი.³⁶ რაც შეეხება “წითელ გორაზე” სამელიორაციო სამუშაოების დაწყების გაჭიანურებას,

ამის შესახებ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წლის 14 აპრილის სხდომამ “საქართველოში ებრაელთა მიწათმოწყობის მდგომარეობის, პერსპექტივებისა და “საქმესის” მუშაობის შესახებ” საგანგებო დადგენილება მიიღო. ამ დოკუმენტის მეხუთე პარაგრაფში ვკითხულობთ: “წინადადება მიეცეს საქართველოს წყალთა მეურნეობას, მიმდინარე წლის გეგმაში ჩართოს ვ.სტურუას სახელობის კოლმეურნეობის (ლაგოდეხის რაიონი “წითელი გორა”) მიწების ამოშრობის სამუშაოების დამთავრება.”³⁷ აღნიშნულ დადგენილებასთან დაკავშირებით, წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი-სუხიშვილი ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებდა: “საქართველოს წყალთა მეურნეობას 1933 წ. გეგმაში შეტანილი აქვს წითელი გორას ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტის შედგენა 2500 ჰექტარზე გამოკვლევებით, რისთვისაც გადაღებულია 56000 მან. სამუშაოების დაწყება გათვალისწინებულია 1934 წლიდან.”³⁸ საარქივო მასალებით ირკვევა, რომ აღნიშნულმა ორგანიზაციამ, გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყება მეორე კვარტალშიაც ვერ შეძლო. ამის შესახებ საქმესის საბჭოს თავმჯდომარე რელიგულაშვილი და საქმეთა მმართველი ჭელიძე, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ მოხსენებაში ხაზგასმით წერდნენ: “წყალთა მეურნეობის სამმართველომ “წითელი გორა”-ს ჭაობიანი ადგილების ამოშრობად 1934 წლის გეგმაში 800000 მანეთი შეიტანა, ხოლო დამატებითი სამუშაოების ჩასატარებლად 120000 მანეთი გამოყო, მაგრამ ფაქტიურად გამოყოფილი თანხა ქალაქზე დარჩა და იგი საქმეს არ მოხმარებია...გთხოვთ წინადადება მისცეთ სათანადო ორგანოებს “წითელი გორა”-ს ჭაობიანი ადგილების დაშრობის სამუშაოების საწარმოებლად. მიმდინარე წლის გეგმაში შეტანილი იქნეს ეს საკითხი. საქმესის საბჭო დარწმუნებულია ამ საქმეში თქვენი უშუალო ჩარევით მივიღებთ სასურველ შედეგებს.”³⁹

აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე, წყალთა მეურნეობის სამმართველო, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ატყობინებდა, რომ სამმართველომ ინტენსიურად დაიწყო “წითელი გორა”-ს ჭაობიანი ადგილების ამოშრობა და საქმესის საჭირო რაოდენობის თანხები გამოეყო. აღნიშნული სამუშაოების დამთავრების კონკრეტულ დროდ საქართველოს კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1935 წლის 13 ოქტომბრის დადგენილებით, 1936 წელი იყო დასახელებული. “დაევალოს საქართველოს მემსს-კვითხულობთ დოკუმენტში- გაითვალისწინოს 1936 წლის ბიუჯეტში წითელ გორაზე დაწყებული სამუშაოების დამთავრება.”⁴⁰

ებრაელთა “წითელი გორა”—ზე დასახლებისა და ებრაული კოლმეურნეობების შექმნის წინა პირობების წარმოჩენა, პრობლემის გადაწყვეტასა და მის მოწესრიგებასთან დაკავშირებული სიძნელების დაძლევის დინამიური პროცესის სრულად გააზრების შესაძლებლობას იძლევა. საარქივო მასალებით დადასტურებულია, რომ ასეთივე სახის ებრაული დასახლება ტირიფონის ველზედაც შეიქმნა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების 1927 წლის დადგენილებაში ვკითხულობთ: “წინადადება მიეცეს მიწათმოწყობის სახელმწიფო კომიტეტს დააჩქაროს ებრაელთა დასახლება ტირიფონის ველზე.”⁴¹ დოკუმენტი, დასახლების დამთავრების ეტაპებს არ განსაზღვრავდა. ეს ხარვეზი საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წლის 14 აპრილის დადგენილებაში “საქართველოში ებრაელთა მიწათმოწყობის მდგომარეობის, პერსპექტივებისა და საქმემსის მუშაობის შესახებ” იყო გასწორებული. დოკუმენტის მეშვიდე პარაგრაფში ვკითხულობთ: “იწონებს რა საქმემსის გადაწყვეტილებებს ტირიფონის ველზე სოციალისტური ტიპის დასახლების შექმნის შესახებ, დაევალოს მექვის, მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატსა და მექვის უზრუნველყოფის აღნიშნული დასახლება უახლოესი 3—დან 4 წლის განმავლობაში ყველა საჭირო საცხოვრებელი, სამეურნეო, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებით, ინვენტარით და ჩატარდეს ამ დასახლებაში შიგასამეურნეო მიწათმოწყობა არა უგვიანეს 1933 წლისა.”⁴²

როგორც ვხედავთ, აღნიშნული დოკუმენტი ებრაელთა მიწათმოწყობის ვადებს კონკრეტულად განსაზღვრავდა. იმავედროულად, შესაბამის ორგანოებს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას მთელი პასუხისმგებლობით ავალებდა. დადგენილების თანახმად, ებრაული კოლმეურნეობების სამეურნეო მოწყობის სრულფასოვანი გეგმის შესამუშავებლად “მემკი”—სა და “მემსის” უნდა ეზრუნა. ამ საპასუხისმგებლო დავალებასთან დაკავშირებით, საქმემსის მუშაობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული პრაქტიკული წინადადებების მე-4 პარაგრაფში ვკითხულობთ: “მემკის ფრაქციამ და მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატმა საქმემსისთან ერთად დაამუშაონ საკითხი “სამზრეთ ოსეთის” მშრომელ ებრაელთა ნაწილის ტირიფონის ველზე დასახლების შესახებ.”⁴³ იმავე დოკუმენტის მე-6 პარაგრაფში ვკითხულობთ: “წინადადება მიეცეს თბილისის, ქუთაისის, კახეთის, გორის საქალაქო კომიტეტებს, სენაკის, ახალციხისა და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტებს, ერთი თვის ვადაში დაამუშაონ საკითხი მშრომელი ებრაელების მიწათმოქმედებაში ჩაბმის შესახებ.”⁴⁴

ულარიბეს ებრაელთა ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გასატარებელი ღონისძიებების შემუშავებას ისახავდა მიზნად, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 25 მარტის დადგენილება. ამ დოკუმენტით, რესპუბლიკის საგეგმო, საოლქო და სამაზრო კომიტეტებს დაევალიათ: საქართველოს სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას, მხედველობაში მიეღოთ ებრაელთა დასახლებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა. იგივე დოკუმენტი, 350 ებრაული ოჯახის მიწაზე დასახლების ხარჯთაღრიცხვისა და საჭირო კრედიტით უზრუნველყოფის ხუთწლიანი გეგმის ერთი თვის ვადაში შემუშავებას, მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს, “მემსის” და “მემკის” ავალებდა. დოკუმენტში კომლის რაოდენობის ჩვენებით იყო ჩამოთვლილი ის ოლქები და რაიონები, საიდანაც ებრაული ოჯახების გადმოსახლება უნდა მომხდარიყო. მაგალითად: ქუთაისის ოლქიდან—120 ებრაული ოჯახი, სენაკის მაზრიდან—60, სამაჩაბლოდან—60, აჭარიდან—20, გორის ოლქიდან—60, ახალციხის მაზრიდან—30. დადგენილების თანახმად, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოს ებრაელთა მიწათმოწყობისათვის სპეციალური კრედიტი უნდა გამოეყო. “მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატმა ვკითხულობთ დოკუმენტში— მემკისა და მემსთან ერთად სასწრაფოდ გამოიხაროს... გადმოსახლებულების ფონდიდან გამოიყოფი თანხის გარდა დამატებითი თანხები და წარმოადგინოს შესაბამისი განაცხადი. წინადადება მიეცეს... ადგილობრივ აღმასკომებს გაუწიოს საჭირო დახმარება კოლმეურნეობებში გადმოსახლებულ ებრაელებს, ხოლო სოფლის კავშირმა შეიტანოს გადმოსახლებულთა მეურნეობანი მათთვის კრედიტის მიცემის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და იარაღებით მომარაგების გეგმაში. წინადადება მიეცეს სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, აჭარის კომისართა საბჭოს, ქუთაისისა და გორის ოლქებს, სენაკისა და ახალციხის მაზრების აღმასკომებს სათესლე მარცვლით პირველ რიგში უზრუნველყონ ებრაელთა კოლმეურნეობები.”⁴⁵

ქვეყნის საინფორმაციო საშუალებები, ებრაელთა მიწაზე დასახლებას და მათდამი დახმარებას, იმ ეტაპზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევდნენ. ეს პროპაგანდა, ქვეყანაში 30-იან წლებში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის ფონზე მიმდინარეობდა. მხედველობაში გვაქვს სკკპ (ბ) XV ყრილობის (1927 წლის დეკემბერი) და XVI პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებები, რომლებმაც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის კურსს მხარი დაუჭირა და პირველი ხუთწლიანი გეგმა დაამტკიცა. ამ დღიდან მოკიდებული, ტერორიზმის მეთოდის გამოყენებით, “კულაკურ ელემენტებს” უშეღავათო ბრძოლა გამოუცხადეს. “კლა-

სობრივი ბრძოლის" ფონზე, საშუალო ფენის გლეხობის "განკულაკება" და კოლმეურნეობებში ძალდატანებით გაერთიანება მიმდინარეობდა. პარტიის გენერალური ხაზისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ყოველი მოქალაქე, საბჭოთა ხელისუფლების მტრად ცხადდებოდა და განუკითხაობის მსხვერპლი ხდებოდა. აღნიშნულმა ფაქტორმა, მიწაზე მოწყობისა და კოლმეურნეობებში გაერთიანების მსურველ ებრაელთა რიცხვის გაზარდაში განსაკუთრებული როლი შეასრულა. 1930 წელს, 600 ებრაული ოჯახის მიერ გაკეთებული ოფიციალური განაცხადი გვაქვს მხედველობაში.⁴⁶ რა მიზეზსაც არ უნდა მიეწეროს ეს ფაქტი, მათი დაკმაყოფილება აუცილებლობას წარმოადგენდა. ხელისუფლების წინაშე პრინციპულად დაისვა საკითხი— სად დაესახლებინათ 600 ებრაული ოჯახი და თითოეული მათგანის მიწაზე მოწყობისათვის საჭირო თანხა რა საშუალებებით გამოძებნილიყო. პრობლემის სირთულე და რესპუბლიკის სპეციფიურობა, დიდ წინდახედულებას და საკითხის გონიერულად გადაწყვეტას საჭიროებდა. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის თათბირმა, ამ საკითხის შესახებ საგანგებოდ იმსჯელა და მიღებული დადგენილებით, საქართველოს ტერიტორიაზე მიწის გამოყოფა მხოლოდ 350 ებრაული ოჯახისათვის მიიჩნია შესაძლებლად. დანარჩენი 250 ებრაული ოჯახი, რესპუბლიკის გარეთ, შავი ზღვის ოლქში უნდა დაესახლებინათ, თუკი ამის შესახებ მათგან თანხმობა იქნებოდა. ხელისუფლების მესვეურები, ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობას საქართველოში მიწის ფონდის ნაკლებობით ხსნიდნენ. საქართველოს მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ (2677233 კაცი) იმ ეტაპზე საქართველოს რესპუბლიკას, 250 ებრაული ოჯახის მიწით დაკმაყოფილება ნამდვილად შეუძლო. ცენტრალური და რეგიონალური პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საქართველოში მაცხოვრებელი არაქართული ელემენტის შემცირებას თუკი ისახავდნენ მიზნად (რაც ნაკლებად დასაჯერებელია), პირველ რიგში იმ ეთნიკური უმცირესობებით უნდა დაეწყოთ, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ქართველი ერისადმი მტრულ დამოკიდებულებას აშკარად ამჟღავნებდნენ და ქართული სახელმწიფოსადმი ზურგში ჩასაცემად ალესილი მახვილი ფარულად ჰქონდათ შემართული. სამწუხაროდ, რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ საპირისპირო ნაბიჯი გადადგა და მეზობელი რესპუბლიკებიდან გადმოხვეწილი სომხური, ოსური, აზერბაიჯანული, რუსული და ა.შ. ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობის ქართულ მიწებზე ჩამოსახლებისადმი ხელშეწყობას და დემოგრაფიული პროცესების ქართველთა საზიანოდ ხელოვნურად შეცვლის მცდელობის "გამართლებას," ოფიციალურად მუშახელის ნაკლებობის მოტივი

დაულო საფუძვლად. განუკითხაობის ეს პერმანენტული პროცესი განსაკუთრებით 60- დან 80- იან წლებში გაღრმავდა და აღმოსავლეთ საქართველოში არაქართული ელემენტით კომპაქტურად დასახლებული ახალი სოფლების შექმნით დასრულდა, რომლებსაც საჭიროებისამებრ “მეხუთე კოლონის” ფუნქცია აქვს დაკისრებული. დღევანდელი გადასახედიდან, ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანის ცნობიერებაში, საბჭოური საქართველოს ხელისუფალთა ეს ნაბიჯი, მომავალი თაობების წინაშე დანაშაულებრივ ქმედებად აღიქმება. რაც შეეხება მიწაზე დასახლებული ებრაელებისადმი გამოსაყოფი თანხის რაოდენობის განსაზღვრას, ზემოაღნიშნული თათბირის გადაწყვეტილებით, თითოეულ ოჯახზე 1200 მანეთი უნდა გამოეყოთ. 600 ოჯახზე გაანგარიშებით, აღნიშნული თანხის საერთო რაოდენობა 72000 მანეთს შეადგენდა. რესპუბლიკის ტერიტორიაზე 350 ებრაული ოჯახის დასახლებლად მხოლოდ 1700 ჰექტარი მიწის ფართობი იქნა გამოყოფილი. აქედან, 700 ჰექტარს დასახლებისთანავე მიიღებდნენ, ხოლო დანარჩენ 1000 ჰექტარს, ტყის გაკაფვის ხარჯზე. გათვალისწინებული სამუშაოს დროულად ჩატარების მიზნით, იმავე თათბირის მიერ მიღებული დადგენილებით, სპეციალური პრემიები იქნა დაწესებული. “ტყის გაკაფვისათვის— კვითხულობთ დოკუმენტმოსაჭიროთ ვთვლით რსფსრ—ს მსგავსად დავაწესოთ პრემია 150 მან. პირველი გაკაფული ჰექტრისათვის, რაც 200 ოჯახზე შეადგენს 3000 მან. სასმელი წყლის მიყვანის, მიწის ფონდის მომზადებისათვის და სხვა მელიორაციული სამუშაოებისათვის 1 ჰა—100 მან. 1750 ჰექტარზე დაგეგვირდება 175000 მან. გადმოსახლების ფონდის მიწათმოწყობისათვის 1 ჰა—ზე 5 მან. სულ 8750 მან.”⁴⁷ იმავე თათბირის მასალებში მოტანილი ციფრობრივი მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული 350 ებრაული ოჯახი, რესპუბლიკას 830450 მანეთი დაუჯდებოდა. შავიზღვისპირეთში რესპუბლიკის გარეთ დასახლებული 250 ებრაული ოჯახი კი 435000 მანეთი. ე.ი. 600 ებრაული ოჯახის დასახლებისა და მისი მოწყობის საერთო ხარჯთაღრიცხვა 1365450 მანეთს შეადგენდა. რამდენადაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ რაოდენობის თანხის გამოყოფა შეუძლებელი იყო, ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ, აღნიშნული თანხის გამოყოფის შესახებ შუამდგომლობა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრა.⁴⁸ ამ თხოვნის დაკმაყოფილების ფაქტი, საარქივო მასალებით დასტურდება.

რესპუბლიკაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა სიტუაციამ და საკოლმეურნეო მოძრაობისადმი შეფარვითი ძალდატანებითი კურსის გატარებამ, მიწაზე მოწყობის მსურველ ებრაელთა რაოდენობა საგრძნო-

ბლად გაზარდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, 1935—1936 წლებში მიწაზე დასახლების მსურველთა რაოდენობამ 335 ოჯახს მიაღწია. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და “მემსი” იძულებული გახდა, მიწაზე დასახლებელი ებრაული ოჯახების “თვისობრივად შერჩევის” ფორმისათვის მიემართათ. მათი დაკმაყოფილება ეტაპობრივად მიმდინარეობდა. ამ პროცესის წარმატებით განხორციელებას სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1937 წლის დადგენილებამ შეუწყო ხელი. ამ დოკუმენტის მიხედვით, საბიუჯეტო კომისიამ საქართველოს “მემსის” 31350000 მანეთი გამოუყო.

საქართველოში ებრაელთა მიწათმოწყობის დამთავრების კონკრეტულ დროდ, საარქივო მასალებში 1938 წელია დასახელებული. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 თებერვლის დადგენილებაში მითითებულია, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ებრაელთა მიწაზე მოწყობა ძირითადად დაასრულა და სოფლის მეურნეობაში მათი დასაქმების საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა.

ებრაელთა მიწათმოწყობის ღონისძიებისადმი ორგანიზაციული გაძლიერება, მათ ბაზაზე კოლმეურნეობების შექმნა, კეთილმოწყობა და მისი წევრების ცხოვრებისეული ღონის გაუმჯობესებაზე ზრუნვა საქმემსის კჰონდა დაკისრებული. “მემსის” მიერ გაწეული საქმიანობისადმი ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულება, კარგად ჩანს “მემსის” მეოთხე ყრილობისადმი (1933 წელი) ქართველი მწერლების მისასალმებელი წერილიდან. “მემსის მიერ ჩატარებული მუშაობა—კვითხულობთ დოკუმენტში—მშრომელ ებრაელთა მასების გარდაქმნის საქმეში უეჭველად ღირსია იმისა, რომ მან კპოვოს თავისი მკვეთრი გამოხატულება ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. კულტურული მუშაობის ერთ—ერთი მოწინავე კადრი...მწერლობა ენერგიულად უნდა დაეხმაროს “მემსის,” მის წინაშე დასმულ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანათა განხორციელებაში. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ ამ მხრივ მიღებული ღონისძიებანი და რამდენიმე...მწერლის ჩატარებული მუშაობა ჩაითვალოს დასაწყისად, რასაც უნდა მოყვეს...მწერლების მთელი აქტივის ყურადღების მობილიზაცია “მემსის” ამოცანათა ირგვლივ მწერალთა უფრო ფართო მასის ჩაბმა ამ ამოცანისათვის წარმოებულ ბრძოლაში. ესალმება რა მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის დარგში მოპოვებულ წარმატებათა ორგანიზაციების შეკრებას, საქართველოს...მწერლობის კავშირი ამ მისალმებას უერთებს მტკიცე დაპირებას, რომ მწერალთა ორგანიზაცია ყოველმხრივ დაეხმარება “მემსის” შემდგომ ზრდასა და განმტკიცებას.”⁴⁹

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ებრაელთა მიწათმოწყობისას წარმოქმნილი სიძნელეები, მხოლოდ ნაწილობრივად იქნა დაძლეული და ისიც საქმემსის” დაძაბული მუშაობის შედეგად. მისივე ინიციატივით, კოლმეურნე წევრი ებრაელების საკარმიდამო ნაკვეთების გაზრდის საკითხი დღის წესრიგში გაბედულად დაისვა. ამის დადასტურებას საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1935 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება წარმოადგენს. ეს დოკუმენტი, ებრაელებისადმი მიწის განაწილებაში დაშვებული შეცდომების დაუყოვნებლივ გამოსწორებას და სარეზერვო ფონდის ხარჯზე, კოლმეურნე წევრი ებრაელებისადმი საკარმიდამო ნაკვეთების მინიმუმამდე გაზრდას—მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს ავალებდა.⁵⁰ იმავე ორგანოს, ებრაული კოლმეურნეობებისადმი მიწის ნაკვეთების მუდმივ სარგებლობაში დაკანონება 1935 წლის ბოლომდე უნდა განეხორციელებინა. ქალაქკარე მეურნეობების ხარჯზე, დამატებითი სახნავ-სათესი ფართობები და გრძელვადიანი კრედიტი გამოეყოსურამის, ქუთაისის, ვანის, ონის, საჩხერის, ქობულეთის, ახალციხის და სუჯუხის კოლმეურნეობებისათვის.⁵¹

1937 წლის მონაცემებით, საქართველოში 16 ებრაული კოლმეურნეობა არსებობდა. სამეურნეო განვითარების თვალსაზრისით, ისინი სხვადასხვა დონეზე იდგნენ. აუცილებლობა, გარკვეული დამატებითი ღონისძიებების გატარებას—სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სპეციალისტებით, ტექნიკით, ინვენტარით და ნედლეულით მათ უზრუნველყოფას მოითხოვდა. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წლის 14 აპრილის დადგენილებით, ებრაულ კოლმეურნეობებს შესაბამისი მატერიალური დახმარება გაეწია. ხოლო, ებრაული კოლმეურნეობების უღარიბეს წევრებს, დახმარების სახით 36 ტონა სიმინდი გადაეცა.⁵² მიუხედავად ამისა, არსებული მძიმე მდგომარეობა ნაწილობრივადაც არ შეცვლილა. საჭირო თანხების უქონლობის გამო, თითოეული ებრაული კოლმეურნეობა გამწვევი, მეწველი და სახორცე პირუტყვის ნაკლებობას განიცდიდა. შექმნილი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქმემსის” ხელმძღვანელობამ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წინაშე—საქმემსის” საწარმოების გადასახადებისაგან განთავისუფლების საკითხი პრინციპულად დააყენა. მისი დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ებრაული კოლმეურნეობებში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებას საქმემსი თავის-თავზე იღებდა. საქართველოს ხელისუფლებამ, ამ საკითხის შესახებ (1935 წელი), სსრ კავშირის ცკ-ის წინაშე შუამდგომლობა აღძრა. იმავდროულად, საქსახბანკს კრედიტის სახით საქმემსისათვის 200000 მანეთის გამოყოფა დაავალა.⁵³ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს იმავე წლის 13 ოქტომბრის დადგე-

ნილებით, მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატმა, ებრაელთა კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების მიზნით საქმემსის 150000 მანეთი გამოუყო.⁵⁴

ამრიგად, მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციის შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ებრაული კოლმეურნეობების განსამტკიცებლად და მათი სასოფლო-სამეურნეო დარგების გასანვითარებლად გარკვეული საფუძველი მომზადდა. ამ ფაქტმა შემდგომში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ებრაული კოლმეურნეობების შემოსავლიანობის ზრდისა და მათი ფინანსურად განმტკიცების საქმეში.

* * *

სახალხო მეურნეობის სფეროში, საქართველოში გატარებული ღონისძიებებიდან, ადგილობრივი ნედლეულით მრეწველობის გასანვითარებლად შედგენილი ვრცელი პროგრამა და მისი რეალიზაციის გზების ძიების ფაქტი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. იგივე საკითხები იყო დასმული საქართველოს მთავრობის მიერ 1926 წლის დეკემბერში შედგენილ თეზისებში. იგი ძირითად აქცენტს შინამრეწველობისა და არტელებისადმი დახმარების აუცილებლობაზე აკეთებდა. ამასთან დაკავშირებით დოკუმენტში ვკითხულობთ: “ახალ სამრეწველო მშენებლობასა და არსებული სახელმწიფო მრეწველობის განვითარებასთან ერთად აუცილებელი ყურადღება უნდა დაეთმოს...შინამრეწველთა მრეწველობას...განხორციელდეს ღონისძიებები დაქსაქსულად არსებული ცალკეული შინამრეწველობისა და არტელებისადმი, დახმარებისა და მათი ორგანიზაციის, აგრეთვე შინამრეწველური წარმოების სხვადასხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის.”⁵⁵ დასახული ამოცანის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად პირობად, საფაბრიკო-საქარბნო სასწავლებლების, მუშათა საღამოს სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაფართოება იყო მიჩნეული. მის დანიშნულებას კვალიფიციური მუშახელის მომზადება წარმოადგენდა.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მრეწველობაში დასასაქმებლად გადადგმულ პირველ ნაბიჯს ებრაელთა არტელების შექმნის ცდა წარმოადგენდა. მისი წამოწყების ინიციატორები ქუთაისის ებრაელობა იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქუთაისის ებრაელთა ინტელიგენციის მიერ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტისადმი 1926 წლის 9

თებერვალს გაგზავნილ წერილში, ებრაელთა შრომის არტელების შექმნის აუცილებლობა იყო დასაბუთებული.⁵⁶ ამ ფაქტთან მიმართებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სათანადო რეაგირება გააკეთა. საკითხის შესწავლის შედეგად, 1927 წლის 19 იანვარს საგანგებო დადგენილება მიიღო. “წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს— ვკითხულობთ დოკუმენტში— შეუდგეს ებრაელთა შორის საამკინძაო, ჯაგრის საწმენდი და სხვა არტელების შექმნას.”⁵⁷ ეს ღონისძიება, სოფლის მეურნეობის გარეშე დარჩენილ ებრაელთა სამუშაოზე დასაქმებას ითვალისწინებდა. 1927 წლის ბოლოსათვის, ქუთაისის აბრეშუმის ძაფსართავ და თბილისის მაუდის ფაბრიკაში 200 ებრაელი იყო დასაქმებული. ეს პროცესი იმდენად ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რომ ებრაელთა სამუშაოზე დასაქმების გაზრდილ მოთხოვნებს ელემენტარულადაც ვერ აკმაყოფილებდა. აუცილებლობამ, ებრაელთა დასაქმების ორგანიზაციული პრობლემების მოსაგვარებლად, დღის წესრიგში სპეციალური ორგანიზაციის შექმნის საკითხი დააყენა. არსებული რთული მდგომარეობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან 1928 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი საქ.ღარებკომი შეიქმნა.⁵⁸ მის შემადგენლობაში შევიდნენ: სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარი ვალერიან ვაშაკიძე (კომიტეტის თავმჯდომარე), აბრამ ლინეცკი (თავმჯდომარის მოადგილე), რივა ყელეზნიაკი, მიხეილ დანიელოვი, დავით შაფთოშვილი, მიხეილ თავიდიშვილი, მორდუხ ჯანაშვილი, საული მალისოვი, ანა გასკელი. კომიტეტის წევრობის კანდიდატებად: აბრამ დავარაშვილი და თამარ ბათაშვილი.⁵⁹ აღნიშნული ორგანიზაცია, ოფიციალურად პირველ ოქტომბერს გაფორმდა, მაგრამ მუშაობას 1928 წლის პირველი დეკემბრიდან შეუდგა. ორგანიზაციის ძირითად ამოცანას სამი საკითხის მოწესრიგება წარმოადგენდა: 1) ღარიბ ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გარდასაქმნელად გასატარებელი ღონისძიებებისადმი ხელშეწყობა; 2) ებრაელთა შორის ხელოსანთა და მუშათა კადრების მომზადება; 3) სინაგოგის გაელენისაგან ებრაელთა “განთავისუფლება” და კულტურულ-აღმზრდელი მუშაობის გაღრმავება.⁶⁰ დასახული ამოცანის შესრულებას, ორგანიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა, თუკი ფინანსურად იქნებოდა უზრუნველყოფილი და დამოუკიდებელი სტატუსით ისარგებლებდა. “ღარებკომის” წინაშე მდგომი სირთულეებიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 1930 წლის 25 მარტის დადგენილებით, საქ.ღარებკომს კრედიტის სახით 50000 მანეთი გამოუყო, ხოლო თვით ორგანიზაცია უფლებამოსილებით საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვა ორგანიზაციებს გაუთანაბრა.⁶¹ ამით, ღარიბ ებრაელთა

დასახმარებლად “ღარებკომს,” გაბეღული ნაბიჯის გადასადგმელად მეტი შესაძლებლობა მიეცა.

“ღარებკომის” თავმჯდომარის მოადგილის აკლინიკის 1929 წლის 3 მაისის მოხსენებიდან ირკვევა, რომ იმ ეტაპზე ორგანიზაციას გახსნილი ჰქონდა სასაბუღალტრო, საკანფერო, ტყა-მელნის, სამკერვალო, დამფასოებელი და სკამების დამამზადებელი არტელები, რომლებიც 74 ებრაელ მუშას აერთიანებდა.⁶² საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 25 მარტის დადგენილებით, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ებრაელებისათვის შეიქმნა ფესსაცმლის, ტრიკოტაჟის სამკერვალო, სადურგლო, მღებავთა და მღესავთა არტელები.⁶³ ამ ღონისძიების პარალელურად, “ღარებკომმა” არტელებსა და სამრეწველო საწარმოებში ებრაელთა მიზიდვის საკითხი დააყენა. მდგომარეობას ორი ფაქტორი ართულებდა: 1) “ქვეყნის მტრის” ბრალდებით, საწარმოებიდან განდევნილი მუშების შედეგად შექმნილი ვაკუმი და 2) კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა. შექმნილი მდგომარეობის გაანალიზებიდან გამომდინარე, საქღარებკომის მუშაობის შესახებ მიღებული პრაქტიკული წინადადებების მეხუთე და მეექვსე პუნქტებში საგანგებოდ იქნა მითითებული: “დაძთავრდეს არსებული არტელების წმენდა სოციალურად უცხო ელემენტებისაგან და მიიღონ ზომები ნამდვილად მშრომელ ებრაელთა მასების მიზიდვისათვის. კომიტეტის ფრაქციამ არტელებისადმი ხელმძღვანელობისას განახორციელოს პარტიის დირექტივა ერთმართველობის შესახებ, დააწესოს არტელების გამგეთა და რწმუნებულთა პირადი პასუხისმგებლობა, არ დაუშვას კომიტეტის წევრთა მხრიდან გამოქომაგება და საქმეში ჩარევა.”⁶⁴ დოკუმენტი არ განსაზღვრავდა, თუ ვინ შეიძლებოდა მიჩნეულიყო “სოციალურად უცხო ელემენტებად.” ეს გარემოება, არტელის ხელმძღვანელობას შეუზღუდავ უფლებებს ანიჭებდა. მასვე აკისრებდა თითოეული მუშის შეფასებასა და მისადმი დამოკიდებულების განსაზღვრას. ეს ფაქტორი, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ანონიმური წერილების შექმნასა და პიროვნებათა დაბეზლებას უწყობდა ხელს. ამის ნიმუშად ვინმე კომკავშირელი ებრაელის მიერ საქართველოს კომპარტიის ცეკასადმი გაგზავნილი წერილი გამოდგება. “მავნე ელემენტებისაგან” წარმოება-დაწესებულებების გაწმენდის მოწონების ფონზე, დავით იზრაელაშვილის პიროვნების სანდოობის საკითხს სვამდა. “თუ მართლა თქვენ (ცენტრალური კომიტეტი შ.ე.) მხარს უჭერთ, — ვკითხულობთ წერილში — ჩვენი კოოპერატივის ახალ თანამშრომლად მოწვეული იქნას დიდი ვაჭარი და კლერიკალების სულისჩამდგმელი იზრაელაშვილი, ამ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვაგზდებით ვთხოვით პატივცემულო ცეკა, აღარ გვინდა ხანამ კლერიკალები ჩვენს კოოპერატივში, ჩვენ გვინდა ახალი ცხოვრების

მოტრფილ კომუნისტები ან კომკავშირელები, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში შრომის კავშირის წევრი მაინც, რომელიც ბლომად გვყავს ჩვენს ებრაელობას დღეს.”⁶⁵

ასეთი ხასიათის განცხადებები, პიროვნების სამსახურიდან განდევნის, შევიწროებისა და რეპრესიების საფუძველი ხდებოდა. ეს ფაქტორი, სამრეწველო საწარმოებსა და არტელებში კვალიფიციური მუშახელის დამაგრებას აფერხებდა. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებად, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ არსებული მდგომარეობის განმუხტვა აუცილებლობად არ მიიჩნია, მიმდინარე პროცესებს დაუჭირა მხარი და მისი გაღრმავების საკითხი დააყენა. ასეთი პოლიტიკური კურსის გატარებამ, რესპუბლიკის მთელ მოსახლეობასთან ერთად, ებრაელობაც დააზარალა, განსაკუთრებით კვალიფიციერებული სპეციალისტების მხრივ. შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, სახალხო კომისართა საბჭო იძულებული გახდა, მშრომელ ებრაელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მოწყობის შესახებ საგანგებო დადგენილება (1930 წლის 25 მარტი) მიეღო. ეს დოკუმენტი, ქალთა შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების აუცილებლობაზეც ამახვილებდა ყურადღებას. იგი შესაბამის ორგანოებს საჭირო რაოდენობის თანხის გამოყოფასაც ავალებდა.⁶⁶

ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დონის გაუმჯობესების საქმეში საქლარებკომმა გარკვეული როლი შეასრულა. ამ წარმატების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს, აღნიშნული ორგანიზაციის პირველი კონფერენციის (1931 წელი) მიერ ეფექტური სამუშაო გეგმის მიღება წარმოადგენდა. იმავე ორგანიზაციის მეორე კონფერენციამ, საქლარებკომის” 1928–1932 წლების საქმიანობა შეაჯამა და მომავალი მუშაობის გეგმა დაამტკიცა. ეს დოკუმენტი, ღარიბ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების, ებრაელი ახალგაზრდების სამრეწველო საწარმოებში დასაქმებას, სწავლა-განათლების, კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას ითვალისწინებდა.

“საქლარებკომი”—ს 1928–1933 წლების მუშაობის შესახებ, დაწერილებითაა საუბარი ფ.მახარაძის მიერ საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისადმი 1933 წლის 4 დეკემბერს გაგზავნილ მოხსენებაში. მასში მოტანილი მონაცემების მიხედვით, საქლარებკომს საქართველოში 16 განყოფილება ჰქონდა. მათი მეშვეობით გახსნილ 136 სხვადასხვა დარგის საწარმოში 3723 ებრაელი, —აქედან 200—ზე მეტი კვალიფიციური მუშაიყო დასაქმებული. 1933 წლისათვის საქლარებკომის საწარმოებმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას 16670000 მანეთის ღირებულების სხვადასხვა სახეობის პროდუქცია მისცა.⁶⁷

საქ.ლარებ,კომის საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სამრეწველო საწარმოებში ებრაელ ქალთა დასაქმებას ჰქონდა დათმობილი. ამ საკითხთან დაკავშირებით იელიოზოვი სტატიაში "ებრაელ ქალთა შორის მუშაობა" წერდა: "ებრაელ ქალთა შორის მუშაობა გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს. ისინი თანდათანობით ებმებიან საზოგადოებრივ საქმიანობაში—ქალთა საერთაშორისო დღის, 8 მარტის აღსანიშნავად ფაბრიკებში სამუშაოდ 10 ქალი გაიგზავნა."⁶⁸ საავიტაციო— პროპაგანდისტული ხაზით, საქ.ლარებ,კომის ამ საქმეში დიდი დახმარება ი.ვარძიელის სახელობის ბიბლიოთეკა—სამკითხველოსთან არსებულმა ებრაელ ქალთა ორგანიზაციამ გაუწია. მათივე ინიციატივით, მთავრობის წინაშე ებრაელი ბავშვებისათვის ბაგა—ბაღების შექმნის საკითხი დაისვა. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წლის 10 მაისის დადგენილებით, ებრაულ კოლმეურნეობებში და სამრეწველო საწარმოებში ბავშვთა ბაგა—ბაღების მშენებლობა 1934 წლიდან უნდა დაწყებულიყო.⁶⁹ ასეთივე სახის დადგენილება იქნა მიღებული საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1935 წლის 13 ოქტომბრის სხდომაზე.⁷⁰ 1935 წლის დეკემბრის მონაცემებით, ებრაელი ბავშვებისათვის გახსნილმა ბაგა—ბაღების რაოდენობამ 275 შეადგინა. ამ ფაქტმა, ებრაელ ქალთა სამრეწველო საწარმოებში დასაქმებას შეუწყო ხელი. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქმემსის მიერ ებრაელებისათვის შექმნილი საწარმოების განვითარებას და მის შემდგომ გაფართოებას, კარგად ჩანს სკკ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ეროვნებათა საბჭოს სახელზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანის თ.ჟენტის მიერ 1933 წლის 3 ივნისს გაგზავნილი წერილიდან. "საქ.მემსის ძირითად საფინანსო ბაზას,—ეკითხულობთ დოკუმენტში— წარმოადგენს მთელი რიგი საწარმოები (ხის მთლელი, ტექნიკურ— ქიმიური და სხვა) რომელთა გაფართოება ითვლება არსებული კოლმეურნეობების შემდგომი ეკონომიკური ზრდის წანამდღვრად. საქართველოს ცაკი თავისი პრეზიდიუმის 1933 წლის 14 აპრილის დადგენილების საფუძველზე შუამდგომლობს თქვენს წინაშე...დახმარება გაუწიოთ საქმემსს დამხმარე საწარმოების განვითარების საქმეში."⁷¹ აღნიშნულ თხოვნასთან დაკავშირებით, ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაწეული დახმარების დამადასტურებელი დოკუმენტის მიკვლევა ჯერ—ჯერობით შეუძლებელი გახდა. საარქივო მასალებით ირკვევა, რომ საქმემსის დაძაბული მუშაობის შედეგად, ქალაქში მაცხოვრებელ ებრაელთა მხოლოდ გარკვეული ნაწილის სამრეწველო საწარმოებში დასაქმების პრობლემა იქნა გადაწყვეტილი. ამასთან დაკავშირებით საქმემსის საბჭოს თავმჯდომარე რელიგიულაშვილი 1938 წლის 3

მარტის მოხსენებაში წერდა: “იმ ცნობების მიხედვით, რაც გააჩნია საქ.მემსს, საქართველოს სსრ ქალაქების ებრაული მოსახლეობა მასობრივადაა ჩაბმული რესპუბლიკის მრეწველობაში.”⁷² ამ გაზვიადებულ განცხადებაზე დაყრდნობით, საქართველოს ხელისუფლებამ საქ.მემსის საქმიანობა ამოწურულად ჩათვალა და მისი არსებობა ზედმეტად მიიჩნია. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 7 ივლისის დადგენილებით საქ.მემსი გაუქმებულად გამოცხადდა. “საქართველოს მემსის საწარმოთა შესახებ,” საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 7 სექტემბრის №1564 დადგენილებით, ამ ორგანიზაციისადმი დაქვემდებარებული საწარმოები, “სარეწაო საბჭოს” და სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს გადაეცა. ამ პროცედურის დროულად შესრულების მიზნით, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ იმავე წლის ოქტომბერში ახალი ხუთპუნქტიანი დადგენილება მიიღო. “1) აღინიშნოს მემსის საწარმოების მიღების დაუშვებელი გაჭიანურება “სარეწაო საბჭოსა” და სოცუზრუნველყოფის სკ მხრივ; 2) წინადადება მიეცეს “სარეწაო საბჭოს” (ამხ. შავგულიძე) და სალიკვიდაციო კომიტეტს დაუყოვნებლივ გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები ადგილებზე და 5 დღის ვადაში დაამთავრონ გადასაცემი საწარმოების მიღება ჩაბარება, გააფორმონ შესაბამისი ვალდებულება არტელის შესახებ, რომლებიც გადაცემული საწარმოების ბაზაზე დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შექმნილი. გაფორმდეს შესაბამისი საბუთები ყოფილი საქ.მემსის სალიკვიდაციო კომიტეტისათვის სკს 7/IX-1938 წ. №1564 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული თანხის გადახდის შესახებ; 3) დაევალოს “სარეწაო საბჭოს” უზრუნველყოს საქ.მემსის სალიკვიდაციო კომიტეტისათვის ზემოთ აღნიშნული არტელების მიერ 1 ივლისის მდგომარეობის მიხედვით...დარჩენილი თანხის 50 %-ის გადახდა მ.წ. 10 ოქტომბრამდე, ხოლო დარჩენილი 70 %-ის 1938 წ. 1 ნოემბრამდე; 4) წინადადება მიეცეს სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს (ამხ. ელისაბედაშვილი) დაუყოვნებლივ მიიღოს საქართველოს სსრ სკს 7/IX-1938 წ. №1564 დადგენილებით გათვალისწინებული ყოფილი საქ.მემსის საწარმოები და უზრუნველყოს სალიკვიდაციო კომიტეტისათვის გათვალისწინებული თანხების გადარიცხვა “სარეწაო საბჭოსათვის” ნაჩვენებ ვადებში; 5) წინადადება მიეცეს სახბანკის საქართველოს კანტორას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე საერთო საფუძველზე გასცეს კრედიტები იმ ორგანიზაციებზე, რომელნიც შექმნილია ყოფილი საქ.მემსის საწარმოების ბაზაზე.”⁷³

ამრიგად, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, საქ.მემსის მისია შესრულებულად ჩათვალა და მისი არსებობა მიზანშეუწონლად მიიჩნია. სინამდვილეში, საქ.მემსის გაუქმება, ნაჩქარებ გადაწყვეტილებას წარმოადგენ-

და და არსებული მდგომარეობის საფუძვლიანად შეუსწავლელით იყო განპირობებული. ამის დამადასტურებლად ებრაელთა საბინაო მშენებლობებთან დაკავშირებით შექმნილი სიძნელეები გამოდგება, რომლის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი.

* * *

იმ მნიშვნელოვან საკითხთა შორის, რომელიც ღარიბ ებრაელთა წინაშე დაისვა და დაუყოვნებლივ მოწესრიგებას საჭიროებდა, მათი ბინებით უზრუნველყოფა იყო. პირველი სამთავრობო ნაბიჯი ამ მიმართულებით 1931 წლის 17 ივლისს გადაიდგა. იგი საქ.ღარბკომის მიერ ლალიაშის “ღარბკომის” განყოფილებისადმი 8000 მანეთის გადარიცხვით გამოვლინდა. ეს ღონისძიება უღარიბესი ებრაელებისადმი ბინების შეკეთებას ითვალისწინებდა. აღნიშნული თანხა იმდენად მცირე აღმოჩნდა, რომ გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება ნაწილობრივადაც ვერ მოხერხდა. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, იმავე საკითხთან დაკავშირებით 1932 წლის 17 ივლისში, დამატებით 16000 მანეთის გამოყოფის შესახებ საგანგებო დადგენილება მიიღო. ასეთივე რთული მდგომარეობა იყო რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიაც. პრობლემის მოგვარების მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სამთავრობო დონეზე მიღებული დადგენილებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წლის 14 აპრილის დადგენილება იქცევს. იგი საქართველოს მომარაგების სახალხო კომისარიატს ავალებდა: ა) საამშენებლო მასალებით უზრუნველყოფის მიზნით, საქმეში ცენტრალური მომარაგების გეგმაში ჩაესვა; ბ) დროულად გადაეწვიტა ქუთაისისა და ტირიფონის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ებრაული კოლმეურნეობების წევრთა ბინათმშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით წამოჭრილი პრობლემები.⁷⁴ ამ დოკუმენტის საპასუხოდ, მომარაგების სახალხო კომისარიატი რესპუბლიკის ცენტრალურ კომიტეტს აცნობებდა, რომ აღნიშნული სამუშაოების ჩატარება მის ძალებს აღემატებოდა. ამ ფაქტმა, საკითხის მოგვარების პერსპექტივა ჩიხში მოამწყვდია. მიუხედავად ამისა, ფ.მანარაძემ მომარაგების სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნულ უარის დოკუმენტს შემდეგი სახის რეზოლუცია დაადო: “მომარაგების სახალხო კომისარიატს! როგორც არ უნდა იყოს, უნდა გამოინახოს წყარო ღარიბ ებრაელთა კომიტეტის შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად და კოლმეურნეობებში მშენებელი მუშების უზრუნველსაყოფად.”⁷⁵

საარქივო მსასლების შესწავლის მიუხედავად, ჯერ—ჯერობით შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რა რეაგირება მოჰყვა აღნიშნულ რეზოლუციას. ერთი რამ ცხადია, რომ იმავე პრობლემის მოგვარება საქ.ღარებკომს დაეკისრა. რამდენადაც ამ ორგანიზაციას ებრაელთა ბინათმშენებლობისათვის შესაბამისი თანხები არ აღმოაჩნდა, საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა 1933 წლის 27 ივლისს შუამდგომლობა აღძრა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისაგან საქ.ღარებკომის განთავისუფლების შესახებ. ამ დოკუმენტის საფუძველზე, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წლის 28 მარტის და 7 დეკემბრის დადგენილებებით საქ.ღარებკომი გადასახადებისაგან ხუთი წლით განთავისუფლდა. იმავდროულად რესპუბლიკის ცენტრალურ კომიტეტს, გამოთავისუფლებულ თანხებზე მკაცრი კონტროლის დაწესება დაევალა.⁷⁶

საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, საქ.ღარებკომმა ებრაელებისათვის ორსართულიანი ბინების მშენებლობის პროექტი წარუდგინა დასამტკიცებლად. ამ პროცედურის გაჭინურებიდან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1934 წლის 11 სექტემბრის დადგენილებით, საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს “ღარებკომის” მიერ წარდგენილი ბინათმშენებლობის პროექტის დაუყოვნებლივი დამტკიცება დაავალა. მისი განხორციელების შემთხვევაში, “ღარებკომს” კულაშში, ონში, ცხინვალში, ახალციხესა და საჩხერეში დაწყებული ებრაელთა ბინათმშენებლობაზე, 1934 წლის ბოლომდე 355000 მანეთის ათვისების შესაძლებლობა ეძლეოდა.⁷⁷ იგი 23 ორსართულიანი სახლის (205 ოთახით), 11000 კვადრატული მეტრი ფართობით მშენებლობას ითვალისწინებდა. რაც შეეხება კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ 1935 წელს დამტკიცებულ გეგმას, შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა 5 მილიონი მანეთით იყო განსაზღვრული. რამდენადაც “ღარებკომის” აღნიშნული თანხა არ აღმოაჩნდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1935 წლის 21 მაისს შუამდგომლობა აღძრა სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე— საქ.ღარებკომისათვის დამატებითი თანხების გამოყოფის შესახებ. იმავდროულად ცენტრალურ ხელისუფლებას სთხოვდა— მომავალი წლის საკავშირო დაფინანსების გეგმაში საქ.ღარებკომიც შეეტანათ.⁷⁸ ეს თხოვნა, როგორც საარქივო მასალებითაც დასტურდება დაკმაყოფილებული იქნა. ამით საქ.ღარებკომს 1935 წლის გეგმით გათვალისწინებული საამშენებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა მიეცა.

ებრაელთა ბინათმშენებლობის საქმეში გარკვეული დამსახურება საქმე-მსსაც მიუძღოდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 13 ოქტომბრის დადგენილებაში “ებრაელთა კოლმეურნეობებში მუშაობის შესახებ” ვკითხულობთ: “მიღებული იქნას ცნობად, რომ საქმემსი მიმდინარე წელს ააშენებს 20 ბინას ტირიფონში, 15 ბინას მუხრანში და 10 ბინას ოფშქეთში. დაევალოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს გამოუყოს საქმემსს საჭირო სააშენებლო მასალები.”⁷⁹ საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, რომ საქართველომთან შედარებით, საქმემსი სააშენებლო მასალებით ხელისუფლებისაგან უმნიშვნელო დახმარებას იღებდა. ამის უდავო დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული ბინების მშენებლობისათვის საქმემსის გამოუყვეს: 70 კუბური მეტრი ხის მასალა, ერთი ტონა ლურსმანი, 100 ცალი ტოლი, 800 კვადრატული მეტრი შუშა.⁸⁰ ასეთი მცირე რაოდენობის სააშენებლო მასალა გათვალისწინებული მშენებლობისათვის საჭირო მოთხოვნებს ელემენტარულადაც ვერ აკმაყოფილებდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 27 მაისის დადგენილებით—№570, კოლეთის დაბლობსა და ტირიფონის ველზე ებრაელებისათვის ბინების მშენებლობა საქმემსის დაევალა.⁸¹ შექმნილი სირთულეების დაძლევისა და მიმდინარე სამუშაოების კოორდინაციის ერთადერთ საშუალებად, საქმემსის ხელმძღვანელობამ სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმთან სააშენებლო ბიუროს შექმნა აუცილებლობად მიიჩნია. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა. იმავე ბიუროს შუამდგომლობით, სახალხო კომისართა საბჭომ მომარაგება—გასაღებისა და ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატს დაავალა; საქმემსი უზრუნველყო საჭირო რაოდენობის სააშენებლო მასალებით. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ თუკი 1936 წელს საქმემსის დაქვემდებარებაში მხოლოდ ორი სააშენებლო უბანი არსებობდა, 1937 წლისათვის მისი რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა. რამდენადაც ასეთი ფართო მასშტაბის სამუშაოების ჩატარება დიდ დაფინანსებას საჭიროებდა, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ ჯერ კიდევ 1936 წელს აღძრა შუამდგომლობა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე—საქართველოს ებრაელების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად 800000 მანეთის გამოყოფის შესახებ.⁸² ეს თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა. საქმემსმა აღნიშნული თანხა ძირითადად ებრაელთა ბინათმშენებლობას მოახმარა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 8 აპრილის დადგენილებიდან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული თანხიდან, საქმემსმა ქარელის რაიონის ებრაელთა ბინათმშენებლობაზე 322794 მანეთი დახარჯა.⁸³ იმავე დოკუმენტის მიხედვით,

საქმემსის დამატებით უნდა აეშენებინა: მუხრანში—50 სახლი, სურამში—70, კოლხეთის დაბლობზე—60, ცხინვალში—50 და ა.შ.⁸⁴

ებრაელთა ბინათმშენებლობის ბოლომდე მიყვანა, მნიშვნელოვნად შეაფერხა 1936 წელს ჯერ საქ.ლარებკომის ხოლო 1938 წელს საქ.მემსის ლიკვიდაციამ. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა, სსრკ-ის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უშუალო მითითებით განხორციელდა. მისი ძირითადი მიზეზები, მაღალი ეშვლონების საპასუხისმგებლო თანამდებობებიდან ებრაული ეროვნების პირთა ჩამოცილებაში უნდა ვეძიოთ. მართალია, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის სექტემბრის დადგენილება №1564, ებრაელებისათვის მშენებარე სახლების დამთავრებას 15 სექტემბრისათვის ითვალისწინებდა, მაგრამ მისი შესრულება, ცენტრის მიერ სათანადო თანხების გამოუყოფლობის გამო შეუძლებელი გახდა. ამიტომ, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ებრაელთა ბინათმშენებლობის პროცესის დასრულების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და ეს იდეა სამომავლოდ გადაიღო. ამ ფაქტის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქ.ლარებკომისა და საქ.მემსის ლიკვიდაცია, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული ნაჩქარევ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა.

ამრიგად, საქ.ლარებკომისა და საქ.მემსის აქტიური მოქმედებისა და მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარების მიუხედავად, ებრაელთა საყოფაცხოვრებო პირობების, განსაკუთრებით—ბინათმშენებლობის პროცესის ბოლომდე მიყვანა შეუძლებელი გახდა. იგი ცენტრალური მთავრობის მიერ ებრაელებთან მიმართებაში პოლიტიკური კურსის ცვალებადობიდან გამომდინარე—დაფინანსების შეწყვეტით იყო განპირობებული.

* * *

საქართველოს ებრაელთა წინაშე მდგომ მოსაგვარებელ ერთ-ერთ ურთულეს საკითხს, მათდამი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის გადაწყვეტა წარმოადგენდა. ხელისუფლების მიერ პირველი ქმედითი ღონისძიება ქუთაისში ებრაელებისათვის ამბულატორიის გახსნით დაიწყო. ყოველდღიურად იგი 50 ავადმყოფს იღებდა და სათანადო დახმარებასაც უწევდა. მიუხედავად ამისა, არსებულ მოთხოვნებს მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა. ამ ფაქტის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ “ებრაულ მოსახლეობაში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ” მიღებული დადგენილების (1926 წლის 18 იანვარი) მეხუთე პარაგრაფში ხაზგასმით იყო მითითებული;

“აუცილებელია გაიზარდოს ებრაელებისადმი უფასო სამედიცინო დახმარება, მათთვის უფასოდ მედიკამენტების გაცემა, სისტემატურად ჩატარდეს ლექციები სანიტარული განათლების თემაზე.”⁸⁵

მართალია, ეს დადგენილება დროული იყო, მაგრამ ზოგად ხასიათს ატარებდა და კონკრეტულად არ ასახელებდა იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც ჩამოთვლილი საკითხების მოგვარება და მის შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა. ეს ფაქტორი დადგენილების შეუსრულებლობისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. გამოსავალი გზების ძიების მცდელობას, ებრაელთა სამედიცინო-სანიტარული დახმარების საზოგადოების შექმნის შესახებ, ქუთაისის ებრაელების მიერ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წინაშე დასმული მოთხოვნა წარმოადგენდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის 1927 წლის 30 დეკემბრის დადგენილებაში ვკითხულობთ: “ნება დაერთოს შეიქმნას ქუთაისის ღარიბ ებრაელთა უფასო სამედიცინო-სანიტარული დახმარების საზოგადოება.”⁸⁶ მიუხედავად ამისა, აღნიშნული საზოგადოების შექმნის საკითხი ღიად დარჩა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ არცერთ სამთავრობო დოკუმენტში საზოგადოების შექმნის საწყისები და მისი გამოკვეთილი ფუნქციები მითითებული არ იყო. რამდენადაც ეს საკითხი ადგილობრივი ხელისუფლებისათვისაც ბუნდოვანებით იყო მოცული, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებო დეპეშით მიმართა სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/კ-ის ქიმ-დირექტორს შიუტეს. “ცენტრალური კომიტეტის ეროვნულ უმცირესობათა განყოფილება გაეცნო რა თქვენი საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს, საქართველოში მცხოვრები ქუთაისელი ებრაელებისადმი სამედიცინო-სანიტარული დახმარების მიზნით ვთხოვთ, ფოსტით სასწრაფოდ გადმოგვიგზავნოთ წესდება ორ ცალად, რომლის მიხედვითაც ჩვენ შევძლებთ მსგავსი ორგანიზაციის შექმნას.”⁸⁷ აღნიშნული წესდების მიუკვლეველობის გამო, მის შესახებ რაიმე მოსაზრების გამოთქმა შეუძლებელი ხდება. ერთი რამ ფაქტია, 1928 წლიდან ებრაელთა დასახლებულ რაიონებში საექიმო-სანიტარული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად სათანადო ღონისძიებები იქნა გატარებული. ეთნიკურ უმცირესობათა გამგის პიტოევის მიერ ღარიბი ებრაელებისათვის ქ.ქუთაისში საექიმო-სანიტარული დახმარების საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ გაკეთებული მოხსენების საფუძველზე, ქუთაისის სამაზრო კომიტეტის 1928 წლის 1 თებერვლის სხდომამ შემდეგი სახის დადგენილება მიიღო: “1. საზოგადოების დაარსება ცნობილი იქნას მიზანშეწონილად; 2. ქ.ქუთაისში მოწვეული იქნას ღარიბ ებრაელთა საზოგადო კერბა, რომელზედაც მოხდეს საზოგადოების გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.”⁸⁸ ახლად არ-

ჩეულმა საზოგადოების გამგეობამ სპეციალური წესდება მიიღო. ამ დოკუმენტის მიხედვით, საზოგადოების საქმიანობის სფერო ქუთაისითა და ახლომდებარე სოფლებით უნდა შემოფარგლულიყო. საზოგადოების მიერ, დაარსებული იქნა ამბულატორიები, სამედიცინო გამოკვლევებისათვის ლაბორატორიები, ავადმყოფთა სპეციალური დახმარების ფონდი და ა.შ. პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, იმ ეტაპზე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება კოლმეურნე წვერი ებრაელებისადმი იყო გადატანილი. ამასთან დაკავშირებით ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წლის 14 აპრილის დადგენილებაში ვკითხულობთ: “დაევალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს,— უზრუნველყოს ებრაული კოლმეურნეობების სამედიცინო მომსახურება, ორი კვირის განმავლობაში დააკომპლექტოს სამედიცინო პუნქტი ვ.სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში და მოაწყოს პატარა აფთიაქები ყველა ებრაულ კოლმეურნეობებში.”⁸⁹ მიუხედავად ამისა, წამოჭრილი პრობლემები შეუსრულებელი დარჩა. არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1935 წლის 13 ოქტომბერს საგანგებო დადგენილება მიიღო. “წინადადება მიეცეს საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატს—ვკითხულობთ დოკუმენტში— გაუწიოს უფასო სამედიცინო დახმარება ღარიბ ებრაულ კოლმეურნეებს, ხოლო დანარჩენებს— საქ.მემსთან ერთად შემუშავებული ტარიფის მიხედვით. მოაწყოს სტაციონალური აფთიაქები და სამედიცინო პუნქტები წითელი გორას, ტირიფონისა და ოფშქვიტის ებრაულ კოლმეურნეობებში.”⁹⁰

დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებამ, ებრაელებისადმი სამედიცინო დახმარების გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ამ მიმართულებით თავის დროზე არანაკლები როლი საქ.ღარებკომის და საქ.მემსის ერთობლივმა ღონისძიებებმაც შეასრულა. მათი უშუალო ინიციატივით ჯერ კიდევ 1928—1932 წლებში სამედიცინო დახმარება 34492 ებრაელს აღმოუჩინეს.

ამრიგად, სამთავრობო დონეზე მიღებული დადგენილებებისა და მისი შესრულებისადმი კონტროლის დაწესებამ, “საქ.ღარებკომი”—სა და საქ.მემსის ერთობლივმა ღონისძიებებმა ებრაელთა სამედიცინო მომსახურების სფეროში არსებული ხარვეზების დაძლევის მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

საქართველოს ებრაელებისადმი ქართველი ხალხის მეგობრული დამოკიდებულება მთელი სიღრმით 1928 წელს გამოვლინდა. ამ შემთხვევაში ქუთაისის ებრაელთა უბანში გაჩენილი ხანძარის (იმავე წლის 10 მაისი) შედეგად მაცხოვრებლებისადმი თავსდატეხილი სტიქიური უბედურება გვაქვს მხედველობაში. თუ რამდენად ძლიერი იყო აღნიშნული ხანძარი, ამის შესახებ დაწვრილებითაა საუბარი ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარის ე.ღვამიჩავას მიერ საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ლ.ქართველიშვილის სახელზე გაგზავნილ ტელეფონოგრამაში. “ადგილობრივი ცეცხლისმქრობელი რაზმები უძღურია ჩააქროს გამძვინვარებული ცეცხლი, — კვითხულობთ დოკუმენტში — სასწრაფოდ გამოვიწვიეთ სამტრედიის, შორაპნის, ფოთის და ბათუმის ცეცხლისმქრობელი რაზმები. გთხოვთ აღნიშნულ რაზმებს მისცეთ სასწრაფო განკარგულება.”⁹¹ ამ შეტყობინების მიღებისთანავე, ჩამოთვლილი რაიონების და ქალაქების ცეცხლისმქრობელ რაზმებს საგანგებო მითითება მიეცა — დაუყოვნებლივ მიშველებოდნენ ქუთაისს. სტიქიის საწინააღმდეგო ღონისძიებების უკეთ წარმართვის მიზნით ქუთაისში საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს.ჯუღელი და სპეციალური სახანძრო მანქანები გაიგზავნა.

თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ხანძრისაგან დაზარალებულნი, სრულ წარმოდგენას გაზეთ “კომუნისტში” გამოქვეყნებული სტატია — “უსახლკაროდ დარჩენილნი” იძლევა. “სასოწარმკვეთ შთაბეჭდილებას სტოვებს რამდენიმე ათასი სული, რომელიც უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ არის დარჩენილნი. სახლებიდან გამოტანილი ბარგით სავსეა ქუთაისის ქუჩები და ბალები... ქუთაისს ასეთი განსაცდელი ჯერ არ უნახავს, ასეთი უბედურება იშვიათადაა შესაძლებელი.”⁹² შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, დაზარალებულების დროებითი თავშესაფრით, პურითა და სათანადო პროდუქტებით უზრუნველსაყოფად, ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ საგანგებო კომისია შეიქმნა. მოსახლეობის პურით მომარაგების უზრუნველყოფისა და მოსალოდნელი გართულებების აცილების მიზნით, კომისიამ გულდასმით შეისწავლა ქალაქისათვის განკუთვნილი ფქვილის მარაგი და იგი არასაკმარისად მიიჩნია. ამ ფაქტთან დაკავშირებით ქუთაისის აღმასკომის მიერ საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ლ.ქართველიშვილისადმი გაგზავნილ მიმართვაში კვითხულობთ: “გთხოვთ სასწრაფოდ გამოგზავნოთ ფქვილი. ვინაიდან ჩვენი მარაგი მეტად მცირეა.”⁹³ თუ რა რეაგირება მოჰყვა ამ დოკუმენტს, ამის საილუსტრაციოდ ლ.ქართველიშვილის მიერ ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარის ე.ღვამიჩავასადმი გაგზავნილი დეპეშა გამოდგება. “მოსახლეობა

უზრუნველყავით პურით,—ვკითხულობთ დოკუმენტში—გიგ ზავნით სამ ვაგონ ფქვილს. მიიღეთ ყოველგვარი ზომა დაზარალებულთათვის ბინების აღმოსაჩენად.”⁹⁴

ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შექმნილი ზემოაღნიშნული კომისია, დამოუკიდებლად მოქმედების უფლებებს იყო მოკლებული. ეს ფაქტორი წამოჭრილი საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტას ხელოვნურად აფერხებდა. შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ლ.ქართველიშვილის თავმჯდომარეობით საგანგებო კომისია შეიქმნა (1928 წლის მაისი). მის შემადგენლობაში შევიდნენ: ს.ჯუღელი (თავმჯდომარის მოადგილე), ელვამიჩაევა, კეკელია, მარკმანი, შმათიკაშვილი და ბოლქვაძე. აღნიშნული კომისია ოთხ ქვე კომისიად დაიყო და თითოეულ მათგანს განსაკუთრებული ფუნქციები გაუნაწილდა. პირველ კომისიას დავალებული ჰქონდა დამწვარი სახლების აღრიცხვა, მეორეს უსახლკაროდ დარჩენილთა დაბინავება, მესამეს დაზარალებულ მოქალაქეთა სურსათით უზრუნველყოფა, მეოთხეს სანიტარული მომსახურება.⁹⁵ კომისიის მუშაობის 14 მაისის შემაჯამებელი სხდომის მასალებიდან ირკვევა: ხანძრის შედეგად 627 ოჯახი დაზარალდა და ქონების 80 % დაიწვა. 354 სახლი დაინგრა. საერთო ზარალმა ხუთ მილიონ მანეთს გადააჭარბა.⁹⁶ ამ მონაცემების გათვალისწინებიდან გამომდინარე, კომისიის დასკვნით, ხანძრისაგან გამომწვეული ზარალის ლიკვიდაცია და არსებული პრობლემების დროულად მოგვარება, საქართველოს რესპუბლიკის შესაძლებლობებს ცილდებოდა. აქედან გამომდინარე, იმავე სხდომის მიერ მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: “ვინაიდან ადგილობრივი თანხები საკმარისი არ არის პირველადი დახმარების აღმოსაჩენად, ეთხოვოს ა/კ-ის სახკომსაბჭოს და საკავშირო ორგანოებს ამ მიზნით გაიღონ თანხები...პირველ რიგში მიღებული უნდა იქნეს ზომები დაზარალებულთა უზრუნველსაყოფად სურსათ-სანოვაგით და ტანსაცმლით.”⁹⁷ დაზარალებულთაგან პირველადი დახმარებისა და საჭირო თანხის რაოდენობის დადგენის მიზნით, იმავე კომისიის გადაწყვეტილებით, სპეციალური ქვე კომისია შეიქმნა: (ს.ჯუღელი— თავმჯდომარე, გ.მგალობლიშვილი და ბოლქვაძე). საარქივო და პრესის მასალებიდან არ ჩანს, აღნიშნული საკითხების შესწავლისას თუ რა დასკვნამდე მივიდა კომისია.

ხანძრის შედეგების სალიკვიდაციო სიძნელების დაძლევის ერთ-ერთ საშუალებად საზოგადოების აქტიური მონაწილეობა იქნა მიჩნეული. საქართველოს მთავრობის 1928 წლის 12 მაისის მოწოდებაში ვკითხულობთ: “ქუთაისის დახმარების საქმე არის არა მარტო მატერიალური ხასიათის ღონისძიებათა საკითხი, არამედ, ესაა უდიდესი საზოგადოებრივი საქმე. აქ უნდა ჰპოვოს გამოხატულება მშრომელთა სოლიდარობამ, რომელიც ერ-

თიანად მტკიცეა გაჭირვებისა და დაღვინების დროს. მთავრობასთან ერთად ქუთაისის დახმარების საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა...საზოგადოებამ. საჭიროა ადგილობრივ დაწესებულება—ორგანიზაციებმა აქედანვე გადადგან ქუთაისის დახმარების საქმის საორგანიზაციო ნაბიჯები. საქართველოს მუშებო და გლეხებო, ყველა მოქალაქეო დაეხმარეთ ქუთაისს!"⁹⁸ ქუთაისელ ებრაელთა გასაჭირი ქართველმა ხალხმა გულთან მიიტანა. "ნუ შეშინდებით, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, ქართველი ხალხი თქვენთანაა." ამ დანაპირებს ქმედითი პრაქტიკული ნაბიჯებიც მოჰყვა. ხანძრის ჩაქრობის მეორე დღესვე საექიმო დახმარება 376 კაცს აღმოუჩინეს. დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად ხუთი ვაგონი ფქვილი და 500000 მანეთი იქნა გამოყოფილი. უდღემამოდ დარჩენილი ბავშვებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის პრობლემებზე საგანგებოდ იმსჯელა განათლების სახალხო კომისარიატმა (1928 წლის მაისი). მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: "1) მიღებული იქნას კოჯრის ახალშენში დაზარალებული ოჯახებიდან 40 ბავშვი ოთხი თვის ვადით; 2) თანამშრომელთა შორის შეიკრიბოს დღიური ხელფასი დაზარალებულთა სასარგებლოდ; 3) გაიმართოს ხელმოწერა თანამშრომელთა, ამხანაგთა და ნაცნობთა შორის შეწირულების შესაკრებად. აგრეთვე, გაიგზავნოს მოწოდება მასწავლებლებისა, სამედიცინო დაწესებულებებისა და სამეცნიერო ძალთა მიმართ, რომ მათ მიერ მიღებული იქნეს ზომები დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად."⁹⁹

ამ დოკუმენტის პრესაში გამოქვეყნებამ ფართო რეზონანსი გამოიწვია. მას სახელმწიფო დაწესებულებები მაშინვე გამოეხმაურნენ. მაგალითად, საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა 1928 წლის მაისის კრების დადგენილებით, ქუთაისის დაზარალებულ ებრაელთა დასახმარებლად ერთი დღის ხელფასი იქნა გადარიცხული. იმავედროულად, ამ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფინსახკომის თანამშრომლები გამოიწვიეს.¹⁰⁰ ეს გამოწვევა, ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა მიიღეს. ქუთაისელი ებრაელების დახმარების მიზნით, ერევნის საქალაქო საბჭომ 5000 მანეთი გამოყო. სსრ კავშირის წითელი ჯვრის აღმასრულებელმა კომიტეტმა 5000, ხოლო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 2.500000 მანეთი.¹⁰¹

ქუთაისელი დაზარალებული ებრაელებისადმი დასახმარებლად დაწყებულ კამპანიას, საქართველოს მოსახლეობა ფართოდ გამოეხმაურა. საგანგებოდ შექმნილ საფონდო ანგარიშზე (1928 წლის მაისი) თანხები არა მარტო წარმოება—დაწესებულებებმა შეიტანეს, არამედ აქტიური მონაწილეობა ცალკეულმა პიროვნებებმაც მიიღეს. რესპუბლიკის დაზღვევის

კომიტეტმა აღნიშნულ ფონდში 250000 მანეთი გადარიცხა. თბილისის წარმოება-დაწესებულებებმა 1928 წლის 17 მაისამდე 10000 მანეთი, თბილისის აღმასკომმა 20000 მანეთი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა 1900 მანეთი, თბილისის მთავარი ფოსტის კანტორამ 800 მანეთი, სენაკის აღმასკომმა 500 მანეთი, მეექვსე მსროლელი ლევიონის შემადგენლობამ 233 მანეთი, ქართველმა მწერლებმა და მეცნიერებმა 100 მანეთი. რაც შეეხება ცალკეულ პიროვნებებს, პაოლო იაშვილმა ფონდში 25 მანეთი შეიტანა, ვანო სტურუამ 10 მანეთი და ა.შ. იმავე წლის 30 მაისისათვის დაზარალებულ ებრაელთა ფონდში შეწირულების სახით 64747 მანეთი იყო ჩარიცხული.¹⁰² ქუთაისის დაზარალებულ ებრაელთა ორგანიზებულად დახმარების მიზნით, საქართველოს მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის ინიციატივით 1928 წლის 15 მაისს საგანგებო კომიტეტი შეიქმნა პ.იაშვილის, ტ.ტაბიძის, ა.აბაშელის, ი.გრიშაშვილის, ს.შანშიაშვილის, მ.ჯავახიშვილის, ბ.ჟღენტის, ბ.ბუაჩიძისა და სამადლობელის შემადგენლობით.

ზემოაღნიშნული დახმარებიდან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ წერილში (1928 წლის 28 ივნისი) ქუთაისის ებრაელთა წარმომადგენლობა ხაზგასმით მიუთითებდა: “ქუთაისის ებრაელობას...გაჭირვება და უბედურება ძლიერ შეუძსუბუქა...მიღებულმა ზომებმა და გაწეულმა დახმარებამ. ებრაელობა დარწმუნდა, რომ მთავრობისა და საზოგადოების მიერ გაწეული დახმარება საბოლოოდ დაავიწყებს დაზარალებულ ებრაელობას იმ დიდ გაჭირვებას, რომელშიაც ის ჩააგდო ამ უმაგალითო ხანძარმა.”¹⁰³ დროებით თავშესაფრებში დაბინავებული ხანძრისაგან დაზარალებული ებრაელები აუტანელ სივიწროვეს განიცდიდნენ. შექმნილი მდგომარეობა ებრაელთა დამწვარი უბნის დაუყოვნებლივ აღდგენის საკითხს აყენებდა. თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა ხანძრის ჩაქრობის შემდეგ ებრაელთა უბანი, ამის შესახებ გაზეთი “კომუნისტი” წერდა: “შემზარავი სანახავია ეს ნანგრევებად ქცეული დამწვარი უბანი, საშინელია მეტადრე მთვარიან ღამეში ზღაპრულ ვეშაპის მსგავსად პირდაღებულნი, აქა-იქ აღმართული გარუჯული შენობათა ჩონჩხები.”¹⁰⁴ ქუთაისის ებრაელთა დამწვარი უბნის აღსადგენად, მთავრობის საგანგებო დადგენილება იქნა მიღებული. იმავე დოკუმენტით, სპეციალური სამთავრობო კომისია შეიქმნა, რომლის ძირითად ამოცანას, გამწმენდი სამუშაოების სწორად წარმართვის ხელმძღვანელობა და ახალი სახლების მშენებლობისათვის საჭირო ნიადაგის მომზადება წარმოადგენდა. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოყოფილმა ერთმა მილიონმა მანეთმა და რაჭა-ლეჩხუმის სახერხი ქარხნიდან მიწოდებულმა 80 ვაგონმა ხის მასალამ, ქუთაისის

ებრაელთა დამწვარ უბანში გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით შესრულება განაპირობა. ოპერატიულად გატარებულმა ღონისძიებებმა, ქუთაისის ებრაელთა დამწვარი უბნის დროულად აღდგენას შეუწყო ხელი. ებრაელებმა ეს ფაქტი, ქართველი ხალხის თანადგომის გამოვლინების ერთ-ერთ უტყუარ დასტურად აღიქვა.

ამრიგად, ჩვენს მიერ მოტანილი მასალების ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების საფუძველს გვაძლევს; 1) მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ ებრაული მოსახლეობის მიმართ გატარებულმა ანტისემიტურმა პოლიტიკამ, ებრაელთა უმრავლესობა სამეურნეო საქმიანობის მიღმა დატოვა. იგი ებრაელთა უმეტესობის ვაჭრობაში დასაქმების ერთ-ერთი ფაქტორთაგანი გახდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნილი ებრაელთა საკავშირო მიწათმომწყოები კომიტეტის და ებრაელთა მიწათმომწყოები საზოგადოების იმ ეტაპზე არსებობა გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მათ მიზანს, ებრაელთა დასაქმება, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ებრაელთა მიწათმომწყოების საკითხის შესწავლა და შექმნილი პრობლემების დაძლევისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენდა; 2) საქართველოს ხელისუფლების მიერ იმ ეტაპზე აღებულმა კურსმა, ებრაული მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმა აუცილებელი გახდა. მიწის შესახებ გამოცემულმა დეკრეტმა და მიწათმომწყოების დებულების დამტკიცებამ, სოფლის მეურნეობაში ებრაელთა დასაქმებისათვის გარკვეული საფუძველი მოამზადა. ებრაული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლასთან დაკავშირებით შექმნილმა საგანგებო კომისიებმა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებისადმი ებრაელთა მხარდაჭერამ, საქართველოს ებრაელთა მიწათმომწყოები საზოგადოების-საქმემსი, მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყოები კომიტეტის-“შემკი,” საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის-საქ.ღარბეკომი, რაიონებში მათი განყოფილებების შექმნამ, ებრაელთა მიწათმომწყოების საკითხის დროულად გადაწყვეტა დააჩქარა; 3) საქართველოს ღარბეკომისადმი დამოუკიდებლობის მინიჭებამ და ფინანსურად უზრუნველყოფამ, ორგანიზაციას ებრაელთა არტელების შექმნისა და თვით ებრაული მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დასაქმების შესაძლებლობა მისცა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ საქ.ღარბეკომის, საქმემსის ნაადრევად ლიკვიდაციამ, საქართველოს ებრაელთა წინაშე მდგომი პრობლემების დიდი ნაწილი გადაუწყვეტელი დატოვა და სამომავლო ზრუნვის საგნად აქცია; 4) ქუთაისის ხანძრით გამოწვეული მძიმე შედეგების დასაძლევად გატარებულმა ღონისძიებებმა, დაზარალებული ებრაული მოსახლეობისადმი ერთსულოვანმა დახმარებამ, საქართველოს ებრაელებისადმი, ქართველი ხალხის ცნობიერებაში ათეული საუკუნის

მანძილზე დამკვიდრებული თანადგომის გაგრძელების ფაქტი პრაქტიკულად ერთხელ კიდევ დაადასტურა.

თავი II

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა საქართველოს ებრაელებში

უცხო ეთნოსისადმი, ქართველი ერის შემწყნარებლურმა ისტორიულად ჩამოყალიბებულმა ფენომენმა, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას შეუწყო ხელი. ეს პროცესი რომელიმე მათგანის პრიორიტეტს კი არ ეფუძნებოდა, არამედ თანაბარი უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ხორციელდებოდა. იგი სხვებზე უკეთ საქართველოს ებრაელობამ აღიქვა და ქართველი ერისადმი მაღლიერება სხვადასხვა ფორმით გამოავლინა.

საქართველოში ბოლშევიკური დიქტატურის დამყარების მიუხედავად, ებრაელთა საკითხის შესწავლა და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარება 1924 წლიდან დაიწყო. ებრაელთა კულტურული და ეკონომიკური განვითარების გზების ძიებაში მყოფმა ებრაული ინტელიგენციის გარკვეულმა ნაწილმა, აღნიშნულ ფაქტთან მიმართებაში თავისი პოზიცია ოფიციალურად გამოხატა. მხედველობაში გვაქვს დბააზოვისა და გბააზოვის პუბლიკაციები, რომლებიც გაზ. “კომუნისტში”¹ და “ტრიბუნაში”² გამოქვეყნდა.

გბააზოვი თავის მოთხოვნას შემდეგი ფორმით აყენებდა: “ჩვენ გვინდა ჩვენი სკოლა, სადაც ვასწავლით ებრაულ ენას, ისტორიას, ლიტერატურას, მეცნიერებას და სხვა, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვზარდოთ ჩვენი შვილები ჩვენი ზნეჩვეულებებით, რომლებიც იქნებიან მცოდნე თავისი ვინაობისა, ...გამოსადეგნი თავისი ერისა და კაცობრიობისა.”³ დასმული საკითხების სრულად თუ არა, ნაწილობრივ გადაწყვეტას, იგი ებრაელთა კულტურული საზოგადოების დაარსებას და მის პრაქტიკულ საქმიანობას

უკავშირებდა. ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯის გადადგმა იმითაც იქნებოდა მიზანშეწონილი, რომ მისი დახმარებით, ხელისუფლებას ებრაული მოსახლეობის საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების გლობალურ წრედში ჩართვის შესაძლებლობა მიეცემოდა. საარქივო მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნული მოთხოვნა, იმ ეტაპზე ხელისუფლების მხრიდან რეაგირების გარეშე დარჩა. ამ ფაქტმა, ებრაული ინტელიგენციის მხრიდან, ებრაელთა კულტურული საზოგადოების დაარსების მტკიცების მოტივით, გაზ. “ტრიბუნას” ფურცლებზე ახალი პუბლიკაციების გამოქვეყნება განაპირობა. ამ მხრივ, განსაკუთრებით გ.ბააზოვის სტატიები—“წერილები საქართველოს ებრაელებზე” გამოირჩევა.⁴ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ებრაელებში მიმდინარე ცვლილებებისა და ძვრების ფონზე, გ.ბააზოვი დაწერილებით განიხილავდა საქართველოს ებრაელთა მდგომარეობას. მისი ჩამორჩენის ძირითად მიზეზს ებრაელთა ისტორიის სიღრმეში ეძებდა და დაასკვნიდა, რომ იმ ეტაპზე ებრაელები—სადმი “არავინ იყო პატრონი...ახალი გზის მაჩვენებელი.”⁵ იმავედროულად, საბჭოთა ხელისუფლების მიმართ საყვედურს გამოთქვამდა, “აგერ მესამე წელიწადია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან...და ჩვენ დავიწყებული ვართ.”⁶

ხელისუფლების უყურადღებობიდან გამომდინარე, ებრაელთა ინტელიგენციის წრიდან გამოსულმა ადამიანებმა არსებული მდგომარეობიდან ებრაელთა გამოყვანის გზებისა და საშუალებების ძიება დაიწყეს. ამ მიზანს ემსახურებოდა საზოგადოება “თარბუთის” დაარსება (1923 წელი).⁷ თუ რამდენად დიდ იმედს ამყარებდა ებრაული ინტელიგენცია საზოგადოება “თარბუთი”—ს საქმიანობაზე, კარგად ჩანს გ.ბააზოვის წერილებიდან—“წერილები საქართველოს ებრაელებზე.” “თარბუთი,—წერდა გ.ბააზოვი—უნდა გადაიქცეს მამოძრავებელ ღერძად მთელი საქართველოს ებრაელობისა. თარბუთი უნდა გადაიქცეს იმ ცხოველმყოფელ ნაკადად, საიდანაც საქართველოში მცხოვრებ ყოველ ებრაელს საშუალება ექნება ამოსწოვოს წყარო სინათლის, თარბუთი უნდა გადაიქცეს იმ ახალ მოვლენად, რომელიც მიღწეწ-მოღწეწავს ყოველივე ძველს და გამოგვიყვანს ახალი გზების ძიებაში, თარბუთი ჩვენს ხანაში უნდა დახასიათდეს, როგორც ძლიერი რევოლუცია და მემატინანეს საშუალება უნდა ექნეს, რომ ებრაული ენის და კულტურის აღორძინება—აყვავება, საზოგადო სწავლა—განათლება და საერთოდ მთელი ეს რენენსანსი და მისი დასაწყისი საქართველოს ებრაელთა ცხოვრების ისტორიაში აღინიშნოს თარბუთის ეპოქით.”⁸ ამ საზოგადოების არსებობას ოფიციალური სახე განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულმა “თარბუთი”—ს წესდებამ მისცა. რაც შეეხება “თარბუთის” მიზნებსა და ამოცანებს, ამასთან დაკავშირებით

დოკუმენტში ვკითხულობთ: “საზოგადოება “თარბუთი” მიზნად ისახავს გაავრცელოს საქართველოს ებრაელთა შორის საზოგადოდ სწავლა-განათლება და კერძოდ ებრაული ენის, ისტორიის და კულტურის ცოდნა.”⁹ აღნიშნული წესდება, პირველი რიგის გასატარებელ ღონისძიებად მიიჩნევა: 1) ებრაელებისათვის მოეწყოს ლამის სასწავლო, პედაგოგიური და სამეცნიერო კურსები; 2) ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, კლუბები, სადაც სისტემატურად ჩატარდებოდა ლექციები საზოგადოებრივი მეცნიერების, ებრაული ენის, ისტორიისა და კულტურის საკითხებზე; 3) ებრაელებისათვის დაარსებულიყო პერიოდული და არაპერიოდული გამოცემები. მართალია, აღნიშნული საზოგადოებას საპასუხისმგებლო მისიის შესრულება დაეკისრა, მაგრამ, განათლების სახალხო კომისარიატის არცერთი დოკუმენტიდან არ ჩანს, საზოგადოება “თარბუთის” გაუწევდა თუ არა იგი ფინანსურ დახმარებას.

რამდენადაც საზოგადოებას მოქმედების დამოუკიდებელი კურსი ქონდა აღებული, საქართველოს მთავრობისაგან მისი დაფინანსება საარქივო მასალებით არ დასტურდება. ამ ფაქტორის გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ იგი მის წინაშე დასმული რთული ამოცანების გადაწყვეტას ვერ შეძლებდა. მითუმეტეს, ხელისუფლების მიერ ებრაელთა კულტურული ჩამორჩენილობის დასაძლევად გასატარებელი ღონისძიებების სამთავრობო რანგში აყვანისა და შესრულების მიმდინარეობაზე უმკაცრესი კონტროლის დაწესების მიუხედავად, საკითხის დადებითად გადაწყვეტა ერთი ხელის დაკვრით ვერ მოხერხდა და წლების განმავლობაში გაჭიანურდა. ამ ფაქტისა და სახელმწიფოსაგან დაუფინანსებლობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საზოგადოება “თარბუთის” არსებობას უპერსპექტივო სახე უნდა მიეღო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიებების პრაქტიკულად გატარება დიდ ფინანსურ ხარჯებს უკავშირდებოდა. იმ რთულ სიტუაციაში, ენთუზიაზმით ან შემოწირულების იმედით რაიმე წარმატებულ ღონისძიებაზე ფიქრი ფუჭ ოცნებას წარმოადგენდა. რაც შეეხება თვით საზოგადოების შემდგომ ბედს, საარქივო და პრესის მასალები ელემენტარულ ინფორმაციასაც კი არ იძლევა. ბუნებრივია, საზოგადოება “თარბუთის” ისტორიის თუნდაც მცირე მონაკვეთის აღდგენა, ამ ფაქტორიდან გამომდინარე შეუძლებელი ხდება.

მთავრობის მიერ საზოგადოება “თარბუთის” დაარსების ნებართვის გაცემის პრეცედენტმა, ებრაელთა ერთ ნაწილში ებრაელთა რელიგიური საზოგადოების შექმნის იდეა წარმოშვა. ამასთან დაკავშირებით, ქუთაისის სამაზრო კომიტეტისადმი 1923 წელს წარდგენილი 1216 ებრაელის ხელმოწერილი განცხადება იქცევს ყურადღებას. ისინი სამაზრო კომიტეტისაგან “ებრაელთა რელიგიური საზოგადოების” დაარსების ნებართვას კატ-

ეგორიულად მოითხოვდნენ.¹⁰ შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ქუთაისის სამაზრო კომიტეტის 1923 წლის 17 დეკემბრის დადგენილებით, ქუთაისის მაზრის “ებრაელთა რელიგიური საზოგადოების” შექმნის ნებართვა ოფიციალურად იქნა გაცემული. იმავედროულად ამ საზოგადოების წესდებაც დაამტკიცეს.¹¹

ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ზემოაღნიშნული ნაბიჯი, ორმხრივი პოზიციიდან უნდა შეფასდეს: 1) ხელისუფლების ეს ნაბიჯი ებრაელთა გარკვეული ნაწილის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ითვალისწინებდა; 2) ებრაელთა უმრავლესობას პირვანდელი ყოფისა და “გეტოს” შენარჩუნებისაკენ უბიძგებდა. ამიტომ, ქუთაისის ებრაელთა ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა, სამაზრო კომიტეტის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა. საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ წერილში კონკრეტულად იყო მითითებული ებრაელთა ჩამორჩენილობის ძირითად მიზეზებზე. დასმული იყო საკითხი; ებრაელთა კულტურული განვითარების შემაფერხებელი დაბრკოლებების დაძლევის მიზნით, ხელისუფლებას სასულიერო პირთა მოთხოვნისადმი ანგარიში არ გაეწია. “ჩვენ ებრაულ ინტელიგენციას,— ვკითხულობთ დოკუმენტში— მიგვანჩია აუცილებელ უსაჭიროეს ზომად. რათა აღმოფხვრილი იქნას ჩვენი საზოგადოების კულტურული ჩამორჩენის უმთავრესი სუბიექტური მიზეზები... ჩვენ მიუუთითებთ საბჭოთა ხელისუფლებას... გაითვალისწინოს მთელი უბედურება საქართველოს ებრაელებისა და დააყენონ ისინი ნამდვილი კულტურულ—ეკონომიკური აღორძინების გზაზე, რომ ამით სამუდამოდ გადაჭრან ადგილობრივი ეს “ავადმყოფური საკითხი.” ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა გაითვალისწინებს ებრაელების მდგომარეობას და მის მომავალს არ დატოვებს ალაღბებულზე.”¹²

საქართველოს ებრაელთა მიმართ პირველი ქმედითი სამთავრობო ღონისძიება 1924 წლის ოქტომბერში გატარდა. ებრაელებისათვის წერა—კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების შექმნა გვაქვს მხედველობაში, სადაც 300—მდე ებრაელი ახალგაზრდა მეცადინეობდა. იმავე წელს ებრაელ ქალთა სპეციალური განყოფილება შეიქმნა თბილისში. იგი კოორდინაციას რესპუბლიკის მასშტაბით ებრაელ ქალთა შორის კულტურულ—საგანმანათლებლო საქმიანობას უწევდა. ეს ღონისძიებები იმ ეტაპზე უმნიშვნელო სახეს იძენდა, რადგან ებრაელთა კულტურული ღონის ამაღლებაში არსებითი გარდატეხის შეტანა არ შეეძლო. აუცილებლობა, სამთავრობო დონეზე წინასწარ შემუშავებულ და მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამაზე დაფუძნებულ ფართო მასშტაბის ღონისძიებების გატარებას საჭიროებდა. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი საქართველოს სახალხო კომისარია-

ტის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. მიღებული დადგენილებით (1925 წელი), ებრაელთა კულტურული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, საგანგებო კომისია იქნა შექმნილი (მ.მემმარიაშვილი, ვ.გოგუაძე, ღ.რუხაძე, ვ.ბერიძე). ამ ფაქტმა თბილისის ებრაელთა ინტელიგენციაში უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია. საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ ერთობლივ წერილში ისინი აღნიშნავენ: “ღღეს...ხელისუფლება დაინტერესდა ჩვენი ჭირ-ვარამით და შეუდგა ჩვენთვის ზრუნვას...ჩვენ შევძლებთ დაუმტყციოთ ხელისუფლებას, რომ შეგვიძლია მშრომელთა ქვეყნისათვის ნაყოფიერი მუშაობა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული რომ მალე ბოლო მოეღება ჩვენს მძიმე...მდგომარეობას.”¹³ ანალოგიური პოზიცია დაიჭირა ქუთაისის ინტელიგენციამაც. “ქუთაისის ებრაელთა ინტელიგენცია, - კკითხულობთ მათ მიერ შედგენილ დოკუმენტში- სიხარულით ვეგებებით... ებრაელთა შორის კულტურული მუშაობის დაწყებაზედ სპეციალური კომისიის გამოყოფას...ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხსენებული კომისია განიხილავს ებრაელთა ყველა საჭირობო საკითხებს...და გამოძებნის შესაფერის ზომებს.”¹⁴ თუ რა შედეგი მოჰყვა აღნიშნული კომისიის შექმნასა და მის საქმიანობას, ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის მ.კაკიტიელაშვილის მიერ გაზეთი “კომუნისტში” გამოქვეყნებული სტატია; “ეყოფა ებრაელებს ამდენი ჩამორჩენა.” როგორც ირკვევა, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული კომისიის რეკომენდაციით, ქუთაისში სპეციალური ქვე კომისია შეიქმნა, რომელმაც ებრაელებისათვის შრომის სკოლების გახსნის მიზანშეწონილება დააყენა. მისვე რეკომენდაციით, ქუთაისის ებრაელებისათვის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლის დაარსება აუცილებლობად იქნა მიჩნეული. წერილის ავტორი ამ ღონისძიებებს დადებითად აფასებდა და მას არაჩვეულებრივ მოვლენად თვლიდა. იმავდროულად, სინანულით მიუთითებდა ებრაელთა გარკვეული ნაწილის იმ ქმედებაზე, რომლებმაც აღნიშნული წამოწყების წინააღმდეგ გაილაშქრეს. მხედველობაში გვაქვს: 1) მათ მიერ შედგენილი დელეგაციის წევრებისაგან, ქუთაისის აღმასკომისადმი წაყენებული კატეგორიული მოთხოვნა-ებრაელებისადმი ცალკე სკოლის გახსნის შეჩერების შესახებ; 2) დასავლეთ საქართველოს ებრაულ მოსახლეობაში გაწეული სააგიტაციო საქმიანობა-დევიზით; “არ შეიყვანოთ თქვენი შვილები სკოლებში, არ ასწავლოთ, თორემ ებრაელობა დაიღუპება, სარწმუნოებას აღარავინ იწამებს.”¹⁵ 3) მშობლებისაგან მოსწავლეებისადმი დაშინებითი პროპაგანდისტული მეთოდის გამოყენება, კერძოდ- “ნასწავლი ებრაელი ბავშვები ბოლშევიკები გახდებიან და გადატრიალება რომ მოხდება მაშინ რაღას იზამთ.”¹⁶ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით დადგინდა, ქუთაისის აღმასკომი იძულებული გახდა, ებრაელებ-

ისათვის ცალკე სკოლის გახსნაზე თავი შეეკავებინა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, იმავე სტატიის ავტორი დელეგაციის მოქმედებას გმობდა და ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა: “აუცილებელია ქუთაისის ებრაელთათვის სკოლის გახსნის საკითხი კვლავ დაისვას დღის წესრიგში, დრო აღარ იცდის, ეყოფა ებრაელებს ამდენი ჩამორჩენილობა.”¹⁷

იმის გასარკვევად, თუ ვინ იყვნენ ზემოაღნიშნული დელეგაციის ხელმძღვანელები და რატომ ილაშქრებდნენ ებრაელებისათვის ცალკე სკოლების გახსნის წინააღმდეგ, პირველ რიგში აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ ორ კითხვას: 1) სად ღებულობდა სწავლა-განათლებას ებრაელი ბავშვები; 2) რა ძირითადი მიზნები ამოძრავებდათ დელეგაციის ხელმძღვანელებს. რაც შეეხება პირველ საკითხს, უნდა განვაცხადოთ; საქართველოს ებრაელთა შესახებ დღემდე გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია და საარქივო მასალებითაც დასტურდება, რომ ებრაელი ბავშვები წერა-კითხვას ძირითადად სასულიერო პირების მეშვეობით სწავლობდნენ. ამასთან დაკავშირებით, ქუთაისის ებრაელთა ერთი ნაწილის მიერ საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ განცხადებაში ვკითხულობთ: “ბავშვი იმყოფება...ექსი-შვიდი წლის განმავლობაში უბადრუკ მასწავლებელთა (სასულიერო პირების შვ.) ხელში. სწავლობს მათთან...წერა-კითხვის გარდა...თანამედროვე მეცნიერების დარგებს, როგორცაა: ასტრონომია, მედიცინა, ისტორია, გეოგრაფია, ბუნება და სხვა...რასაკვირველია აქ ადგილი არ აქვს თანამედროვე მეცნიერების განვითარების შესწავლას და აღზრდის სფეროში თანამედროვე პედაგოგიის მიღწევებს...ამგვარი სწავლების შედეგია, რომ მის (ბავშვის -შვ.) მთელ არსებაში რელიგიურ ფანატიზმს ღრმად აქვს გადგმული...ფესვები, რომელიც ღალადებს ებრაელთა ერის თავისებურ იზოლაციას სხვა ერებთან დამოკიდებულებაში.”¹⁸ ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ ებრაელი ბავშვების სწავლა-განათლების მონოპოლიას იმ ეტაპზე, სასულიერო პირები განაგებდნენ და მათთვის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროსაც წარმოადგენდა. ებრაელებისათვის სახელმწიფო ხარჯზე სპეციალური სკოლების გახსნაში, სასულიერო პირები კონკურენციის რეალურ საფრთხეს ხედავდნენ. ეს ფაქტორი აღნიშნული ღონისძიებისადმი მათი დაპირისპირების ერთ-ერთ საფუძველს ქმნიდა. რაც შეეხება მეორე კითხვას, თუ რა მიზნები ამოძრავებდათ დელეგაციის ხელმძღვანელებს, იგი ორ ძირითად პუნქტად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) კულტურის ხაზით განხორციელებული ღონისძიებებისადმი დელეგაციის მიერ ებრაელების გარკვეული ნაწილის დაპირისპირება, ებრაელთა მასისათვის სარწმუნოების შენარჩუნებას და ებრაელი ხალხის “დალუპვისაგან” გადარჩენას ისახავდა

მიზნად; 2) ებრაელი ახალგაზრდების სკოლებისაგან მოწყვეტის ხარჯზე, ებრაელების ძირითად ნაწილზე ზეგავლენისა და “გეტოს” შენარჩუნებას ითვალისწინებდა.

თუკი ყოველივე ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რომ დელეგაციის წევრთა მოთხოვნები, ამ შემთხვევაში ებრაელთა საერთო ინტერესებს უპირისპირდებოდა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისაგან და ქართველი ხალხისაგან ებრაელთა იზოლაციას ითვალისწინებდა. შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსავალი საშუალებების ძიების საქმით იყო დასმული ქუთაისის ებრაელთა ინტელიგენციის მიერ საქართველოს მთავრობისადმი წარდგენილ კოლექტიურ განცხადებაში. მათი მოთხოვნით, ებრაელთა იზოლაციას ბოლო უნდა მოეღებოდა და ქართველ ხალხთან ერთად ფართო ასპარეზზე გამოსვლის შესაძლებლობა მისცემოდა. “ქართველ ებრაელთა ინტელიგენცია, — ვკითხულობთ დოკუმენტში — არასოდეს არ დავეთანხმებით, რომ ჩვენი მოზარდი თაობა დაეტოვოთ სასულიერო სექტის და ხახამების უსაზღვრო გავლენის ქვეშ და ვფიქრობთ, რომ მათ განზრახვებს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს.”¹⁹

კულტურულ—საგანმანათლებლო ხაზით ებრაელთა რიგებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტები, ებრაელთა ინტელიგენციაში ორი ურთიერთ დაპირისპირებული დაჯგუფების არსებობაზე მიუთითებს. ხელისუფლება არჩევანის წინაშე იდგა. უპირატესობა ერთ—ერთი მათგანისადმი უნდა მიეცა და სამოქმედო გეგმაც მათი ინტერესების გათვალისწინებით აეგო. არჩევანი ებრაელთა კულტურულ—საგანმანათლებლო ღონისძიებების მხარდამჭერებზე იქნა გაკეთებული. ასეთმა გადაწყვეტილებამ, რესპუბლიკაში მიმდინარე წერა—კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ღონისძიებებში ებრაელთა მასის აქტიურად ჩართვის შესაძლებლობა შექმნა. აღნიშნული პროცესის თანმიმდევრულად განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი წერა—კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების ყრილობის (1925 წლის 12 დეკემბერი) დადგენილებებმაც შეასრულა. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებში წერა—კითხვის უცოდინარობის (45000—ზე მეტი წერა—კითხვის უცოდინარი) ლიკვიდაციის დასაჩქარებელი ღონისძიებების შემუშავებას და პრაქტიკულად გატარებას ამ დოკუმენტებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ამის უდავო დადასტურებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის 18 ივნისის სხდომის (ოქმი №55) დადგენილება წარმოადგენს. ამ დოკუმენტის მიხედვით, ებრაელებში კულტურული ღონის ამღლების უპირველეს საშუალებად ებრაელთა დასახლებებში სასკოლო ქსელის გაფართოება—სკოლათა რაოდენობის ხუთამდე გაზრდა იყო მიჩნეული. უკიდურეს შემთხვევაში მისი რაოდენობა სამზე ნაკლები არ

უნდა ყოფილიყო. “სკოლების გახსნა უნდა მოხდეს,—კვითხულობით დადგენილებაში —ებრაელთა უფრო მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. ებრაელი მოსახლეობისათვის გახსნილი სკოლები უნდა იყოს ჩვეულებრივი საბჭოთა სკოლების ტიპისა. სწავლება უნდა სწარმოებდეს მოცემული რაიონის ებრაელთათვის გასაგებ ენაზე.”²⁰ აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე, განათლების სახალხო კომისარიატმა ებრაელებისათვის ქუთაისსა და თბილისში სპეციალური შრომის სკოლები გახსნა. ამ ფაქტმა, საქართველოს ებრაელთა ინტელიგენციაში ურთიერთსაპირისპირო მიმდინარეობების გამოვლინებას შეუწყო ხელი. დისკუსიის ძირითად საკითხს, ებრაელი ბავშვებისათვის გახსნილ სკოლებში, ძველი ებრაული ენისა და ებრაელთა ისტორიის სწავლების მიზანშეწონილების გარკვევა წარმოადგენდა. იგი წინა პლანზე ქართველმა ებრაელებმა წამოსწიეს და მისი გადაწყვეტის აუცილებლობა პრინციპულად დააყენეს. როგორც საარქივო მასალებიდან დასტურდება, ძირითადად ორი დაჯგუფება აქტიურობდა: 1) დ.ბააზოვი და მისი მომხრეები კატეგორიულად მოითხოვდნენ: ებრაელებისათვის ცალკე სკოლების გახსნას, ძველი ებრაული ენისა და ებრაელთა ისტორიის სასწავლო პროგრამაში შეტანის აუცილებლობას. ამ პოზიციაზე იდგა ქუთაისის ებრაელთა გარკვეული ნაწილი. მათ მიერ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტისადმი წარდგენილ 60 კაციან ხელმოწერილ განცხადებაში (1926 წელი), საქართველოს ებრაელთა კულტურული დონის ამაღლების ერთადერთ გზად, ძველი ებრაული ენის თანამედროვე მეცნიერულ დონეზე სწავლება იყო დასახელებული.²¹ ანალოგიური სახის განცხადება 87 კაცის ხელმოწერით, ქუთაისის ებრაელთა ახალგაზრდებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინეს. ისინი ხელისუფლებას შეახსენებდნენ, რომ ებრაელი ახალგაზრდები “ლეთის ანაბარად” იზრდებოდნენ, გაურკვეველ სოციალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და პროფესია არ გააჩნდათ. ამ ფონზე, ებრაელებისათვის გახსნილ შრომის სკოლებში ებრაული ენის სწავლების აუცილებლობის საკითხს აყენებდნენ;²² 2) გ.ხანანაშვილი და მისი მომხრეები ებრაელთა ქართველობას “ამტიკივებდნენ” და განსხვავებას მხოლოდ სარწმუნოებაში ხედავდნენ. აქედან გამომდინარე, ებრაელი და ქართველი ბავშვების საერთო სასწავლებლებში ერთად სწავლის დაშვებას მოითხოვდნენ. ამ შეხედულებას, რ.თავდიდიშვილის ხელმძღვანელობით ქუთაისის ებრაელთა ინტელიგენციის გარკვეულმა ნაწილმა დაუჭირა მხარი. მხედველობაში გვაქვს ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარის მ.ორახელაშვილისა და განათლების სახალხო კომისარის დ.კანდელაკის სახელზე 1926 წლის იანვარში შეტანილი ერთობლივი განცხადება. ამ დოკუმენტის მიხედვით, ებრაელი ბავშვებისათვის ცალკე სკოლების გახსნა, ძველი ებრაული ენისა

და ებრაელთა ისტორიის სწავლება მიზანშეუწონლად იყო მიჩნეული. “ჩვენ არასოდეს გავყოფილვართ ქართველი ერისაგან ენით, პოლიტიკით, ეკონომიკით.—წერდნენ ისინი—ჩვენი ჭირი და ლხინი განუყოფელია ქართველი ერისაგან ყოველთვის.”²³ ამ თვალსაზრისს კიდევ უფრო ანვითარებს გაზეთი “კომუნისტი”—ში გამოქვეყნებული მ.ხანანაშვილის წერილი “ერთად ვიყავით, ერთად ვრჩებით (ქართველ ისრაელთათვის ცალკე სკოლის დაარსების შესახებ).” “ჩვენთვის, ქართველი ებრაელებისათვის,— ვკითხულობთ წერილში—საერთო განათლების მხრით განცალკევებული შრომის სკოლების გახსნა საზარალოა და მიუღებელი. ყოველივე ეს მიზნად ისახავს მოხდეს რაც შეიძლება მეტი კულტურულად და პოლიტიკურად განცალკევება და გათიშვა, ამით გაღრმავდეს გაუგებრობა და გადიდდეს უთანხმოება ერთი ენისა და ერთი კუთხის, ერთი მთლიანი პოლიტიკური ორგანიზმის მშრომელ მოსახლეობაში.”²⁴ ასეთი მკვეთრი დაპირისპირება, საკითხის დადებითად გადაწყვეტას შეუძლებელს ხდიდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ თითოეული დაჯგუფებები ებრაული მოსახლეობის მეტი რაოდენობის მიმხრობას ცდილობდა. ამის შესახებ ქუთაისის სამაზრო კომიტეტი, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებდა: “ამ ჯგუფთა ბრძოლა უკანასკნელ ხანებში მწვავე ხასიათს ღებულობს, როგორც ერთი ისე მეორენი იწვევენ კრებებს, ეწვეიან ხალხში აგიტაციას, ცდილობენ მოაწერინონ ხალხს ხელი მათ დეკლარაციაზე თუ პროექტზე, რომ გაგზავნონ შემდეგ მთავრობაში.”²⁵

აღნიშნულ დაჯგუფებათა შორის ურთიერთობის გართულებიდან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი საქმეში ჩაერია. საკითხის შესწავლისა და მისი მოგვარების მიზნით ვ.სტურუას ხელმძღვანელობით საგანგებო კომისია შექმნა. მოგვიანებით, ქუთაისის სამაზრო კომიტეტი საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს სთხოვდა, კომისიის მუშაობის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები ეცნობებინათ მისთვის. სამაზრო კომიტეტისადმი მიეცათ კონკრეტული დირექტივა, რომელი ჯგუფი შეიძლებოდა ყოფილიყო იმ მომენტში მთავრობისათვის დასაყრდენი.²⁶ საარქივო მასალების შესწავლიდან ირკვევა, რომ აღნიშნულმა კომისიამ ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიიღო, ხოლო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის 18 იანვრის სხდომის (ოქმი №55) დადგენილებით, დაჯგუფებათა შორის სადავო საკითხი ღიად იქნა დატოვებული. ამასთან დაკავშირებით იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ: “ებრაული ენის სწავლების საკითხი დარჩეს ღიად, სანამ გაირკვევა თუ რომელ ენაზე მიმდინარეობს სწავლება უკრაინის ებრაულ სკოლებში.”²⁷

ასეთ რთულ სიტუაციაში, საქართველოს ხელისუფლებას საკითხი ინდივიდუალურად უნდა გადაეწყვიტა. პირველი დაჯგუფების მოთხოვნა

დაეკმაყოფილებინა და ებრაული ინტელიგენციის რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე სკოლებში ებრაული ენის (ეფიჭრობთ, უპირატესობა გაცოცხლებულ ბიბლიის ენას “ივრიოს” უნდა მინიჭებოდა, რადგან XIX ს-ის ბოლოდან ევროპის ქვეყნებში ამ ენაზე ებრაული ლიტერატურა სისტემატურად იქმნებოდა.) და ებრაელთა ისტორიის სწავლება შემოეღო. სხვა საკითხია, მოხერხდებოდა თუ არა ძველი ებრაული ენის “ივრითის” მცოდნე პედაგოგებით სკოლების უზრუნველყოფა. ერთი რამ ცხადია, ძველი ებრაულის მცოდნე პედაგოგები საქართველს იმ ეტაპზე არ ჰყავდა. სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება, რომ საქართველოს ებრაელთა უმრავლესობამ ებრაული არ იცოდა, სალაპარაკო ენას ქართული და რუსული წარმოადგენდა. საქართველოს მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოში მაცხოვრებელი 30159 ებრაელიდან, ქართულად 20858 ებრაელი ლაპარაკობდა, ხოლო 9301 ძირითადად რუსულენოვანი იყო.²⁸ აღნიშნულიდან გამომდინარე, ებრაელთა უმრავლესობის სალაპარაკო და სალიტერატურო ენად ქართული ითვლებოდა. ამ ფაქტის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის 18 სექტემბრის დადგენილებით, ებრაელებისათვის გახსნილ სკოლებში ებრაული ენის სწავლება აიკრძალა.²⁹ რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატმა, ზემოაღნიშნულ დადგენილებას მხარი დაუჭირა და საგანგებო განკარგულებით, “ქართველი ებრაელებისათვის” გახსნილ სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე დააწესა. აღნიშნული გარემოება ქონდა მხედველობაში პროფ. გბრეგაძეს, როცა “ქართველი ებრაელებისათვის” ცალკე სკოლების გახსნას მიზანშეუწონლად მიიჩნევდა.³⁰ ეს მოსაზრება, ერთი შეხედვით ანგარიშგასაწევ არგუმენტაციას — “ქართველი ებრაელი” ახალგაზრდობის ქართულის არცოდნასა და ქართულენოვანი სკოლების გახსნის ფაქტს ემყარებოდა. მიუხედავად ამისა, იგი ყურადღების მიღმა ტოვებდა ყველაზე მეტად ანგარიშგასაწევ ფაქტორს, “ქართველი ებრაელების” განსაკუთრებულ რელიგიურობას და ტრადიციის თავისებურებებს. ებრაულ მოსახლეობაზე ამ ორი ფაქტორის განსაკუთრებულ ზემოქმედებაზე საუბარი ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მიერ საქართველოს ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ მოხსენებაში. ებრაელებისათვის ცალკე სკოლების გახსნის აუცილებლობა შემდეგნაირადაა დასაბუთებული: “ანგარიშს ვუწვევდით ებრაულ რელიგიასა და ტრადიცია-ჩვეულებებს, რომლის გამო, ისინი ნაკლებად გზავნიდნენ თავიანთ შვილებს სხვა სასწავლებლებში.”³¹ ასეთივე შეხედულებაა გამოთქმული გაზეთი “ახალგაზრდა კომუნისტ”-ში დაბეჭდილ განადარეიშვილის წერილში “მეტი ყურადღება ებრაელ ახალგაზრდობას.” “პირველ ყოვლისა—წერს ავტორი—ყურადღება უნდა მიექცეს ებრაელთა

ცალკე სკოლების დაარსებას, რადგან სხვა ეროვნებათა სკოლებში ისინი ნაკლებად გზავნიან ბავშვებს.”³² ამის დამადასტურებლად სენაკის მაზრის სოფლების: ბანძისა და სუჯუნის ებრაელთა მდგომარეობის შესახებ დაწერილ მოხსენებებში მოტანილი ფაქტები გამოდგება. ჩამოთვლილი სოფლების ებრაელთა 80–85 % წერა-კითხვის უცოდინარი იყო. იმავე სოფლების შეიღწილიან სასწავლებელში 673 მოსწავლიდან, მხოლოდ 60 ებრაელი ბავშვი სწავლობდა. სოფელ ბანძაში შექმნილ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში 27 მსმენელიდან ერთი ებრაელი ირიცხებოდა.³³ ამ ფაქტების გათვალისწინებიდან გამომდინარე: ა) ებრაელი ახალგაზრდებისათვის ცალკე სკოლების გაუხსნელობა, ებრაელების ხელოვნურად პირვანდელ მდგომარეობაში დატოვებას ნიშნავდა. ბ) რესპუბლიკაში სამთავრობო დონეზე დაწყებული წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ღონისძიებაში, ებრაელთა აქტიური ჩართვა შეუძლებელი გახდებოდა, მითუმეტეს, სოფლის ებრაელთა ბავშვები მშობლებს საერთო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ შეჰყავდათ. თუკი ყოველივე აღნიშნულს გავითვალისწინებთ, ებრაელებისათვის ცალკე სკოლების გახსნა აუცილებლობას წარმოადგენდა.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ებრაელთა საკითხის შესახებ მიმდინარე ზემოაღნიშნული დისკუსია, სსრ კავშირში შექმნილ რთულ პოლიტიკურ ფონზე— ქვეყანაში გამოცხადებული იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. მხედველობაში სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ტროცკისტული ოპოზიციის, ხოლო შემდეგ “შემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები გვაქვს. როგორც ცნობილია, 1927 წლის ნოემბერში, ტროცკი და ზინოვიევი პარტიიდან გარიცხეს, ხოლო 1929 წელს იგივე ბედი ბუხარინმა, რიკოვმა და ტომსკიმ გაიზიარეს. ოპოზიციის დამარცხებიდან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლების მმართველი წრეები, ტროცკიზმისა და “შემარჯვენე გადახრის” მომხრეებს ყველგან ეძებდნენ. ხშირ შემთხვევაში მის მხარდამჭერთა სახეებს ხელოვნურად ქმნიდნენ. აღნიშნულმა გარემოებამ, ხელისუფლებას გარკვეული “საფუძველი” მისცა, რომ სახელმწიფოს იდეოლოგიური “მანქანა” დ.ბააზოვისა და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ მიემართა. პირველი ასეთი ნაბიჯი, დ.ბააზოვისადმი ებრაული მოსახლეობის დაპირისპირებისათვის ნიადაგის მომზადების მცდელობაში გამოვლინდა.

ამ საქმეში გარკვეულწილად, ვარძიელის სახელობის ბიბლიოთეკასთან არსებული “ბიბსაბჭო” იქნა გამოყენებული. მხედველობაში გვაქვს, მის მიერ 1927 წლის ნოემბერში გამოცემული გაზეთი— “პირველი სხივი,” რომლის სტატიებს, მთავრობის შეკვეთის დაღი აზის და დ.ბააზოვის წინააღმდეგაა მიმართული. საზოგადოებაში შესაბამისი ფონის შემზადებ-

ის შემდეგ, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნული უმცირესობათა ქვეგანყოფილების 1927 წლის 20 ნოემბერის სხდომაზე, დ.ბააზოვი და მისი მომხრეები წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მიმდინარეობად და “შემარჯვენე გადახრის” მხარდამჭერებად ოფიციალურად გამოაცხადეს. რაც შეეხება მათ შეხედულებებს, იგი “ბააზოვიზმის” სახელწოდებით “მონათლეს.” შეკითხვაზე; არსებობდა თუ არა “ბააზოვიზმი,” ვ.პიტოვეი პასუხობდა: “ბააზოვიზმი არსებობს არა საშიშ ფორმებში, ხოლო ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასთან ბრძოლა არ არის საჭირო.”³⁴ ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებოდ იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის სხდომამ და შესაბამისი დადგენილებაც მიიღო. “იმის გამო, რომ ქართველებრაელთა შორის, - ვკითხულობთ დოკუმენტში - შეიმჩნევა წვრილბურჟუაზიული გამოვლინებები, წინადადება მიეცეს კომიტეტის ფრაქციას თავის მუშაობაში აილოს კლასობრივი ხაზი, გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადოს შოვინისტურ განწყობილებას ებრაელთა მასებს შორის.”³⁵

პარტიულ და სამთავრობო დოკუმენტებში დასაბუთებული არ არის, თუ რატომ იყო დ.ბააზოვის მომხრეები “წვრილბურჟუაზიული,” “შოვინისტური” და “შემარჯვენე გადახრის” მიმდინარეობის წარმომადგენლები. ქვეყანაში შექმნილი საერთო პოლიტიკური ფონის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ოპონენტის წვრილბურჟუაზიული და შოვინისტის, ან “შემარჯვენე გადახრის” მიმდევარის ეპიტეტით “შემკობა,” მარქსიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგედ გამოცხადებას ნიშნავდა. ამ მხრივ ნიადაგი “ბააზოვისტების” მიმართაც მზადდებოდა. პირველი ასეთი ნაბიჯი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მხრიდან 1928 წელს გადაიდგა. ამ შემთხვევაში, ებრაელთა საკითხთან მიმართებაში დ.ბააზოვთან ყოველგვარი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, ებრაელი კომუნისტებისადმი საგანგებო მითითება გვაქვს მხედველობაში.³⁶ ფაქტობრივად, დ.ბააზოვი და მისი მომხრეები არასაიმედო ელემენტებად გამოცხადდნენ. მათ წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების გამოყენება აუცილებლობად იქნა მიჩნეული. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მიერ 1929 წელს შედგენილ დოკუმენტში “პრაქტიკული წინადადებები სრულიად საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის მუშაობის შესახებ” ვკითხულობთ: “სპეციფიურობისა და ქართველ ებრაელთა შორის წვრილბურჟუაზიული ვითარების არსებობის გამო, კომიტეტის ფრაქციამ გამოკვეთილი კლასობრივი ხაზი უნდა აილოს მუშაობაში და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს შემარჯვენე გადახრის ყოველ გამოვლენას. კომიტეტის ფრაქციამ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოოს ებრაელთა შორის შოვინისტური იდეების მქონე პირებთან.”³⁷ რესპუბლიკის პარტი-

ული ორგანიზაციის მიერ აღებულია “კლასობრივი ბრძოლის” ასეთმა კურსმა, სხვებთან ერთად ბევრი უდანამაულო ებრაელი შეიწირა.

ეთნიკურ უმცირესობათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დროულად გადაწყვეტის მიზანშეწონილობაზე, საქართველოს კომპარტიის VI ყრილობამ (1929 წლის ივლისი) საგანგებოდ იმსჯელა და შესაბამისი რეზოლუციაც მიიღო. “კულტურული მშენებლობის დარგში,—კითხულობთ დოკუმენტში—ყრილობა საჭიროდ სთვლის, რომ ყველა პარტიულმა...და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ დიდი ყურადღება მიაქციოს წერა-კითხვის უცოდინარობის სამი წლის განმავლობაში ლიკვიდაციისა და საყოველთაო დაწყებითი სავალდებულო სწავლების...გატარების დაჩქარების საკითხებს.”³⁸ ამ დოკუმენტის საფუძველზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ეთნიკურ უმცირესობათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ საგანგებოდ იმსჯელა და შესაბამისი წინადადებები შეიმუშავა. ამჯერად ყურადღებას ერთ მათგანზე—“პრაქტიკული წინადადებები სრულიად საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის მუშაობის შესახებ”—გავამახვილებთ. ამ დოკუმენტის მერვე პუნქტში ვკითხულობთ: “კომიტეტის ფრაქციამ გააძლიეროს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, განსაკუთრებით ქალთა და ახალგაზრდებს შორის.”³⁹ ასეთი კატეგორიული მითითება, რესპუბლიკაში შექმნილ სინამდვილეს ემყარებოდა. დასახული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საზოგადოების “წერა-კითხვას” აქტიურ მუშაობაზე დიდად იყო დამოკიდებული. ამის შესახებ, “წერა-კითხვას” საზოგადოების პირველ ყრილობაზე (1929 წლის ოქტომბერი) ებრაელთა წარმომადგენელი სეფიაშვილი აცხადებდა: “ებრაელების მეტი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარა და...საზოგადოება “წერა-კითხვამ” ებრაელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის საქმეს უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს.”⁴⁰

ზემოთ მითითებული დადგენილების შესაბამისად, საზოგადოება “წერა-კითხვას” აქტიურმა საქმიანობამ და გასატარებელი ღონისძიებებისადმი სათანადო კონტროლის დაწესებამ დადებითი შედეგი გამოიღო. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტებში ებრაელი ბავშვების კონტიგენტის მატების ფაქტი გვაქვს მხედველობაში. 1933 წლის მონაცემებით, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კურსები 6157 ებრაელმა გაიარა. რაც შეეხება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ებრაელ სტუდენტთა რაოდენობას—223 კაცს მიაღწია და ეთნიკურ უმცირესობათა 4,5 % შეადგინა. საქართველოს მთავრობის მიერ ყველა მოქალაქისადმი შეიღწლიანი სწავლების სავალდებულოდ შემოღებასთან

დაკავშირებით კანონის მიღება (1931 წელი), განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა. იგი შეიდწლიანი სასწავლებლის დამთავრებას, საქართველს ყველა მოქალაქისათვის აუცილებლობად აცხადებდა. მისი მნიშვნელობა იმაშიაც მდგომარეობს, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით ებრაელთა ჩამორჩენილობის დაძლევაზე მას ზემოქმედების მოხდენა შეეძლო. მითუმეტეს, ამ სფეროში კურირების პასუხისმგებლობას “ღარებკომი” კისრულობდა. მისივე ინიციატივით, სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში 82 ებრაელი ახალგაზრდა გაიგზავნა, რომლებსაც საქ.ღარებკომმა თავისი ბიუჯეტიდან სტიპენდიები დაუნიშნა. 1933 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, საქ.ღარებკომს სტიპენდიების სახით 46560 მანეთი ჰქონდა გაცემული.⁴¹

აღნიშნულმა ღონისძიებებმა, უმაღლესი და ტექნიკური განათლებისადმი ებრაელთა დაინტერესებას მაქსიმალურად შეუწყო ხელი. სწავლისადმი ტენდენცია ებრაელ ახალგაზრდებში აშკარად გამოიკვეთა. წახალისების მიზნით მათდამი ფულადი დახმარების აუცილებლობა სათანადო ფორმის შემოღებასაც საჭიროებდა. ებრაელი ახალგაზრდების საერთო სოციალური ფონის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ამ საკითხზე საგანგებოდ იმსჯელა და 1935 წლის 13 ოქტომბერს შესაბამისი დადგენილება მიიღო. დოკუმენტი განათლების სახალხო კომისარიატს ავალებდა; უმაღლესი და ტექნიკური სასწავლებლების წარჩინებული ებრაელი სტუდენტებისათვის რვა გაძლიერებული სტიპენდია დაენიშნა. ხოლო უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში შემსვლელი ებრაელი კოლმეურნე წევრების შეილები საქ.მეშის რეკომენდაციით უპრობლემოთ მიეღოთ.⁴² 1936 წლის 31 მარტის დადგენილება, ებრაელთა რიგებში წერა-კითხვის უცოდინრობის სრულ ლიკვიდაციას ითვალისწინებდა. დასახული ამოცანის განხორციელებას ემსახურებოდა საქალაქო, სარაიონო და სასოფლო საბჭოებთან ებრაელებისათვის დამატებით შექმნილი წერა-კითხვის უცოდინრობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სექციები.⁴³

ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტები, ებრაელთა კულტურული ღონის ამაღლების, რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებში ებრაული მოსახლეობის აქტიურად ჩართვისაკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ამ ღონისძიებებმა, რესპუბლიკაში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია საგრძნობლად დააჩქარა. 1936 წლის მონაცემებით, რესპუბლიკის ეთნიკურ უმცირესობებში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 36,7 % შეადგენდა, 1939 წლისათვის 68,1 % მიაღწია. რაც შეეხება შვიდი წლისა და უფროსი ასაკის ახალგაზრდებში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის ზრდის დინამიკას, იგი 1926 წელთან შედარებით

(47,5 %), 1939 წლისათვის 82,8 %-ით გაიზარდა.⁴⁴ ეს ციფრობრივი მონაცემები, რაცარუნდა გაყალბებული იყოს, საქართველოში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობებში მიმდინარე კულტურული ძვრების დადასტურებას წარმოადგენს.

ამრიგად, რესპუბლიკის ეთნიკურ უმცირესობებში, განსაკუთრებით საქართველოს ებრაელებში გატარებული ზემოაღნიშნული ღონისძიებები, კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევის ეფექტური გზა იყო. საარქივო მასალებით დადასტურებულია, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო ხაზით რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებში, ებრაელთა აქტიურ მონაწილეობაზე სტიმულატორის როლს მათდამი ქართველი ერის თანადგომა ასრულებდა.

საქართველოს ებრაელებში კულტურის ხაზით გატარებული ღონისძიებების შესახებ, სრულ წარმოდგენას რესპუბლიკის სახალხო კომისარი-ატთან შექმნილი ეროვნული უმცირესობათა საბჭოს (1926 წლის მარტი) მუშაობის ამსახველი მასალები იძლევა. ამ ორგანოს მიერ შემუშავებული წინადადებები და რეკომენდაციები ებრაელთა შესახებ მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებების საფუძველი გახდა. ამის დადასტურებას 1926 წლის 18 ივნისის დადგენილება წარმოადგენს. დოკუმენტი ითვალისწინებდა: ებრაელებით დასახლებულ რაიონებსა და სოფლებში სამკითხველოების, ებრაელთა უბნებში მოძრავი ბიბლიოთეკების, ქოხსამკითხველოების და წერა-კითხვის შემსწავლელი წრეების გახსნას, ქალაქად და სოფლად ებრაელთა რიგებში პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის გაეძლიერებას.⁴⁵

ებრაელთა შორის კულტურული მუშაობის მიმდინარეობის საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებოდ იმსჯელა (1926 წლის 8 ნოემბერი) და ამ სფეროში გაწეული საქმიანობა არაღამაკმაყოფილებლად სცნო. წინა დადგენილებისაგან განსხვავებით, ახალ დოკუმენტში მთელი სიმკაცრით იყო დასმული საკითხი, ებრაელთა რაიონებსა და უბნებში ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაუყოვნებლივი გახსნის შესახებ.⁴⁶ აღნიშნული დოკუმენტის მკაცრი ტონის შედეგს წარმოადგენდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნა თბილისში (1926 წლის 15 დეკემბერი), ქუთაისში (1927 წელი) და ახალციხეში (1928 წელი). ამ ფაქტებთან დაკავშირებით, საგანგებოდ დაწერილ წერილში “მშრომელი ებრაელების ქუჩის დღესასწაული” გბააზოვი ხაზგასმით მიუთითებდა: “ბიბლიოთეკა-სამკითხველოები ახალგაზრდობას მოსწყვეტს ქუჩებსა და ტრაქტირებს, დაიხლოვებს მას თავისთან. უფრო მძლავრად გაავრცელებს თანამედროვეობის ელემენტარულ მოთხოვნილებებს და მრავალ ახალგაზრდას დაიხსნის აუცილებელ გადაგვარებისა და კატასტროფისა-

გან. ამის სტიმულები უკვე მოჩანს და ჩვენ სრული შეგნებით გვწამს, რომ სამკითხველო შეასრულებს თავის დანიშნულებას.”⁴⁷

გამართლა თუ არა ბიბლიოთეკა—სამკითხველოებმა ებრაელთა ინტელიგენციის იმედები, ამის საილუსტრაციოდ ებრაელთა მოსახლეობაში მათ მიერ კულტურულ—საგანმანათლებლო ხაზით გატარებული ღონისძიებები გამოდგება. ნიმუშისათვის თბილისის ი.ვარძიელის სახელობის ბიბლიოთეკა—სამკითხველოს მიერ გაწეულ საქმიანობას შევხებით. 1927 წლის 21 იანვარს ბიბლიოთეკასთან შექმნილმა საბჭომ ჩამორჩენილი ებრაელი ახალგაზრდების შეკავშირება და კულტსაგანმანათლებლო წრეებში მათი გაერთიანება დაისახა მიზნად. ამ მიმართულებით, ბიბსაბჭოს მუშაობის გეგმა, კულტურის მუშაკთა 1927 წლის იანვრის და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების შემსწავლელი ბიუროს (1927 წლის 20 ნოემბერი) თათბირებმა საგანგებოდ განიხილა და სათანადო შესწორებების შეტანით დაამტკიცა.⁴⁸ ბიბლიოთეკის გამგის მ.დანილოვის მოხსენებიდან ირკვევა, რომ იმ ეტაპზე ბიბლიოთეკასთან შემდეგი წრეები იყო შექმნილი: დრამწრე, პოლიტწრე, რადიო, სპორტის, ჭადრაკის, ლიტერატურული, მუსიკალური და ა.შ.⁴⁹ 1927 წლის 30 ნოემბრიდან, ბიბსაბჭომ ორკვირული კედლის გაზეთი “ოქტომბრის სხივი” გამოუშვა. “გაზეთის მიზანია,— ეკითხულობთ მოწინავე წერილში,—კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილ ერს გაუწიოს დახმარება... ყველდღიურ კულტურულ ცხოვრებაში... დაბრკოლებების დაძლევაში და ეკონომიური საკითხების წინ წაწევაში.”⁵⁰ სტატიის ავტორი ებრაელებს მოუწოდებდა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ გაზეთის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში.

კულტურულ—საგანმანათლებლო საქმიანობისადმი ებრაელი ახალგაზრდობის დამოკიდებულებას კარგად წარმოაჩენს გაზეთი “ახალგაზრდა კომუნისტში” დაბეჭდილი ი.ელიოზოვის სტატია “ტფილისის ებრაელთა ახალგაზრდობაში.” იგი ეხება ებრაელთა უბნებში გახსნილ კულტურულ დაწესებულებებს და ებრაელი ახალგაზრდების მასში აქტიური მონაწილეობის ფაქტებზე მიუთითებს. განსაკუთრებულ ყურადღებას ი.ვარძიელის სახელობის ბიბლიოთეკა—სამკითხველოსთან არსებული წრეების მუშაობას უთმობს, რომელთაგან დრამატული წრის საქმიანობას გამოყოფს. მისი მონაცემებით დრამწრემ კულტურულ—საგანმანათლებლო ხაზით ყველაზე მეტი სამუშაო ჩაატარა. სისტემატურად დგამდა საღამო წარმოდგენებს, რომლის შემოსავალს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრებას, მუსიკალური, ჭადრაკის და ლიტერატურული წრეების მუშაობას ახმარდა. საარქივო მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნულ წრეებს ბინის უქონლობის გამო რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა და მათი წარმატება ებრაელი ახალგაზრდების ენთუზიაზმზე იყო დამყარებული. აუცი-

ლებლობა მათთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ეს საკითხი საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან არსებული აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. 1927 წლის 19 იანვრის დადგენილების მეოთხე და მეხუთე პარაგრაფები პრობლემის დროულად მოგვარების მიზნით, შესაბამის ორგანიზაციებს კონკრეტულ დავალებას აძლევდა. “წინადადება მიეცეს,—გკითხულობთ დოკუმენტში—თბილისის აღმასკომის ფრაქციას ებრაელთა შორის კულტურული მუშაობისათვის გამოყოს შესაფერისი შენობა შეღავათიან ფასებში. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატსა და სხვა შესაბამის ორგანოებს გამოყოს თბილისის, ცხინვალის, სურამის და ა.შ. ებრაელთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის ფონდის გაძლიერების მიზნით 3000 მანეთი.” მართალია, ეს თანხა ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ხაზით არსებული დაბრკოლებების დაძლევის საქმეს დიდად ვერ წასწევდა წინ, მაგრამ, თვით ფაქტი, ებრაელებისადმი ყურადღების გამოვლინების დადასტურებას წარმოადგენდა. გადაჭარბებული არ იქნება თუკი აღვნიშნავთ, რომ ებრაელთა მიმართ გატარებული ნებისმიერი ღონისძიება, ებრაელთა ყურადღების მიღმა და შეუფასებლობის გარეშე არასოდეს დარჩენილა. ამის ერთ-ერთ ნიმუშად ებრაელთა 1927 წლის 5 ნოემბრის მიტინგის მასალები გამოდგება. მიღებულ დოკუმენტში, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროში ებრაელთა მიღწევები, საქართველოში მაცხოვრებელ ეთნიკურ ჯგუფებთან მათი უფლებრივი გათანაბრება და განვითარების თავისუფალი პირობების შექმნაა დადასტურებული.

ერთი იმ მნიშვნელოვან საკითხთაგანი, რომელიც საქართველოს ებრაელებში დადებითად გადაწყდა, ქალის მამაკაცთან სამართლებრივად გათანასწორება იყო. თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ამ მხრივ ებრაელი ქალები, ამასთან დაკავშირებით მკვლევარი ა.ციციანიშვილი წერდა: “ძველ ებრაულ ოჯახში ქალი მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ და კულტურულ საქმიანობას. მთელი მისი საქმიანობა ბავშვის აღზრდითა და ოჯახის მოვლით ამოიწურებოდა. ქალი ყოველგვარ უფლებას იყო მოკლებული. ოჯახშიც მძიმე პირობები ჰქონდა შექმნილი, მთლიანად დამოკიდებული იყო ქმრის ნება—სურვილზე.”⁵¹ ამ სფეროში არსებული სიტუაციის შეცვლისა და ებრაელ ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, მნიშვნელოვანი ღონისძიებები სამთავრობო დონეზე იქნა გატარებული. პირველ ქმედით ნაბიჯს, ებრაელთა უბანში 1924 წელს შექმნილი ქალთა პირველი სადელეგატო საკრებულო წარმოადგენდა. ამ ორგანოს 1926–1928 წლებში როზა თავდიდიშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც იმავე წლებში ქუთაისის სამაზრო-საქალაქო

საბჭოს დეპუტატადაც იყო არჩეული. ებრაელ ქალთა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოყვანისა და დასაქმების მნიშვნელობის შესახებ საინტერესოდ მოგვითხრობს იმ პერიოდის პრესაში გამოქვეყნებული მასალები, რომელთაგან გამოვყოფთ იელიოზოვის სტატიას “ებრაელ ქალთა შორის მუშაობა.”⁵² მასში ჩამოთვლილი და გაანალიზებულია იმ ღონისძიებათა მნიშვნელობა, რომელმაც კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში ებრაელ ქალთა დასაქმებას შეუწყო ხელი. ავტორი გამოყოფს ი.ვარძიელის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთან არსებული ებრაელ ქალთა ორგანიზაციის საქმიანობას და მალალ შეფასებას აძლევს. ეს ფაქტი, ებრაელთა უბნებში გახსნილი ბიბლიოთეკა-სამკითხველოების, მასთან არსებული წრეებისა და ორგანიზაციების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ხაზით აღებული კურსი ებრაულ ახალგაზრდობაზე აკეთებდა ძირითადად აქცენტირებას. ამ მიმართულებით საკითხის გადაწყვეტა სამწუხაროდ ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციებს მიენდო. თუ გავითვალისწინებთ ებრაულ ახალგაზრდობში შექმნილ ვითარებას, მის განსაკუთრებულ რელიგიურობას, გასაგები გახდება თუ რამდენად დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული არაებრაელი ახალგაზრდების მუშაობა ამ სფეროში. შექმნილი ბარიერის დაძლევა ითვალისწინებდა საქართველოს კომკავშირის ცეკას გადაწყვეტილება, ებრაელთა უბნებში კომკავშირული უჯრედების დაარსების შესახებ. პირველი კომკავშირული უჯრედები შეიქმნა ქუთაისში (1927 წელი), თბილისში (1928 წელი), სენაკის მაზრაში (1928 წელი). თუ რა კონკრეტული ფუნქციები ეკისრებოდა აღნიშნულ უჯრედებს, ამის შესახებ საინტერესო მასალები გამოაქვეყნა გაზეთმა “ახალგაზრდა კომუნისტმა.” ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს ი.სეფიაშვილის,⁵³ ვ.გუგუშვილის⁵⁴ და ვ.გოგუაძის⁵⁵ სტატიები იქცევს. მაგალითად, ვ.გოგუაძემ სტატიაში “მეტი ყურადღება ებრაელ ახალგაზრდობას.” კატეგორიულად დააყენა საკითხი, ებრაელი ახალგაზრდების კომკავშირულ ორგანიზაციებში გაერთიანებისა და კომკავშირის მიერ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გარდაქმნის შესახებ. “ჩვენ უნდა ვაწარმოოთ განსაკუთრებული კულტურულ-მასობრივი მუშაობა ებრაელ ახალგაზრდობაში, -წერდა ვ.გოგუაძე,- და დავრამოთ ისინი საზოგადოებრივი მუშაობის გარშემო. კომკავშირის უჯრედებმა სისტემატურად უნდა მოიწვიონ ებრაელი ახალგაზრდობის გაერთიანებული კრებები და წაიკითხონ მოხსენებები, რომლებიც გავლენას იქონიებს მათ ყოფა-ცხოვრებაზე და საქმიანობაზე. კომკავშირს შეუძლია ებრაელი ახალგაზრდები...ჩააბას სხვადასხვა წარმოება -დაწესებულებებში, დააკავშიროს ის სასოფლო მეურნეობასთან და

ამით ასწიოს მისი ეკონომიური და კულტურული ღონე.”⁵⁶ აქედან გამომდინარე ნათელია, რომ კომკავშირული ორგანიზაციების ნომერ პირველ ამოცანას ახალგაზრდობის პოლიტიზირება, საბჭოთა იდეოლოგიისადმი ფუნატიკური ერთგულებისა და მისადმი ბრმა მორჩილების რწმენის დანერგვა წარმოადგენდა. დასახული ამოცანის შესრულების აუცილებელ პირობად, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ებრაელ ახალგაზრდობაში ანტირელიგიური მუშაობის გაძლიერება მიიჩნიეს. საარქივო მასალებით დასტურდება, რომ ამ მიმართულებით გატარებული ყოველი ღონისძიება შეცდომებისა და ძალადობის მეთოდებზე იყო აგებული. სამწუხაროდ, მათ სწამდათ, რომ რელიგიური ზემოქმედებისაგან ებრაელი ახალგაზრდობის “განთავისუფლება” არაპუბლიკური მეთოდების გამოყენებით იქნებოდა შესაძლებელი. დასახული მიზნის მიღწევის შემთხვევაში, მათივე აზრით, ებრაელი ახალგაზრდები მიმდინარე პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერნი გახდებოდნენ. მკვლევარ ა.ციციაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის ებრაელი ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდა, საქართველოს კომპარტიისა და კომკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო.⁵⁷

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მიერ ებრაელთა საკითხის გადასაწყვეტად გამოყენებული ფორმებისა და საშუალებების კრიტიკას შეიცავს გაზეთ “ახალგაზრდა კომუნისტში” გამოქვეყნებული გ.ნადარეიშვილის წერილი “მეტი ყურადღება ებრაელ ახალგაზრდობას.” ავტორის აზრით, ქვეყნის კომკავშირული ორგანიზაციის ლიდერებს, რამდენადაც ებრაელ ახალგაზრდობში მუშაობის წინასწარ შემუშავებული გეგმა არ გააჩნდათ, საკითხის გადაწყვეტასთან მიმართებაში არასწორი მიდგომა გამოიჩინეს. მისი მტკიცებით, ეს ფაქტორი კომკავშირისადმი ებრაელი ახალგაზრდობის ზურგშექცევის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. რაც შეეხება თვით კომკავშირულ ორგანიზაციებს, ებრაელ ახალგაზრდობასთან მუშაობაზე ხელი აიღო, “როგორც გამოუსწორებელ წერილ ვაჭრებზე, რომლიდანაც საზოგადოებრივი მუშაკის აღზრდა თითქოს არ შეიძლებოდა.”⁵⁸ სტატიის ავტორი კატეგორიულად აყენებდა საკითხს; რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის მიერ ებრაელი ახალგაზრდობთან მიმართებაში წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორებისა და მათთან კულტურული მუშაობის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ.⁵⁹ რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალებისა და საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების შედეგად, ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საკითხების შემსწავლელმა განყოფილებამ ებრაელთა შორის ანტირელიგიური მუშაობის საკითხი საგანგებოდ განიხილა (1929 წელი) და გაწეული საქმიანობა

უარყოფითად შეაფასა. მიღებული დადგენილებით, “რელიგიურ გადმონაშთებთან” ბრძოლა და ებრაელ ახალგაზრდებში კულტურულ—საგანმანათლებლო მუშაობის გაფართოება ნომერ პირველ ამოცანად იქნა დასახული.⁶⁰ იმავე პრობლემატიკაზე იმსჯელა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 25 მარტის სხდომამ და შესაბამისი დადგენილებაც მიიღო. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, დოკუმენტის მეთერთმეტე პარაგრაფში ვკითხულობთ: “განათლების სახალხო კომისარიატმა მიიღოს ზომები ღარიბ ებრაელთა შორის კულტურულ—საგანმანათლებლო მუშაობის მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებლად: ა) სკოლებმა მაქსიმალურად აითვისონ სასკოლო ასაკის ებრაელი ბავშვები; ბ) ებრაელთა კომპაქტური დასახლების ადგილებში შეიქმნას ქოხ—სამკითხველოები; გ) გაიზარდოს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ებრაელებისათვის სტიპენდიების რაოდენობა.”⁶¹ ანალოგიური სახის დადგენილება მიიღო საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა (1933 წლის 14 აპრილი). მთელ რიგ საკითხებთან ერთად, ძირითადი აქცენტი ებრაულ კოლმეურნეობებში ებრაელთა შორის წერა—კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაციაზე, სკოლების და ქოხ—სამკითხველოების გახსნის აუცილებლობაზე იყო გაკეთებული.⁶²

ებრაელთა რიგებში კულტურულ—საგანმანათლებლო ღონისძიებების თვალსაჩინო მაგალითს ებრაელთა დრამატული დასის “კადიმას” საქმიანობა წარმოადგენს. მის ჩამოყალიბებასა და შემდგომ სრულყოფას განსაკუთრებული ამაგი გერცელ ბააზოვმა დასდო. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, “კადიმას” თემატიკა ებრაელთა წარსული ცხოვრების ასახვით შემოიფარგლებოდა. კულტურულ—საგანმანათლებლო ხაზით გაწეული საქმიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა 1932 წელს დაარსებული “კულტბაზა” და ებრაელთა თვითმომქმედი თეატრი. “კულტბაზა,” რომელიც 150 კაცს აერთიანებდა, თბილისსა და რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ფართო მუშაობას ეწეოდა. მისი ინიციატივით შეიქმნა 75 კაციანი ლიტერატურული აქტივი, 30 კაციანი დრამატული სტუდია, ლიტერატურული, მუსიკალური კვარტეტი და ა.შ.⁶³

ებრაელთა თავისუფალი განვითარების ატმოსფეროს შექმნამ კულტურის სფეროში მათი საქმიანობის გამოცოცხლებას შეუწყო ხელი. იგი ებრაელთა ენთუზიაზმთან ერთად, ფინანსური დახმარებითა და ქართველი ხალხის თანადგომით იყო განპირობებული. საარქივო მასალებით დასტურდება, რომ ლალიაშის სოფლის კლუბის კეთილმოწყობისათვის 1932 წელს მთავრობამ 8000 მანეთი გამოყო, ხოლო 1935 წელს, ებრაელთა კულტურული, სოციალურ—ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად 585000 მანეთი.⁶⁴

ებრაელთა დახმარების მიზნით გამოყოფილი თანხების ძირითადი ნაწილი ებრაელთა კულტურული დაწესებულებების შექმნას ხმარდებოდა. ამ მხრივ ყურადღებას თბილისში ებრაელთა კულტურის სახლის გახსნის (1933 წელი) ფაქტი იქცევს. როგორც ირკვევა, კულტურის სახლთან შექმნილი იყო: მუსიკალური, ლიტერატურის სექციები და 40 კაციანი მულმივმოძმედი სახელმწიფო დრამატული დასი.⁶⁵ კულტურის სახლი მაქსიმალურად ზრუნავდა ებრაელებით დასახლებულ რაიონებსა და სოფლებში არსებული კლუბების გაუმჯობესებაზე.

საქართველოს ებრაელებში კულტურის სფეროში გატარებული ღონისძიებებიდან, ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შექმნა (1933 წლის 23 ნოემბერი) იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ეს ფაქტი იბითაა საყურადღებო, რომ მუზეუმი, რომლის შესახებაც დაწვრილებით მომდევნო თავში გვექნება საუბარი, ებრაელებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა და ებრაელთა ისტორიის შესწავლის ძირითადი დასაყრდენი კერა გახდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება შემდეგი დასკვნები გავაკეთოდ: 1) საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო, კულტურულ-საგანმანათლებლო ხაზით ებრაელთა მიმართ სათანადო ღონისძიებების დაგვიანება, ებრაელთა ინტელიგენციამ უყურადღებობად აღიქვა და შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთ საშუალებად ებრაელთა კულტურული საზოგადოების დაარსება აუცილებლობად აღიარა. ამ მოთხოვნის პრაქტიკული რეალიზაცია და მისადმი ხელშეწყობა, საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების გლობალურ წრედში ებრაული მოსახლეობის აქტიურ ჩართვას შეუწყობდა ხელს. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების მხრიდან ეს საკითხი ოფიციალურად დღის წესრიგში არც კი დასმულა; 2) ებრაელთა მდგომარეობის საფუძვლიანად შესწავლისა და მათი ჩამორჩენის დაძლევის მიზნით განათლების სახალხო კომისარიატთან შექმნილმა ებრაელთა კულტურული მდგომარეობის შემსწავლელმა კომისიამ, საქ.მემსმა, საქ.ღარებკომმა და საზოგადოება “წერა-კითხვამ,” სასულიერო პირებისა და ებრაელთა ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ხელოვნურად შექმნილ სიძნელებებში გარკვევა და ებრაელთა კულტურული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქმიანი პრაქტიკული წინადადებების შემუშავება შეძლეს. ამ ფაქტორმა, ებრაელებისათვის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტებისა და ცალკე სკოლების შესაქმნელად მყარი ნიადაგი მოამზადა. ამ ღონისძიებამ ებრაელ ახალგაზრდებს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სწავლის გაგრძელების

რეალური შესაძლებლობა მისცა; 3) კულტურულ— საგანმანათლებლო ხაზით ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოების მიერ შემუშავებული წინადადებები და რეკომენდაციები, ებრაელებში მუშაობის ვრცელ პროგრამას დაედო საფუძვლად. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ პროგრამის მიხედვით, ებრაელებით დასახლებულ რაიონებსა და სოფლებში შექმნილი ბიბლიოთეკა— სამკითხველოები, “კულტაზა,” ებრაელთა თვითმომქმედი თეატრი, ებრაელთა კულტურის სახლი, ებრაელთა ისტორიულ—ეთნოგრაფიული მუზეუმი და ა.შ. მათი საქმიანობა, ებრაელთა ჩამორჩენის დასაძლევად და კულტურულად განვითარების პროცესის დააჩქარებაზე განსაკუთრებულ როლს ასრულებდა.

თავი III

ებრაელთა მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის სფეროში

30—იან წლებში საქართველოში გატარებულმა აგრარულმა კურსმა, თავისი უარყოფითი შედეგებით, მეურნეობის დარგების განვითარებაზე შემაფერხებელი როლი შეასრულა. მხედველობაში ორი გარემოება გვაქვს: 1) ნებაყოფლობის იგნორირებით კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლის მძიმე პროცესი, 2) კულაკობის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის გამოცხადება, მისი როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლა.

კოლექტივიზაციის კურსის გატარებამ და სოფლის მეურნეობის შეძლებული მწარმოებელი გლეხობის განადგურებამ, საქართველოს სოფლის მეურნეობა კატასტროფამდე მიიყვანა. სახელმწიფოს მაშინდელი ხელმძღვანელი მუშაკები ამ ფაქტს გვერდს უვლიდნენ, მარქსისა და ლენინის შრომებიდან სათანადო ციტატების მომარჯვებით, თავინთი ნამოქმედარის გამართლებას ცდილობდნენ. კოლმეურნეობების შექმნაში, სოფლის მეურნეობის განვითარების ერთად—ერთ საფუძველს ხედავდნენ. მიმდინარე პროცესის შეფასებისას, პირველ რიგში კოლექტივიზაციიდან გამომდინარე უარყოფითი შედეგებია გასათვალისწინებელი. პრობლემისადმი ამ კუთხით მიდგომა, შესაძლებლობას იძლევა ობიექტურად იქნას შეფასებული საკოლმეურნეო მოძრაობასთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომები, რომელმაც სოფლის მეურნეობა კატასტროფამდე მიიყვანა. პირვე-

ლი ხუთწლელი, ფაქტობრივად ხელოვნურად დანგრეული სოფლის მეურნეობის ნაწილობრივად აღდგენის მცდელობას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, მთავრობის ოფიციალურ დოკუმენტებში (სკკპ XVI ყრილობის მასალები) ეს პერიოდი “წარმატებებისა” და “მიღწევების” წლადაა გამოცხადებული. პირველი ხუთწლედის შედეგების შეჯამებისას, სკკპ XVII ყრილობის მიერ “სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის (1933—1937) შესახებ” მიღებულ რეზოლუციაში, კოლექტივიზაციის კურსი ზედაპირულადაა შეფასებული. “განსაკუთრებით საგრძნობ სამეურნეო და კულტურულ ზრდას,— ვკითხულობთ დოკუმენტში—ქონდა ადგილი საბჭოთა კავშირის ნაციონალურ რაიონებში, რომლებიც სწრაფად მიდიან თავიანთი ჩამორჩენილობის საბოლოო ლიკვიდაციის გზით.”¹ რეზოლუცია, ჩამორჩენის ძირითად მიზეზებს გვერდს უვლიდა. ყურადღების მიღმა ტოვებდა კითხვას—საერთაშორისო სტანდარტების ფონზე, ნაციონალურ რაიონებში სოფლის მეურნეობა თუ რა დონეზე განვითარდა. ყოველივე ეს, კარჩაკეტილობის ჩარჩოში მოქცეულ ოფიციალურ პირებს შესაძლებლობას აძლევდა, პირველი ხუთწლიანი გეგმის “წარმატებით” შესრულება ხმამაღლა განეცხადებინათ. მართალია, მთელ რიგ რესპუბლიკებში პირველი ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები გარკვეულწილად გადაწყვეტილი იქნა, მაგრამ მისი შესრულების დონე იმდენად დაბალი იყო, რომ იგი განვითარებადი სახელმწიფოების სახალხო მეურნეობის მიღწევებს ოდნავადაც ვერ უტოლდებოდა. რაც გაკეთდა, ძალდატანების პოლიტიკაზე აგებულ ბრიგადულ და ინდივიდუალურ შეჯიბრებებში მშრომელთა “ენტუზიაზმს” ეფუძნებოდა. ცენტრიდან რეგლამენტირებული საკოლმეურნეო მართვის ფორმები და მეთოდები, დემოკრატიზმის ელემენტებს გამორიცხავდა და გლეხური მოსახლეობის შეფარვით ექსპლოატაციას უწყობდა ხელს.

რაც შეეხება ებრაელთა საკითხს, იგი ქვეყნის შიგნით იმ ეტაპზე მიმდინარე ზემოაღნიშნული საერთო პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით უნდა იქნეს განხილული. მეორე მხრივ, მხედველობის მიღმა არ უნდა დარჩეს ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობაში ებრაელთა მასობრივი დასაქმება საქართველოს სინამდვილეში პირველ ცდას რომ წარმოადგენდა. თუკი ამ პოზიციიდან მიუვდებით საკითხს და გაეითვალისწინებთ, რომ საქართველოს ებრაელთა სამიწათმოქმედო საქმიანობა ძირითადად საკოლმეურნეო მოძრაობასთან იყო დაკავშირებული, მათ მიერ გაწეული შრომა წარსულთან პარალელის გარეშე უნდა შეფასდეს.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, ეკონომიკისა და კულტურის სფეროში საქართველოს ებრაელებში მომხდარი ძვრები, საქართველოს “ღარებკომის” მოღვაწეობას უკავშირდება. თუ რა-

მდენად დიდ როლს ასრულებდა ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოსაწესრიგებლად საქ.ღარებკომის მიერ გატარებული ღონისძიებები, ამის შესახებ საქართველოს მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1932 წლის 26 ნოემბრის დადგენილებაში ვკითხულობთ: „ღარებკომს, ღარობ ებრაელთა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების რეკონსტრუქციაში და საზოგადოებრივ კულტურული ღონის ამაღლებაში მიღწევებთან ერთად აქვს მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა საწარმოო კადრების მომზადების საქმეში და საქართველოს...რესპუბლიკის ეკონომიკური სიძნელეების დაძლევაში.”² ასეთი მაღალი შეფასების მიუხედავად, „ღარებკომის” საქმიანობას ჩრდილოვანი მხარეებიც გააჩნდა. ღარობ ებრაელთა საზეიმო სხდომაზე (1933 წლის 30 სექტემბერი) საქართველოს კ (ბ) ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი გ.ყურაშვილი ამის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდა. იგი ებრაელთა კულტურისა და ეკონომიკის სფეროში, საქ.ღარებკომის საქმიანობის ქმედითუნარიანობის გაძლიერების აუცილებლობის საკითხს აყენებდა³

არსებული საარქივო მასალები, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ებრაელთა აქტიურად მონაწილეობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებაში მიღწეული წარმატებების შესახებ მიუთითებს. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება საქ.მემსის თავმჯდომარის (რელიგიულა-შვილი) მიერ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე გავზავნილმა 1934 წლის 3 მარტით დათარიღებულმა მოხსენებამ მიიქცია. ამ დოკუმენტის მიხედვით, „წითელი გორას” ებრაელთა კოლმეურნეობამ 1933 წლის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება გადაჭარბებით შეასრულა. კოლმეურნეობაში გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობამ 16815 შეადგინა. თითოეულ კოლმეურნე წევრზე საშუალოდ, მამაკაცებზე 250—დან 300—მდე, ქალებზე 160, ხოლო მოზარდებზე 100 შრომადღე მოდიოდა.⁴ რაც შეეხება ანაზღაურების ფორმას, იგი ნატურითა და ფულადი ნიშნებით განხორციელდა. თითო შრომადღეზე კოლმეურნე წევრებს საშუალოდ სამკილონახევარი ხორბალი და მზესუმზირა დაურიგდა. ბევრმა ებრაელმა ოჯახმა 5—დან 6 ტონა ხორბალი და 2000—დან 3000 მანეთამდე ფულადი ანაზღაურება მიიღო.⁵

“წითელი გორას” ებრაელთა კოლმეურნეობის 1933 წლის წარმატების ძირითად საფუძველს, კოლმეურნეობაში დამკვიდრებული ქანცამწყვეტი შრომა და მის საფუძველზე სათესი ფართობების მაქსიმალური ზრდა წარმოადგენდა. საარქივო მასალების მონაცემების მიხედვით, 1933 წელს კოლმეურნეობის მიერ პირველად იქნა დათესილი: მზესუმზირა—10 ჰექტარზე, ხორბალი—50 ჰექტარზე, თამბაქო—20 ჰექტარზე, სიმინდი—8 ჰექტარზე.

მოსავლიანობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით თამბაქომ გაამართლა. კოლმეურნეობამ, სახელმწიფოს 1300 ფუთი მაღალხარისხოვანი თამბაქო ჩააბარა და რაიონის კოლმეურნეობებს შორის მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ლაგოდეხის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსის იმედაძის მიერ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: “დიდი... სიხარულით მივიღე ცნობა თქვენი გამარჯვების შესახებ... პოლიტგანყოფილება გილოცავთ ამ წარმატებას.”⁶ ამ საქმეში სხვებთან ერთად გარკვეული წვლილი შეიტანეს: იოსებ მამისთვალოვმა, მისმა ოჯახმა (ხუთი მუშახელი) 1500-ზე მეტი შრომადლე გამოიმუშავა. ანაზღაურების მიზნით კოლმეურნეობიდან 5 ტონა ხორბალი, 200 კგ. მზესუმზირა და 2500 მანეთი მიიღო. სარა იოსებაშვილმა-267 შრომადლე გამოიმუშავა, ივდითი იოსებაშვილმა-216, ხანა მამისთვალოვმა-263, მანია კოჭობაშვილმა-205, მოსე იოსებაშვილმა-304, დავით კრიხელმა-300. ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალების მონაცემების მიხედვით, ებრაული კოლმეურნეობებისა და საწარმოების უმრავლესობამ, პირველი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები ძირითადად შეასრულა. ამ ფაქტიდან გამომდინარე, ებრაული კოლმეურნეობების მოწინავე მშრომელების, საწარმოთა 12 ხელმძღვანელის და “ღარბკომის” 15 მუშაკის (სულ 123 ებრაელის) დამსახურება მთავრობის მაღალი ჯილდოებით აღნიშნა. წახალისების ასეთი ფორმა, იმ ეტაპზე მიზანს აღწევდა და ქვეყანაში დამკვიდრებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მშრომელ ებრაელებს აქტიური მონაწილეობისაკენ უბიძგებდა. მითუმეტეს, ცენტრალური მთავრობა ამ კურსის გატარებას მიღებული დადგენილებების საფუძველზე ანხორციელებდა. ამის დამადასტურებლად დამკვირვებელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო პირველი ყრილობის (1934 წლის 15 თებერვალი) მასალები გამოდგება. მიღებული დადგენილება, სოფლის მთლიანი კოლექტივიზაციის კურსის ღონისძიებების სრულად გატარების აუცილებლობასთან ერთად, სოციალისტური შეჯიბრების აღმავლობის საკითხსაც აყენებდა. ამ ფონზე, ყრილობის მონაწილეთა მიმართვა, კოლმეურნეობების განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებად სოციალისტურ შეჯიბრებას მიიჩნევდა. აქედან გამომდინარე, საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნე წევრებს-სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისაკენ მოუწოდებდა.⁷ მიუხედავად ამისა, შეჯიბრების ფორმებს ეს დოკუმენტი არ განსაზღვრავდა. საბჭოთა ისტორიოგრაფია, სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ “განვითარებულ” ფორმად სტახანოვურ მოძრაობას აღიარებდა, რომელსაც 1935 წლის 31 აგვისტოდან ჩაეყარა საფუძველი. სტახანოველთა “თაოსნობის” მნიშვნელობასთან დაკავშირებით, სტახანოველთა სრულიად

საკავშირო თათბირზე (1935 წლის 17 ნოემბერი) ი.სტალინი ხაზგასმით ამბობდა: “სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს ისეთ მოძრაობას, რომელიც ამისხვერვეს ძველ ტექნიკურ ნორმებს, როგორც არასაკმარისს...ქმნის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შემდგომი განმტკიცების პრაქტიკულ შესაძლებლობას, ჩვენი ქვეყნის ყველაზე შეძლებულ ქვეყნად გადაქცევის შესაძლებლობას.”⁸ აღნიშნულიდან გამომდინარე, სტახანოვური მოძრაობა “საბჭოთა საზოგადოების განვითარების” რევოლუციური და სოციალისტური ხასიათის მოვლენად გამოცხადდა. იგი სოციალისტური შეჯიბრების თვისობრივად ახალ საფეხურზე აყვანის საფუძვლად იქნა მიჩნეული. სტახანოვური მოძრაობის ძირითად არსს, სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის დეკემბრის პლენუმი შემდგენაირად განმარტავდა: “სტახანოვური მოძრაობა ნიშნავს შრომის ახლებურად ორგანიზაციას, ტექნოლოგიური პროცესების რაციონალიზაციას, შრომის სწორ განაწილებას საწარმოში, კვალიფიციური მუშების განთავისუფლებას მეორეხარისხოვანი მოსამზადებელი საბუთაობისაგან, საბუთო ადგილის უკეთეს ორგანიზაციას, შრომის ნაყოფიერების სწრაფი...მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის მნიშვნელოვანი ზრდის უზრუნველყოფას.”⁹

სტახანოვური მოძრაობა, რომელიც საქართველოში 1935 წლიდან “დამკვიდრდა” ადამიანთა ფსიქოლოგიური დაშინების ზემოქმედების გამოვლინებას უფრო წააგავდა, ვიდრე მის ნებაყოფლობით ენთუზიაზმს. ამიტომ, იგი “იძულებითი მოძრაობის” ჩარჩოში უფრო თავსდება, ვინემ ნებაყოფლობითში. აქედან გამომდინარე, სტახანოვური მოძრაობა და სოციალისტური შეჯიბრება, “სოციალისტური ექსპლოატაციის” თავისებურ ფორმას წარმოადგენდა. მისადმი მორჩილება, “ძალდატანებით ენთუზიაზმში” ვლინდებოდა და იგი ქვეყანაში მიმდინარე რეპრესიების შიშით იყო განპირობებული. შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, “საბჭოთა ხელისუფლების მტრის” იარღილით “მონათვლის” საფრთხე, ფართო მასა ზემოდან მითითებებისა და წამოწყებების უსიტყვო შემსრულებლად აქცია.

სტახანოვური მოძრაობა საბჭოთა კავშირის სივრცეში, მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში ფართოდ დამკვიდრდა. მან თავისებური გამოძახილი ებრაული კოლმეურნეობების წევრთა შორისაც კპოვა. “იძულებითი ნებაყოფლობის” მიუხედავად, ამ მოძრაობამ ებრაული კოლმეურნეობების სამეურნეო წარმატების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 13 ოქტომბრის დადგენილებაში ვკითხულობთ: “საქართველოს კპ (ბ) ცკ აღნიშნავს, რომ ებრაელმა კოლმეურნ-

ეებმა გარკვეულად აითვისეს მიწათმოქმედების სამუშაოები და მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს ისეთი შრომატევადი კულტურების დამზადებაში, როგორცაა: თამბაქო და ჩაი (წითელი გორას, ქობულეთის, კულაშის ებრაულ კოლმეურნეობებში). წარმატებით უძღვებიან მეცხოველეობასა და მეფრინველეობას (წითელი გორა, ახალციხე). შრომადღეების გამო-მუშავებამ საუკეთესო ებრაულ კოლმეურნეობებში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია: მამაკაცები—360 შრომადღე “წითელ გორაში”, 325—ახალციხეში, 180—ქუთაისში. ქალები—110 შრომადღე “წითელ გორაში,” 130—ახალციხეში. საშუალოდ ერთი ჰექტარიდან “წითელ გორაში” მიიღეს ხორბალი—17 ცენტნერი, სიმინდი—20, სურამში—15 ცენტნერი ხორბალი, სიმინდი—16 ცენტნერი. მუხრანში—სიმინდი—27 ცენტნერი. შრომადღის საშუალო ღირებულება შეადგენდა: “წითელ გორაში:” მარცვალი—6 კგ. ფული 1 მან. 50 კაპ; ახალციხეში: მარცვალი—5,8 კგ. ფული 9 მან. 19 კაპ. მუხრანში: მარცვალი 6,6 კგ. ფული 8 მან. 50 კაპ.”¹⁰

ებრაელთა მიერ შრომის ფრონტზე მოპოვებული წარმატებები, რამდენადაც კოლმეურნეობების ეკონომიკურად გაძლიერების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენდა, მოწინავე კოლმეურნეების დამსახურება რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ სათანადო ჯილდოებით აღნიშნა. მაგალითად, ლალიაშის ებრაელთა კოლმეურნეობის მთელი რიგი წევრები მთავრობის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა.¹¹

მიუხედავად იმისა, რომ 1936—1937 წლები გაუგონარი რეპრესიებით აღინიშნა, ქვეყნის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობა სტახანოვური მოძრაობის შემდგომი აღმავლობისა და წლიური გეგმების შესასრულებლად იყო მიმართული. ამის ერთ-ერთ ნიმუშად საქართველოს კომპარტიის (ბ) X ყრილობის (1937 წლის 15—21 მაისი) მიერ მიღებული რეზოლუციები გამოდგება. “სამეურნეო სახალხო კომისარი-ატებმა, ტრესტებმა და საწარმოთა დირექტორებმა—ვეკითხულობთ დოკუმენტში —უკეთ მოაწყონ სტახანოური მოძრაობის ხელმძღვანელობა, უზრუნველყონ კონკრეტული დახმარება სტახანოველებისათვის...ყოველდღიურ შრომაში.”¹²

იმ ებრაული კოლმეურნეობებიდან, რომლებმაც მეორე და მესამე ხუთწლე-დებში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, ყურადღებას ლაგოდენის რაიონის “წითელი გორას” კოლმეურნეობა იქცევს. 1936 წლის მონაცემებით, კოლმეურნეობა 826 ჰექტარი მიწის ფართობს ფლობდა და 64 კომლს აერთიანებდა. ძირითად სასოფლო—სამეურნეო კულტურას ხორბალი და თამბაქო წარმოადგენდა. 1936 წელს, კოლმეურნეობამ თამბაქოს პლანტაცია 10 ჰექტარის ნაცვლად 18 ჰექტარზე გააშენა. 18 ცენტნერი ხორბალის ნაცვლად ჰექტარზე 21 ცენტნერი მოიწვია. სასოფლო—სამეურნეო

პროდუქტების მოყვანისა და დამზადების გეგმა 108 %-ით შეასრულა. იმავე წლის მონაცემებით, კოლმეურნეობაში 23500 შრომადღე იქნა გამო-
მუშავებული, ხოლო 1939 წლისათვის 29557 შრომადღე. რაც შეეხება
შრომადღეზე გაცემულ ანაზღაურებას, იგი შემდეგ სურათს იძლევა: 1936
წლის მონაცემებით კოლმეურნეობამ შრომადღეზე გაანაწილა 3,8 კგ.
ხორბალი, 9 კგ. სიმინდი, ზეთი, თამბაქო, კარტოფილი 2 კგ; ფულად 1 მან.
90 კაპ. კოლმეურნე სტახანოველებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს:
მერი კრიხელი, იაკობ კრიხელი, დანიელ მანაშეროვი, ხაიმა იოსებაშვილი,
შალვა მამისთვალოვი, იაკობ დანიელოვი და შალო ელიაშვილი. რომ-
ლებიც დღიურ გეგმას 150—დან 200 %-ით ასრულებდნენ. საარქივო მა-
სალებით დასტურდება, რომ ხ.იოსებაშვილი რესპუბლიკის 10 მოწინავე
მეთამბაქოელთა შორის იქნა დასახელებული. მოწინავეობისათვის, რე-
სპუბლიკის ხელმძღვანელობამ კოლმეურნეობა როიალით დააჯილდოვა.
1938 წლის სასოფლო—სამეურნეო პროდუქტების დამზადების გადაჭარ-
ბებით შესრულებაში ებრაელთა კოლმეურნეობებს შორის “წითელი გორას”
კოლმეურნეობამ პირველი ადგილი დაიკავა, რისთვისაც “საქმემსის” გარ-
დამავალი დრომა გადაეცა.¹³

ახალციხის ებრაელთა კოლმეურნეობას, 1936 წლის მონაცემებით 171
ჰექტარი მიწის ფართობი ეჭირა და 82 ოჯახს აერთიანებდა. სოფლის
მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმა კოლმეურნეობამ წარმატე-
ბით შეასრულა. გამომუშავებულ შრომადღეთა საერთო რაოდენობამ 19880
კაცდღე შეადგინა. იმ ეტაპზე კოლმეურნეობა რაიონში მოწინავეთა რიგებში
იმყოფებოდა. კოლმეურნეობამ სოფლის მეურნეობის პროდუქტები შრომა-
დღეზე შემდეგნაირად გაანაწილა: ხორბალი—2,65 კგ. კარტოფილი—6,6
კგ. ბოსტნეული—1,6 კგ. მატყლი—2,5 კგ. ხოლო ფულადმა ანაზღაურებამ
9 მანეთი შეადგინა. კოლმეურნეობის მოწინავე სტახანოველები იყვნენ:
ბენო თეთრუაშვილი, არსენ ფეიქრიშვილი, ესთერ აჯამელაშვილი და თვით
კოლმეურნეობის თავმჯდომარე სევასტი ჩიტაძე.

ქობულეთის აჭარ—ოზეტის სახელობის ებრაული კოლმეურნეობა ძი-
რითადად ჩაის კულტურის მოყვანას მისდევდა. კოლმეურნეობის ჩაის
პლანტაციის მოცულობა 1936 წლისათვის 32,5 ჰექტარს შეადგენდა. ჩაის
კრეფის გეგმა კოლმეურნეობამ 104 %-ით (19680 კგ.) შეასრულა.
მოწინავე სტახანოველთა შორის იყო 78 წლის ებრაელი მოხუცი ა.ხა-
ნანაშვილი. მისი ხელმძღვანელობით, ოჯახის წევრებმა 1480 შრომადღე
გამოიმუშავე და ანაზღაურების სახით 8800 მანეთი მიიღეს. აჭარის ცე-
ნტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მამა და ორი შვილი ორას—ორასი
მანეთით დააჯილდოვა.

მუხრანის ებრაელთა კოლმეურნეობას 350 ჰექტარი მიწის ფართობი ეჭირა. კოლმეურნეობის ძირითადი საქმიანობა მებაღეობა-მევენახეობით შემოიფარგლებოდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხარაზი ბაზაზაშვილის დაულალავი შრომის შედეგად, კოლმეურნეობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მხრივ რაიონში ერთ-ერთი მოწინავე იყო.

სამტრედიის რაიონის კულაშის ებრაელთა კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში იდგა. იგი 1936 წლისათვის 186 კომლს აერთიანებდა. კოლმეურნეობა მემინდერეობასთან ერთად ტექნიკური კულტურების-ჩაის, დაფნის, რამის, არახისისა და ა.შ. მოყვანას მისდევდა. კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ.ბათაშვილი), 1938 წლის ჩაის კრეფის წლიური გეგმა და 1939-1940 წლების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები წარმატებით შეასრულა.¹⁴ განსაკუთრებით თავი კოლმეურნეობის №2 ბრიგადამ (ბრიგადირი მოშე ელაშვილი) გამოიჩინა. მის წარმატებაში დიდი როლი სტახანოვლებმა (მ.ბათაშვილი, დ.ბოთერაშვილი, ა.ბოთერაშვილი, მ.ბოთერაშვილი, ბ.მოშიაშვილი) შეასრულეს, რომლებიც წლიურ გეგმებს 150-დან 200%-ით ასრულებდნენ.¹⁵

საქართველოში იმ ეტაპზე მოწინავე შექმნილი ებრაული კოლმეურნეობებიდან ყურადღებას იქცევს: ვანის, საჩხერის, სუჯუხის, ბანძის, ტირიფონის (გორის რაიონი), ქობულეთის კოლმეურნეობები. ებრაელთა შრომითი თავდადება ჰქონდა მხედველობაში მ.კალინინს როცა ამბობდა: “ებრაელებმა დიდი შრომის უნარი და მოწადინება გამოიჩინეს და თავიანთი მეურნეობა ისეთ ღონეზე დააყენეს, იგი გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ადგილობრივი გლეხის მეურნეობა.”¹⁶ აქ გადაჭარბებული არაფერია. მისი სისწორე ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი საარქივო მასალებითაც დასტურდება. ამავე საკითხთან დაკავშირებით ყურადღებაა გამაზვილებული საქართველოს დეპუტატთა საბჭოსადმი 1937 წელს წარდგენილ მოხსენებაში. ებრაელთა კოლმეურნეობების 1936 წლის შედეგების დახასიათების პარალელურად, დოკუმენტში დასმული იყო საკითხი თუ ვინ იყვნენ ებრაელები კოლმეურნეობებში გაერთიანებად. “კოლმეურნეობებში შესვლამდე, - ვკითხულობთ დოკუმენტში, - მეტი წილი ებრაელებისა იყვნენ ყოფილი წვრილი ვაჭრები და დღეს ისინი შეეჩვივნენ...შრომას, რომელთა დაულალავი მუშაობის შედეგად...ამ კოლმეურნეობათაგანი ჩადგნენ მოწინავეთა რიგებში.”¹⁷

ებრაელთა შრომით საქმიანობაში ჩაბმამ, მხოლოდ მათი გარკვეული ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესებას შეუწყო ხელი. მაგალითად, სურამის ებრაელთა კოლმეურნეობის სტახანოველმა ტრაქტორისტმა აბრამ ჯინჯიხაშვილმა 608 შრომადღე გამოიმუშავა და მიღებული თანხით ორსართულიანი სახლი აიშენა. ამავე კოლმეურნეობის წევრებმა: დანიელ ჯინჯიხაშვილმა და ფილხაზ კოჟიაშ-

ვილმა საცხოვრებელი სახლები აიშენეს. საჩხერის რაიონის კოლმეურნეობის წევრმა ცაკო თეთრუაშვილმა, კოლმეურნეობაში გამომუშავებული 10000 მანეთით ორსართულიანი სახლი შეიძინა. ყოველივე ეს, მთავრობის ხელშეწყობით ხდებოდა და პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებდა. თორემ ებრაელთა მასა, რესპუბლიკის საერთო ფონზე ეკონომიკურად ისევ მძიმე მდგომარეობაში რჩებოდა.

საქართველოს ებრაელობამ, მნიშვნელოვანი წარმატებები სამრეწველო პროდუქციის წარმოება-დამზადების საქმეშიაც მოიპოვა. “საქლარეკომის” 136 საწარმოში 3823 ებრაელი მუშა-მოსამსახურე იყო დასაქმებული. მათ მიერ 1929-1933 წლებში გამოშვებული პროდუქციის საერთო ღირებულება შემდეგ სურათს იძლევა:

წელი	მანეთი ათასებში
1929	350
1930	1680
1931	7027
1932	12365
1933	16650

18

აღნიშნული ზრდის პროცესი, საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების დამკვიდრებით და დამკვრელური ბრიგადების შექმნით იყო განპირობებული. ამ შემთხვევაში, საწარმოს ხელმძღვანელები მხოლოდ პროდუქციის რაოდენობრივობით იყვნენ დაინტერესებულნი და არა მისი დაბალი ხარისხის გაუმჯობესებით. ეს ის პერიოდია, როცა სამრეწველო საწარმოებში სტახანოვიური მოძრაობა დამკვიდრდა. მასში ებრაელი მუშებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი. ამ მხრივ ყურადღებას მარო მამისთვალოვას, ქუთაისის ფაბრიკა “მკერავის” სტახანოვიელის თამარ ხანანაშვილის და იმავე ფაბრიკის №2 საამქროს დამკვრელი მუშა მარო ენუქაშვილის საქმიანობა იქცევს.¹⁹

ებრაელმა მუშებმა წარმატებებს სარეწაო არტელის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტის საქმეშიაც მიღწიეს. კულაშის სარეწაო არტელის “შრომის გმირის” მუშა-მოსამსახურეებმა 1939 წლის გეგმა 17 სექტემბრისათვის 134,4 %-ით შეასრულეს და 200000 მანეთის ღირებულების პროდუქციის ნაცვლად, 270870 მანეთის მზა პროდუქცია

გამოუშვეს. იმავდროულად წლის ბოლომდე დამატებით 100000 მანეთის ღირებულების პროდუქციის დამზადების ვალდებულება აიღეს. მოწინავეთა რიგებში იყო კულაშის სარეწაო არტელი “კოლექტიური შრომა.” მისმა კოლექტივმა სახელმწიფოს 160000 მანეთის ნაცვლად, 162076 მანეთის ღირებულების პროდუქცია მისცა. არტელები: “წინსვლა” და “პირველი მაისი” წლიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ. ამ წარმატებაში გარკვეული წვლილი სტახანოველებმა ბ.ბოთერაშვილმა, გ.მიხელაშვილმა და სხვებმა შეიტანეს.²⁰

ებრაელთა კოლმეურნეობების და სამრეწველო საწარმოების გეგმიური წარმატებების შესახებ როცა ვსაუბრობთ, პირველ რიგში სახელმწიფოს პოლიტიკური კურსია გასათვალისწინებელი, რომელიც კოლმეურნეობებზე და სამრეწველო საწარმოებზე დაყვანილი გეგმების გადაჭარბებით შესრულებისაკენ იყო მიმართული. ამ ამოცანის გადასაწყვეტად და გეგმით აღებული ვალდებულებების შესარულებლად ხელისუფლების მესვეურები ყოველგვარი სახის ფორმებსა და საშუალებებს—დაშინების მეთოდსაც კი მიმართავენ.

რამდენადაც მიზანს მხოლოდ გეგმების შესრულება წარმოადგენდა, პროდუქციის ხარისხს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამიტომ იგი საერთაშორისო სტანდარტებს ოდნავადაც ვერ უტოლდებოდა. ამ კუთხით თუკი შევაფასებთ გაწეულ შრომას, ნათელი გახდება, რომ იმ ეტაპზე ადამიანების მიერ დახარჯული ძალა და ენერჯია, დანიშნულებას ნაკლებად აღწევდა, რადგან, მიმდინარე პროცესები ქვეყანაში მაღალგანვითარებულ სახალხო მეურნეობას ვერ ქმნიდა.

* * *

იმ მნიშვნელოვან საკითხთა შორის, რომელიც საქართველოს ებრაელობას უკავშირდება, კულტურის სფეროში გატარებული ღონისძიებებია. განსაკუთრებულ ინტერესს ებრაელთა დრამატული დასის “კადიმა” ანუ ებრაულად “წინსვლას” საქმიანობა იქცევს. “კადიმა” 1924 წელს ებრაელთა შორის წერა—კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 102-ე შრომის სკოლის მსმენელთა ბაზაზე ჩამოყალიბდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით იოსებ იმედაშვილი ჟურნალი “თეატრი და ხელოვნება”—ში წერდა: “ამ კულტურული მუშაობის ერთმა სულისჩამდგმელთაგანმა გერცელ ბაზოვმა თავის მშვენიერს სიტყვაში განაცხადა: თქვენს წინ წარმოსდგებიან ისინი ვინც ამ ორი კვირის წინ ანი და ბანი არ იცოდა.”²¹ სამეცნიერო

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ “კადიმამ” მაყურებელს 1925 წლის 12 იანვარს გეკლერის პიესა “ხასა გივამი” უჩვენა. ამ სპექტაკლს, ცნობილმა თეატრალურმა მოღვაწემ დოდო ანთაძემ გაუწია რეჟისორობა. პიესის გმირთა სცენაზე გაცოცხლების საქმეში მისი დამსახურების, ამ კულტურული წამოწყებისადმი ქართული პრესისა და ინტელიგენციის პოზიციის შესახებ, გერცელ ბააზოვი, იმჟამად მოსკოვში მყოფ შალვა დადიანს (1925 წლის 12 იანვარი) წერდა: “საქართველოს ებრაელებში მოხდა ის “გარდატეხა,” რომლის შესახებაც ხშირად გვქონდა ერთად ბაასი და ამ გარდატეხასთან ერთად თავი წამოპყო სხვადასხვა კულტურულმა და ხელოვნურმა მისწრაფებებმა. ერთი მათგანიც რასაკვირველია სასცენო დარგია. აქ დაარსდა ქართველ ებრაელთა დრამატული კოლექტივი “კადიმა” (წინ), რომელიც იანვრის პირველიდან შეუდგა ენერგიულ მუშაობას. უკვე მოახდინა თავის ძალთა პირველი გამოფენა ამა თვის 12-ს მცირე თეატრში (ტარდის თეატრი). წარმოადგინეს გეკლერის ცნობილი პიესა “ხასა გივამი”...ქართული პრესა ჩვენს გამოსვლას შეხვდა დიდის აღფრთოვანებით. ამ პირველ სპექტაკლზე დამტკიცდა, რომ ჩვენს შორის არიან უნიჭიერესი ახალგაზრდები, რომელთაც სჭირდებათ გარკვეული გზა და კარგი ხელმძღვანელები, დროებით დასს რეჟისორობს დოდო ანთაძე, რომელმაც დიდი ენერგია დახარჯა სრულიად გამოუწვრთნელი მსახიობების გაგარჯიშებაში.”²² იმავე წერილიდან კეცნობით “კადიმას” იმ რეპერტუარს, რომლის დადგმა უახლოეს პერიოდში იყო გათვალისწინებული. კერძოდ; “საიდუმლო ბინა,” “ახალი გეტო,” “დოქტორი კონი,” “ურის სისხლი,” “დრამატული საზოგადოების წევრი,” “იროდი” და სხვა. ჩამოთვლილი სპექტაკლების დადგმა ორ კვირაში თანმიმდევრულად უნდა განხორციელებულიყო.²³

“კადიმას” მიერ მაყურებლის წინაშე გამოტანილ მეორე სპექტაკლს გ.ბააზოვის ორიგინალური ხუთმოქმედებიანი ისტორიული ტრაგედია “საიდუმლო ბინა” წარმოადგენდა. იგი ძირითადად XV საუკუნის ესპანეთის ებრაელთა ცხოვრებას ასახავდა. რაც შეეხება შემსრულებლებს, მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დ.ბააზოვის შვილებმა—ფენიამ (მარიამი) და ხაიმმა (ფედრო) დაიმსახურეს.²⁴ აღნიშნულმა ღონისძიებამ ებრაელებში სტიმულატორის როლი შეასრულა. მხედველობაში გვაქვს ქუთაისში 30-იან წლებში დაარსებული დრამატული წრე. მისი საქმიანობის შესახებ საინტერესო მასალები აქვს მოტანილი ა.ციციაშვილს, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ მხატვრული თვითმომქმედი კოლექტივების რესპუბლიკურ დათვალეირებაზე (1932 წელი). დრამწრემ მაყურებელს ორმოქმედებიანი დრამა “ფერიდე” უჩვენა. პიესა ძირითადად ქართველი ებრაელი ქალის შრომით საქმიანობას ასახავდა. პიესის დადგმა

იმდენად მაღალ დონეზე იყო შესრულებული, რომ მან ყიურის მოწონება დაიმსახურა. მათივე რეკომენდაციით, დრამწრის აქტიური წევრები აბრამ ენუქაშვილი და მიხეილ რიჟინაშვილი თვითმომქმედი ხელოვნების მონაწილეთა მოსკოვის პირველ საკავშირო ოლიმპიადაზე მიავლინეს.²⁵ განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენას თბილისში ებრაელთა 35 კაციანი დრამატული დასის შექმნა (1933 წელი) წარმოადგენდა. გრ.სულიაშვილის რეჟისორობით დასმა დანიელის პიესის “ოთხი დღე” (1933 წლის 17 იანვარი) და გ.ბააზოვის “მუნჯები ალაპარაკდნენ” (1934 წლის 10 თებერვალი) დადგმა წარმატებით განახორციელა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გ.მავეულიძე წერილში “მუნჯები ალაპარაკდნენ” წერდა: “სპექტაკლი გაკეთებულია მკვეთრი რიტმული სტრუქტურით. სოციალური შტრიხები სპექტაკლში რეჟისორ სულიაშვილის მიერ ნიჭიერად არის ხაზგასმული და მაყურებლები მას ადვილად ითვისებენ.”²⁶ სპეციალისტებისა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა დასის მიერ განხორციელებულმა თეატრალურმა დადგმებმა: გ.ბააზოვის “აღასაოლას ნანგრევებზე” და ბერნშტეინის პიესამ “გაგრძელება იქნება.”²⁷

აღნიშნული ფაქტები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა იმ ევოლუციური პროცესის შესახებ, რომელსაც ებრაელობა თეატრალური ხელოვნების სფეროში განიცდიდა. იმავე პერიოდთანაა დაკავშირებული ებრაელებში სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი დარგის მხატვრობის განვითარება. ამ მხრივ განსაკუთრებული ამაგი თვითნასწავლ ებრაელ მხატვარს შალომ კობოშვილს (1871–1940) მიუძღვის. მან მხატვრობა 60 წლის ასაკში დაიწყო. მისმა პირველმა ნამუშევრებმა მხატვარ-სპეციალისტების ყურადღება თავიდანვე მიიქცია. ხუთი წლის მანძილზე შ.კობოშვილმა ფანქრით, აკვარელით და ზეთით, 60–ზე მეტი მცირე და დიდი ზომის სურათი დახატა. მის მიერ შესრულებულ სურათებში ძირითადად ახალციხის ებრაელთა ძველი და ახალი ყოფა იყო ასახული. შ.კობოშვილის პირველ ნამუშევრებს მიეკუთვნება: “მოჯამაგირე ბიჭი,” “ქუჩაში მოეაჭრე მეწვრილმანები,” “შეკურტნეები,” “ხელსაქმე” და ა.შ. 1938 წელს შ.კობოშვილმა ეთნოგრაფიული ხასიათის სურათები შექმნა. კერძოდ: “მიკვე,” “მიკვეში დაავადებული ქალი ექიმბაშთან,” “ბატონების წამლობა,” “ებრაელთა კვარტალი.” იმავე წელსვე მხატვარმა ებრაელთა წარსულის და ახალი ყოფის ამსახველი სურათები შექმნა. კერძოდ: “ჭოროკანა ქალები,” “საიოვო,” “ფერხული,” “ქარავანი,” “ებრაელი კოლმეურნეები მუშაობის დროს,” “ებრაელი ცოლქმარი მუშაობიდან შინ ბრუნდება,” 1940 წელს იგი ქმნის სურათებს: “ნეფე,” “მდიდარი ებრაელის ცოლი აბანოში მიდის,” “ებრაელთა კვარტალი ახალციხეში,” “ფინჯრაობა,” “ებრაელი კოლმეურნეების მიერ მოსავლის ჩაბარება,” და ა.შ.²⁸

შ.კობოშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწერილ სტატიასი ი.პაპისმელოვი წერდა: შ.კობოშვილის “სურათები გასაგები ერთ დაწერილი წიგნია, სადაც საზოგადოების ყოფა-ცხოვრების იმ ზედაპირის ექსპოზიციაა მოცემული, რომლის წიაღშიც ავტორი ცხოვრობს. ამ საონტერესო წიგნში კი ის დამახასიათებელი მომენტებია ხაზგასმული, სადაც წლების განმავლობაში ავტორი უშუალოდ ჭვრეტდა და განიცდიდა. ამიტომაც, რომ შ.კობოშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით ახალციხის ებრაელთა ყოფა-ცხოვრების ასახვის დროს მარტივი ხედვით დანახული და ტილოზე გადატანილი სინამდვილის მთელი ლეტალი მეტ შემთხვევაში ერთს სრულ და მიმზიდველ სანახაობას ქმნის.”²⁹

შ.კობოშვილის მიერ შექმნილი მხატვრული ტილოები, შ.წიწუაშვილის აზრით, ყველა თანაბარ დონეზე არ დგას, მაგრამ, მასში “იგრძნობა ავტორის ხალასი ნიჭი, მისწრაფება ჩაწვდეს ფერთა შეხამების ტექნიკის საიდუმლოებას. შესაძლოა მხატვარი ყველგან ვერ ავლენს საჭირო ფერწერულ ოსტატობას, მაგრამ ის რასაც იძლევა, უდაოდ საყურადღებო და საინტერესოა.”³⁰ აღნიშნული მხატვრული ტილოების შესწავლისა და კულტურის ისტორიაში მისი ადგილის გარკვევის მიზნით, საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის, სამხატვრო აკადემიისა და მხატვართა კავშირის ბაზაზე შექმნილმა კომისიამ, შ.კობოშვილის ნამუშევრებს მაღალი შეფასება მისცა.

XX საუკუნის 30-იანი წლების საქართველოს ებრაელთა კულტურის ისტორიაში, განსაკუთრებული ადგილი ლიტერატურასა და მეცნიერებას ეჭირა. ამ პერიოდის ებრაელთა ლიტერატურის წარმომადგენლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას გერცელ დავითის ძე ბააზოვის (1904–1938) შემოქმედება იქცევს. გ.ბააზოვის ლიტერატურული მოღვაწეობა 1918 წლიდან დაიწყო. 1922 წელს იგი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად აირჩიეს. 1921–1923 წლებში ებრაელთა კულტურის საკითხებთან დაკავშირებით გ.ბააზოვი გაზეთ “ტრიბუნაში” ხშირად აქვეყნებდა პუბლიცისტური ხასიათის სტატიებს. მისი წერილები იბეჭდებოდა ჟურნალებში: “დროშა,” “თეატრი და ცხოვრება.” ლიტერატურული მოღვაწეობის პარალელურად იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის საქარეკომის საქმიანობაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1928 წლიდან გ.ბააზოვი ჟურნალ “საბჭოთა მშენებლობის” პასუხისმგებელ მდივნად დაინიშნა. ამ პერიოდში იგი ჩამოყალიბებული დრამატურგი და პროზაიკოსია. მან ქართულ მწერლობაში სრულიად ახალი თემის-ქართველი ებრაელების ცხოვრების პრობლემის შესწავლის საკითხი დასვა და ამ მიმართულებით საფუძვლიანი

ნაბიჯი თვითონვე გადადგა. 1931 წელს გამოაქვეყნა მოთხრობა “შემარ-
იას უკანასკნელი სიტყვა.” მასში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა
და ღარიბი ებრაელების საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმის პროცესია ასახ-
ული. 1935 წელს დაიბეჭდა გ.ბააზოვის ბელეტრისტული ნაწარმოები
“ფეთხანი” (სიცოცხლის სახლი). მწერალმა ძველი ცხოვრებისეული
წესების ახლით შეცვლის აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. ღარი-
ბი ებრაელების მიძმე მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ საშუ-
ალებად, საზოგადოებრივ საქმიანობაში მათი აქტიურად ჩაბმა მიიჩნია. ამ
ნაწარმოების შეფასებისას ლიტერატურათმცოდნე პროფ. გ.ციციშვილი
წერდა: “გ.ბააზოვი ბელეტრისტი ისტორიული სინამდვილის უმნიშვნელო-
ვანეს მოვლენებს შეეხო და ამდენად თავისი მხატვრული პროზა საზოგა-
დოებრივი ცხოვრების მთავარი საკითხების ასახვისაკენ წარმართა.”³¹

გ.ბააზოვის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დრამატურგიას
უჭირავს. მის მიერ 30-იან წლებში შექმნილი დრამატული ნაწარმოებე-
ბიდან ყურადღებას იქცევს: “დილლეარამ,” “მუნჯები ალაპარაკდნენ,”
“განურჩევლად პიროვნებისა,” “იკა რიჟინაშვილი.” საზოგადოებასა და
ლიტერატურათმცოდნეთა შორის განსაკუთრებული რეზონანსი “მუნჯები
ალაპარაკდნენ” გამოიწვია. აღნიშნულ პიესაში ქართველი ებრაელების
საზოგადოებრივ და შრომით საქმიანობაში ჩაბმის პროცესია ნაჩვენები.
მწერლის თვალსაზრისით, საუკუნოებრივი ჩამორჩენით დამუნჯებულ ად-
ამიანებს თავისუფალი აზროვნებისა და საუბრის შესაძლებლობა ახალმა
ცხოვრებამ მისცა. ეს პიესა მარჯანიშვილის თეატრში 1932 წელს დოდო
ანთაძის რეჟისორობით დაიდგა. ხოლო 1937 წელს იმავე დანთაძის
რეჟისორობით “იკა რიჟინაშვილის” დადგმა განხორციელდა. ქართული
დრამატურგიის ისტორიაში გ.ბააზოვის დამსახურების შესახებ პროფ.
გ.ციციშვილი წერდა: “გერცელ ბააზოვი ქართული...დრამატურგიის ერთი
თვალსაჩინო, საინტერესო და კოლორიტული ფიგურაა. ამ ნაყოფიერმა
მწერალმა თავისი ორიგინალური შემოქმედებით ხელი შეუწყო...ქართული
დრამატურგიის თემატურად განვრცობას, მხატვრულ დახვეწას... გერცელ
ბააზოვის ცოცხლად, მიზიდველად, ექსპრესულად დაწერილი პიესები
წარმოადგენენ წინ გადადგმულ ნაბიჯს ოცდაათიანი წლების ეროვნული
დრამატურგიის იდეურ-მხატვრული სრულყოფის საქმეში.”³²

გ.ბააზოვის შემოქმედების, ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში
მისი ადგილისა და როლის შესახებ თბუაჩიძე წერდა: “გერცელ ბააზოვი
საინტერესო თავისებური ფიგურაა ქართულ ლიტერატურაში. ბევრს ვერ
დავასახელებთ ქართველ ებრაელთა წრიდან გამოსულ ინტელიგენტებს,
რომელსაც ესოდენი როლი ეთამაშოს ჩვენი კულტურის განვითარებაში

...ახალი ყოფის, ახალი ცხოვრების განსამტკიცებლად იბრძოდა გერცელ ბაზოვი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე. მან შექმნა მგზნებარე პუბლიცისტური, ნიჭიერი პროზაული და თვალსაჩინო დრამატული ნაწარმოებები, რომლებმაც საპატიო ადგილი დაუშკვიდრეს მას ქართული...ლიტერატურის განვითარებაში.”³³

ებრაელთა კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად “ლიტერატურული აღმანახის” გამოცემა უნდა მივიჩნიოთ.³⁴ იგი ოთხი განყოფილებით—პოეზია, პროზა, დრამა და ნარკვევით იყო წარმოდგენილი. მასში ახალგაზრდა დამწელები მწერლების—დ.დავარაშვილის, ი.ქურჩიშვილის, მ.მამისთვალოვისა და ა.კრიხელის ნაწარმოებები იყო დაბეჭდილი. ებრაელთა კულტურის ისტორიაში აღნიშნული აღმანახის მნიშვნელობის შესახებ ა.ციციაშვილი წერდა: “ლიტერატურული აღმანახი წარმოადგენს ქართველ ებრაელთა ცხოვრების მხატვრულ ლიტერატურაში ასახვის პირველ კოლექტიურ ცდას. მან კულტურული საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მოეწყო მისი საჯარო განხილვა, რომლებშიც ქართველმა მწერლებმაც მიიღეს მონაწილეობა.”³⁵

იმავე პერიოდთანაა დაკავშირებული ცნობილი ებრაელი ქალის როზა თავდიდიშვილის სამეცნიერო და ლიტერატურული მოღვაწეობა. მისი ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლა, ქუთაისის საქალაქო გაზეთის რედაქციაში მუშაობის დაწყებასთან (1924 წელი) არის დაკავშირებული. პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ლიტერატურული ხასიათის ნარკვევებში, რ.თავდიდიშვილი ძირითადად ფაბრიკა ქარხნებში მომუშავე ებრაელების საქმიანობას აღწერდა. 30—იან წლებში, საქართველოს ებრაელთა ყოფაცხოვრების შემსწავლელ მწერალთა ბრიგადის საქმიანობაში მან აქტიური მონაწილეობა მიიღო. მის მიერ მოპოვებული მასალები დაედო საფუძვლად 1940 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს “ეთნოგრაფიული ნარკვევები ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა—ცხოვრებიდან.” მასში მოტანილი მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა ებრაელებისა და ქართველების წარსულში არსებულ საყოფაცხოვრებო ურთიერთობას ასახავს. ავტორი, გარკვეულ მსგავსებას ხედავს ებრაელებისა და ქართველების ზოგიერთ წეს—ჩვეულებაში. ამის ძირითად მიზეზად, ებრაელებისა და ქართველების მჭიდრო, ხანგრძლივ კულტურულ და სოციალურ კავშირუროთიერთობას მიიჩნევს. აღნიშნული ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებასთან დაკავშირებით, ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი ს.მაკალათია წერდა: “როზა თავდიდიშვილის ეს ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ყოფა—ცხოვრებიდან წარმოადგენს პირველ ცდასა და ნაბიჯს ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში.. ქართველი ებრაელობა, რომელიც ჯერ არ ყოფილა ასე-

თი შესწავლისა და კვლევის ობიექტი, ყოველ შემთხვევაში დღემდის არ გამოქვეყნებულა ქართველი ებრაელების შესახებ ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები...მისი მიზანია...ხელი შეუწყოს ებრაელთა მასის გათვითცნობიერების საქმეს, გააცნოს მას, თუ რას წარმოადგენდა მისი ყოფაცხოვრება წარსულში და როგორ უნდა შეიცვალოს ძველი ცხოვრება ახალი ყოფით. ამასთანავე ამ შრომაში მოთავსებული ეთნოგრაფიული მასალა ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ჩვენ გვაქვს ქართველ ებრაელთა წარსულის შესწავლის საქმეში.”³⁶

საქართველოს ებრაელთა წარსული ისტორიისა და თვით ებრაელთა სამეცნიერო კადრების მომზადებაში დიდი როლი 1933 წელს დაარსებულმა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ—ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა შეასრულა. ცნობილი ქართველი მეცნიერების: ნბერძენიშვილის, გჩიტაიას, შჩხეტიას, სიორდანიშვილისა და სხვათა დახმარებით მუზეუმმა ებრაელი ახალგაზრდებისაგან სამეცნიერო კადრების მომზადება შეძლო, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ა.კრიხელი, პრ.კრიხელი, დ.შაფთოშვილი, ი.პაპისმედოვი, მ.მამისთვალოვი, ი.ქურჩიშვილი, გ.ჩაჩაშვილი, მ.ბინიაშვილი. მათი მეშვეობით, შესაძლებელი გახდა საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ არსებული ისტორიული დოკუმენტების, ექსპონატებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების შეგროვება. ამ მასალების დამუშავებამ და შესწავლამ, “საქართველოს ებრაელთა ძველი და ახალი ყოფის შესახებ” მუზეუმში გამოფენის მოწყობას (1937 წელი) საფუძველი მოუშადა. აღნიშნული მუზეუმის ექსპოზიციის თემატურ განლაგებაზე სრულ წარმოდგენას მ.მამისთვალოვისა და ი.ქურჩიშვილის მიერ შედგენილი საქართველოს ებრაელთა ისტორიულ—ეთნოგრაფიული მუზეუმის გამოფენის მეგზური იძლევა. ამ ნაშრომის მიხედვით, ექსპოზიცია სამი განყოფილებისაგან შედგებოდა: 1) ისტორიული განყოფილება — ებრაელთა ყოფისა და ცხოვრების შესახებ წარმოდგენილი იყო მასალები უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის 20—იან წლებამდე. იმავე განყოფილებაში ცალკე კუთხე ჰქონდა დათმობილი 1905—1907 წლების რევოლუციაში და საქართველოს გასაბჭოებაში ებრაელთა მონაწილეობის ამსახველ მასალებს; 2) ეთნოგრაფიული განყოფილება — ასახავდა ებრაელთა საცხოვრებელი სახლის მოწყობილობას, ბავშვის აღზრდას, ქორწინებას, რელიგიას, საქართველოს ებრაელთა ჩაცმულობას; 3) სოციალისტური აღმშენებლობა— აღნიშნულ განყოფილებაში გამოფენილი მასალები კოლმეურნეობებში, სამრეწველო საწარმოებში და კულტურულ მშენებლობაში ებრაელთა მონაწილეობას ეხებოდა. მთლიანობაში, მუზეუმი მნახველს სრულ წარმოდგენას უქმნიდა საქართველოს ებრაელთა ისტორიაზე, მის ყოფასა

და კულტურაზე, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში მიღწეულ წარმატებებზე. აღნიშნულ გამოფენასთან დაკავშირებით, მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ფ.მახარაძეს 1938 წლის 2 იანვარს შემდეგი ჩანაწერი გაუკეთებია; “საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი...იძლევა მდიდარ მასალას, ებრაელთა ყოფა-ცხოვრების სურათებს წარსულში და დღევანდელ პირობებში, ე.ი. საბჭოთა ხელისუფლების დროს. მნახველი აქ გაეცნობა ბევრ რამეს, რაზედაც დღეს უძრავლესობას არავითარი წარმოდგენა არა აქვს, მაგრამ რის ცოდნაც მეტად საჭიროა.”³⁸ მკვლევარ ა.ციციანიშვილის აზრით, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შექმნა, ებრაელთა კულტურული ზრდის შედეგს წარმოადგენდა.³⁹ ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ებრაელთა ისტორიის შესახებ არსებული საარქივო მასალების მოძიების, მისი შესწავლისა და პუბლიკაციის საქმეში, მუზეუმმა განსაკუთრებული როლი შეასრულა. ამის დამადასტურებლად, 1940-1945 წლებში გამოცემული ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების სამი ტომი გამოდგება. თუ რამდენად იყო საქართველოს ებრაელობა დაინტერესებული სწავლა-განათლებითა და მეცნიერებით, ამის შესახებ საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების მეორე ტომის შესავალში ვკითხულობთ: “საქართველოს...ებრაელობა მხურვალედ დაეწაფა სწავლა-განათლებას, რის შედეგადაც მრავალი მათი წრიდან აღზრდილი ინჟინრები, ექიმები, აგრონომები, ეკონომისტები, იურისტები, მასწავლებლები, მუსიკოსები, მხატვრები და სხვ. ებრაელთა წრიდან გამოსული ახალგაზრდები მეცნიერების ამა თუ იმ დარგსაც ეუფლებიან. იწერება მეცნიერული გამოკვლევები. ემზადებიან სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, როგორც კუმანიტარულ, ისე ზუსტ მეცნიერებათა დარგში.”⁴⁰

საქართველოს ებრაელთა კულტურის ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას გერცელ ბააზოვის ხელმძღვანელობით გამართული ებრაული ლიტერატურის საღამო (1938 წლის 1 იანვარი) წარმოადგენდა. ამ ფორუმს სსრკ მწერლების სახელით ლ.არშარუნი და დ.შენგელაია მიესალმა. ებრაული ლიტერატურის განვითარების შესახებ მოხსენება ი.ფეფერმა გააკეთა. სათანადო ფაქტებზე დაყრდნობით, მან ანალიზი გაუკეთა ებრაელთა რიგებში მიმდინარე კულტურულ-ეკონომიკურ ძვრებს და დასძინა: “ებრაული ნაციონალური კულტურის განვითარებისათვის, ეხლა ჩვენს კავშირში ებრაული...ლიტერატურა უკვე ითვლის 150-მდე ნაყოფიერად მომუშავე პოეტს, მწერალს, დრამატურგს.”⁴¹ საქართველოს ებრაელთა მწერლობის წარმომადგენლებმა მთელი რიგი ამოცანები დასახეს ებრაული ლიტერატურის შემდგომი განვითარების შესახებ. აღნიშნულ შეკრებაზე შექმნილ

მწერალთა საგანგებო ჯგუფს (ლ.არშარუნი – ხელმძღვანელი, პ.ალტმანი, დ.გობშტეინი, გ.კაშენცკი, მ.ხაშკევაძე, ი.ფეფერი, პ.მარკიში და გ.ბააზოვი), მშრომელ ებრაელთა ცხოვრების შესწავლა და მასზე მხატვრული ნაწარმოებების შექმნა დაევალა. ჩვენ არ შევუდგებით იმის ძიებას, თუ რომელმა ებრაელმა მწერალმა რა ხასიათის ნაწარმოები შექმნა და რა ღონეზე იქნა წარმოჩენილი ებრაელების ცხოვრებისეული სახე. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მათ მიერ დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებებში, საქართველოს ებრაელთა საქმიანობაც აისახა.

ამრიგად, ჩვენს მიერ მოტანილი მასალები და მისი ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: 1) საკოლმეურნეო მოძრაობასთან დაკავშირებით დაშვებულმა შეცდომებმა და მისგან გამოძინარე უარყოფითმა შედეგებმა საქართველოს სოფლის მეურნეობა გამოუვალი მდგომარეობის წინაშე დააყენა. გადასაწყვეტი პრობლემისადმი შაბლონური მეთოდებით მიდგომამ, საქართველოს ბუნებრივი პირობებისა და ქართველი გლეხკაცის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფენომენის უგულვებელყოფამ, ფაქტობრივად მიწის მუშა ტრადიციულ მეურნეობას ჩამოაცილა და იგი ე.წ. “სოციალისტური მეურნეობის” ძალდატანებით მუშახელად აქცია. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და სამრეწველო საწარმოებში დანერგილმა სოციალისტური შეჯიბრების სტახანოვურმა ფორმამ, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მიმართ შენიღბული ექსპლოატაციის სახე მიიღო. ყოველივე ამის მიუხედავად, სტახანოვური მოძრაობა კოლმეურნეობებსა და სამრეწველო საწარმოებში ფართოდ დამკვიდრდა. იგი მეორე და მესამე ხუთწლეულებით დასახული გეგმების შესრულების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი გახდა; 2) სტახანოვური მოძრაობისადმი (მისი უარყოფითი მხარეების მიუხედავად) ებრაელთა მხარდაჭერამ, ებრაული კოლმეურნეობების და სამრეწველო საწარმოების დაწინაურების საფუძველი შექმნა. იმავედროულად იგი ებრაული მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ნაწილობრივად გაუმჯობესების წინა პირობა გახდა; 3) ქართველი ხალხის განსაკუთრებული დახმარების შედეგს ებრაელთა კულტურის კერის – ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსება და ებრაული ინტელიგენციის შექმნა წარმოადგენდა. ამ ფაქტორმა, საქართველოს ებრაელობას მყარი ნიადაგი მოუშადა ხელოვნებაში, ლიტერატურასა და მეცნიერებაში შემდგომი წარმატებებისათვის. საქართველოს ებრაელთა კულტურული ევოლუციის დადასტურებად უნდა ჩაითვალოს ებრაელთა დრამატული კოლექტივების მიერ მაღალ ღონეზე დადგმული სპექტაკლები, თეიტნასწავლი მხატვრის შ.კობოშვილის, დრამატურგისა და ბელეტრის-

ტის გ.ბააზოვის, მწერლისა და ეთნოგრაფის რ.თავდიდიშვილის, ისტორიკოსების: ა.კრიხელის, ი.ქურჩიშვილის, მ.მამისთვალოვის, ი.პაპისმედოვის, გ.ჩაჩაშვილის და სხვათა შემოქმედება. აღნიშნულმა პიროვნებებმა თავის დროზე გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის განვითარების საქმეში.

თბილისი. 2000 წლის ივნისი

მითითებული წყაროები და ლიტერატურა

შესავალი

1. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. ტ.1. თბ. 1955. გვ.15–16
2. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ.1. თბ. 1940. გვ.160
3. იქვე. გვ. 160
4. იქვე. გვ. 161
5. გაბაზოვი. წერილები ქართველ ებრაელებზე. იხ. გაზ. “ტრიბუნა” 1923. 6, 7, 12, 16 სექტემბერი, 3 ოქტომბერი.
6. გაბაზოვი. მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობა. იხ. გაზ. “კომუნისტი” 1927. 4 დეკემბერი, 1928. 17 მაისი, 12, 28 დეკემბერი. მისივე ახალი ეპოქა მშრომელ ებრაელთა ცხოვრებაში. იხ. ჟურნ. “საბჭოთა აღმშენებლობა” 1929. №6
7. ს.პაიკინი. საქართველოს ებრაელთა დამხმარე კომიტეტი. მისი მოღვაწეობის მიმოხილვა და ანალიზი. (რუსულ ენაზე) თბ. 1933
8. ი.ქურჩიშვილი. ებრაელთა კოლმეურნეობა “წითელი გორა.” იხ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები. ტ.2 თბ.1941.
9. ი.პაპისმეღოვი. თვითნასწაველი მხატვარი შ.კობოშვილი და მისი შემოქმედება. იხ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები. ტ.2. თბ. 1941.
10. ი.პაპისმეღოვი. ნანახი, მოსმენილი, განცდილი. კავკასიონი, თელავივი.
11. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის გამოყენის მეგზური. შედგენილი: მ.პაპისთვალიშვილი, ი.ქურჩიშვილი. თბ. 1948.
12. გ.ციციშვილი. გერცელ ბაზოვი. ცხოვრება და შემოქმედება. თბ.1964.
13. ა.ციციაშვილი. სიონიზმი და საბჭოთა სინამდვილე. თბ. 1972.
14. ა.ციციაშვილი. საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული დონის ამაღლებისათვის (1921–1929 წლები). ავტორეფერატი დისერტაციისა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 1968.
15. შ.წიწუაშვილი. იუდაიზმის გადმონათობის დაძლევა და ქართველ ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება. (ხელნაწერი) 1987.

16. ზ.ჯინჯიხაშვილი. ქართველი ებრაელების ყოფა და კულტურა (კვების სისტემა). ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი 1990.
17. ქაბელაძე. ქართველ ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა 1921–1940 წწ. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.2000.
18. დბოჯგუა. გერცელ ბააზოვის ორი უცნობი წერილი. იხ. ჟურნ. “საბჭოთა ხელოვნება” 1971. №3

თავი I

ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში

1. საქართველოს პრეზიდენტის არქივი. (შემდეგში იხილეთ შემოკლებით სპა). ფ. 14. აღწ. 1. საქ. 3365. ფურც. 126
2. გაზ. “კომუნისტი” 1925. 15 იანვარი
3. მ.კალინინი. ებრაელები საბჭოთა კავშირში. თბ. 1931. გვ.8
4. ი.ქურჩიშვილი. ებრაელთა კოლმურნეობა “წითელი გორა.” იხ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები. ტ.2. თბ. 1941. გვ. 47–48
5. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 3365. ფურც. 126
6. იქვე. საქ. 3373. ფურც. 15
7. გ.ბააზოვი. ახალი ეპოქა შშრომელ ებრაელთა ცხოვრებაში. იხ. ჟურნ. “საბჭოთა აღმშენებლობა.” 1929. №6. გვ.35
8. გაზ. “კომუნისტი” 1925. 15, 17 იანვარი
9. გაზ. “კომუნისტი” 1925. 19 ნოემბერი
10. საქართველოს კომუნისტური პარტია, ცენტრალური კომიტეტის ყრილობების, კონფერენციებისა და პლენუმების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში. (რუსულ ენაზე) ტ.1. თბ. 1976. გვ.14
11. ი.აკაპარაია. საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და სახალხო მურნეობის აღდგენა საქართველოში (1921–1925). იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.7. თბ. 1976. გვ.127–128
12. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 2166. ფურც. 106

13. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდგენი იხილეთ შემოკლებით სუიცსა). ფ.284. აღწ. 1. საქ. 483. ფურც. 187-188
14. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 3373. ფურც. 5
15. იქვე. საქ. 2648. ფურც.12
16. გაზ. "კომუნისტი" 1927. 2 ივლისი
17. სრულიად საქართველოს საბჭოების V ყრილობა. (სტენოგრაფიული ანგარიში) თბ. 1927. გვ. 356
18. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 2648. ფურც.12-14
19. იქვე. საქ. 3077. ფურც.105
20. იქვე. ფურც. 2
21. გაზ. "კომუნისტი" 1928. 2 მარტი
22. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ.3072. ფურც. 15
23. სუიცსა. ფ.284. აღწ. 1. საქ. 639. ფურც.2
24. სპა. ფ.14. აღწ.1. საქ.3072. ფურც. 28
25. იქვე. საქ. 2648. ფურც. 144-145
26. იქვე. საქ. 3072. ფურც. 56
27. სუიცსა. ფ. 284. აღწ. 1. საქ. 639. ფურც. 8
28. სკკპ...რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. II. თბ. 1955. გვ.613-614
29. საქართველის კ (ბ) VI ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში) თბ. 1929. გვ.619
30. სუიცსა. ფ. 600. აღწ. 1. საქ. 1769. ფურც. 1
31. იქვე
32. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 3077. ფურც. 53
33. იქვე. ფურც. 54
34. გაზ. "კომუნისტი" 1928. 12 დეკემბერი
35. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ.3072. ფურც. 55-56
36. იქვე. საქ. 3365. ფურც. 27
37. იქვე
38. იქვე. ფურც. 43
39. იქვე. საქ. 2736. ფურც. 108
40. იქვე. საქ. 6091. ფურც. 16
41. იქვე. საქ. 2648. ფურც. 14
42. სუიცსა. ფ. 284. აღწ. 1. საქ. 2736. ფურც. 27
43. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 3373. ფურც. 43
44. იქვე
45. სუიცსა. ფ. 541. აღწ. 1. საქ. 105. ფურც. 5

46. იქვე
47. იქვე. ფ. 284. აღწ. 1. საქ. 1733. ფურც. 22
48. იქვე. ფურც. 23
49. იქვე. საქ. 525. აღწ. 1. საქ. 1. ფურც. 72
50. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 6091. ფურც. 13
51. იქვე. ფურც. 14—15
52. სუიცსა. ფ. 282. აღწ. 1. საქ. 1736. ფურც. 28—29
53. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 6091. ფურც. 13
54. იქვე. ფურც. 14
55. საქართველოს სსრ ინდუსტრიალიზაციის ისტორია. 1926—1941 წ.წ. (დოკუმენტები და მასალები). თბ. 1968. გვ. 50
56. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 2166. ფურც. 63
57. იქვე. ფურც. 12
58. სუიცსა. ფ. 541. აღწ. 1. საქ. 8. ფურც. 1
59. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 3363. ფურც. 19
60. აციციამეილი. სიონიზმი და საბჭოთა სინამდვილე. თბ. 1972. გვ. 94
61. სუიცსა. ფ. 541. აღწ. 1. საქ. 105. ფურც. 6
62. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 2648. ფურც. 88
63. სუიცსა. ფ. 541. აღწ. 1. საქ. 105. ფურც. 6
64. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 2648. ფურც. 285
65. იქვე. საქ. 3077. ფურც. 123
66. სუიცსა. ფ. 541. აღწ. 1. საქ. 505. ფურც. 6
67. იქვე. ფ. 284. აღწ. 1. საქ. 2736. ფურც. 85
68. გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი” 1928. 20 მარტი
69. სუიცსა. ფ. 525. აღწ. 1. საქ. 5143. ფურც. 4
70. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 6091. ფურც. 16
71. სუიცსა. ფ. 284. აღწ. 1. საქ. 2736. ფურც. 36
72. იქვე. ფ. 600. აღწ. 1. საქ. 5232. ფურც. 9
73. იქვე. საქ. 5097. ფურც. 5
74. იქვე. ფ. 284. აღწ. 1. საქ. 2736. ფურც. 28
75. იქვე. ფურც. 39
76. იქვე. ფ. 284. აღწ. 1. საქ. 2736. ფურც. 101
77. იქვე
78. იქვე. ფურც. 116
79. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 6091. ფურც. 16
80. იქვე
81. სუიცსა. ფ. 600. აღწ. 1. საქ. 5232. ფურც. 9

82. იქვე. ფურც. 4
83. იქვე. ფ. 525. აღწ. 1. საქ. 6. ფურც. 67
84. იქვე. ფ. 600. აღწ. 1. საქ. 5232. ფურც. 1
85. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 2166. ფურც. 105
86. იქვე. საქ. 2648. ფურც. 181
87. იქვე. ფურც. 182
88. იქვე. საქ. 3077. ფურც. 7
89. იქვე. საქ. 3074. ფურც. 134
90. სუიცსა. ფ. 284. აღწ. 1. საქ. 2736. ფურც. 29
91. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 6091. ფურც. 16
92. გაზ. "კომუნისტი" 1928. 11 მაისი
93. იქვე
94. იქვე
95. იქვე
96. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 2736. ფურც. 172
97. გაზ. "კომუნისტი" 1928. 15 მაისი
98. იქვე
99. იქვე. 12 მაისი
100. იქვე
101. იქვე. 15 მაისი
102. იქვე. 17 მაისი
103. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 3077. ფურც. 109
104. გაზ. "კომუნისტი" 1928. 1 ივლისი
105. გაზ. "კომუნისტი" 1928. 20 დეკემბერი.

თავი II

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა საქართველოს ებრაელებში

1. დბაზოვი. ეროვნულ უმცირესობათა საკითხი და საქართველოს ებრაელობა. იხ. გაზ. "კომუნისტი" 1923 წ. 2 აგვისტო. ებრაელთა კულტურული და ეკონომიკური განვითარების საკითხებთან მიმართებაში, წერილის ავტორი, ებრაელებისათვის ტერიტორიული ან კულტურული ავტონომიის მიზანშეწონილობის შესახებ გამოთქვამდა მოსაზრებას. ანალოგიური თვალ-

საზრისი იყო გატარებული გ.ბააზოვის მიერ გაზ. “ტრიბუნაში” გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში— “წერილები საქართველოს ებრაელებზე.” აღნიშნული საკითხი, იმ პერიოდის საგაზეთო პუბლიკაციის ფარგლებს არ გასცდენია. ხელისუფლების მხრიდან, ამ მიმართულებით რაიმე პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა, ეთნიკური უმცირესობებით აჭრელებული საქართველოსათვის, არა თუ მიუღებელი იყო, არამედ დამღუპველი აღმოჩნდებოდა.

2. გ.ბააზოვი. წერილები საქართველოს ებრაელებზე. იხ. გაზ. “ტრიბუნა” 1923. 6, 7, 8, 16 სექტემბერი.
3. გაზ. “კომუნისტი” 1928. 2 აგვისტო
4. გაზ. “ტრიბუნა” 1923. 6, 7, 16 სექტემბერი.
5. იქვე. 6 სექტემბერი
6. იქვე. 16 სექტემბერი
7. იქვე
8. იქვე
9. იქვე
10. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ქუთაისის ფილიალი ფ. 296. საქ. 435. ფურც. 26—28
11. იქვე. ფ. 1004. საქ. 435. ფურც. 1
12. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 2166. ფურც. 62
13. გაზ. “კომუნისტი” 1925. 26 ნოემბერი
14. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 2166. ფურც. 64
15. გაზ. “კომუნისტი” 1925. 6 ოქტომბერი
16. იქვე
17. იქვე
18. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 2166. ფურც. 64
19. იქვე. ფურც. 65
20. იქვე. ფურც. 105
21. იქვე. ფურც. 66
22. იქვე
23. გაზ. “კომუნისტი” 1926. 12 იანვარი
24. იქვე
25. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 2166. ფურც. 61
26. იქვე
27. იქვე. ფურც. 106
28. იქვე. საქ. 1758. ფურც. 951

29. საბჭოთა საქართველო. 10 წელი. თბ. 1931. გვ. 14
30. გბრეგაძე. საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება. თბ. 1970. გვ. 186
31. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 1758. ფურც. 951
32. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი" 1926. 13 აპრილი
33. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 3373. ფურც. 6
34. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 2648. ფურც. 135
35. იქვე. საქ. 3373. ფურც. 41
36. იქვე.
37. იქვე. ფურც. 42
38. საქართველოს კპ (ბ) VI ყრილობის რეზოლუციები. თბ. 1929. გვ.7
39. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 3373. ფურც. 42
40. გაზ. "კომუნისტი" 1929. 17 ოქტომბერი
41. სუიცსა. ფ. 541. აღწ. 1. საქ.79. ფურც. 93
42. იქვე. საქ. 6091. ფურც. 14
43. იქვე. ფ. 284. აღწ. 1. საქ. 3072. ფურც. 2
44. ახაჩიძე. საქართველოს მოსახლეობა 1926, 1936 წლების აღწერის მიხედვით და 1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერის ამოცანები. თბ. 1959. გვ. 22-23
45. სპა. ფ.14. აღწ. 1. საქ. 2166. ფურც. 105
46. იქვე. ფურც. 108
47. გაზ. "კომუნისტი" 1926. 23 ნოემბერი
48. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 2648. ფურც. 115
49. იქვე. ფურც. 173-174
50. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი" 1928. 14 თებერვალი
51. აციციაშვილი. დასახელებული ნაშრომი. გვ.102-103
52. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი" 1928. 20 მარტი
53. ი.სუფიაშვილი. ახალი გზით. იხ. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი" 1929. 17 იანვარი
54. ვ. გუგუშვილი. ებრაელი ახალგაზრდები სენაკის მაზრაში. იხ. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი" 1929. 10 იანვარი
55. ვ.გოგუაძე. მეტი ყურადღება ებრაელ ახალგაზრდობას. იხ. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი" 1929. 17 იანვარი
56. იქვე
57. აციციაშვილი. დასახელებული ნაშრომი. გვ. 102
58. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი" 1926. 13 აპრილი
59. იქვე

60. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 3373. ფურც. 66
61. სუიცსა. ფ. 541. აღწ. 1. საქ. 105. ფურც. 6
62. სუიცსა. ფ. 284. აღწ. 1. საქ. 2736. ფურც. 28
63. აციციაშვილი. დასახელებული ნაშრომი. გვ. 119
64. სუიცსა. ფ. 541. აღწ. 1. საქ. 299. ფურც. 45
65. იქვე. საქ. 1598. ფურც. 117

თავი III

ებრაელთა მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის სფეროში

1. სკკპ ყრილობების...რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. III. თბ. 1956. გვ.281
2. სუიცსა. ფ. 541. აღწ. 1 საქ. 8. ფურც. 4
3. გაზ. "კომუნისტი" 1933. 2 ოქტომბერი
4. სუიცსა. ფ. 284. აღწ. 1. საქ. 2736. ფურც. 108
5. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები. ტ. 2. თბ. 1941. გვ. 66
6. იქვე. გვ.67
7. ს.ჩხარტიშვილი. ა.იაკობიძე. სტახანოვიური მოძრაობის განვითარება საქართველოში. თბ. 1985. გვ. 16
8. ი.სტალინი. ლენინიზმის საკითხები (მეთერთმეტე გამოცემა). თბ. 1952. გვ. 623
9. სკკპ...რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. III. გვ.372
10. სპა. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 6091. ფურც. 13
11. სუიცსა. ფ. 541. აღწ. 1. საქ. 299. ფურც. 2
12. გაზ. "კომუნისტი" 1937. 24 მაისი
13. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები. ტ. 2. გვ. 75
14. გაზ. "სოციალისტური შეტევა" 1938. 12 აგვისტო
15. იქვე
16. მ.კალინინი. მიწისმუშა ებრაელები სსრ ერთა კავშირში. (მეორე გამოცემა) გვ. 8
17. სუიცსა. ფ. 525. აღწ. 1. საქ. 805. ფურც. 15
18. აციციაშვილი. დასახელებული ნაშრომი. გვ. 96

19. იქვე
20. გაზ. "სოციალისტური შეტევა" 1939. 7 ოქტომბერი
21. გ.ციციშვილი. გერცელ ბაზოვი. ცხოვრება და შემოქმედება. თბ. 1964. გვ. 12
22. ლ.ბოჯგუა. გერცელ ბაზოვის ორი უცნობი წერილი. იხ. ჟურნ. "საბჭოთა ხელოვნება" 1971. №3. გვ. 81
23. იქვე
24. ჟურნ. "თეატრი და ხელოვნება" 1925. №5. გვ.20
25. ა.ციციშვილი. დასახელებული ნაშრომი. გვ.118–119
26. შ.წიწუაშვილი. იუდაიზმის გადმონაშთების დაძლევა და ქართველ ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება. (ხელნაწერი) 1987. გვ. 106
27. იქვე
28. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის გამოფენის მეგზური. შემდგენელნი:მ.ამაბისთვალიშვილი, ი.ქურჩიშვილი.გვ. 49–53
29. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები. ტ. 2. გვ. 106
30. შ.წიწუაშვილი. დასახელებული ნაშრომი. გვ. 85
31. გ.ციციშვილი. დასახელებული ნაშრომი. გვ. 17
32. იქვე. გვ. 5
33. იქვე. გვ. 3
34. ლიტერატურული აღმანახი, ძღვნად საქართველოს ღარებკომის მოღვაწეობის 5 წლისთავს. თბ. 1933
35. ა.ციციშვილი. დასახელებული ნაშრომი. გვ. 125
36. რ.თავდიდიშვილი. ეთნოგრაფიული ნარკვევები ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან. თბ. 1940. გვ. 4
37. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის გამოფენის მეგზური. თბ. 1948
38. გაზ. "კომუნისტი" 1938. 4 იანვარი
39. ა.ციციშვილი. დასახელებული ნაშრომი. გვ. 121
40. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები. ტ. 2. გვ.XVII
41. გაზ. "კომუნისტი" 1938. 4 იანვარი

დოკუმენტები

1926 წელი. ქუთაისის სამაზრო კომიტეტის წერილი №242.
საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ
კომიტეტს

ქ.ქუთაისში და მის მაზრაში მცირე ეროვნებათა მხრივ არის მხოლოდ ებრაული მოსახლეობა, რომელიც შეადგენს საგრძნობ ნაწილს, დაახლოებით 15 ათასს სულს. მათ შორის მუშაობის წარმოებას იმ თავითვე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. შექმნილი იყო ებრაულ ინტელიგენტთა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც პარტიული კომიტეტის მიერ მიმაგრებული ამხანაგის უშუალო ხელმძღვანელობით აწარმოებდა მუშაობას ებრაელთა კულტურული და ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გახსნილი იყო ებრაელებისათვის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, რომელშიაც წერა-კითხვა შეისწავლა სამოცამდე ახალგაზრდამ. განზრახული იყო და დადგენილებაც აღმასკომისა, გაგვეხსნა ებრაელებისათვის ცალკე შრომის სკოლა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა უსახსრობის გამო. ყოველივე ამას ვუშვებდით იმისათვის, რომ ანგარიშს ვუწვედით ებრაულ რელიგიასა და ტრადიცია-ჩვეულებებს, რომლის გამო ისინი ნაკლებად გზავნიდნენ თავიანთ შვილებს სხვა სასწავლებლებში.

მუშაობას აწარმოებდა ქალთა განყოფილება. ებრაელ ქალთა შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ებრაელი ახალგაზრდების მიღებას კომკავშირში. ყოველივე ზემოთ თქმულ მუშაობას ცოტა დადებითი შედეგები მოქონდა, რომლის უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ებრაელთა რელიგიური ფანატიზმი, ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები, საერთოდ მათი ჩამორჩენილობა, რომლის რკალის გარღვევაც ძალიან ძნელია.

უკანასკნელ ხანებში, როგორც ვიცით, მთელს საქართველოში და კერძოდ, ქუთაისშიაც თვით ებრაელთა შორის გაჩნდა ორი ჯგუფი—მიმდინარეობა. ორივე მათგანი ერთს უმთავრეს აღნიშნავდნენ, რომ უკანასკნელ ხანებში ძალიან მწვავე ხდება ებრაელთა ეკონომიური მდგომარეობა. ისინი ძალიან დიდ კრიზისს განიცდიან, მეორეს მხრივ განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სჭირდება ებრაელთა შორის კულტურული მუშაობის გაღრმავებას.

ორივე აღნიშნული ჯგუფები ამ კითხვების მოგვარებას და გადაჭრას სხვადასხვაგვარად უდგებიან და ფიქრობენ: პირველი ამტკიცებს: ებრაელობა

ცალკე ერია- ის ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენს საქართველოში, მას ისეთივე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და უფლებები ეძლეოდეს, როგორც აქვს სხვა პატარა ერებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მინიჭებული. აქედან გამომდინარე მოითხოვენ: კულტურული მუშაობის გაღრმავების მიზნით ცალკე ებრაული სკოლების დაარსებას და მასში ებრაული ენის, როგორც საგნის სწავლების შემოღებას, ცალკე ებრაული კლუბების გახსნას და სხვ.

მეორე ჯგუფი ამტკიცებს, რომ ებრაელები ქართველებია. განსხვავება მხოლოდ სარწმუნოებაშია. აქედან გამომდინარე ისინი მოითხოვენ: ებრაელთა ბავშვები სწავლობდნენ საერთო სასწავლებლებში, ებრაელთა ეკონომიური მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს ისე, როგორც საბჭოთა საქართველოს დანარჩენი მცხოვრებლების. არავითარი ცალკე სკოლები, კოოპერატივები, კლუბები და არტელების შექმნა არ არის საჭირო. პირველი ჯგუფი მეორეს უკიჟინებს, რომ...ხახამები, რაქბინები და მათი ოპოზიცია იმიტომ არის ასეთი, რომ სურთ ისევ მათ მიერ იყოს ებრაული ენის სწავლება—სარწმუნოებრივი ენითო. მეორე ჯგუფი პირველს უმტკუცებს, რომ ისინი სიონისტებია და სურთ ქართველი ისრაელების საქართველოდან გადასახლებაო. ასეთია ეს ორი მიმდინარეობა, რომელთა შესახებაც არ შეიძლება ჯერ გარკვეული შეხედულების ქონა მათი პოზიციების ბუნდოვანობის გამო.

მეორე ჯგუფი ეს არის, რომელთა განცხადება და წერილი მიხ. ხანანაშვილისა გამოქვეყნებული იყო (გაზ. “კომუნისტი” 1926 წლის 12 იანვარი № 8). ამ ჯგუფთა ბრძოლა უკანასკნელ ხანებში მწვავე ხასიათს ღებულობს. როგორც ერთი ისე მეორენი იწვევენ კრებებს, ეწვეიან ხალხში აგიტაციას. ცდილობენ მოაწერინონ ხელი მათ დეკლარაციაზე თუ პროექტზე, რომ გაგზავნონ შემდეგ მთავრობაში. ეს საკითხი უკვე პოლიტიკურ ხასიათს ღებულობს, ამიტომაც ის დაისვა პარტკომის წინაშე, რომლის მიერ გამოყოფილი იქნა კომისია ამ კითხვის შესასწავლად და პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენ არა გვაქვს ამ საკითხში კონკრეტულად მოცემული ცეკას მიერ პარტიული ხაზი და სათანადო ღირებულებები, რომლის მიხედვით შეიძლებოდეს მიდგომა საკითხის გადასაჭრელად. როგორც ვიცით, ამავე საკითხის მოსაგვარებლად ცეკას მიერ გამოყოფილია სპეციალური კომისია.

პარტიული კომიტეტი გთხოვთ გვაცნობოთ, თუ როგორია კომისიის მუშაობის შედეგი, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის მხრივ, მათი აზრით რომელი ჯგუფი იქნეს დასაყრდენი უმთავრესად ხელისუფლებისათვის და

საერთოდ მოგვცეთ დირექტივები და მიგვიითოდ ამ საკითხისადმი მიდგომის კონკრეტულ ღონისძიებებზე.

მღივანი: სააგიტაციო საპრ. განყოფ. გამგე: ხელმოწერილია.

№2

1926 წელი. ებრაელი ინტელიგენციის საინიციატივო ჯგუფის წერილი საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ებრაელთა კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ.

ყველასათვის ცნობილია საქართველოს ებრაელების მეტისმეტი კულტურული ჩამორჩენილობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ებრაელების ფართო მასაში დიდი გავლენა აქვს რელიგიურ ფანატიზმს და სასულიერო სექტანტურ მიდრეკილებას. ამ გავლენის უშუალო შედეგია ის, რომ ფანატიზმით უადრესად გაუღენთილი მასა, მისი ყოფა-ცხოვრების ირგვლივ ქმნის ჩინურ კედლებს, რაც თავის თავად იწვევს ებრაელთა ერის თავისებურ “სპეციალურ იზოლაციას” სხვა ერებთან დამოკიდებულებაში (“გეტო”). მიზეზები საქართველოს ებრაელების ასეთი უკულტურობის და სიბნელეში ყოფნისა მართლაც რომ ძლიერ საინტერესოა, რადგან ისინი უეჭველად უფრო სუბიექტური ხასიათისა უნდა იყოს ვინემ ობიექტური; ვინაიდან ებრაელების გარშემო შექმნილი ობიექტური მდგომარეობა უმეტეს შემთხვევაში არა თუ ხელს უწყობდა მისი კულტურული ღონის დაქვეითებას, არამედ პირიქით, ხელსაც უშლიდა ნაწილობრივ მაინც ებრაელთა მასის სიბნელეში დატოვებას.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი ჩვენში უკულტურობისა ის არის, რომ ჩვენი მოზარდი თაობა და განსაკუთრებით მათი შვილები არ ეტანებიან სწავლა-განათლებას. ისინი თავიანთ ბავშვებს მარტო წერა-კითხვას ასწავლიან დაბალი საფეხურის სკოლებში, რითაც სრულებით კმაყოფილდებიან და ამიტომ მიაღწევენ რა ბავშვი მეორე ან მესამე ჯგუფებს ოთხწლედებისას მას აუცილებლად ატოვებინებენ სკოლის კედლებს. ბავშვის მშობლები ჩადიან რა ამას, გამოდიან იმ მოსაზრებიდან, რომ მათი ბავშვი დაბალი საფეხურის სკოლის პირველ ჯგუფში ყოფნის დროს, თუ კიდევაც ჩადის “ცოდვებს” (აქ მხედველობაში გვაქვს ფანატიკურ-სექტანტურ

თვალსაზრისიდან გამომდინარე შეხედულება, ებრაელი ბავშვების შაბათსა და სხვა ებრაულ უქმე დღეებში მეცადინეობის გამო) ეს კიდევ არაფერს ნიშნავს, სანამ ის პატარაა და ამავე დროს ეს ბავშვი სწავლობს პარალელურად ებრაულ ენას “ხახამ მასწავლებელთან.” როდესაც ბავშვი შეისწავლის უბრალო წერა-კითხვას და ელემენტარულ ანგარიშსს, რაც მშობლების აზრით გამოადგება მას ცხოვრებაში, მაშინ ბავშვი გამოყავთ სკოლიდან, აძლევენ ხელში “პაპიროსის ფულს” ან “ჩისტს” ანდა წერილმან საქონლით მოწყობილ მაგიდას; ებრაული ენის სწავლებას კი ის აუცილებლად განაგრძობს კიდევ რამდენიმე წელს.

უმეტესი ნაწილი ებრაული მასისა, სრულიადაც არ აძლევს თავიანთ ბავშვებს არცერთ სკოლაში და ქართულ წერა-კითხვას ასწავლის “შინაური წესით.” მხოლოდ ებრაულ ენას კი ასწავლის აუცილებლად, რასაკვირველია ხახამების საშუალებით.

უმთავრესი მიზეზი ჩვენი საზოგადოების კულტურული დონის დაქვეითებისა და მასში ფანატიკურ-სექტანტური გავლენის არსებობისა არის ის ძველთაგან ძველი “დაკანონებული” მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება შემდეგში: ებრაული ენის მოზარდ თაობისათვის სწავლება უძველეს დროიდან დღემდე ხელში აქვთ ჩადებული სასულიერო წოდებას, რომელსაც თავი მოაქვს და ფაქტიურად დღევანდლამდე არის კიდევ. როგორც ერთადერთი მონოპოლისტი ამ ენის ებრაელ ბავშვთა გადაცემაში. ასეთი მონოპოლია მათ მიერ არის გამოყენებული მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ ებრაელ ბავშვებზე როდესაც ის (ხახამი) ასწავლის ამ ენას ახდენს კოლოსალურ გავლენას მის გონებრივ განვითარებაზე და ახვევს რელიგიური ფანატიზმის გამოუვალ ბურუსში.

მეტის მეტად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა ებრაელი ბავშვი; რომელიც იმყოფება 6-7 წლის განმავლობაში ამ თავიანთ უვიც მასწავლებელთა (ხახამების) ხელში სწავლობს მასთან ამ ენაზე წერა-კითხვის გარდა მთელ რიგ თანამედროვე მეცნიერების დარგებს, როგორიცაა ასტრონომია, მედიცინა, ისტორია, გეოგრაფია, ბუნება და სხვ. ეს მეცადინეობა ხდება ჯერ ერთი უძველეს ებრაელთა ბაბილონის ტყვეობის დროს შექმნილი მეცნიერების მსოფლმხედველობით, და მეორე სქოლატური და თეოლოგიური მეთოდით. რასაკვირველია აქ ადგილი არა აქვს თანამედროვე მეცნიერების განვითარების შესწავლას, აღზრდის სფეროში კი თანამედროვე პედაგოგიკის მიღწევებს. ყველა ეს მეცნიერებანი არის აგებული მეტაფიზიკურ და ზებუნებრივ ნიადაგზე, და ამგვარის სწავლის შედეგია, რომ ბავშვის გონება შეპყრობილია “ღვთაებრივი ჰიპნოზით” და

მის არსებაში რელიგიურ სექტანტურ ფანატიზმს ღრმად აქვს გადგმული მაგარი ფესვები.

სწორედაც ეს ორი უმთავრესი სუბიექტური მიზეზებია საქართველოს ებრაელთა ასეთი შეუწყნარებელი კულტურული ჩამორჩენილობისა. ჩვენ ებრაელ ინტელიგენციას მიგვაჩნია აუცილებელ და უსაჭიროეს ზომად რათა აღმოფხვრილ იქნეს უმთავრესი სუბიექტური მიზეზები ჩვენი საზოგადოების კულტურულად ჩამორჩენილობისა და დაკნინებისა. ებრაული ენის სწავლების გადაყვანა თანამედროვე მეცნიერულ ნიადაგზე, რაც ჩვენს სასულიერო წოდებას თანდათანობით ხელიდან გამოაცლის უმთავრეს იარაღს მოზარდ თაობაზე რელიგიური ზეგავლენის მოსახდენად.

პრაქტიკულ ზომად ჩვენ მიგვაჩნია: საქართველოს ებრაელებისათვის შრომის სკოლების გახსნა, სადაც ყველა საგნების სწავლება იქნება ქართულ ენაზე. ხოლო სავალდებულო საგნებად იქნება ებრაული ენა და ისტორია. შაბათობით და უქმე დღეებში სკოლაში სწავლა არ იქნება. ეს პრაქტიკული ზომა, რომ მართლაც ზედმიწევნით სწორია, ამას ამტკიცებს თვით ის ფაქტიც, რომ ხაზამები და მათი დამქაშები სასულიერო სექტის სახით ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ხელი შეუშალონ ასეთი სკოლის გახსნას და განსაკუთრებით ებრაული ენის შემოღებას ამ სკოლებში.

ეს პირები, რათა თავიდან აიცილონ ის საშიშროება, რომელიც მათ მოელოთ ამ ზომების გატარების დროს, ცდილობენ ვერაგულად მოატყუონ ხელისუფლება იმაში, რომ ვითომ ებრაელი ხალხი წინააღმდეგია ებრაული ენის და არა სურს ენაო. (იგულისხმება ამ ენის შემოღება ებრაელთა სკოლებში). ნამდვილად კი ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი ხალხი-უძველეს დროიდან დღევანდლამდე დიდი სათნოებით მისდევს ამ ენის შესწავლის საქმეს, და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს რათა ამ ენის მეცადინეობა ყოფილიყო რაც შეიძლება ფართოდ დაყენებული. აგრეთვე მთელი მასა მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა, თავის ერთადერთ მოვალეობად სთვლიდა და სთვლის შეეტანა თავისი წვლილი, რათა ამ ენის უსწავლელი არ დარჩენილიყო არცერთი ებრაელი ბავში. და ისინი (ხაზამები და მათი დამქაშები) მოქმედებენ ასეთი მოტყვილების გზით, მათ აინტერესებთ, რომ ებრაული ენის სწავლების მონოპოლია ძველებურად დარჩეს მათ ხელში. კულტურულ სფეროში პრაქტიკულ ზომებს შორის, გარდა ებრაული შრომის სკოლების გახსნისა, ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ ებრაელი ახალგაზრდობისათვის კლუბებისა და სამკითხველოების გახსნა. რაც შეეხება ეკონომიურ სფეროში ჩვენი ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, აქ ჩვენ მიგვაჩნია მიექცეს

ყურადღება იმ ხაზს, რომელიც თანდათანობით და აჩქარებულ ტემპით გადაიყვანს ებრაელთა ფართო მასას შრომის რელსებზე.

ასეთი ხაზი უკანასკნელად დაანგრევს “გეტოს” ჩინურ კედლებს და ებრაელებს ნაწილობრივ მაინც გამოიყვანს ჩარჩულ ვაჭრუკანულ მდგომარეობიდან, რაც თავისთავად გასწევს წინ შრომის საფუძვლებზე აგებულ საზოგადოებრიობისაკენ. პრაქტიკულ ზომად ეკონომიურ სფეროში მიგვაჩნია შემდეგი: 1. შრომის არტელების დაარსება ებრაელებისათვის, სადაც ყოფილ წვრილ ვაჭრებს და მშრომელ ელემენტებს მიეცემა საშუალება ჩაწერისა. 2. პატარა კომუნების (კოლექტივების) შექმნა მიწის დასამუშავებლად, მაგალითად: ბაღები, ვენახები და სხვ. 3. სახელოსნო სკოლებში ახალგაზრდების მოთავსება. 4. კოოპერატივებში და აგრეთვე სხვა სამსახურში ებრაელთა მიღების დროს მათ არ მიუდგნენ როგორც არამშრომელ ელემენტებს (ნამდვილად კი განსაკუთრებულ გარკვეულ პროფესიის არმქონენი). 5. შემუშავებული იქნას წესი, რომლის ძალითაც საშუალება მიეცეს ებრაელთა ფართო მასას საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღებაში, როგორც ქალაქად ისე სოფლად. 6. ებრაელთა ქუჩაზე იქნეს გახსნილი უფასო ამბულატორიები, იქ სადაც საჭიროა.

ჩვენ მივუთითებთ საბჭოთა ხელისუფლებას, რათა ღირსეულად გაითვალისწინოს მთელი უბედურება საქართველოს ებრაელებისა და დააყენონ ისინი ნამდვილ კულტურულ-ეკონომიურ აღორძინების გზაზე, რომ ამით საშუალოდ გადაჭრან ადგილობრივ ეს “ავადმყოფური საკითხი.” ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ცენტრალურ მთავრობასთან ერთად, სადაც ეს საკითხი გადაწყვეტის პერიოდშია, ქუთაისის პარტკომიც გაითვალისწინებს ებრაელების მდგომარეობას და ამით მის მომავალს არ დასტოვებს ალაღბებულზე.

საინიციატივო ჯგუფი.

9 თებერვალი, 1926 წ.

ქ. ქუთაისი

1926 წელი. ქუთაისის ებრაელთა ინტელიგენციის წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ჩვენ ქუთაისის ებრაელთა ინტელიგენცია სიხარულით და აღტაცებით ვეგებებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, საქართველოს ებრაელთა შორის კულტურული მუშაობის დაწყებაზედ სპეციალური კომისიის გამოყოფას, ამ საკითხების შესასწავლად და ცხოვრებაში გასატარებლად. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ხსენებული კომისია განიხილავს რა ებრაელთა ყველა საჭირობო საკითხებს, მიუღება მას რევოლუციონური თვალსაზრისით და გამოძების შესაფერის ზომებს. საქართველოს ებრაელობა, რომელიც ყოველთვის ხასიათდება როგორც კულტურულად ძალზე ჩამოქვეითებული, ჩვენი სურვილი იქნებოდა საქართველოს ებრაელობა გამოგლეჯილი იქნეს უვიცობის, სიბნელის და უკულტურობის კლანჭებისგან, რომელშიდაც ის დღემდე იმყოფება. აგრეთვე ეკონომიურად მათი მდგომარეობის შემსუბუქების მხრივ მიაქცევთ ყურადღებას იმ ხაზს, რაც თანდათანობით და აჩქარებული ტემპით გადაიყვანს ებრაელთა ფართო მასას “შრომის რელსებზე,” მაგრამ ებრაელთა სასულიერო სექტამ და მათმა დამქაშებმა “ხალხის მოამაგენმა” გაიგო რა, რომ მმართველი პარტიის მიერ გადადგმულია სათანადო ნაბიჯი, რომელიც არა თუ შეარხევს საქართველოს ებრაელთა საზოგადოებრიობის დაყენებულ მყრალ ტბას, არამედ რევოლუციონური ბიძგით, რომლის მთავარი იარაღი იქნება ბნელ—უვიც მასებში კულტურისა და ცოდნის ცხოველყოფელი სხივების შეტანა, საძირკვლიანად შეატორტმანებს და სულ მოკლე ხანში სრულიადაც მოსპობს ფანატიზმის და უკულტურობის უსაზღვრო გავლენას, რომელსაც ახდენენ საქართველოს ებრაელებზე ხახამები, სასულიერო სექტა და მათი დამქაშები. რასაკვირველია, ასეთი განზრახვა ხელისუფლებისა მათ არ მოსწონთ და შეუდგენენ მთელი თავისი ძალღონით ცდას, რათა ეს განზრახვა ხელისუფლების, რადაც არ უნდა დაუჯდეს, თავიდან აიცილონ. ამისათვის ისინი აგზავნიან საპროტესტო განცხადებებს, რომლებშიდაც წინააღმდეგობას გამოსთქვამენ კომისიაში დასმულ საკითხებზედ. განსაკუთრებით ილაშქრებენ ებრაული შრომის სკოლების დაარსებისა და მათში ებრაული ენის სწავლის წინააღმდეგე. ესენი დაირაზმენ და

სასწრაფოდ გაგზავნეს თავიანთი ხალხი (ხახამები) დასავლეთ საქართველოს პროვინციებში. მათი დამქაშების და რელიგიური ზეგავლენის წყალობით (“ცოდვას ნუ ჩადინართ, ღმერთის მოიშიშეთ, თორემ ზეციდან კარგი არ მოგივათ”) ამხედრებენ რელიგიურ ბურუსში გახვეულ ხალხს ყოველგვარი კულტურული ნაბიჯის წინააღმდეგ.

უმთავრესად ხსენებული სასულიერო სექტა ილაშქრებს ებრაული ენის წინააღმდეგ და საკითხს აყენებს ისე, ვითომც ხალხს არ სურდეს ამ ენის შესწავლა. ნამდვილად კი საქართველოს ებრაელების სინამდვილეში ებრაული ენის საკითხი სრულიადაც არ ღვას ისე, სურთ თუ არა მას ეს ენა, არამედ პირიქით, ამ ენას უძველეს დროიდან დღევანდლამდე ჩვენი ხალხი დიდის სათნოებით მისდევს და თითქმის ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ამ ენის შესასწავლად, აგრეთვე მთელი მასა, მიუხედავად სოციალური მდგომარეობისა, თავის ერთადერთ წმინდა მოვალეობად სთვლიდა შეეტანა თავისი წვლილი, რათა ამ ენის უსწავლელი არ დარჩენილიყო არცერთი ბავშვი.

სამწუხაროდ ამ ენის შესწავლა უძველეს დროიდან დღემდე ხელში აქვთ ჩაგდებული სასულიერო წოდებას, რომელიც აცხადებს თავს და ფაქტიურადაც დღესაც ასე არის, მონოპოლიად ამ ენის ებრაელი ბავშვების სწავლებაში. ასეთი მონოპოლია მათ მიერ არის გამოყენებული მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის რომ ებრაელ ბავშვზე, რომელსაც ის (ხახამი) ასწავლის ამ ენას, მოახდინოს კოლოსალური გავლენა მის გონებრივ განვითარებაზე, გაახვიოს ის რელიგიური ფანატიზმის გამოუვალ ბურუსში.

მეტის მეტად აღსანიშნავი არის ის ფაქტიც, რომ ბავშვი იმყოფება მთელი ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში ამ თვითონ უეც და უბადრუკ მასწავლებელთა ხელში, სწავლობს მასთან ამ ენაზე. წერა-კითხვის გარდა, აგრეთვე მთელ რიგს თანამედროვე მეცნიერების დარგებს, როგორცაა: ასტრონომია, მედიცინა, ისტორია, გეოგრაფია, ბუნება და სხვა. ეს სწავლება ხდება ჯერ ერთი, უძველეს ებრაელთა ბაბილონის ტყვეობის დროს შექმნილი მეცნიერების მსოფლმხედველობით, და მეორე, უძველესი სქოლასტიური მეთოდით. რასაკვირველია აქ ადგილი არ აქვს თანამედროვე მეცნიერების განვითარების შესწავლას და აღზრდის სფეროში თანამედროვე პედაგოგიკის მიღწევებს. ყველა ეს მეცნიერებანი არის აგებული მეტაფიზიკურ, ზებუნებრივ ნიადაგზე და ამგვარი სწავლების შედეგია ის, რომ ბავშვი შეპყრობილია “ღვთაებრივი” ჰიპნოზით და მის მთელ არსებაში რელიგიურ სექტანტურ ფანატიზმს ღრმად აქვს გადგმული მაგარი ფესვები, რომელიც ღაღადებს ებრაელთა ერის თავისებურ იზოლაციას

სხვა ერებთან დამოკიდებულებაში. ეს ჰქმნის ჩინურ კედლებისდამაგვარ “გეტოს” თავისი განსაკუთრებული, დღევანდელ პირობებში წარმოუდგენელი ყოფა-ცხოვრებით. სწორედაც საუკუნეების განმავლობაში ებრაელ მოზარდთათვის ებრაული ენის და საერთოდ მეცნიერების ასეთ დამახინჯებულ ფარგლებში მეცადინეობის დაწყების შედეგია საქართველოს ებრაელთა ასეთი შეუწყნარებელი კულტურული ჩამორჩენილობა.

და როდესაც ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოყოფილი კომისიის წინაშე საკითხს აყენებენ ისე ვითომც, ხალხს არ სურდეს ებრაული ენა, ეს იმას ნიშნავს, რომ საკითხის ასე დამყენებელს სურს კერაგულად მოატყუოს ხსენებული კომისია, რათა დაფაროს ისეთი მეტისმეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, როგორიცაა ებრაული ენის და ამ ენაზე სხვადასხვა მეცნიერების შესწავლა უძველესი და საშვალო საუკუნეების მეთოდით, რომელიც სწარმოებდა და დღესაც სწარმოებს ხახამ მასწავლებლების მიერ. მოტყუება იმაში, რომ ხახამებს, სასულიერო სექტას და მათ დამქაშებს სურთ დაარწმუნონ ხელისუფლება, ვითომცდა საქართველოს ებრაელებს არ სურთ ებრაული ენა და მით ხელი ააღებინონ ხელისუფლებას იმ სწორ განზრახვაზე, როგორიცაა ებრაელ ბავშვთათვის შრომის სკოლების გახსნა და ებრაული ენის შესწავლის გადაყვანა თანამედროვე მეცნიერულ ნიადაგზე. ამით მათ სურთ შეინარჩუნონ არსებული მდგომარეობა, რომლითაც არა ოფიციალურად, მაგრამ კიდევ მაინც დარჩებიან ერთადერთ მონოპოლისტად ებრაული ენის და ამ ენაზე სხვა მეცნიერების შესწავლაში. დღევანდელი სინამდვილე ნათლად გვარწმუნებს ჩვენ ამ მოსაზრების აშკარა ჭეშმარიტებაში. სულ ახლო წარსული, მენშევიკური ხელისუფლების დროს მათი ოფიციალური ბრძოლა და გამარჯვებაც ამ მონოპოლიის შენარჩუნების გასაგრძელებლად, კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია მათი ფარული განზრახვისა. ცხადია, დღეს საბჭოთა წყობილების სინამდვილეში ვერ ბედავენ გამოილაშქრონ ისე პირდაპირ, როგორც ჩადიოდნენ მენშევიკების დროს. მათ თავიანთი მიზნების მისაღწევ იარაღად, ნაცვლად აშკარა გამოლაშქრებისა დარჩენიან ზემოთ მოხსენიებული უილაჯო მოტყუების გზა.

ამ შემთხვევაში ხახამების მიერ გამოყენებული არის რიცხვად სულ სამი პიროვნება, რომლებიც მენშევიკების ხელისუფლების დროს, ქართულ შოვინისტურ პრესაში ატარებდნენ იმ თვალსაზრისს, ვითომც საქართველოს ებრაელობა ეროვნებით ქართველებს შეადგენდნენ. ეს პირები ერთხელ და სამუდამოდ იყვნენ ალაგმულნი ებრაული საზოგადოებიდან თვით მასის მიერ, როგორც სრულიად უნიადაგო იდეების მატარებელნი. ეს პირები, როგორც გაბატონებული ებრაული ბურჟუაზიის წრიდან გამოსუ-

ლი ქართველ ბურჟუაზიასთან ერთად ატარებენ თავიანთ კლასობრივ ხაზს, ქართული შოვინისტური პარტიების გულის მოსაგებად, რომლებშიც ისინი ირიცხებოდნენ აქტიურ წევრებად, უშუალოდ ცდილობდნენ თავიანთი უნიადაგო აზრების და იდეების გავრცელებას. მაგრამ, დღეს ჩვენმა სასულიერო სექტანტებმა, რათა აიცილონ თავიდან ებრაული ენის მონოპოლიის ჩამორთმევა, დროებით ამოიღეს დამტკვერიანებული ისტორიული არქივიდან ერთ დროს, თვით მათ მიერ დასამარებული იდეები და თავიანთი ფარული მიზნების მიღწევის შემდეგ. მათის აზრით, კვლავაც დასამარებენ მათ, ვინაიდან არსებითად წინააღმდეგნი არიან როგორც თვითონ, აგრეთვე მთელი თავისი შეგნებით, თვით ებრაული მასაც.

ჩვენ, ქუთაისის ებრაელთა ინტელიგენცია არასდროს არ დავეთანხმებით, რომ ჩვენი მოზარდი თაობა დავტოვოთ სასულიერო სექტის და ხახამების უსაზღვრო გავლენის ქვეშ და ვფიქრობთ, რომ მათ შავრაზმულ განზრახვებს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს და ერთად ერთ სწორ გზად საქართველოს ებრაელების კულტურული დონის აწვეისათვის მიგვაჩნია ებრაული ენის სწავლების თანამედროვე მეცნიერულ ნიადაგზე დაყენება ებრაული შრომის სკოლებში, რომლებიც იქნებიან სასტიკი კონკურენტი ხახამების მონოპოლიისა სწავლა-გასნათლების საკითხში.

ცენტრალურ კომიტეტში საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ პროექტში სხვა მოთხოვნებთან ერთად სურვილია გამოთქმული აგრეთვე ებრაელთათვის ცალკე კოოპერატივების გახსნის შესახებ. ჩვენ, ქუთაისის ინტელიგენცია ვხედავთ ამ მოთხოვნებში იგივე იზოლაციას, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი სასულიერო სექტის მიერ შექმნილ “გეტოს” პირობებს. ჩვენ კი მოვითხოვთ, რომ ბოლო მოეღოს ასეთს იზოლაციას და ჩვენი ებრაული მასა გამოვიდეს ფართო ურთიერთობის ასპარეზზე საერთო საქმიანობაში ქართველ ხალხთან ერთად. ამასთანავე ვუწვევთ რა ანგარიშს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ებრაელობა ეკონომიურად დიდს გავრცელებას განიცდის, ჩვენის აზრით სრულიად დამაკმაყოფილებელი იქნება საერთო, და არა სპეციალური კოოპერატიული მოძრაობის მუშაობაში ჩაბმა საქართველოს ებრაელობისა.

ჩვენ, ქუთაისის ებრაელთა ინტელიგენცია სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ამ საკითხის გადაჭრის დროს გამოიჩენს რევოლუციურ მიდგომას და საქართველოს ებრაელთა სასულიერო სექტის რეგრესული ხასიათის მისწრაფებებს, ერთხელ და სამუდამოდ დაედება უკანასკნელი ზღვარი მათ გამოსვლებს ხალხის სახელით, იმ დროს, როდესაც ისინი სრულიადაც არ გამოხატავენ ხალხ-

ის სულისკვეთებას, უკანასკნელად ბოლო მოეღება. და ჩვენშიაც შეიჭრება თანამედროვე კულტურის სხივები და ეხლა მაინც, რევოლუციის მე-9 წელში მოხდება რევოლუცია ჩვენს ქუჩაზედაც. ჩვენ კი საქართველოს ებრაელთა ინტელიგენცია, ჩვენის მხრივ, არ დავიშურებთ ჩვენს შესაძლებლობას ამ დიდი მიზნების ცხოვრებაში გატარების დროს, რომელიც მიზნად აქვს დასახული ცენტრალურ კომიტეტს.

1926 წ.

ამ დოკუმენტს ხელს 10 კაცი აწერდა.

№4

1926 წელი. ქუთაისის ებრაელი ახალგაზრდების წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს (ასლი: აკსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ მამია ორახელაშვილს, განათლების კომისარს დავით კანდელაკს, გაზეთ “კომუნისტი“-ს რედაქციას და ქუთაისის სამაზრო პარტკომს)

ჩვენ, ქუთაისის ებრაელი ახალგაზრდობა გამოვსთქვამთ ღრმა აღშფოთებას იმ უპასუხისმგებლო გამოლაშქრებაზე, რომელსაც ადგილი აქვს გაზ. “კომუნისტი“-ს ფურცლებზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას მიერ განზრახულ ღონისძიებათა წინააღმდეგ ებრაელთა მშრომელი მასის კულტურული ღონის აწევისა და ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად-საერთო საბჭოთა აღმშენებლობაში მათი ჩაბმის თაობაზე.

ის მიმართვა, რომელიც არის გაგზავნილი აკსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მამია ორახელაშვილის სახელზე, არის ხელმოწერილი მხოლოდ და მხოლოდ ქუთაისის ებრაელთა სალოცავების “სტაროსტების” (გაბარების) მიერ, რომლებსაც თავიანთი თავი “ტრადიციულად” მიანჩნით და წარმოდგენიან მთელი ხალხის და ფართო მშრომელი მასების ვითომდა “რწმუნებულებად.” ნამდვილად კი ისინი არიან არჩეულნი მხოლოდ სალოცავის (სინაგოგის) და რელიგიურ კულტის საქმეების

მოსაგვარებლად და “გასაძლოლად.” ეს ხალხი შეადგენს იმ ბრმა რელიგიურ ფანატიზმით გაუღნტილ სექტას, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწევს ჩვენი ხალხის გონებრივი განვითარების საქმეს. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ და ცდილობენ გამოეღაშქრათ ყოველგვარი კულტურული ნაბიჯების და საქმის წინააღმდეგ.

რასაკვირველია, ასეთმა პირებმა ხელისუფლების მიერ გადაღებულ ნაბიჯებში დაინახეს უდიდესი საშიშროება თავიანთი სექტანტურ-ფანატიკური გავლენის შესუსტებისა და თანდათანობით სრულიად მოსპობის შესაძლებლობისა. ის შედარებით უფრო ფართო რელიგიური გავლენა ქუთაისის ებრაელობაში, რომელიც აქვს ამ ბნელ სექტას, იმითაა წარმოშობილი, რომ უძველეს დროიდან დღემდე სასულიერო წოდება “ხახამები” შეადგენდნენ და შეადგენენ ებრაული ენის ებრაელი ბავშვებისათვის ერთადერთ მასწავლებლებს, რომლებიც ასწავლიან რა ამ ენას, ახდენენ ბავშვებზე კოლოსალურ გავლენას, მისი გონების დაჩლუნგებაში რელიგიურ ფანატიკუტ ბურუსში გახვევით.

ამ შემთხვევაში, მათი გამოლაშქრება შრომის სკოლებში ებრაული ენის შემოღების წინააღმდეგ, იმ მოსაზრებით, ვითომც საქართველოს ებრაელობას არ სურს ეს ენა, -შეიცავს უმაგალითო ავანტიურისტულ მანევრს, რათა აიცილონ თავიდან ებრაული ენის სწავლების თანამედროვე მეცნიერულ ნიადაგზე გადაყვანა, რაც მათ რასაკვირველია გაუწვედა სასტიკ კონკურენციას ამ ენის სწავლებაში. მათის აზრით, ამის შედეგად ის იქნება, რომ მოზარდი თაობა აღარ იჩნებოდა მათ უშუალო რელიგიურ ფანატიზმის გავლენის ქვეშ, ხოლო ეს კი სამუდამოდ ძირს გამოუთხრიდა მათ სექტანტურ ჯგუფებს. ილაშქრებდნენ რა ხელისუფლების ამგვარი სასიქადულო და ისტორიული ნაბიჯის წინააღმდეგ, მათ სურთ დასტოვონ ეხლანდელი მდგომარეობა. რომლითაც ისინი რჩებიან ერთადერთ მონოპოლისტებად ებრაული ენის სწავლებაში.

რაც შეეხება იმ ყალბ ცნობას, თითქოს ებრაელთა შორის იყოს ვინმე ებრაული ენის წინააღმდეგი და არ სურდეს იგი (ებრაული ენა), ჩვენ თავს მოვალედ ვრაცხთ გაცნობით შემდეგი: მთელი ებრაელობა, განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა, უძველეს დროიდან დღემდე სულ იმის ცდაშია, რომ ებრაული ენის სწავლება მოზარდ თაობისათვის ყოფილიყო რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებული და ყოველი ებრაელი თავის თავს აუცილებელ მოვალედ სთვლის, რათა მისი ბავშვი არ დასტოვოს ამ ენის უსწავლელი. თვით ავტორნი ამ ზემოთ ხსენებული მიმართვისა, სალოცავის სტაროსტა-გაბარები, თავიანთ ბავშვებს გულმოდგინედ ასწავლიან ამ ენას, რასაკვირველია “ხახამ მასწავლებლების”

საშუალებით. და თუ ისინი გაიძახიან, ხალხს არ სურს სწავლება ებრაული ენისო, ამით უნდათ შეიყვანონ ხელისუფლება შეცდომაში და დასტოვონ ამ ენის სწავლება ხახამების ხელში ძველი სქოლასტიკური მეთოდით და არა ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დაყვანით.

რაც შეეხება ეკონომიურ საკითხებს, მიუხედავად ამ სექტის მიერ საკითხის დამახინჯებისა, რაღაც ზღაპრულ “ცალკე თემებისა” და სხვათა გამოყოფის შესახებ, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება არ დასტოვებს ებრაელთა ფართო მასას იმ “ვაჭრულ-ჩარჩულ” მდგომარეობაში, რომლის ფაქტიურ დატოვებისაკენ მიისწრაფვის მათი ფარული შავი რეაქციონური მიზნები. მათ ვერ წარმოუდგენიათ და ვერც მოუწოდებიათ პატიოსანი შრომით მცხოვრები ებრაელი და მათ დაჩლუნგებულ გონებაში ებრაელი და ჩარცი ვაჭარი სინონიმია. ჩვენ ასეული ახალგაზრდობა აღვიზარდეთ რა “ღვთის ანაბარად,” ვიმყოფებით გამოურკვეველ სოციალურ მდგომარეობაში, არა გვაქვს არავითარი გარკვეული პროფესია, არც სწავლა-განათლებით ვართ აღჭურვილნი და მწვავედ განვიცდით იმ კარჩაკეტილობის შედეგს, რომელთა მქადაგებლებიც იყვნენ სწორედ ის უპასუხისმგებლო სტაროსტები და “სასულიერო მამები.” რომლებიც დღესაც ასე რიხიანად გამოდიან საბჭოთა პრესის ფურცლებზე, ვითომდა ხალხის “რწმუნებულნი.” ისინი მიმართავენ ასეთს ენერგიულ ზომებს, ჩვენი ერთსულოვანი მოთხოვნების წინააღმდეგ, იმ მოთხოვნების, რომლითაც ჩვენ, მათივე წყალობით გზა აბნეული ახალგაზრდობა არ წავალთ ამ გზით, იმ ჩარჩ-ვაჭრუკანული გზით, რომლისკენაც ყოველთვის მიგვიითითებდნენ და დღესაც მიგვიითითებენ ეს ადამიანები;— არამედ დავადგებით საბჭოთა აღმშენებლობის გზას ჩვენივე მთავრობის უშუალო ჩარევით და მისივე მზრუნველი ხელის დახმარებით.

დასასრულ, ჩვენ ვაცხადებთ რა უდიდეს აღშფოთებას იმ ვითომდა “რწმუნებულების” გამოლაშქრების წინააღმდეგ, გამოვთქვამთ იმედს, რომ ებრაელთა ასეთი საჭირობოროტო საკითხების გადაჭრაში არავითარი ყურადღება არ მიექცევა სასულიერო პირების და უაღრესად რელიგიური ფანატიზმით გაჟღენთილ სექტას და მათ ყოველგვარ თავხედურ გამოსვლას; მით უმეტეს, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი ვერ ურიგდება “სასულიერო მამების” და მათი დამქაშების ფარული რეაქციონური მიზნებით საზოგადოებრივ საქმეებში ჩარევას.

ამ დოკუმენტს ხელს 87 კაცი აწერს.

ამონაწერი საქართველოს კომ. პარტიის ცკ-ის სამდივნოს 1926 წლის 18 ივნისის სხდომის №55 ოქმიდან.

მოისმინეს: ებრაელ მოსახლეობას შორის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

დაადგინეს: მუშაობაში ჩაბმულ იქნენ შესაბამისი საბჭოთა, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ებრაელი მოსახლეობის კულტურული და ეკონომიური ღონის ამაღლების მიზნით. ამისათვის საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. ებრაელ მოსახლეობას შორის გაფართოვდეს სასკოლო ქსელი და სკოლათა რაოდენობა გაიზარდოს 5-მდე, ყოველი შემთხვევისათვის უნდა იყოს არა ნაკლები 3 სკოლისა. სკოლების გახსნა უნდა მოხდეს ებრაელთა უფრო მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. ებრაელი მოსახლეობისათვის გახსნილი სკოლები უნდა იყოს ჩვეულებრივი საბჭოთა შრომითი სკოლების ტიპისა. სწავლება უნდა სწარმოებდეს მოცემული რაიონის ებრაელთათვის გასაგებ ენაზე. 2. ენის სწავლების საკითხი და ძველი ებრაული ენის, როგორც საგნის სწავლების საკითხი დარჩეს ღიად, სანამ გაირკვევა თუ რომელ ენაზე წარმოებს სწავლება უკრაინის ებრაულ სკოლებში. 3. გაიხსნას სამკითხველოები ებრაულ რაიონებსა და უბნებში. 4. გაძლიერდეს ებრაელთა შორის პოლიტგანმანათლებლური მუშაობა როგორც ქალაქად ისე სოფლად, ამ მიზნით, მოეწყოს მოძრავი ბიბლიოთეკები, ქონსამკითხველოები, წერა-კითხვის შემსწავლელი წრეები და სხვ. 5. აუცილებელია გაიზარდოს სამედიცინო პუნქტების რაოდენობა, გაძლიერდეს ღარიბი ებრაელებისადმი უფასო სამედიცინო დახმარება, მათთვის უფასოდ მედიკამენტების გაცემა. სისტემატურად ჩატარდეს ლექციები სანიტარული განათლების თემაზე. 6. მოვიზიდოთ ებრაელი ახალგაზრდობა საფაბრიკო სკოლებში. ჩამოყალიბდეს უმუშევარ ებრაელთა არტელი. შრომის ბირჟას მიეცეს ღირებულება, იმის შესახებ, რომ მათთან მისულ ყოველ ებრაელს მიუდგინენ ინდივიდუალურად, რათა აღმოიფხვრას ჯერ კიდევ პრაქტიკაში არსებული უარის თქმის მეთოდი იმ მოტივით, რომ თითქოს ყველა ებრაელი მუშაობდა და ვაჭარია. 7. ებრაელთა კოოპერაციამ და ცეკავშირმა ქალაქებსა და რაიონებში ყოველი ღონე იხმარონ ებრაელთა მოზიდვისათვის კოოპერატიულ მშენებლობაში. გადმოიბირონ

კოოპერატივის ებრაელი წევრები და გაიხსნას კოოპერატივის დუქნები ებრაული დასახლების რაიონებში. ასეთ დუქნებში მოსამსახურე პერსონალი ებრაელებით უნდა დაკომპლექტდეს. 8.დაევალოს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს სოფლად ებრაელთა მიწით უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებები. 9.წინადადება მიეცეს კომისიას გაარკვიოს რა კანონმდებლობა არსებობს ხელოსნებისა და წერილი მოვაჭრეების დაბეგვრის საკითხებზე და ამის საფუძველზე განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი. 10.გააძლიეროს მუშაობა ღარიბი ებრაელებისა და პროლეტარული ელემენტების პარტიაში მოზიდვის მიზნით. კომკავშირმა ყურადღება უნდა მიაქიოს ებრაელ მშრომელ ახალგაზრდობას, გააძლიეროს აგიტაცია მათ შორის და მიიზიდოს ისინი კომკავშირის რიგებში. 11.ეროვნულ უმცირესობათა პარტიული განყოფილების მუშაობის გეგმაში შეტანილ იქნეს საკითხი ებრაელთა შორის მუშაობის შესახებ, რათა დამუშავებული და წამოყენებული იქნეს ყველა ის მიმდინარე საკითხები, რომელთა მიზანია ჩააბან მშრომელი ებრაელობა საბჭოთა აღმშენებლობაში. საკითხი გატანილი იქნეს პრეზიდიუმზე.

საქართველოს კპ (ბ) ცკ მდივანი:

ქართველიშვილი.

სწორია: ცკ ბიუროს მდივანი ელისაბედაშვილი.

ხელმოწერილია

№6

ამონაწერი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1926 წლის დეკემბრის სხდომის №30 ოქმიდან.

მოისმინეს: ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის მოწყობის შესახებ (მომხს. ამხ. ფ.მანარაძე).

დაადგინეს: დაარსდეს კომისია შემდეგი წარმომადგენლებისაგან: 1.თურქის (აზერბაიჯანული) მოსახლეობისაგან—მირზა დაუდ ჰუსეინოვი (თავმჯ-

დომარე), 2.სომხის მოსახლეობისაგან—ამოთ ხუმარიანი (თავმჯდომარის მოადგილე), 3.რუსის მოსახლეობისაგან—ვასილ ვასილის ძე ბოგდანოვი, 4.ბერძენი მოსახლეობისაგან—ილია თომას ძე დიმიოევი, 5.ქართველი ებრაელი მოსახლეობისაგან—გერშონ ბიჭიას ძე ზონენაშვილი, 6.თურქი მოსახლეობისაგან—როზა ნაჯაფოვი, 7.ასირიელი მოსახლეობისაგან—ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ტამროზოვი, 8.ქურთი მოსახლეობისაგან—პაშა აგას ძე ისახეოვი, 9.გერმანელი მოსახლეობისაგან—ალბერტ გაბრიელის ძე ცეები, 10.ჭანბა (აფხაზეთი), 11.აბაევი (სამხრეთი ოსეთი).

სს ცაკის თავმჯდომარე —ფ.მახარაძე
მდივანი: ს.თოდრია
სწორია: პრეზიდიუმის ტექნიკური მდივანი გაბუნია

№ 7

1927 წელი. საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის ეროვნულ-უმცირესობათა განყოფილების დეპეშა. სასწრაფო ფოსტით. სრულიად საიდუმლოდ სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ა/კ მხარის ქიმ-დირექტორს ამხ. შიუტეს.

ცკ-ის ეროვნულ უმცირესობათა განყოფილება გაეცნო რა თქვენი საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს, საქართველოში მცხოვრები ქუთაისელი ებრაელებისადმი სამედიცინო-სანიტარული დახმარების მიზნით გთხოვთ, ფოსტით სასწრაფოდ გადმოგვიგზავნოთ წესდება 2 ცალად, რომლის მიხედვითაც ჩვენ შევძლებთ მსგავსი ორგანიზაციის შექმნას. ამასთან ვურთავთ თქვენი მიმოწერის ასლებს.

ცკ-ის ეროვნულ უმცირესობათა პარტიული განყოფილების
გამგე პიტოევი.
ცკ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების
მდივანი ჭიჭინაძე.

1927 წელი.- სსსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ-უმცირესობათა ცენტრალური კომისიის წევრის გერშამ ბიჭიას ძე ზონენაშვილის

განცხადება

1926 წლის დეკემბერში მე ვიქენი დანიშნული სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ-უმცირესობათა კომიტეტში ებრაელთაგან წარმომადგენლად. სანამ კომისიაში დავინიშნებოდი, მანამდე საქართველოს ცეკაში უკვე იდგა საქართველოს ებრაელთა საკითხი. ცეკას მიერ გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვანო სტურუა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. კუჭაიძე, განათლების კომისარი ამხ. კანდელაკი და ებრაელთა მხრივ წარმომადგენლების სახით დავით ბააზოვის და დავით აჯიაშვილის შემადგენლობით. ამ კომისიას დავალებული ჰქონდა ცეკას მიერ, საქართველოს ებრაელთა ყოფა-ცხოვრების გამორკვევა და მათი ეკონომიურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ კომისიის მუშაობა დასრულდა იმით, რომ საქართველოს ებრაელთა ეკონომიურ-კულტურული საკითხი რადიკალურად გადაიჭრა. ჯერ მარტო თბილისში გაიხსნა ებრაელთა უბანში კოოპერატივი (მუშკოპის ერთ-ერთი მაღაზიის სახით), გამომუშავებული იქნა ღარიბ ებრაელთა ჯანმრთელობის სასარგებლო პირობები, რომელიც გამოიხატა უფასო საექიმო დახმარებაში, რომელსაც ანხორციელებს ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება თვით ებრაელთა სანიტარული კომისიის საშუალებით. გახსნილი იქნა სამკითხველო ებრაელთა უბანში ებრაელთა ახალგაზრდობის კულტურულ მუშაობაში ჩასაბმელად. ეწყობა ებრაელთა უმუშევარი ნაწილის ტირიფონის ველზე გადასახლება და მრავალი სხვა. ყველა ამას პირველ ხანებში ცხოვრებაში ატარებდა ებრაელთა საინიციატივო ჯგუფი. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ამხ. ბააზოვი, რომლის ინიციატივას უნდა მიეწეროს ამ გრანდიოზული მუშაობის ჩატარება და ებრაელთა მასის მთავრობისადმი დაახლოება. ჩამოყალიბდა თუ არა ყოველივე ზემოაღნიშნული მიღწევანი და ზემოთ ხსენებული საინიციატივო ბიურო, ამ დროს ხდება ჩემი დანიშვნა ცაკში ებრაელთა წარმომადგენლად. იმ ხანებში მიმიწვია დავით ბააზოვმა, გამაცნო ყოველივე მისი და

მისი ამხანაგების ნამუშევარი, გამოთქვა უღრმესი სიხარული ჩემი ცაკში დანიშნვის გამო, როგორც კომუნისტის და აღნიშნა, რომ დღეიდან ბოლო მოეღება ყოველგვარ გაუგებრობას ჩვენსა და მთავრობას შორის, და მთავრობა, როგორც დიდად დაინტერესებული ებრაელთა კულტურულ-ეკონომიური საკითხის მოგვარებით, კპოვებს ერთგვარ საიმედო დასაყრდენს შენში და ებრაელთა საკითხის სასურველად დაბოლოებას ამით ერთი დიდი შანსი ემატებაო. მთხოვა, დამიხმარე რაშიაც საჭიროდ სცნო და გაუძეხი საქმეს, დაეხმარე ჩვენს გაუბედურებულ ხალხსო. მიმიყვანა ებრაელთა საზოგადოებაში, გააცნო ხალხს ჩემი თავი, ასწია ჩემი და მთავრობის ავტორიტეტი საზოგადოების თვალში და სრულიად დამაკავშირა ხალხთან, რაშიაც ბააზოვი ღირსია მადლობის. ებრაელთა მიყრუებულ და დახაკსებულ ქუჩას დაეტყო გამოფხიზლება, გაიზარდა კოოპერაცია, მეტისმეტად გახარებულია ღარიბი ნაწილი უფასო საექიმო დახმარებით, დიდის აღფრთოვანებით მოელიან მიწის საკითხის მოგვარებას და უნდა აღინიშნოს, ყოველივე ეს ქმნის ენთუზიაზმს ფართო მასაში და უახლოვებს მასას მთავრობას. მეც დიდად დამაინტერესა ამ გარემოებამ და მართლაც, ხსირად მიხდება ფართო ებრაელთა საზოგადოებაში გამოსვლა და მათი ფსიქოლოგიური გაგება და მე ვამტყიცებ, რომ ებრაელთა ღარიბი ნაწილი მთავრობის ასეთ მოპყრობას დიდად აფასებს, ის პირდაპირ ზეიმობს. მაგრამ ეს მხიარულება და ზეიმი ვერ მოუნელებია იმ ერთ მუჭა ახალგაზრდა ინტრიგანებს, რომელთა მონაწილეობის გარეშე მოგვარდა და ჩატარდა ასეთი დიდი მუშაობა. ლამობენ ჩირქი მოსცხონ ყოველივე კეთილ საქმეს და ისიც, სამწუხაროდ, თავიანთი ქვენა გრძნობების განხორციელების მიზნით...

მთავარი ბუდე ამ ინტრიგებისა დაფუძნებულია იმ სამკითხველოში, რომელიც გაიხსნა ამ უბანში, ბიბსაბჭოს ზოგიერთი წევრის სახით. ამ საბჭოს შემადგენლობაში შედიან, ღროებით ქუთაისიდან ჩამოსული სტუდენტები და ეს სტუდენტები იმის მაგიერ, რომ ხალხს დაუახლოვდნენ, იმის მაგიერ რომ იზრუნონ სამკითხველოს წინ წაწვეისათვის, ქმნიან პროვოკაციას, აწყობენ ინტრიგებს, ავრცელებენ ყალბ ხმებს კოოპერაციაზე, სანიტარულ კომისიაზე, მიწის მუშაობაზე, საზოგადო მოღვაწეებზე. ამით ისინი აყენებენ ზიანს გაკეთებულ და ჩამოყალიბებულ საქმეს და ხალხის თვალში მათი ამგვარი მოქმედებით უტეხენ სახელს მთავრობის კულტურულ საქმიანობას ებრაელთა საზოგადოებაში, და ყველა ამას სწადიან თავიანთი ბნელი საქმეების და ქვენა გრძნობების განსახორციელებლად. (საჭიროებენ თბილ-თბილ ადგილებზე მოკალათებას). ამ მიზნით ისინი ყალბად ისაკუთრებენ რევოლუციონერების სახელს და

მთავრობის წრეებში ადგენენ განცხადებებს და მოითხოვენ ზოგიერთი საზოგადო მუშაკის სამუშაო ასპარეზიდან განდევნას. წინდაწინ შექმნეს ქუჩაში ისეთი პროვოკაცია, თითქოს ისინი არიან ისეთი ყოვლის შემძლე პირები, რომ მათი სურვილების თანახმად მთავრობაც მოქმედებს. მე როგორც ოფიციალური წარმომნაძღველი საქართველოს ებრაელებისა, ვაკვირდები ამ ახალმოდის რევოლუციონერების ყოველგვარ საქმიანობას, მათ დამოკიდებულებას ჩვენი ხალხის ფართო მასისადმი, ახალგაზრდობისადმი და საზოგადო საქმეებისადმი, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მივაქციო მთავრობის ყურადღება ამ გარემოებაზე, რომ ღარიბ ებრაელთა საკითხის ისეთი ავანტიურისტების ხელში გადასვლით, როგორიც ეს ვაჟბატონები არიან და ეპირებიან, უქადის ნამდვილ კატასტროფას ყოველგვარ საზოგადო საქმიანობას ებრაელთა ცხოვრებაში.

ამ ხალხს თავისი წარსულით ვერ იცნობს ჩვენი საზოგადოება, ვერც დღეს მოახერხებენ ხალხის ყურადღების მიქცევას, რადგანაც დაშინებით ძნელია საზოგადოების ყურადღების დამსახურება. უნდა აღინიშნოს, რომ ებრაელთა ფართო საზოგადოების მღელვარებას და განსაკუთრებით მშრომელი ახალგაზრდობის მღელვარებას უნდა გაეწიოს ანგარიში და ამ ვაჟბატონების ტერორიდან უნდა იქნეს ებრაელთა მშრომელი ნაწილი განთავისუფლებული. უნდა მიეცეს მეტი აქტივობის საშუალება მშრომელ ახალგაზრდობას ბიბლიოთეკის და საზოგადო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად. საჭიროდ ვრაცხ განვაცხადო, რომ ზოგიერთი მთავრობის პასუხისმგებელი მუშაკები შეყავთ შეცდომაში ამ ვაჟბატონებს და საჭიროა მეტი სიფრთხილით მოეპყრან ებრაელთა საკითხს რა სახითაც არ უნდა წამოიჭრას იგი, რომ მრავალ გზის განაწამები... ებრაელი ხალხი არ გახდეს არავისი ქვენა გრძნობებისა და ყალბი მიზნების განხორციელების ობიექტად და რომ ორი —სამი კაცის პირადი სურვილები არ იყოს მიჩნეული საზოგადოების სურვილებად.

საჭიროა ზემოაღნიშნული ბიბსაბჭო გამოცხადებული იქნეს გაუქმებულად და არჩეული იქნას ახალი საბჭო, რომლის არჩევაში უსათუოდ უნდა მიიღოს მონაწილეობა მშრომელ ახალგაზრდობის ფართო მასამ.

3 მაისი 1927 წ.

1927 წელი, 4 ივლისი. —სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის №63 დადგენილება, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ-უმცირესობათა საქმეების კომისიის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიისა და მისი ადგილობრივი ორგანოების დებულების მე-7 მუხლის განსავითარებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დამტკიცებული იქნას ამასთანავე დართული ინსტრუქცია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ადგილობრივი ორგანოების მუშაობისათვის.

ინსტრუქცია

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საქმეების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შესახებ. ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის რწმუნებულთა და ბიუროს ფუნქციები:

ა) საბჭოთა აღმშენებლობის დარგში:

1. მონაწილეობის მიღება საარჩევნო კამპანიის განხორციელებისათვის ქალაქისა, თემისა და სოფლის საბჭოებში და წინასწარ საარჩევნო კრებებში, აგრეთვე სათანადო ორგანოებისათვის ხელის შეწყობა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე საჭირო ლიტერატურის გამოცემისათვის. 2. ეროვნულ უმცირესობათა მშრომელი მასების ჩაბმა თემებისა და ქალაქების საბჭოებში და აგრეთვე საბჭოთა ყრილობებსა და მათ აღმასრულებელ ორგანოებში. 3. შემუშავება მასალებისა, თემისა და სოფლის ეროვნულ საბჭოთა გამოყოფის საკითხის შესახებ. 4. ეროვნულ უმცირესობათა შესახებ სხვადასხვა საკითხების დამუშავება და შეტანა როგორც საბჭოთა ყრი-

ლობაში, ისე სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმსა და პრეზიდენტში. 5.ხელისშეწყობა იუსტიციის ორგანოებისათვის ეროვნულ უმცირესობათა შორის რეკოლუციური კანონიერების პოპულარიზაციისათვის და ისეთ სასამართლო დაწესებულებათა ქსელის პროექტის შემუშავება, სადაც შემოღებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა ენები. 6.მონაწილეობის მიღება ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში (რემედასი, ავიო-ქიმი, წითელი ჯვარი და სხვ.) ჩაბმისათვის წარმოებულ მუშაობაში. 7.მონაწილეობის მიღება საბჭოთა აპარატის გამოკვლევაში იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შეუძლიან მას მომსახურება გაუწიოს ეროვნულ უმცირესობათა მშობლიურ ენებზე. 8.სათანადო აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებასთან ერთად თემისა, სოფლისა და ქალაქის საბჭოებისა და მათი ორგანოებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, მათ მიერ ეროვნულ უმცირესობათა შორის წარმოებულ მუშაობაში და ამ მუშაობის გამოკვლევა.

ბ)ეკონომიურ დარგში

9.ხელის შეწყობა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსათვის ისეთ სოციალურ-ეკონომიურ და ყოფა-ცხოვრების საკითხებზე მასალის შეგროვებასა და დამუშავებაში, რაც კი ეროვნულ უმცირესობებს შეეხება. 10.მონაწილეობის მიღება საგეგმო ორგანოების მუშაობაში, ისეთი სამეურნეო ხასიათის საკითხებზე, გეგმებისა და პროექტების შემუშავებისათვის ეროვნულ უმცირესობათა ყოფა-ცხოვრებისა და სამეურნეო თავისებურების მიხედვით, რაც კი ამ უმცირესობათა ინტერესებს შეეხება. 11.შემუშავება საკითხებისა ეროვნულ უმცირესობათა უღარიბეს ნაწილის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და ამ უმცირესობათა პროლეტარული ნაწილის მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობაში ჩაბმის შესახებ. 12.ხელშეწყობა კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რაც საჭიროა, რათა ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობა ჩაებას ყველა სახის კოოპერაციაში და აგრეთვე ხელის შეწყობა, რათა კოოპერაცია ამ მოსახლეობას მომსახურებას უწყევდეს მის ენაზე. 13.მონაწილეობის მიღება იმ საკითხების შემუშავებაში, რაც კი ეროვნულ უმცირესობათა კოოპერატიულ შენაერთებსა და სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს შორის კრედიტების განაწილებას შეეხება. 14.ხელშეწყობა საბ-

ჭოთა ყველა ორგანოსათვის იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რაც საჭიროა ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. 15. მონაწილეობის მიღება საადგილ-მამულო ორგანოების მუშაობაში აგრარული თვალსაზრისით ზედმეტად მჭიდროდ დასახლებული ადგილებიდან ეროვნული უმცირესობათა გლეხობის გადასახლებისათვის, ებრაელი მოსახლეობის მიწის მუშაობაში ჩაბმისათვის, ეროვნულ უმცირესობათა სოფლებში მიწათმოწყობისა და მელიორაციის განხორციელებისათვის და ამ უმცირესობათა მშობლიურ ენაზე აგრო-პროპაგანდის წარმოებისათვის. 16. ხელისშეწყობა ეროვნულ უმცირესობათა ჩაბმისათვის სოფლად საურთიერთო დახმარების სასოფლო ამხანაგობაში, ხოლო ქალაქად საურთიერთო დახმარების საზოგადოებაში.

გ) კულტურულ-ჰუმანიტარულ დარგში

17. ხელისშეწყობა განათლების ორგანოებისათვის ეროვნულ უმცირესობათა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოების საქმეში. 18. მონაწილეობის მიღება ეროვნულ უმცირესობათა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განხორციელებისათვის საჭირო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შემუშავებაში. 19. ხელის შეწყობა ისეთი ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რითაც ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი უზრუნველყოფილი იქნებიან მოწყობილობით სადგომებით და მომუშავეებით. 20. სათანადო ორგანოებთან ერთად დაამუშავება საკითხებისა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების შესახებ. 21. ხელის შეწყობა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისათვის ეროვნულ უმცირესობათა მიერ დასახლებულ ადგილებში სამკურნალო ქსელის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. სასანიტარო-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაცია ეროვნულ უმცირესობათა ენებზე, ეროვნულ უმცირესობათა სანიტარულ გაჯანსაღებისათვის ღონისძიებათა გატარება და აგრეთვე საბავშვო ბაგების ორგანიზაციისათვის ხელის შეწყობა.

დ)ეროვნულ-უმცირესობათა საქმეების
კომისიის ბიუროსი და რწმუნებულთა
უფლებები— მოვალეობანი

22.ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ბიუროსა და რწმუნებულებს დაეკისრება: ა)მონაწილეობის მიღება სათათბირო ხმის უფლებით აღმასკომის პრეზიდიუმის და აღმასკომის განყოფილებათა სხდომებზე. ბ)ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ნებართვით იმ საბჭოებში მომუშავეთა თათბირებისა და კონფერენციების მოწვევა, სადაც წარმოდგენილია ეროვნული უმცირესობანი და აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა მშრომლების თათბირებისა და კონფერენციების მოწვევა. გ)სათანადო ორგანოების მოხსენების მოსმენა ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვის საკითხების შესახებ. დ)გამოკვლევა დამოუკიდებლად ან სათანადო ორგანოებთან ერთად ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობისა. ე)ინიციატივა ისეთ რონისძიებათა გატარების საქმეში, რომლებიც ხელს უწყობენ ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ვ)მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში იქ, სადაც ეროვნული უმცირესობა მოსახლდებოდა. ზ)მეთვალყურეობა იმისათვის, თუ რამდენად ასრულებენ სათანადო ორგანოები ეროვნულ უმცირესობათა შესახებ მოქმედ კანონებს. თ)სათანადო ორგანოების მეშვეობით აღძვრა საკითხისა იმ დადგენილებათა გაუქმების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან რომელიმე ეროვნების ინტერესებს. ი)მონაწილეობის მიღება სათათბირო ხმით ბიუჯეტის იმ ნაწილის შემუშავებაში, რომელიც ეროვნულ უმცირესობას შეეხება. კ)ინიციატივა დაინტერესებულ ორგანოებთან შეერთებული სხდომების მოწვევის საქმეში, იმ საკითხების განსახილველად, თუ როგორ უნდა იყოს დაცული ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები. ლ)მიღება და განხილვა საჩივრებისა ადგილობრივი ორგანოების ისეთ უკანონო მოქმედებაზე, რომლითაც დარღვეულია ეროვნული უმცირესობის ინტერესები და საჩივრების სათანადოდ წარსამართავად გადაცემა ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიაში. მ)სამაზრო აღმასკომთან შეთანხმებით თავისი მუშაობის გეგმის და კალენდარის შედგენა და მათი წარდგენა ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიაში დასამტკიცებლად.

23.ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ბიურო და რწმუნებულები ყველა მასალას. ოქმებს, ანგარიშებს და აგრეთვე, გამოკვლევის აქტებს დროგამოშვებით წარუდგენენ ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომი-

სიას. 24.ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ბიუროსი და რწმუნებულთა და აღმასკომის განყოფილებათა და აგრეთვე სხვა ორგანოებს შორის მომხდარ გაუგებრობასა და უთანხმოებას გადასწყვეტს სათანადო აღმასკომის პრეზიდიუმი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ.მახარაძე

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი მათიკაშვილი

1927 წ. ივლისის 4
ტფილისი—სასახლე

№ 10

1927 წელი.—ამონაწერი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 19 ივნისის სხდომის №137 ოქმიდან.

18. მოისმინეს: წინადადება ებრაელთა საკითხზე (აგიტაცია—პროპაგანდის განყოფილება).

18. დაადგინეს: აგიტაცია—პროპაგანდის განყოფილების წინადადება ზოგიერთი მუშაკის განთავისუფლების შესახებ.

1.წინადადება მიეცეს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს დააჩქაროს ებრაელთა მიწათმოწყობა. 2.წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს შეუდგეს ებრაელთა შორის სააპკინძაო, ჯაგრის საწმენდი და სხვა არტელების შექმნას. 3.წინადადება მიეცეს საბჭოთა ვაჭრობის, სამედიცინო—სანიტარული, განათლებისა და კომუნალური მეურნეობის მუშაკების კავსირების ფრაქციებს, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გააგზავნონ სამუშაოდ კავშირების არა წევრი ებრაელები. 4.წინადადება მიეცეს თბილისის აღმასკომის ფრაქციას ებრაელთა შორის კულტურული მუშაობისათვის გამოყოს შესაფერისი შენობა შეღავათიან ფასებში. 5.წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს . . . თბილისის,

ცხინვალისა და სურამის ებრაელთა შორის მუშაობის კულტურონდის გასაძლიერებლად გამოყოს 300 მან. 6.წინადადება მიეცეს ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, კომუნისტებს, შეწყვიტონ ყოველგვარი ურთიერთობა დ.ბააზოვთან ებრაული საკითხის ირგვლივ. 7.წინადადება მიეცეს განათლების მუშაკთა კავშირს გარიცხოს დ.ბააზოვი კავშირიდან როგორც სასულიერო პირი. 8.ეროვნულ უმცირესობათა პარტიული განყოფილების საშუალებით დაევალოს აგიტაცია— პროპაგანდის განყოფილებას შეისწავლოს ებრაელთა მდგომარეობის საკითხი და წარმოადგინოს ღონისძიებათა სია.

საქ. კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)
ცკ- ის მდივანი მ.კახიანი

№ 11

1927 წელი. საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ეროვნულ— უმცირესობათა კომიტეტის 1927 წ. 30 ივნისის სხდომის № 6 ოქმი.

ესწრწებოდნენ: ამხ. ხუმარიანი, ბოგდანოვი, ზონენაშვილი, ცეები, ისაბეკოვი და დიშოევი.

მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატის გადასახლების განყოფილებიდან ამხ. მარუაშვილი.

თავმჯდომარე: ხუმარიანი

მდივანი: დიშოევი

1.მოისმინეს: მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატის გადასახლების განყოფილების მოხსენება (ამხ. მარუაშვილი).

დაადგინეს: ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, წინადადება მისცეს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატის გადასახლების განყოფილებას: ა)ადგილობრივი აღმასკომების საშუალებით გამოკითხვის ფურცლის მეშვეობით დაადგინოს საქართველოში მცხოვრებ ღარიბ ებრაელთა შორის მიწათმოქმედებაზე გადასვლის მსურველთა რაოდენობა. ბ) შედგენილ იქნეს როგორც რესპუბლიკის შიგნით, ასევე მის გარეთ ებრაელთა გადასახლების ხუთწლიანი გეგმა.

2. მოისმინეს: დიმოვეის მოხსენებასთან დაკავშირებით პრაქტიკული წინადადებების შესახებ.

დაადგინეს: პრაქტიკული წინადადებები მიღებული იქნეს.

თავმჯდომარე:

ხელმოწერილია

მდივანი:

ხელმოწერილია

№12

1927 წელი.— ებრაელთა უბნის ვარძიელის სახელობის ბიბლიოთეკა—სამკითხველოს გამგის მ. დანილოვის ანგარიში.

ებრაელთა უბნის ამხ. ვარძიელის სახ. ბიბლიოთეკა—სამკითხველო დაარსდა 1926 წლის 15 დეკემბერს ტფილისის პოლიტგანის განკარგულებით. გამგედ დანიშნული იყო რ. ელიგილაშვილი, რომლის დროსაც იყო სხვადასხვა წრეების მუშაობა, ... სახელდობრ: 1. დრამ.—წრე, 2. ლიტ.—წრე და 3. სპორტ.—წრე... წრეების მუშაობა შემდეგი იყო: დრამ.—წრემ 8 თვის განმავლობაში დადგა სამი წარმოდგენა, ორი ადგილობრივ, ქ. ტფილისში ნარიმანოვის სახ. კლუბში და ერთი ქ. ცხინვალში. ... ლიტ.—წრემ ამ დროის განმავლობაში გააკეთა ერთი მოხსენება და ერთი ც ლიტერატურული გასამართლება...

პირველი და უმთავრესი მიზანი ბიბლიოთეკისა არის ჩამორჩენილი მშრომელი ებრაელი ახალგაზრდების შემოკრება და ჩაბმა სხვადასხვა კულტურულ წრეებში. ეს მოვალეობა დაკისრებული ქონდა როგორც ბიბ—გამგეს, ისე ბიბ—საბჭოს, და ამათ ყველა აღნიშნული მოვალეობა შემოსეს ხალხის უკმაყოფილობით და დააჩქარეს ისედაც ჩამორჩენილი და დაქსაქსვის გზაზე მდგარი მშრომელი ებრაელი ახალგაზრდების გარიყვა კულტურული ფენებიდან.

უნდა იცოდნენ ყველა იმ პირებმა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ აპატიებს ყველა ამ დარგში მომუშავე პირებს ათასგვარ ცოდვებს... ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს შემდეგი ჟურნალ—გაზეთები: “კომუნისტი,” “ზარია ვოსტოკა,” “მუშა” და ჟურნ. “ტარტაროზი,” “რაბოჩაია პრავდა,” “ახალგაზრდა კომუნისტი” და მოსკოვის პოპულარული ორგანო “პრავდა,” ჟურნალი “ოგონიოკი” და მასთან დართვით ტოლსტოის ნაწარმოებნიც, რომლებსაც ვღებულობთ თითო ეკზემპლარს. რაც შეეხება მკითხველების რაოდენობას, არის: ქართული გაზეთის მკითხველი 60 %-ი და

რუსულის კი 40 %-ი. ყოველდღიურად ბიბლიოთეკაში მოსიარულეთა რიცხვი სამოცს (60) აღემატება. უქმე დღეებში კი 80-100 მღე. ბიბლიოთეკის წიგნების რაოდენობა არის 660-მღე, გაუტარებელი წიგნების რაოდენობა კი არის 100-მღე. წიგნების გაცემა სწარმოებს როგორც ბიბლიოთეკაში ისე სახლებში, წიგნების წამლებთა რიცხვი სახლებში არის 450 კაცი. ამათში შედის 102-ე შრომის სკოლა, საღამოს კურსები; როგორც არის კოოპერატიული, ისე რკინიგზის ქსელთა სკოლები და სხვა მშრომელი მასებიდან. წიგნების მხრივ წევრები არ არიან დაკმაყოფილებულნი... ამჟამად ბიბლიოთეკასთან არსებობს სხვადასხვა წრეები: 1.დრამატული, 2.სტუდიის სახელოსნო (ძრავალ მსურველთა გამო), 3.პოლიტ-წრე, 4.ქალთა, 5.რადიო, 6.სპორტის, 7.ჭადრაკის, 8.ლიტერატურული წრე, 9.რედკოლეგია, 10.მუსიკალური წრე. განზრახულია ამასთან ერთად სხვა წრეების დაარსებაც. ამ ჩამოთვლილი წრეებიდან მუშაობენ: დრამწრე, რომლის ძალითაც ამ თვის დეკემბრის 18-ს ამხ. ნარიმანოვის სახ. კლუბში დაიდგა წარმოდგენა "უმანკონი," ...ჭადრაკის წრე გათამაშებებს ახდენს კვირაში ორჯერ-სამჯერ. მსურველნი ბევრნი არიან... მუსიკალური წრე მუშაობს კვირაში სამჯერ 102-ე შრომის სკოლაში, რომელიც ამზადებს რევოლუციონურ ნომრებს და დრამ-წრის საღამოებზე უკრავს, რომლის საშუალებითაც ხალხი ყოველთვის დიდი კმაყოფილია...

ებრაელთა უბნის ამხ. ვარძიელის სახ.
ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგე მ.დანილოვი

22/ XII-27 წ. ტფილისი

№13

1927 წლის 30 დეკემბერი. ამონაწერი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომის № 6 ოქმიდან.

31.მოისმინეს: ქუთაისის ღარიბ ებრაელთათვის უფასო სამედიცინო-სანიტარული დახმარების საზოგადოების შექმნის შესახებ.

დაადგინეს: ნება დაერთოს შეიქმნას ქუთაისის ღარიბ ებრაელთათვის უფასო სამედიცინო-სანიტარული დახმარების საზოგადოება.

საქ.კომპ. პარტიის (ბ) ცკ-ის მდივანი: კახიანი
სწორია: ცკ-ის სამდივნოს მმართველი: ჯაფარიძე
ხელმოწერილია

№14

საქ.მემსი-ს თბილისის განყოფილების გამგეობის 1928 წლის 1
იანვრის სხდომის ოქმი №2

ესწრებოდნენ: გამგეობის წევრები: ბენიაშვილი, ლინეცკი, მალისოვი, კოკი-
იელოვი, გორბატოვი, იეხისკიელოვი, ერბერგი, მელიცევი და ცალკინი.
წევრობის კანდიდატები: ბელიენსონი; სარევიზიო კომისიის წევრები: ზონე-
ნაშვილი და ხოდელი.

1. მოისმინეს: §3-ში სიტყვა “გამოყენება”-ს წინ დაემატოს “დროებით.”
2. მოისმინეს: ბენიაშვილის ცნობა მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატ-
ში საქართველოში მიწის ნაკვეთების (სოჭისა და გორის რაიონებში)
მიღების შესაძლებლობის თაობაზე მოლაპარაკების შესახებ; აგრონომიუ-
ლი ექსპედიციის გაგზავნის შესახებ სოჭის ოლქში, რომელსაც მოაწყობს
მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატი 1928 წ. ზაფხულში ოლქის
შესწავლისა და იქ ხალხის დასახლების მიზნით.

დაადგინეს: საქართველოს ცაკმა და საქართველოს მიწათმოწყობის სახ-
ალხო კომისარიატმა ოფიციალურად გამოარკვიოს მიწის ნაკვეთების მიღების
შესაძლებლობა.

მოისმინეს: 1928 წ. იანვრის, თებერვლისა და მარტის სამუშაო გეგმების
საკითხი.

დაადგინეს: სამუშაო გეგმები დამტკიცდეს. დროებით თავი შევიკაოთ §14
ცხოვრებაში გატარებისაგან გადასახადების უფლებრივი და ეკონომიური
პირობების შესწავლამდე, რისთვისაც კომისიას შემადგენლობით: მელიცევი,
ბენიაშვილი და ზაქტრეგერი დაევალოს, წარმოუდგინოს გამგეობას შესა-
ბამისი მოხსენება. გეგმაში შეტანილი იქნას შემდეგი დამატებანი: 1. წაკ-
ითხული იქნეს მოხსენებები მემსის მიზნებისა და ამოცანების შესახებ

ევროპელ ებრაელ ხელოსნებს შორის. 2. ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ფაკულტეტზე შეიქმნას მექსის სამეცნიერო-აგრონომიული წრე, რომელიც დაამუშავებს ებრაელთა შორის მიწათმოქმედების საკითხებს. დაევალოს ამხ. ცალკინს წარმოადგინოს მუშაობის გეგმა ამ საკითხთან დაკავშირებით. 3. შეიქმნას გადმობირების ინსტიტუტი შემდეგ ჯგუფებად:

1. რკინიგზის სახელოსნო-ბეილენსონი.
2. ა/კ რკინიგზის სამმართველო-ლეინი.
3. რკინიგზის დეპო და ხის დამამუშავებელი საწარმოო-ზვენეცკი.
4. თამბაქოს მრეწველობის-ლინეცკი დ.
5. განათლების მუშაკთა-კოკიელოვი და ჰაიკინი.
6. სახ. პოლიტ. ინსტიტუტი-ცალკინი და ბეილენსონი.
7. სახელმწიფო უნივერსიტეტი-ზონენაშვილი.
8. ბანკები და ფედერალური ორგანიზაციები-ფეიდზონი (შვილი).
9. პროფესიული ორგანიზაციები-მარკმანი.
10. ვაჭრობა და კოოპერაცია-მალისოვი.
11. ხელოსნების-გორბატოვი და ბეკერი.
12. სპარსელი ებრაელების-იზმაილოვი მ.
13. ებრაული კოოპერატივი-ბენიაშვილი.
14. ქართველი ებრაელების-ბენიაშვილი, კოკიელოვი, იეხისკიელოვი, შაფ-თოშვილი, დავარაშვილი და ზონენაშვილი.

შემდეგი სხდომისათვის უნდა შევიგულოთ აქტივისტები სამედიცინო-სანიტარული მუშაკებისა და ლითონტრესტში გადმობირების მუშაობისათვის. ზემოთ ხსენებული ამხანაგები გამოცხადდნენ 4/1-ში საღ. 5 სთ-დან ზაზინადართან ქვითრების, წიგნაკებისა და ლატარიის ბილეთების მისაღებად.

4. მოისმინეს: ამხ. მალისოვის წინადადება კულტ.-საგანმანათლებლო, სასოფლო-სამეურნეო და ორგანიზაციული სექციების შექმნის შესახებ.

დაადგინეს: ამხ. მალისოვის წინადადება უარყოფილი იქნას.

5. მოისმინეს: საწევრო შესატანების აკრეფის შესახებ, მექსის ტფილისის განყოფილების დამფუძნებელი კრების მოწვევამდე.

დაადგინეს: საწევრო შესატანები, რომელიც აკრეფილ იქნა საზოგადოების ტფილისის განყოფილების შექმნამდე. (ე. ი. 1927 წ. დეკემბრამდე) გადაირიცხოს როგორც 1927 წ. დეკემბრის შესატანი.

თავმჯდომარე: ბენიაშვილი

მდივანი: ცალკინი

1928 წლის 26 იანვარი. საქართველოს მემსი-ს ფრაქციის
გამგეობის სხდომის ოქმი № 1

ესწრებოდნენ: ამხ. ბენიაშვილი, ლინეცკი და მარკმანი.

1. მოისმინეს: 1. კომზეტის შესახებ.

დაადგინეს: საქართველოს ცკ-ის წინაშე მემსი-ს შექმნის შესახებ შუამდგომლობის აღძვრისაგან თავი შევიკავოთ. ეთხოვოს ცენტრალურ პარტიულ განყოფილებას შეიმუშაოს დებულება მემსის შესახებ, რის შემდეგ დადგეს საკითხი უკანასკნელის შექმნის შესახებ.

2. მოისმინეს: მემსისადმი დახმარების შესახებ პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მხრივ.

დაადგინეს: იმის გამო, რომ ზოგიერთ პარტიულ, საბჭოთა და პროფესიულ ორგანიზაციას კარგად არ ესმის მემსის მიზნები და ამოცანები, უარს ეუბნებიან უკანასკნელს დახმარებაზე, ხოლო ბევრი პარტიული თავს არიდებს მასში მუშაობას, რადგან საზოგადოება ვიწრო ეროვნულად მიაჩნია, რაც ეწინააღმდეგება კომპარტიის იდეასა და ტაქტიკას. ეთხოვოს ცენტრალურ კომიტეტს, თბილისის კომიტეტსა და **სსსრ** მისცეს ღირებულება უჯრედებსა და პროფკავშირებს დაეხმარონ მემსი-ს ორგანიზაციას მუშაობაში.

იმ მიზნით, რომ შეიქმნას საკმარისი კომუნისტური ბირთვი, რაც მემსის მუშაობაზე მოახდენს გავლენას, ეთხოვოს ცკ-ს, ტკ-სა და **სსსრ**-ს დაავალოს ყველა პარტიის წევრს და კომკავშირულ ებრაელს შევიდეს მემსში.

3. მოისმინეს: მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის იდეისა და პრაქტიკის პოპულარიზაციის შესახებ.

დაადგინეს: იმის გამო, რომ აუცილებელია მშრომელ ებრაელთა მიწაზე დასახლების იდეისა და ებრაელთა შორის პრაქტიკის პოპულარიზაცია, არ არსებობს არავითარი ლიტერატურა ქართულ ენაზე და მემსის არ გააჩნია არავითარი საშუალება ამ ლიტერატურის დაბეჭდვისა; ეთხოვოს საქართველოს კპ (ბ) ცკ-ს თავის თავზე აიღოს ეს ხარჯი, ამ მიზნით გამოყოს 500 მან. მიმდინარე ნახევარი წლისათვის. ამასთანავე ეთხოვოს ამხ. ფ.მახარაძესა და ა.გეგუჭკორს დაწერონ პოპულარული ბროშურა ებრაელთა მიწათმოწყობის საკითხებზე. ეთხოვოს გაზეთების: “ზარია ვოსტოკას,” “რაბოჩაია პრავდას” და “კომუნისტის” რედაქციებს

გამოყონ ადგილი სტატიებისა და კორესპოდენციებისათვის მექსის შესახებ ყოველკვირეულად 200 სტრიქონისათვის, აგრეთვე თვეში ერთი განცხადებისათვის გადასახადის გარეშე.

4. მოისმინეს: მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატში, მიწაზე დასახლების კომიტეტსა და ცკ-ის ეროვნულ უმცირესობათა კომიტეტში მექსის-წარმომადგენლების შეყვანის შესახებ.

დაადგინეს: აღნიშნულ ორგანიზაციებში მექსის წარმომადგენელთა შეყვანა საჭიროდ ჩაითვალოს, რის შესახებაც მათ წინაშე აღიძრას შუამდგომლობა. ჩვენი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამგეობის რეკომენდაციით, ეროვნულ უმცირესობათა კომიტეტში შეყვანილი იქნას ამხ. ლინეცკი, მიწაზე დასახლების კომიტეტში ამხ. ზაკტრეგერი.

5. მოისმინეს: მექსის წევრთა ფრაქციის მოწვევის შესახებ.

დაადგინეს: დადგინდეს მექსის პარტიული შემადგენლობა, რის შემდეგ მოწვეული იქნას ფრაქცია მთელი რიგი საკითხების განსახილველად.

ფრაქციის გამგეობის თავმჯდომარე
ხელმოწერილია.

№ 16

1928 წელი. ამონაწერი საქართველოს კპ ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის 1 თებერვლის სხდომის № 18 ოქმიდან.

ნ. მოისმინეს: ღარიბ ებრაელთათვის ქ. ქუთაისში საექიმო სანიტარული დახმარების საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ (ამხ. პიტოევი — ცეკას ეროვნულ უმცირესობათა ქ. განყ. გამგე).

დაადგინეს: 1. საზოგადოების დაარსება ცნობილი იქნას მიზანშეწონილად; 2. ქ. ქუთაისში მოწვეული იქნას ღარიბ ებრაელთა საზოგადო კრება, რომელზედაც მოხდეს საზოგადოების გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. ამავე კრებაზე ჩატარდეს მოხსენება ექიმის მიერ სანიტარულ და საექიმო მნიშვნელობის შესახებ. მომხსენებლის დანიშვნა დაევალოს ჯანმრთელობის განყოფილებას.

თავმჯდომარე:

გვასალია.

1928 წლის 9 თებერვალი. “წითელ გორაზე” არსებულ მშრ. ებრაელთა ნადის შესახებ. ვარდისუბან-ბაისუბნის სასოფლო-სამეურნეო საკრედ. ამხ.-ბა “სიმართლე”-ს (კახეთის მაზრა).

მიმდინარე წლის 25 იანვრის № 263 თქვენი მომართვის გამო გაცნობებით, რომ “წითელ გორაზე” არსებულ მშრომელ ებრაელთა სას. სამეურნეო ნადს (არტელს) “ახალ დასაწყისს” უკვე მიეცა გრძელვადიანი სესხი 36800 მანეთის რაოდენობით, ხოლო რაც შეეხება აღნიშნული ნადისთვის სათესლე და საჭმელი ხორბლეულის მიცემას, ამაზე უნდა მიმართონ საქართველოს “კომზეტს.”

ადმ. ფინ. სამ. უფროსი სვიმონიშვილი
მიწ. მოწყ. სამმართველოს უფროსი გოგილაძე

№18

1928 წლის 12 თებერვალი. საქ.მემსი-ს ტფილისის ორგანიზაციის საერთო კრების ოქმი №12.

ესწრებოდნენ: მემსის წევრები— 108 კაცი. მემსის არაწევრები— 174 კაცი.

აირჩიეს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ზაკტრეგერი, ჩერნაკი, ვახანოვა, ისრაელიანი, კოკიელოვი.

დღის წესრიგი: 1. ებრაელთა დასახლება მიწაზე და მემსი-ს ამოცანები; 2. საქ.მემსი-ს მუშაობის შესახებ. მომხს. მარკანი.

მოისმინეს: 1.ამხ. მელიცაევის მოხსენება ებრაელთა მიწაზე დასახლებისა და მემსი-ს ამოცანების შესახებ.

დაადგინეს: 1 მოხსენების გამო მიღებული იქნას შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა ამხ. მელიცაევის მოხსენება ებრაელთა მიწაზე დასახლებისა და მემსის ამოცანების შესახებ, კრება ახდენს კონსტატაციას: ა) ამერიკა-

ში და სხვა ქვეყნებში მშრომელ ებრაელთა ძლიერი ემიგრაცია გამოწვეული იყო თვითმპყრობელობის პოლიტიკის შედეგად, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა არა მარტო დაეჩაგრა და გაეჩანაგებინა ებრაელთა დასახლებანი, არამედ, დარბევით, პროვოკაციებისა და სასამართლო ფარსის მეშვეობით ფიზიკურადაც გაენადგურებინა ისინი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა ყველა ეროვნების მშრომელებს, მათ შორის ებრაელებსაც სსრკ მოქალაქის თანაბარი უფლებები; გ) საბჭოთა ხელისუფლება სწორად მიუდგა ებრაელთა საკითხის გადაწყვეტას, დააყენა რა დღის წესრიგში მშრომელ ებრაელთა მიწაზე დასახლება; დ) მხოლოდ სასარგებლო შრომაში ჩაბმა ებრაელი ხალხის ფიზიკური, პოლიტიკური და ეროვნული თვითმყობადობის შენარჩუნების გარანტია. მხოლოდ ესლა აქვთ ებრაელებს კულტურული განვითარების შესაძლებლობა მშობლიურ ეროვნულ ენაზე. მშრომელ ებრაელთა მიწაზე დასახლების ამოცანები მოითხოვს დიდი ხარჯების გაღებას. ყველა მშრომელი ებრაელის ამოცანაა დაეხმაროს საბჭოთა ხელისუფლებას შესატანებითა და თავისი აქტიური მონაწილეობით. ამიტომ, კრება თვლის, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და მექსიკის-ს ლონისძიებები მშრომელ ებრაელთა მიწაზე დასახლებისათვის სწორია. პირდება მატერიალურ დახმარებასა და აქტიურ მონაწილეობას ებრაელთა მიწებზე დასახლების ამ დიდ საქმეში.

მოისმინეს: 2.ამხ. მარკმანის მოხსენება საქ.მემსის მუშაობის შესახებ. დაადგინეს: მოისმინა რა ამხ. მარკმანის მოხსენება, საერთო კრება ადგენს: ა) ცნობილ იქნეს სწორად და დამაკმაყოფილებლად გამგეობის მიერ გაწეული მუშაობა: მემსის წევრთა გადმოხილების, აუცილებელი ფინანსური ბაზის შექმნისა და მშრომელ ებრაელთა მიწებზე დასახლებისათვის წინასწარი ლონისძიებების გატარების საქმეში. ბ) გამგეობამ შემდგომში საქ.მემსი უნდა გადააქციოს მასობრივ ორგანიზაციად, მასში იმ არაებრაელების მიზიდვით, რომელნიც იზიარებენ მემსის ამოცანებს. სწორი ორგანიზაცია გაუკეთოს საწევრო შესატანებს, მოაწყოს საღამოები, წარმატებით გააერცელოს ლატარიის ბილეთები, სხვადასხვა ლონისძიებებით გაამაგროს მემსი-ს საფინანსო მდგომარეობა. გ) დაეხმაროს საქართველოს ებრაელთა დეკლასირებულ ნაწილს, რათა ისინი გადავიდნენ არა მარტო მიწათმოქმედებაზე, არამედ ნებისმიერ სხვა წარმოებრივ მოღვაწეობაზე (მრეწველობაში, ტრანსპორტზე, საბჭოთა აპარატში). დ) რწმუნებულთა ინსტიტუტების ჩამოყალიბების გზით განამტკიცოს მემსის გამგეობის კავშირი მემსის რიგით წევრებთან. ე) გამგეობაში სამუშაოდ მოიწვიოს მემსის აქტიური რიგითი წევრები: ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ახალგაზრდებისა და ქალების მოზიდვას. ვ) მემსის ამოცანების პროპაგანდის

მიზნით ფართოდ გააშუქოს პრესაში მისი მიმდინარე მუშაობა, გამოსცეს და გაავრცელოს შესაბამისი ლიტერატურა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მექსის შესახებ ლიტერატურას ქართულ ენაზე. ზ) აღნიშნავს რა საქართველოს პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მექსისადმი ყურადღებას, გამგეობამ გააძლიეროს კონტაქტები მათთან, გააცნოს მათ მექსის ამოცანები და მოთხოვნილებები.

საერთო კრების თავმჯდომარე: ზანტრეგერი
მდივანი: კოკიელოვი

№ 19

საქართველოს ცკ-თან არსებული ეროვნულ-უმცირესობათა კომისიის 1928 წლის 28 თებერვლის სხდომის ოქმი № 10

ესწრებოდნენ: ამხ. ფ.მახარაძე, ხუმარიანი, ბენიაშვილი, ცეები, ბოგდანოვი, პიტოევი, ლინეცკი, ნაჯაფოვი, დიშოევი.

მოისმინეს: მექსის მოხსენება (მოძხ. ლინეცკი).

აზრი გამოთქვას: ამხ. ფ.მახარაძემ, პიტოევმა, ბენიაშვილმა, დიშოევმა, ხუმარიანმა.

დაადგინეს: მოხსენება მიღებული იქნას ცნობად და საქ.მექსმა თავის მუშაობაში იხელმძღვანელოს შემდეგი დებულებებით: ა) შეიზღუდოს კომისიების რაოდენობა აუცილებელ მინიმუმამდე. მთავარი ყურადღება მიექცეს მათი მუშაობის ხარისხს. ბ) ახალი განყოფილებების გახსნა მოხდეს თანდათანობით, იმისდა მიხედვით თუ რა რაოდენობის ებრაული მოსახლეობა გვყავს მოცემულ ადგილზე. გ) მექსის მიზნებისა და ამოცანების პოპულარიზაციის მიზნით საჭიროა ფართოდ გაშუქდეს პრესის საშუალებით ჩატარებული პრაქტიკული მუშაობა, მოეწყოს ლიტერატურისა და პრესის გავრცელება მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის საკითხებზე. დ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საზოგადოების სოციალურ შემადგენლობას, აღებული იქნეს ორიენტაცია მშრომელთა ჯგუფებზე (მუშების, მოსამსახურეების, გლეხების, ხელოსნების წრიდან). ე) მაქსიმალურად უზრუნველვყოთ მექსის ლატარიის კამპანიის ჩატარება რისთვისაც უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში მობილიზაცია გაუკეთ-

დეს საქმემსი-ს ყველა ძალებს. ვ)საზოგადოების განმტკიცებისა და გაფართოების სამუშაოების ჩატარების გარდა საქმემსი უნდა შეუდგეს ოპერატიულ მუშაობას: პირველ რიგში შეაგროვოს აუცილებელი მასალები მიწათმოწყობისათვის საჭირო სახსრების მოთხოვნისა და მიღებისათვის; მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატის დახმარებით დაადგინოს მიწებზე მოწყობის მსურველთა კონტიგენტი და ა. შ. ზ)უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლას ეწევა შრომის სახალხო კომისარიატი; ამიტომ საქმემსი-სთან ებრაელთა უმუშევრობის შემამსუბუქებელი კომისიის არსებობა ჩაითვალოს არამიზანშეწონილად და წინადადება მიეცეს საქმემსი-ს გააუქმოს იგი. თ)მიწებზე დასახლების მსურველ ებრაელთა გამოვლენისა და აღრიცხვისათვის ეთხოვოს საქართველოს ცაქ-ს დაავალოს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს გამოყოს საამისოდ საჭირო სახსრები.

თავრე: ხუმარიანი
მდივანი: დიშოვეი

№ 20

1927 წლის 25 დეკემბრიდან 1928 წლის მარტამდე საქართველოს მემსი-ს მუშაობის შესახებ ამხ. მარკმანის საანგარიშო მოხსენების რეზოლუციის პროექტი.

საანგარიშო პერიოდსი საქმემსის მუშაობაში არსებული მიღწევები შემდეგში გამოიხატება: ა)საზოგადოების წევრთა წარმატებით გადმოხიზება, ბ)მემსის ორგანიზაციის ადგილობრივი განყოფილებების ჩამოყალიბება, გ)პარტიული, საბჭოთა და პროფორგანიზაციების ხელმძღვანელებთან მჭიდრო კავშირის დამყარება, დ)ქართულ ენაზე მემსის შესახებ პოპულარული ხასიათის ლიტერატურის გამოცემით მემსის იდეების პოპულარიზაცია და მემსის ცენტრაქურ პარტიულ გამოცემათა გავრცელება, ე)ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა დასახმარებლად წარმატებით ჩატარებული კამპანია. ვ)მშრომელი ებრაელებისათვის ხელფასის გადარიცხვის ღონისძიებების წარმატებით და რეალურად გატარება. ზ)მემსის

ლატარიის კამპანიის წარმატებით ჩატარება. ყრილობა აღნიშნავს საქმემსის მუშაობის ნაკლოვანებებს: ა) მასობრივი მუშაობის არასაკმარისად ჩატარება, ბ) მემსის ადგილობრივი უჯრედების სუსტი ქსელი, გ) მემსის გამგეობის კავშირი უჯრედებთან და განყოფილებებთან; მათი არასაკმარის ინსტრუქტაჟი, დ) მკაცრი საფინანსო დისციპლინის დამყარებისა და საზოგადოების სახსრების ცენტრალიზაციისათვის, გამგეობის მიერ არ გატარებულა სათანადო ღონისძიებები, ე) არაა დამაკმაყოფილებელია მემსის სოციალური და პარტიული შემადგენლობა, მუშებისა და პარტიულთა ფენა სუსტია, ვ) საქმემსის თვალთა ხედვის გარეთ დარჩა ახალგაზრდობა, ზ) კახეთში გადმოსახლებულ ებრაელებს არასაკმარისად გაეწია დახმარება, თ) დადგენილებები არ სრულდება მთლიანად. ითვალისწინებს, რომ საანგარიშო პერიოდი იყო ორგანიზაციული სამუშაოების დრო, მემსის გამგეობას არ გააჩნდა საზოგადოების მართვის საჭირო გამოცდილება, ამასთან ცენტრალური პარტიული ორგანოები ვერ უწევდნენ მემსის საჭირო ხელმძღვანელობას და ვერ შეუქმნეს მატერიალური ბაზა. საქმემსის მუშაობა მოწონებული იქნეს და ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

2. მიაჩნია, რომ მემსის ძირითადი ამოცანაა დახმარება გაუწიოს გადმოსახლებულთ, საქმემსმა ხელშეკრულების საწყისებზე უნდა ჩაატაროს კახეთში გადმოსახლებულთა მოწყობის სამუშაოები; 3. იწონებს და მიესალმება რა ცენტრალური პარტიული ორგანოების და ცენტრალური საბჭოთა ორგანოების უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებას მემსის-ს ფართო ინტერნაციონალურ პროლეტარულ ორგანიზაციად გარდაქმნის შესახებ, საქმემსმა თავის რიგებში უნდა გაატაროს საჭირო ღონისძიებები არაებრაელების, ძირითადად მუშების მიღების მიზნით; 4. მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის ირგვლივ პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის მობილიზება წარმოადგენს მემსის მუშაობის წარმატების მთავარ პირობას, ამიტომ, ყრილობა საქმემსის ავალებს აწარმოოს სისტემატური და გაძლიერებული მუშაობა მემსის მიზნების, ამოცანებისა და პრაქტიკის პოპულარიზაციისათვის, მოხსენებების, საუბრების, ლექციების ხშირად მოწყობითა და მემსის ლიტერატურის, ჟურნალ "ტრიბუნას" და სხვათა გავრცელების საშუალებით; 5. მემსის წევრთა რაოდენობრივი ზრდა განვლილი პერიოდის განმავლობაში ყრილობას მიაჩნია დამაკმაყოფილებლად, მაგრამ, ითვალისწინებს იმას, რომ მემსი უნდა გახდეს მასობრივი ორგანიზაცია, ყრილობას აუცილებლად მიაჩნია დაავალოს როგორც საქმემსის გამგეობას, ასევე ადგილობრივ განყოფილებებს ფართოდ გაშალონ მუშაობა ახალი წევრების გადმობირების მიზნით, რათა 1929 წლის ბოლოს მათი რაოდენობა იყოს არა ნაკლები 500 კაცისა; 6. წუნი, რაც გამოიხ-

ატება საქმემსის არაღამაკმაყოფილებელი მასობრივი მუშაობით, მისი გამგეობების, განყოფილებებისა და უჯრედების სუსტი ურთიერთკავშირით— სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას. საქმემსის მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის საკითხებით დავაინტერესოთ მემსის ყველა წევრი და გავხადოთ ისინი საზოგადოების აქტიური წევრები. საქმემსი-ს გამგეობამ უფრო მჭიდრო კონტაქტები უნდა დაამყაროს განყოფილებებთან და უჯრედებთან როგორც წერილობით ასევე უშუალო შეხვედრებით. ინსტრუქტაჟის ჩატარების მიზნით შემოიღოს აუცილებელი მონახულება განყოფილებებისა არა ნაკლებ 2—ჯერ წელიწადში და უჯრედებისა თვეში ერთხელ. მუშაობის გამოცდილების გაზიარებისა და ინსტრუქტაჟის მიღების მიზნით, პერიოდულად სამ თვეში ერთხელ მოწვეული უნდა იქნეს უჯრედის ბიუროს თათბირი. 7. უჯრედების ორგანიზაციული სისტემის ფორმა საწარმოებში, ორგანიზაციებში და სასწავლო დაწესებულებებში, ყველაზე მართებულადაა აღიარებული. საქმემსი ენერგიულად უნდა შეუდგეს უჯრედების ქსელის შექმნას, განყოფილებების მხრივ უზრუნველყოს ისინი საჭირო ხელმძღვანელობით. 8. ზედმეტი ინსტანციების შექმნის თავიდან აცილებისა და საქმემსის ორგანიზაციული სტრუქტურის გამარტივების მიზნით, გაუქმებულ იქნეს საზოგადოების თბილისის განყოფილება, ხოლო თბილისის სამაზრო განყოფილების სამუშაოს შესრულება დაევალოს საქმემსის.

საზოგადოების მიმდინარე საკითხები გადაწყდეს თბილისში მყოფი გამგეობის წევრთა თათბირზე, ხოლო უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად პერიოდულად, არა ნაკლებ 4 თვესი ერთხელ მოწვეული იქნეს გამგეობის მთელი შემადგენლობის პლენუმი. 9. საფინანსო ბაზა და სახსრების რაციონალური ხარჯვა წარმოადგენს საქმემსის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრის ერთ—ერთ ძირითად პირობას. ამიტომ, ყრილობა საქმემსის გამგეობას ავალებს; დააწესოს მკაცრი საფინანსო დისციპლინა და ეკონომიურად ხარჯოს საზოგადოების სახსრები. კერძოდ, ყველა განყოფილება გადაყვანილ უნდა იქნეს მკაცრი ხარჯთაღრიცხვის წესზე ისე, რომ განყოფილებათა სახსრების არა ნაკლები 60 %—სა გადარიცხულ უნდა იქნეს საქმემსის საერთო ფონდში. განყოფილებებისა და უჯრედების დარჩენილი სახსრების ნაშთი მიმდინარე წლის I / III თვის უნდა ჩაბარდეს საქმემსის გამგეობას. ამასთან ერთად ყრილობა ავალებს საქმემსის დროულად და რეგულარულად მოახდინოს მისთვის დადგენილი გადარიცხვები. 10. მხედველობაში იღებს, რომ საქმემსის განყოფილებების წარმატებითი მუშაობისათვის საჭიროა საქმემსის გამგეობის მუდმივი ზედამხედველობა და ინსტრუქტაჟი, რაც ხელფასიანი

აპარატის უქონლობის გამო ერთობ გაძნელებულია, ყრილობა საჭიროდ თვლის არ გახსნას ახალი განყოფილებები. ეს უნდა მოხდეს თანდათანობით, არსებული განყოფილებების განმტკიცებისა და მათი მომსახურების გაძლიერების კვალობაზე. 11. იმის გამო, რომ შშრომელ ებრაელებს შორის სოფლის მეურნეობისადმი ძლიერი სწრაფვა შეიმჩნევა, ხოლო მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება საქართველოში მიწების უქმარისობის გამო შეუძლებელია, მექისა და ცენტრალური პარტიული ორგანოების წინაშე საქ.მემსმა უნდა დააყენოს საკითხი საქ.მემსისათვის ბირობიჯანსა და ყირიმში გასაგზავნად განაწესების გასაცემად და მიაღწიოს ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას. 12. მუშაობის საკომისიო მეთოდი შესაძლებლობას იძლევა, მუშაობაში ჩააბას გამგეობის მთელი შემადგენლობა და აქტივის ნაწილი, საუკეთესოდ მოამზადოს და დაამუშაოს საკითხები. ამიტომ ყრილობა მხარს უჭერს შეიქმნას გამგეობასთან განყოფილება და დანაყოფები, მთელი რიგი მუდმივი და დროებითი კომისიები. ყრილობა მიზანშეწონილად თვლის 4 მუდმივი კომისიის არსებობას: ორგანიზაციულ-საფინანსო, კულტურული, სასოფლო-სამეურნეო, ქალთა. ცალკეული რთული საკითხების დამუშავებისა და დავალებების შესრულების მიზნით შეიქმნას დროებითი კომისიები. კომისიები არა ნაკლებ 4 თვეში ერთხელ გამგეობას ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ აბარებენ.

№ 21

1928 წლის 12 აპრილი. ფრიად სასწრაფო. სიღნაღის აღმასკომის მიწათმოწყობის განყოფილებას.

გიგზავნით რა ამასთანავე თქვენი მაზრის იმ შშრომელ ებრაელთა სიას, რომელთაც გამოუცხადებიათ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის სურვილი, გთხოვთ შეეკითხოთ მოისურვებენ თუ არა ისინი ალაზნან გაღმა “წითელ გორაზე” დასახლებას, თუ ეს ადგილი მათ მიერ შეუფერებლად იქნება ცნობილი. მოისურვებენ თუ არა სოჭის რაიონში გადასახლებას, სადაც შესაძლებელია მებაღეობის და მებოსტნეობის მეურნეობის წარმოება. გადასახლებულებს მიეცემათ დახმარება საგზაო ხარჯებისათვის, ძველ ბინადრობაზე ქონების სალიკვიდაციოდ და ახალ ადგილზე მეურ-

ნეობის მოსაწყობად (შენობების ასაგებად და ინვენტარის შესაძენად). დადებითი პასუხის შემთხვევაში წარმოადგინონ განცხადება და დამოწმებული ცნობები ამასთანავე დართულ ბლანკზე.
დანართი: 10 ფურცელი ბლანკი.

მიწათმოქმე. განყ. გამგე: ვ.გოგილაძე
საახალმშენო საქმ. ინსპექტორი: მარუაშვილი

№ 22

1928 წლის 26 აპრილი. საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. მშრომელ ებრაელთა მიწაზე მოწყობის საკითხის შესახებ.

თქვენს № 33. 12-13 წერილზე საქ.მემსი გატყობინებთ, რომ მასში აღძრულ საკითხზე საჭიროა გვექონდეს ცნობები ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, პროფესიული შემადგენლობისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ იმ პირებისა, რომელთაც სურთ იმუშაონ სოფლის მეურნეობაში. საქ.მემსი გთხოვთ ყოველი კომლის შესახებ ამომწურავი ანკეტური ცნობების შეგროვება დაავალოთ შესაბამის აღმასკომებს.

იმის გამო, რომ იმ 280 კომლიდან, რომელთაც გამოთქვეს სურვილი იმუშაონ სოფლის მეურნეობაში, 269 კომლი გეთხოვს, დავტოვოთ ისინი საქართველოს ფარგლებში, საქ.მემსი გთხოვთ ხელი შეუწყოთ მათ განლაგებას 11000 ჰა-ზე, რომელიც საქართველოს საგეგმო კომიტეტის ვარაუდით შეიძლება მომზადებული იქნას მიწათმოწყობის, მორწყვისა და ზოგიერთი საძოვრების სათეს მინდვრებად გამოყენების მეშვეობით. საქართველოს სხვადასხვა მცირემიწიანი რაიონების 2200 ოჯახისათვის საჭიროა სარგებლობაში გადასაცემად მომზადდეს სათესი და სხვა მინდვრები.

ამასთან საქ.მემსი გთხოვთ, დაავალოთ აღმასკომებს, რომ მათ აუხსნან აღნიშნულ 288 კომლს, რომ მათი მიწებზე დასახლება-მოწყობის საკითხი ასე ჩქარა ვერ გადაწყდება, რადგან ამ საკითხის დამუშავება მოითხოვს

სხვადასხვა ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან შეთანხმებას, დიდი სახსრების გამონახვას.

ანკეტიის ფორმა თან ერთვის.

თავმჯდომარე
მდივანი

ხელმოწერილია
ხელმოწერილია

№ 23

1928 წელი. კომკავშირელი ებრაელის წერილი
საქართველოს კომპარტიის ცუკას

თფილისის მცხოვრებ ებრაელთა განუსაზღვრელ სიხარულს საზღვარი არა აქვს, როდესაც გვესმის, რომ ჩვენი ბედ-ირბლის წალმა—უკუღმა ტრიალის საშუალება თანდათანობით ესპობათ სიონისტ-ხახამებსა და კლერიკალებს, თანდათანობით იწმინდება მათგან ჩვენი ქუჩები და მათ ადგილს იჭერს საღად და გარკვეულად მოაზროვნე ახალგაზრდობა. რამდენადაც მაგრადაა ჩვენი ხალხის გრძობები შეზღუდული კლერიკალური შეხედულებით, იმდენადაც საჭიროა მასთან ბრძოლა და თუმც უკეთ ამ ბრძოლისათვის იქნება თქვენს მიერაც რაიმე წვლილი გაღებული, მაშინ აშკარა იქნება ზემოთ თქმულის სიხარულის ძნიშვნელობა, რომ თქვენი მზრუნველობა ამ მხრით ჩვენთვის დიდათ საჭირო და სასარგებლოც იქნება. ამგვარად, როგორც ვთქვით. ჩვენს ზოგიერთ კულტურულ საზოგადოებრივ საქმიანობაში შედიან თანამედროვენი ახალი ცხოვრების მოტრფიალე ელემენტები და ზოგიერთი ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულებანი სრულიად გაიწმინდა მანე ელემენტებისაგან, ხოლო, რაც დარჩენილია აწი უნდა გაიწმინდოს.

სხვათაშორის ამით გვინდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება ერთ გარემოებას. ჩვენს ერთ საზოგადოებრივ დაწესებულებად ითვლება მუშკოპის სავაჭრო განყოფილება ჩვენს უბანში, სადაც მთელი თანამშრომლები ებრაელებისაგან შესდგება. ამ განყოფილების მანე და უვარგისი თანამშრომლების ახლით შეცვლა ხდება და ახლად წამოყენებული კანდიდათთა შორის არის ერთი ეინმე დავით იზრაელაშვილი. როგორც გვესმის ამ კანდიდატურას თქვენც უჭერთ მხარს, უნდა ითქვას, თუ ეს მართალია

მეტად გასაკვირი იქნება, ვინაიდან იზრავლაშვილი ითვლება როგორც ერთადერთი თვალსაჩინო კლერიკალთაგანი. ამაზე გვაგონდება ერთი შემთხვევა, ებრაელთა ერთს კრებაზე დაასახელეს თანამშრომლად კლერიკალი ხახამი და ამის გამო ერთმა ამხ. კომუნისტმა მიმართა ხალხს: ხალხო აღარ გვინდა ხახამ— კლერიკალებთან საქმე გვექნესო და თუ მართლა თქვენ მხარს უჭერთ, რომ ჩვენი კოოპერატივის ახალ თანამშრომლად იქნეს მოწვეული დიდი ვაჭარი და კლერიკალების სულის ჩამდგმელი იზრავლაშვილი, იმ შემთხვევაში ჩვენ იძულებული გავხვდებით გთხოვოთ პატივცემულო ცეკა, აღარ გვინდა ხახამ კლერიკალები ჩვენს კოოპერატივში, ჩვენ გვინდა ახალი ცხოვრების მოტრფიალე პარტიული კომუნისტები ან კომკავშირელები, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში შრომის კავშირის წევრი მაინც, რომელიც ბლომად გვყავს ჩვენს ებრაელობას დღეს.

კომკავშირელი ებრაელი

№ 24

1928 წელი. პრაქტიკული წინადადებები სრულიად საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის მუშაობის შესახებ 1928 წლის პერიოდში.

მოისმინა რა ამხ. პიტოევის ინფორმაცია ღარიბ ებრაელთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის მუშაობის შესახებ, ცკ აღნიშნავს მნიშვნელოვან მიღწევებს ქ.ტფილისის ებრაელთა მშრომელი მასების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და დეკლასირებული ებრაელთა მასის საწარმოო არტელებში მიზიდვის საქმეში.

ამასთან ერთად შეიმჩნევა არანორმალური ურთიერთობა გამგეობის წევრთა შორის, დაჯგუფებებია კომიტეტში და მის ირგვლივ ადგილი აქვს კომი-

ტეტის წევრებს შორის შოვინისტურ გამოვლენებს და სხვ. აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს კპ (ბ) ცეკა გვირჩევეს:

1. იმის გამო, რომ ქართველ ებრაელთა შორის შეიმჩნევა წვრილბურჟუაზიული გამოვლინებები, წინადადება მიეცეს კომიტეტის ფრაქციას თავის მუშაობაში აიღოს კლასობრივი ხაზი, გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადოს შოვინისტურ განწყობილებას ებრაელთა მასებს შორის, 2. კომიტეტის ფრაქციამ თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანოს პროვინციებში, გამოიკვლიოს საქართველოს ებრაელთა ეკონომიური მდგომარეობა, ჩამოაყალიბოს განყოფილებები ცხინვალში, ახალციხეში, სურამში და სხვ. კომპაქტურად დასახლებულ პუნქტებში, ამავე დროს ყოველი ღონე იხმაროს მუშაობის გამოსაცოცხლებლად ქუთაისსა და ფოთში, 3. ებრაელი მშრომელების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს კურსების დაკომპლექტებისას ღარიბ ებრაელთა დახმარების კომიტეტს მისცეს ადგილების შესაბამისი რაოდენობა, 4. კომიტეტის ფრაქციამ და შრომის სახალხო კომისარიატმა გაატარონ ღონისძიებები ღარიბ ებრაელთა მოზიდვის მიზნით არსებულ და ხელახლა გახსნილ სახელმწიფო საწარმოებში (მაუდის ფაბრიკა, აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, ტრამვაი და სხვა), 5. დამთავრდეს არსებული არტელების წმენდა სოციალურად უცხო ელემენტებისაგან და მიიღონ ზომები ნამდვილად მშრომელ ქართველ ებრაელთა მასების მიზიდვისათვის, 6. კომიტეტის ფრაქციამ არტელებისადმი ხელმძღვანელობისას განახორციელოს პარტიის დირექტივა ერთმმართველობის შესახებ, დაწესოს არტელების გამგეთა და რწმუნებულთა პირადი პასუხისმგებლობა, არ დაუშვას კომიტეტის ცალკეულ წევრთა მხრიდან გამოქომაგება და საქმეში ჩარევა, 7. კომიტეტის ფრაქციებმა განსაკუთრებით უნდა გააძლიერონ კულტმასობრივი, წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის მუშაობა ქალთა და ახალგაზრდებს შორის, ამასთან ერთად არ შეასუსტონ მუშაობა რელიგიისა და კლერიკალიზმის გავლენის წინააღმდეგ, 8. კომიტეტის ფრაქციამ გამოაცოცხლოს საწარმოო თათბირების მუშაობა და გადასინჯოს ხელფასის განაკვეთები ცალკეული არტელების მიხედვით, 9. კომიტეტის ფრაქციამ შექმნას პირობები კოლევიალური მუშაობისათვის გამგეობის წევრთა შორის.

1928 წლის 28 ივნისი. ქ.ქუთაისის ებრაელთა წარმომადგენლების თხოვნა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს.

ჩვენ ებრაელები ისტორიულად ვიყავით მორწმუნე ხალხი, რომელი სარწმუნოებაც დღემდე შენარჩუნებული გვაქვს. ქართველი ებრაელობა საბჭოთა მთავრობისადმი პატიოსან და ერთგულ სამსახურს ათავსებდა და ათავსებს თავისი სარწმუნოებისადმი მოვალეობის აღსრულებასთან. ქუთაისში მომხდარი ხანძრის გამო, ქუთაისის ებრაელობა დიდ გაჭირვებასა და განსაცდელში ჩავარდა, მაგრამ ეს გაჭირვება და უბედურება ძლიერ შეუმსუბუქა საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა და გაწეულმა დახმარებამ. ებრაელობა დარწმუნებულია, რომ საბჭოთა მთავრობისა და საზოგადოების მიერ გაწეული განსაზღვრული დახმარება საბოლოოდ დაავიწყებს დაზარალებულ ებრაელობას იმ დიდ გაჭირვებას, რომელშიაც ის ჩააგდო ამ უმაგალითო ხანძარმა. ხანძრის დროს, სხვა ბევრ შენობებთან ერთად ცეცხლისაგან ნაწილობრივ დაიწვა ქუთაისის ებრაელების მთავარი სალოცავი. შაუმიანის ქუჩაზე (ყოფილი გელათის ქუჩა) და ამჟამად ქუთაისის ებრაელების საგროძობი ნაწილი, რომელიც გადარჩა ხანძრის განადგურებისაგან, დარჩენილია უსალოცავოდ... ამისათვის ქუთაისის ებრაელობა... მიმართავს საბჭოთა მთავრობას, რომელიც მუდამ იყო და არის მცირე ერების მფარველი და სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლების დამცველი, რათა მოგვცეს ჩვენ ქუთაისის ებრაელობას ნება ცეცხლისაგან დაზარალებული სალოცავი ეხლავე აღვადგინოთ ჩვენი ღარიბი საშუალებით, ე.ი. გადავხუროთ და იქ ჩვენი სარწმუნოებრივი მოთხოვნილება დავიკმაყოფილოთ...

ივნისის 1928 წ.

1928 წლის ნოემბერი. საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ებრაელთა მიწათმომწყოები კომიტეტის მიერ გამოყოფილი კომისიის ანგარიში.

1928 წ. 29 ნოემბერს, თანახმად საქართველოს ცეკასთან არსებული ებრაელთა მიწადგამანაწილებელი საზოგადოების კომიტეტის დავალებისა (მანდატი №4 ა/წ 22 ნოემბრის თარიღით) კომისიამ ი.რამიშვილის (მიწახკომი), ა.ცხვარაძის (კოლმეურნეობათა ცენტრის წარმომადგენლის), ი.ასატიანის (კახეთის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენლის) და აგრონომ კოკინაშვილის შემადგენლობით დათვალა სახალშენო ნაკვეთი “წითელი გორა,” ძღებარე კახეთის მაზრაში, ალაზნის ვალში რაიონში. ჭიაურის აგარაკში ზაქათალის ოლქის საზღვრებზე, რომელზედაც განზრახულია დასახლება—მოწყობა 200 კომლი უმიწაწყლო გლეხობისა და ებრაელებისა სხვადასხვა რაიონებიდან. გამოირკვა შემდეგი: “წითელ გორაზე” რომლის საერთო ფართობი უდრის 1300 ჰექტარს (დაახლოებით) ტყის ქვეშ იმყოფება 1000 ჰექტრამდის, დანარჩენი 300 ჰექტარი კი შესდგება აქა იქ დაფანტული ველებისაგან, რომლის დიდი მასივი არის წითელი გორას სამხრეთ რაიონში 200 ჰექტარი. ტყიანი ადგილი გაბმულია ეკალ—ბარდებით, რომელიც ძლიერ ართულებს და აძნელებს ტყის გაწმენდისათვის მუშაობას.

საერთოდ რომ ავიღოთ ნიადაგი “წითელი გორისა,” გამოსადეგია ამ რაიონში გავრცელებული სასოფლო—სამეურნეო ყველა კულტურებისათვის, ხოლო რაციონალურად ამ ადგილზე მეურნეობის წარმოება პირველ ხანებში, სანამდისინ გაწმენდილი არ იქნება ტყისაგან და დაშრობილი ჭაობები—შეუძლებელია... სამოსახლო ადგილები დაჭრილია 220 ნაკვეთის რაოდენობით “წითელი გორას” საუკეთესო რაიონში.

თითო სამოსახლო ნაკვეთის სივრცე უდრის 600 კვ. საუ. სამოსახლოების აღმოსავლეთ მხარეს შემოფარგლულია საბახჩე მიწები, თითო კომლისათვის 1/2 დესეტიანას ანგარიშით. როგორც სამოსახლო ნაკვეთები, აგრეთვე საბახჩე მიწები დაფარულია ტყით.

“წითელ გორაზე” დასასახლებლად გაცემულია მიწსახკომის მიერ უკვე 205 ჩასასახლებელი ორდერი. აქედან—123 ებრაელებისათვის. ამ რიცხვიდან სამოსახლოები ჯერ—ჯერობით ჩაბარდა 92 ებრაელს... ებრაელების

დასახლება უნდა მოხდეს კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებით შემდეგი წესით და შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე: 1.სამოსახლო ადგილები მიეცემათ ცალ-ცალკე ნაკვეთებათ თითო კომლს, საბაზჩე ადგილები კი ყველას ერთ ნაკვეთად, თითო კომლზე 1/2- დეს. ანგარისით. 2.300 ჰექტარი ველებიდან- 200 ჰექტარი უნდა გადაეცეს ებრაელებს დასახნავად, გარდა ამისა, უნდა მიეცეს თითო კომლზე კიდევ ორი დესეტინა ერთ მთლიან ნაკვეთად, ყველასათვის ტყიდან სულ 246 ჰექტარი. 3.უნდა დაჩქარდეს ტყის გაჩეხა კახეთის სამაზრო ტრესტის მიერ, ტყის გაჩეხა არ უნდა დაგვიანდეს წელიწადნახევარზე მეტი და ეს გაჩეხა არ უნდა მოხდეს ხეების ამორჩევით, საჭიროა პირწმინდათ გაწმენდა. 4.მოახალშენე ებრაელთ მიეცეს ჯირკვების ამოსაყრელად თითო დესეტინაზე 50 მან. გრძელვადიანი სესხის სახით, სულ 153758. ეს თანხა საჭიროა მუშების დასაქირავე-ბლად, მარტო თითონ ჯირკვების ამოყრას მოკლე ხანში ვერ შესძლებენ. 5.რადგან ამათ სრულიად არ მოეპოვება არც პური, არც საკუთარი ფული, საჭიროა მიეცეს თიტო ოჯახზე 6 ფუთი ხორბალი 8 თვის განმავლობაში პირველი მოსავლის მიღებამდის, ე.ი. 15 დეკემბრიდან 1928 წ. 15 აგვისტომდის 1929 წლისა (წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი განცხადებით, მათ შეუძლიათ შეუდგნენ დასახლებისათვის საჭირო მუშაობას), რომლის ღირებულება იქნება (ფუთი 2 მან. და 20 კაბ.). სულ 5904 ფუთი -12988 მან. 80 კაბ.) 6.გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯებისა, საჭიროა აუცილებლად კიდევ შემდეგი თანხები: ა)საცხოვრებელი სახლის ასაგებად (2 თვალიანი) 400 მან. 123 სახლისათვის სულ.-49200 მან. ბ) ხარების შესაძენად (ტრაქტორები არ გამოდგება), გუტნებისათვის და სხვა სამეურნეო მუშაობისათვის 100 სულის რაოდენობით.- 12000 მან. ვ)25 ცალი გუთნის შეძენა-250 მან. გ)სათესები პურის და სიმინდისა 4 ცალი.- 650 მან. დ)პლანეტები 4 ცალი.-120 მან. ე)ფურგუნები 10 ცალი.-1500 მან. ლ)წვრილი სხვადასხვა იარაღები... 1000 მან. მ)პურის სათესლე მარცვალი 150 დეს.- 2650 მან. ნ)სიმინდის სათესლე მარცვალი 30 დეს.- 67 მან 50 კაბ. პ)ბოსტნეულის სათესლე თითო ოჯახზე 5 მან. სულ -615 მან. რ)სხვადასხვა ხარჯები-1500 მან. სულ-71132 მან. 50 კაბ. 7.ვინაიდან ებრაელებს აქამდის არ უწარმოებია სოფლის მეურნეობა, საჭიროა ერთი გამოცდილი... ხელმძღვანელი აგრონომი, რომლის დასაქირაველად წლიურად დაიხარჯება 2600 მან. მაშასადამე, 123 კომლის მოწყობა- დასახლებაზე 120096 მან. 30 კაბ. ე.ი. თითო კომლზე 830 მან. ებრაელების მოწყობა- დასახლებისათვის მუშაობა მოითხოვს სათანადო ხელმძღვანელობას, რომ ყველა გადადებული თანხები იქნეს გამოყენებული დანიშნულებისამებრ და მიზანშეწონილად, ამიტომ სასურ-

ველია გამგეობაში შეყვანილი იქნეს ზემოთ აღნიშნული აგრონომი, რომელსაც დაევალება სამეურნეო ფინანსური პასუხისმგებლობა მიცემულ თანხებზე. ებრაელთა მთელი ოჯახების დასახლება შესაძლოა მოხერხდეს მომავალი გაზაფხულიდან, როდესაც სახლები იქნება აშენებული, სანამდისინ კი ყველა ოჯახის წევრი მუშახელი დაამზადებს საჭირო მასალას, გასჩეხს და გაასუფთავებს სამოსახლო და საბაზჩე ადგილებს.

“წითელი გორას” გაჯანსაღებისათვის საჭიროა საქართველოს წყალთა სამმართველოს მიერ სამელიორაციო მუშაობის დაჩქარებით ჩატარება. საჭიროა დანარჩენი იმ ღონისძიებების განხორციელებაც საქაროდ, რომლებიც მოხსენებულია კომისიის ოქმში ა/წ. 14 ოქტომბრის თარიღით.

ი.რამიშვილი

ლ.კოკინაშვილი

ი.ასათიანი

ა.ცხვარაძე

ასლი დედანთან სწორია. მღვიანი.

ხელმოწერილია

№ 27

1928 წელი. მასალები “წითელი გორას” ებრაელთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივის “ახალი დასაწყისის” მდგო მარეობის შესახებ.

სამსახურებრივი მივლინებით ვიმყოფებოდი რა კახეთის ოლქში “წითელ გორაში”, ზემოხსენებული კოლმეურნეობის საქმიანობის გასაცნობად შევიარე. იმის გამო, რომ სოფლის კავშირის თესვის კომისიის სასწრაფო დავალება მქონდა, კოლმეურნეობის შესწავლას ერთ დღეზე მეტი ვერ დაუთმე. მაგრამ ამ მცირე დროშიც აღმოვაჩინე საკმაო რაოდენობის ფაქტები, რომლებიც კოლექტივის მუშაობას ახასიათებენ უარყოფითად.

მიმდინარე წლის 17 მარტს საქმემსის გამგეობის სხდომაზე იქნა მოსმენილი. აღნიშნული კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ჯინჯინაშვილის მოხსენება, რომელმაც კოლმეურნეობის მდგომარეობა დაახასიათა როგორც საუკეთესო და ცდილობდა ნაკლოვანებები დაემალა. ამასთანავე, მოხსენებაში იყო ისეთი ნიუანსები, რაც გვაფიქრებინებდა, რომ მოქ. ჯინჯინაშვილის მოხსენება არ ასახავდა კოლმეურნეობაში შექმნილ რე-

ალურ მდგომარეობას. ამიტომ საქმესის გამგეობამ კოლმეურნეობის შესწავლის თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება, რაც მე დაბეჯალა.

კოლმეურნეობის მდგომარეობა შესწავლის დროისათვის ასეთია:

I. ზოგადი ცნობები.

1. კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა 1928 წ. შემოდგომაზე, რომლის წევრები ყოფილი მეწვრილმანე ვაჭრები არიან. კოლმეურნეობის შემადგენლობა დღითი-დღე იზრდება, მაგრამ ზრდის დადგენა გარკვეული პირობების მიხედვით შეუძლებელია, რადგან ახალ წევრთა მიღება ოქმით კი არ ფორმდება, არამედ ისინი საერთო სიაში შეყავთ, სადაც მიღების თარიღსაც კი არ წერენ. 30 მარტისათვის კოლმეურნეობაში ირიცხება 95 წევრი, რომელთაგან 33 ოჯახი ადგილობრივი მცხოვრებია, ხოლო დანარჩენები ოჯახების გარეშე არიან ჩამოსულნი, რის გამოც მათ უხდებათ ხშირი წასვლა-წამოსვლა.

II. საქმის წარმოება და ანგარიშგებიანობა

2. საქმისწარმოება და ანგარიშგებიანობა დაყენებულია ძალიან ცუდად და მდგომარეობა ამ მხრივ ჩემი ჩამოსვლის დროისათვის შეუწყნარებელია. კოლმეურნეობას ვერ კიდევ არ გააჩნია ანგარიშგებისა და სხვა ოპერაციების შემუშავებული ნომენკლატურა. როგორც საფინანსო, ისე არასაფინანსო ოპერაციები ტარდება მათ ხელში არსებულ ყველა წიგნში. იმისათვის, რომ მასალები რომელიმე ანგარიშის შესახებ ამოკრიფო, მისი ძებნა ყველა წიგნსა და საბუთებში გიხდება. დროის უქონლობისა და ანგარიშების არეულ-დარეულობის გამო ვერ შევძელი კოლმეურნეობის ზუსტი საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა დაშედეგინა.

3. პირველ მარტამდე კოლმეურნეობაში მოანგარიშედ მუშაობდა კოლმეურნეობის წევრი გუნდიაშვილი, ხოლო მის შემდეგ — ჯანაშვილი. როგორც პირველი, ასევე მეორე, ბუღალტრულ საქმიანობაში გამოუცდელეები არიან და ამის გამო ვერ ასრულებენ ელემენტარულ საბუღალტრო ოპერაციებს. წიგნებიდან და ქვითრების შეკვრიდან ამოხეულია ფურცლები, მათ არ

აქვთ გაყრილი ზონარი. ისინი ინახება ცალკეული წევრების ბინაზე და კოლმეურნეობის კანტორაში.

III. შინაგანაწესი, შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა

4. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობა წელიწადნახევარია არსებობს, ჯერ კიდევ არ აქვთ შექმნილი შინაგანაწესი. კოლმეურნეობის წევრებმა არ იციან თავიანთი უფლება—მოვალეობანი და კოლმეურნეობის მთელს მუშაობას წარმართავენ გამგეობის თავმჯდომარე და მოანგარიშე. გამგეობის წევრები, სარევიზიო კომისიისა და კოლმეურნეობის საბჭოს წევრები არ მონაწილეობენ კოლმეურნეობის საფინანსო—სამეურნეო და საწარმოო საკითხების გადაწყვეტაში, რომ აღარაფერი ვთქვათ კოლმეურნეობის რიგით წევრებზე.

5. შრომის ორგანიზაციისა და აღრიცხვის საქმე ერთობ ცუდადაა დაყენებულია. წარმოების ცალკეული დარგების ხელმძღვანელები არიან გამოყოფილნი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ გამგეობასა და ცალკეულ კოლწევრებს შორის არის დიდი განხეთქილება, რაც მუშტი—კრივიტა და სამუშაოზე გამოსვლაზე უარით მთავრდება. არ წარმოებს სატაბელო აღრიცხვა, გამოუმუშავებული დღეები არ იწერება კოლწევრთა წიგნაკებში. სამუშაოთა ხელმძღვანელები დროგამოშვებით წარმოადგენენ ხოლმე ქალაქის ნაგლეჯზე დაწერილ მომუშავე კოლწევრების სიას, რომელიც ხშირად იკარგება და იწვევს კოლწევრთა უკმაყოფილებას.

6. შრომითი დისციპლინა კოლმეურნეობაში სათანადო დონეზე არ დგას. ამასთან ერთად, კოლმეურნეობაში ადგილი აქვს ერთ მეტად არაჯანსაღ მოვლენას, რასაც გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ. ეს მოვლენა იმაში მდგომარეობს, რომ კოლმეურნეებს ძლიერ აქვთ განვითარებული მუქთახორული განწყობილება და ისინი ფიქრობენ: თუ ისინი არ იმუშავენ, არ გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას, მთავრობა და მემსი მაინც დაეხმარება, დააკმაყოფილებენ მათ სასიცოცხლო მოთხოვნებს. ასეთი განწყობის გამო, სამუშაოსაგან თავის არიდება, საერთო საქმისადმი გულგრილი და უსულგულო დამოკიდებულება, კოლმეურნეთა ხშირი წასვლა მათ პირად საქმეებზე ხშირად შეიმჩნევა. კოლმეურნეთა საერთო კრებაზე ცალკეული კოლწევრები მიუთითებდნენ, რომ ზოგიერთმა კოლმეურნეებმა ჯერ კიდევ არ დაანებეს თავი ვაჭრობას, მათ ბინებში აქვთ სხვადასხვა საქონელი, ბევრი

კოლწევრი მიდის ვითომ ოჯახის საქმეებზე და სინამდვილეში აგრძელებენ თავის ძველ საქმიანობას. კოლმეურნეობაში ისეთი პირებიც არიან, რომელსაც ებრაელი მიწათმოქმედის ნიღაბს ამოფარებულთ, თავისი მოქმედებით განხეთქილება შეაქვთ კოლმეურნეობაში. ამიტომ, კოლმეურნეობის წევრთა წმენდა რაც შეიძლება ჩქარა და ფართო მასშტაბით უნდა ჩატარდეს.

IV. საწარმოო-ექსპლოატაციის საკითხები

7. ერთის მხრივ უდისციპლინობას კოლმეურნეობაში და მეორეს მხრივ საქმის უკოდინარობას არ შეიძლება თავისი კვალი არ დაეჩნია საქართველოსათვის, რის შედეგად ჩვენ გვაქვს ამ კოლმეურნეობაში სამეურნეო ურთიერთობისა და გაურკვევლობის სამწუხარო ფაქტები. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობაში აგროხელმძღვანელობა სრულიად არ იგრძნობა, რის შედეგადაც კოლმეურნეობის ყოველი საწარმოო ნაბიჯი ზარალიანია. ჯერ კიდევ გასულ წელს, კოლმეურნეობამ დათესა 3 ჰა. ხორბალი და შედეგად სათესლე მოსავალიც კი ვერ მიიღო. საერთოდ, წითელი გორას ნიადაგი მარილიანია და მოსავალი სასუქების გარეშე ან ძალიან მცირე იქნება, ან სულ არ იქნება. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობამ ამ გაზაფხულზე მოხნა 55 ჰა. ხორბლის დასათესად და ისეთსავე მოსავალს უნდა ველოდოთ, როგორც შარშან იყო.

8. კოლმეურნეობას ჰყავს 20 ცხენი, აქვს 10 გუთანა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი. აღნიშნული გამწვევი ძალითა და იარაღებით შეიძლებოდა შეესრულებინათ ერთობ დიდი სამუშაო, მაგრამ კოლმეურნეობის გამკეობა ცხენებს იყენებს სხვადასხვა გადასაზიდ სამუშაოებზე, ხოლო სატრაქტორო კოლონას საგაზაფხულო ხვნისათვის საამშენებლო ფონდიდან 1300 მან. გადაუხადა. კოლმეურნეობას აქვს შემწამელელი მანქანა და ფორმალინი, მაგრამ მათ არ შეწამლეს და შეუწამელელად დათესეს მარცვალი.

9. კოლმეურნეობის წევრთა ეზოები სავსეა ფიჩხით, ეზოები გასასუფთავებელი და შესაღობია. გაზაფხული და ზამთარი ყველაზე საუკეთესო პერიოდი იყო ამ საკარმიდამო ნაკვეთების გასასუფთავებლად, სადაც შეიძლებოდა ბოსტნის გაშენება. ამით, კოლმეურნეობის ბოსტნეულით მომარაგება მინც შესაძლებელი გახდებოდა.

10. მუშა პირუტყვის მოვლა-პატრონობა მიუტევებელ, დაუშვებელ მდგომარეობაშია. საჯინიბოებიდან დროულად არ გამოაქვთ ნეხვი. ნეხვს, რომელიც ძვირფას სასუქს წარმოადგენს არ იყენებენ, აქეთ-იქით ფანტავენ და კარგავენ.

11. კოლმეურნეობებთან ახლოს არის რუსი და ქართველი მოსახლეობა, რომლებიც ტყიდან გამოთავისუფლებულ მიწებზე კოლოსალურ, საკმაოდ კარგ მოსავალს გვაღვიან და მოუსავლიან წელსაც კი იღებენ. კოლმეურნეობის გამგეობამ საჭიროდ არ ჩათვალა ტყის გაკაფვა რამდენიმე ჰა-ზე მაინც, რათა საგაზაფხულო კამპანიისათვის დამუშავებისათვის გამოსადეგი მიწები ჰქონოდა. როგორც მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, კოლმეურნეობაში ჯეროვნად არ იყენებენ მუშახელს, რასაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

12. კოლმეურნეობას გადაწყვეტილი აქვს, გაზაფხულზე დათესოს შემდეგი კულტურები: თამბაქო—10 ჰა; სიმინდი—3 ჰა და კარტოფილი 2 ჰა. რამდენადაც კოლმეურნეობის წევრები კარგად არ არიან სოფლის მეურნეობაში გარკვეულნი, გვაიძულებს კოლმეურნეობის აგრომომსახურების შესახებ ეხლავე დავსვათ საკითხი, რათა თავიდან ავიცილოთ შარშანდელი შეცდომები. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ყველა ეს კულტურა ტექნიკურია და მათგან მაღალი მოსავლის მიღების უზრუნველყოფა მხოლოდ კარგად დაყენებულ აგროსამსახურს შეუძლია.

V. ფინანსური საკითხები

13. საბინაო მშენებლობისათვის, მუშა პირუტყვისა და ინვენტარის შესაძენად კოლმეურნეობას 47000 მანეთის კრედიტი გამოუყვეს, საიდანაც მშენებლობაზე უნდა დახარჯულიყო 37000 მან. იმ პირობით, რომ თითო 400 მან. ღირებულების 92 სახლი აეშენებინათ. სოფლის მეურნეობის გლეხობას ამხანაგობაში ანგარიშზე 2500 მან. აქვს. ხოლო დანარჩენი თანხა არადანიშნულების მიხედვით დახარჯეს. 92 სახლიდან მხოლოდ 34 ააშენეს, რომელთაგან 6 ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ. ერთი სახლის აშენებაზე დანახარჯის გაანგარიშებისას გაირკვა, რომ ხარჯთაღრიცხვის გაანგარიშებანი დარღვეულია. 400 მანეთის ნაცვლად, ერთი სახლის აშენებაზე 700 მანეთი დაიხარჯა. მშენებლობის გაძვირება გამოწვეულია იმით, რომ ყველა სამუშაო— დაწყებული საამშენებლო ადგილების გამოჩეხ-

ვიდან და გაწმენდიდან თვით შავ სამუშაომდე დაქირავებული მუშების მიერ სრულდებოდა.

14. ანგარიშის არეულ-დარეულობის გამო ვერ დავადგინე ზუსტი ციფრი, მაგრამ მიახლოებით მაინც შემიძლია ვთქვა, რომ კოლმეურნეობა თავის წევრთა მივლინებებზე დიდ თანხებს ხარჯავს. ერთი წლის განმავლობაში ამ მიზნით საამშენებლო ფონდიდან მათ 2000 მან. დახარჯეს. ამრიგად, მშენებლობისათვის გამოყოფილი კრედიტი უკვე ამოწურულია, საამშენებლო სამუშაოები კი შესრულებულია მხოლოდ 35 %-ით.

VI. კვება და პირველადი მოთხოვნების საგნებით მომარაგება.

15. მოსავლის მიღებამდე, კოლმეურნეობა თითქმის შეუფერხებლად მარაგდებოდა კვების პროდუქტებით, პირველ რიგში პური. იმის გამო, რომ კოლწევრთა უმეტესობა სამუშაო ადგილზე არ ცხოვრობს, პროდუქტები ნედლეულის სახით ნაწილდებოდა წევრებზე და გადიოდა კოლმეურნეობის გარეთ. დადის ხმა, რომ ზოგიერთი კოლმეურნე ჰყიდის ამ პროდუქტებს, მაგრამ დროის უქონლობის გამო, ამ ფაქტის დადგენა არ მოხერხდა.

16. ერთი კოლწევრი კლავს პირუტყვს და ჰყიდის მეორე კოლწევრზე, მოგებას კი თვითონ იჯიბავს.

17. სოფ. ბეშქენტის ახლოს არის ვარდისუბნის განყოფილება, რომელიც რეგულარულად ამარაგებდა კოლმეურნეობის წევრებს პირველადი მოთხოვნების საგნებით, მაგრამ პროდუქტების გაყიდვის ფაქტების დადგენის შემდეგ განყოფილებამ ზოგიერთ წევრებს, ნავთისა და ასანთის გარდა სურსათის მიცემა შეუწყვიტა.

VII. კულტ- მასობრივი მუშაობა

18. მთლიანად ჩაშლილია მასობრივი მუშაობა. არ ტარდება საწარმოო თათბირები, კოლმეურნეთა საერთო კრებაზე არ მუშავდება ცალკეული სამეურნეო-საწარმოო საკითხები.

19. არ წარმოებს კულტმუშაობა. არაა გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები, არაა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი.
20. ჰყავთ სასკოლო ასაკის 50 ბავშვი, მაგრამ მათთვის სკოლა ჯერ არ გაუხსნიათ.
21. კოლწევრთა მიერ აგრონომიული ცოდნის საფუძვლების შესწავლა ჩაშლილია.

VIII. ჯანდაცვა და სამედიცინო მომსახურება.

22. ჭაობის ამოშრობის სამუშაოები ჯერ კიდევ არ დაუწყიათ და ამიტომ ეს ადგილები მალარიის მატარებელია.
23. კოლწევრებს ემსახურება ვარდისუბნის მედპუნქტი, რომელიც 17 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. სოფ. ბეშქენტში აშენდეს მედპუნქტი. საჭიროა სოფლების: ბეშქენტის, თამარაშენისა და “წითელი გორას” მცხოვრებთათვის ან კოლმეურნეები მივაძაგროთ ბაისუბნის მედპუნქტს.

IX. დასკვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლმეურნეობის მდგომარეობა მიმანჩნია არასაიმედოდ და საჭიროდ ვთვლი გამოიყოს კომისია შემადგენლობით: 1. საქართველოს ცაკ-ისა და მეშკის, 2. საქმემსისა და 3. კოლმეურნეობების ცენტრის წარმომადგენლების შემადგენლობით, რომელსაც დაევალება კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის საფუძვლიანი რევიზიის ჩატარება, გადასინჯავს კოლმეურნეობის შემადგენლობას მისი თითოეული წევრის შემოწმების გზით, რის შემდეგ დასევამს საკითხს არასაიმედო და გამოუსწორებელი ელემენტების კოლმეურნეობიდან გარიცხვის შესახებ, რათა ამით იმოქმედოს სხვა კოლწევრებზე. პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება დაევალოს ამავე კომისიას.

საქმემსის გამგეობის თავმჯდომარის
 მოადგილე
 საქ. ცაკ-ის მიწათმოწყობის კომიტეტის წევრი
 ბენიაშვილი.

1929 წელი. მოხსენება სენაკის მაზრის სოფლების: ბანძისა და სუჯუნის ქართველ ებრაელთა მდგომარეობის შესწავლის გარშემო.

სოფელ ბანძაში არის 574 კომლი, სადაც 124 ებრაელია. ამ სოფლის მოსახლეობა შეადგენს 2849 სულს. მათ შორის 677 სული ანუ 33,7 % ქართველი ებრაელია. სოფელი სუჯუნა კი 191 კომლს ითვლის. აქედან 113 ებრაელია. სუჯუნის მოსახლეობა 911 კაცია, საიდანაც 494 ანუ 54,2 % ქართველი ებრაელები არიან. ამგვარად, სენაკის ებრაული მოსახლეობის 90 % ამ ორ სოფელში ცხოვრობს.

სენაკის მაზრის ებრაული მოსახლეობის 90 % როგორც ვაჭრები მოკლებული არიან ხმის უფლებას. მაგალითად; სუჯუნაში 178 ამომრჩევიდან—159 ანუ 90,4%—ს არა აქვს ხმის უფლება. სოფელ ბანძაში უფრო მეტს. 324 ამომრჩევიდან 308 კაცს ანუ 95,1% —ს ჩამორთმეული აქვს ხმის უფლება.

ეკონომიური მდგომარეობა

ზემოდასახელებულ ორივე სოფელში ორი კომლის გამოკლებით ებრაელებს არა აქვს მიწა. 237 კომლიდან, სოფლის მეურნეობას მისდევს ორი, მოსამსახურეა—2, კუსტარი და მეეტლე—23, ვაჭარი—45, ფინგანის ოფიციალური მონაცემებით, სოფ. ბანძის და სუჯუნის ებრაელებიდან მხოლოდ 12—ს აქვს პატენტი ვაჭრობისათვის, 21 ადამიანს პატენტი ინდივიდუალური (კუსტარული) წარმოებისათვის. დანარჩენი მასა ეს არის დეკლასირებული ელემენტები მოხეტიალეებისა, რომლებიც კოოპერატივის მიერ საბოლოოდ არიან გამოდევნილნი. ამრიგად, ებრაელთა ძირითადი მასის მთავარი საქმიანობა არის წერილმანი ვაჭრობა უმნიშვნელო კაპიტალით (3—15 მან), რომელთა ხელფასი თვეში 12—დან 15 მანეთია. ცხადია, ეს თანხა არ არის საკმარისი ოჯახის გამოსაკვებად, რომელიც 5—7 სულისაგან შედგება და ეს ძირითადი მასა ებრაელებისა ნახევრადმ-

შიერ ღატაკურ მდგომარეობაშია. მათი მდგომარეობა იმითაც რთულდება, რომ, როგორც ხმის უფლება ჩამორთმეულნი, ისინი არ არიან კოოპერატივის წევრები და კოოპერატივიდან ვერ იღებენ აუცილებელ საქონელს. სოფელ ბანძაში კი პურსაც ვერ იღებენ.

სოფელ ბანძაში სულ სამომხმარებლო კოოპერატივის 628 წევრია, მათ შორის 22 ებრაელი. სუჯუნაში კოოპერატივის 52 ებრაელი წევრია. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სიფელში ებრაელთა 40 %-ს არა აქვს კოოპერატივის წევრთა სრული უფლებები. საქმე იმაშია, რომ კოოპერატივის მუშაკები არ აძლევენ პროდუქტებს ზოგიერთ ებრაელ წევრებს, რომლებიც შემჩნეულნი არიან კოოპერატივიდან მიღებული დეფიციტური საქონლით ვაჭრობაში. ეს ებრაელები უფრო ნაკლებ საქონელს იღებენ ვიდრე კოოპერატივის სხვა წევრები. ზოგიერთებს კი საერთოდ არაფერს არ აძლევენ. ამის გამო ისინი თავიანთი შეტანილი პაის დაბრუნებას მოითხოვენ. კოოპერატივის მუშაკები უარს ეუბნებიან მათი თხოვნის შესრულებაზე. ამას იმით ხსნიან, რომ კოოპერატივიდან იღებენ რა დიდი ხნის განმავლობაში დეფიციტურ საქონელს თავიანთი შესატანები დიდი ხანია აინაზღაურეს.

ღატაკ ებრაელთა (ობლებისა და ქვრივების) კოოპერირება, ღატაკთა ფონდიდან მეტისმეტად უმნიშვნელოა. მაგალითად, სუჯუნაში 1928—29 წლებში ღატაკთა ფონდიდან კოოპერირებული იქნა 126 ღარიბი, მათ შორის მხოლოდ 4 ებრაელი. ბანძაში 233—დან 1 ებრაელი. კოოპერატივის ხაზით ებრაელთა შორის არავითარი მუშაობა არ წარმოებს. სოფელ ბანძაში არის კვერცხის შემგროვებელი ებრაელთა “არტელი”. არტელი შედგება პრიველიგიზებული წევრებისაგან. (ესენია, არტელის ხელმძღვანელი წევრები—3 კაცი) და არაპრიველიგიზებული რიგითი წევრებისაგან (კვერცხის შემგროვებლები) —47 კაცი. თითოეული წევრი ფეხით დადის სოფლიდან სოფელში და ერთი კვირის განმავლობაში აგროვებს საშუალოდ 700 ცალ კვერცხს. ამისათვის იგი იღებს 2 მანეთს და 10 კაპიკს. საშუალოდ 100 ცალზე 37 კაპიკს. (100 ცალს იგი ყიდულობს 4 მანეთად, კოოპერატივს აბარებს 4 მან. და 30 კაპიკად), ამრიგად, რიგითი წევრის თვიური ხელფასი არ აღემატება 9—10 მანეთს. ხელმძღვანელი წევრების ხელფასი 70—80 მანეთამდეა, ხან კი ამაზე მეტია. ეს არის ხელმძღვანელი 3 წევრის მიერ რიგითი წევრებისადმი ჩამოყალიბებული ექსპლოატაცია.

წერა—კითხვის უცოდინარობის პროცენტი ამ ორი სოფლის ებრაელთა შორის დაახლოებით 80–85% —მდე აღწევს (ზუსტი ციფრები არ არსებობს). სკოლაში ებრაელთა ბავშვები არასაკმარისად არიან ჩაბმულნი. მართალია, სოფ. ბანძაში ებრაელი ბავშვების უკეთ მოზიდვისათვის გასულ წელს 4 წლიანი სკოლა გაიხსნა, სადაც ებრაელ ბავშვებთან ერთად ქართველი ბავშვებიც სწავლობენ. მაგრამ ეს 4 წლიანი სკოლა არ არის სრულად დაკომპლექტებული. აქ ჯერ მხოლოდ 2 ჯგუფია, სადაც 87 ბავშვი სწავლობს (გოგონაა 44), აქედან ებრაელია —23 (11 გოგონა). ამას გარდა ბანძაში არის ქართული შვიდწლელი, სადაც ქართველ ებრაელთა ბავშვები სწავლობენ. რვა ჯგუფში სულ 344 ბავშვი (143 გოგონა) სწავლობს, სადაც 30 ებრაელია (14 გოგონა).

სოფელ სუჯუნაში არის ერთი შვიწლელი. ამ შვიწლედში სულ 329 ბავშვია, მათ შორის 30 ებრაელი არის —9,6 %. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სუჯუნაში ებრაელები მთელი მოსახლეობის 54,2% შეადგენენ, ნათელი გახდება, რომ ამ სკოლაში ებრაელი ბავშვები მეშვიდე კლასამდე ძალიან იშვიათად აღწევენ. მეოთხე კლასის შემდეგ ისინი ჩვეულებრივ სკოლაში არ დადიან. მაგალითად, ბანძაში მეშვიდე კლასში არც ერთი ებრაელი არ არის, მეექვსეში არის— 1, მეხუთეში —1, ამ განთესვის მიზეზი მატერიალური სიღარიბე და ჩამორჩენილობაა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი უარყოფითი მოვლენა. ებრაელ ბავშვთა უმრავლესობა შაბათობით სკოლაში არ დადის. ისინიც კი, რომლებიც დადიან, არ მეცადინეობენ (არ წერენ), მხოლოდ კითხულობენ. მაგალითად, ბანძაში ...შვიდწლელის შემოწმებით დადასტურდა, რომ 30 ბავშვიდან შაბათს არ გამოვიდა 11.სუჯუნაში კი გაკვეთილებს თითქმის სულ არ ესწრებოდნენ. ამის გამო ისინი ჩამორჩებიან ქართველ ბავშვებს.

სოფელ ბანძაში არის პროფესიული სკოლა, სადაც 48 ქალი სწავლობს, მაგრამ ამ სკოლაში არ არის არც ერთი ებრაელი ქალი. ამის მიზეზი ის არის, რომ ებრაელთა შორის არ წარმოებდა ახსნა—განმარტებითი მუშაობა. იქვე საბავშვო ბაღია მოწყობილი, სადაც 6 ბავშვია, მათ შორის 6 ებრაელია. (აღრე 13 ბავშვი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ 7 ბავშვის მშობლებმა თვეში 2 მანეთის გადახდა ვერ შეძლეს, ბავშვები წაიყვანეს).

სუჯუნაში არც პროფსკოლა და არც საბავშვო ბაღია.

1928/ 29 წლებში ბანდაში ორგანიზებული იყო სალიკვიდაციო პუნქტები, სადაც 27 მსმენელი ირიცხებოდა, მათ შორის მხოლოდ 1 ებრაელი. სუჯუნაში კი სალიკვიდაციო პუნქტი არ გახსნილა. ამგვარად, წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ებრაელთა შორის აქამდე თითქმის არ სწარმოებდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის წერაკითხვის უცოდინარობის პროცენტი მაღალია.

ანტირელიგიური მუშაობა

ბანდაში და სუჯუნაში ისევ არსებობენ სასულიერო სკოლები — “ხედერები.” ყველა ებრაელი ბავშვი 7- დან 13 წლის ასაკამდე დადის ამ სკოლაში, სადაც მათ ასწავლიან ძველ ებრაულს და რელიგიურ საგნებს. ქართველი ებრაელები ფანატიზმამდე მორწმუნეები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შიშშილობენ. შაბათობით არ მუშაობენ, არ იწყებენ სამსახურს (ზოგ მათგანს სუჯუნაში შესთავაზეს სამსახურში მოწყობა), სინაგოგასთან მოწყალების ორგანიზაციები ჯერ კიდევ არსებობენ. სინაგოგები ლატაკებს გროშებს აძლევენ და მათ შორის ამით თავიანთ ავტორიტეტს განამტკიცებენ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სინაგოგის გავლენა ებრაელებზე ძალიან დიდია. აქ საჭიროა გაძლიერებული ანტირელიგიური მუშაობა. ამ მხრივ სოფელ ბანდაში ბევრი რამ კეთდება. ებრაელთა ახალგაზრდებში (ინიციატივა თვითონ მათგან მოდის) ორგანიზებულია ანტირელიგიური წრე. ამ წრეში 44 კაცია; მათ შორის 24 ებრაელი ახალგაზრდა. უარყოფითი ის არის, რომ ამ წრეში არც ერთი ებრაელი ქალი არ არის. წრე თვეში ორჯერ იკრიბება, იკითხება ლექციები. თავის მხრივ, ამ წრემ ებრაელთა შორის კულტურული წრე ჩამოაყალიბა, სადაც 60 ებრაელი ახალგაზრდაა ჩაბმული.

სუჯუნაში არავითარი ანტირელიგიური მუშაობა არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელთა მასა კონსერვატიზმისა და რელიგიურობის მხრივ აქ უფრო მეტია, ვიდრე ბანდაში.

შემდეგ— დეკლასირებული ებრაელი მასა არავითარ უფასო სამედიცინო დახმარებას არ ღებულობს. მოთხოვნილება კი ამისა ძალიან დიდია, რადგან, ანტისანიტარიისა და ნახევრად მშსიერი ცხოვრების გამო, მათ

შორის ბევრი დაავადებაა გავრცელებული. ექიმები მათ იშვიათად ნახულობენ. ლექციების კითხვაზე ებრაელებისათვის საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი.

მაზრის აღმასკომის ინსპექტორთან ერთად ჩვენ რამდენიმე ღარიბთა კომლი ვნახეთ. ჩვენ ამ სახლებში ვნახეთ სილატაკისა და ანტისანიტარიის სამეფო. ჩვენს მიერ ბანძასა და სუჯუნაში შეკრებილმა ღარიბთა მასამ, თავის გამოსვლებში თავისი მძიმე მდგომარეობა დაგვიხატა და მთავრობისაგან დახმარება ითხოვა. სოფლებში გამოკვლევის შემდეგ, მე მაზრის აღმასკომის პრეზიდენტზე გავაკეთე საინფორმაციო ცნობა, რის შემდეგაც გადაწყდა, სასწრაფო ზომები ყოფილიყო მიღებული ბანძაში პურის, უფასო წამლების გაცემისა და სხვათა შესახებ.

დასკვნები და პრაქტიკული წინადადებანი.

როგორც ბანძისა და სუჯუნის სასოფლო საბჭოები, ასევე სამაზრო ორგანიზაციები აქამდე ძალიან ცოტა ყურადღებას უთმობდნენ ებრაელ ღარიბთა შორის მუშაობას. აქედან გამომდინარეობს ის ნაკლოვანებანი, რომლებზეც ლაპარაკია მოხსენებაში. (სასულიერო სკოლების “ხედვების” არსებობა, წერა— კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის არარსებობა, ებრაელთა სკოლებში არასაკმარისად მიზიდვა და ა.შ.).

ებრაელი ღარიბების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მიღებული იქნას შემდეგი ღონისძიებები: 1.წინადადება მიეცეს სრულიად საქართველოს ღარებკომს ა)სენაკის მაზრაში ჩამოაყალიბოს ცალკე ებრაელთა ღარებკომი, გაუწიოს მას წინასწარი მატერიალური დახმარება, ბ)ჩამოაყალიბოს სხვადასხვა საწარმოო არტელები (წყლების და ა.შ.) 2. წინადადება მიეცეს სენაკის მაზრის მიწგანს და მემსის შეისწავლოს საკითხი ებრაელ ღარიბთა ნაწილისათვის მიწის ნაკვეთების მიცემის შესახებ. მიწაზე დამაგრების მიზნით მათ ამასთან ერთად მიეცეს გრძელვადიანი კრედიტი კოლმეურნეობების მოსაწყობად. 3.წინადადება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს: ა)ებრაელი ღარიბობა მიიზიდოს (პირველ რიგში ალკა წევრები) ადგილობრივი აპარატის მუშაობაში, ბ)დახუროს ფარული სასულიერო სკოლები— ხედვები, მათ ორგანიზატორთა მიმართ მიიღოს ადმინისტრაციული ზომები, გ)გაუწიოს ებრაელ ღარიბებს უფასო სამედიცინო დახმარება, აგრეთვე მოაწყოს მათთვის... ლექციები ჰიგიენურ თემაზე, დ)კოოპერატივიდან საერთო წესით მოამარაგოს ღარიბთა მასები პურით

და სიმინდით. ე)სალიკვიდაციო პუნქტების ქსელის გაფართოების გზით, გააძლიეროს მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ებრაელთა შორის. ვ)უფრო მეტად მიიზიდოს ებრაელი ბავშვები სკოლებსა და საბავშვო ბაღებში. ახსნა-განმარტებითი მუშაობა გააჩალოს ებრაელთა შორის უფროსკლასელებში მათი მიზიდვის მიზნით. 4.კოოპერატივიდან ღარიბი ებრაელებისათვის აუცილებელი საქონლით მომარაგების, ღარიბთა ფონდიდან მათი კოოპერირების შესახებ დაუყოვნებლივ მიეცეს საჭირო ღირეკტივები. 5.ხმაჩამორთმეულ ებრაელთა ქვრივებისა და ღარიბთა საქმეების გადასასინჯად, განსაკუთრებული კომისიის ჩამოყალიბება აუცილებლობად იქნეს მიჩნეული.

№ 29

1929 წელი. ამონაწერი საქართველოს კე ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის I თებერვლის № 18 ოქმი დან.

მოსმინეს: 7. ღარიბ ებრაელთა მიწათმოწყობის დამხმარე საზოგადოების (მემსის) დაარსების შესახებ ქ. ქუთაისში (ამხ. ბენიაშვილი, შშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის დამხმარე საქ. საზოგადოების თავმჯდომარე).

დაადგინეს: ზემოაღნიშნულ კრებაზე მოხდეს არჩევნები მიწათმოწყობის დამხმარე საზოგადოების (მემსის) გამგეობის და სარევიზიო კომისიის. კრების ხელმძღვანელად სამაზროკომიდან გამოყოფილი იქნას ამხ. მამარ-დაშვილი.

თავმჯდომარე: გვასალია

1929 წლის 3 მაისი. საქართველოს სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ლინეკის მოხსენება 1928 წლის 1 ნოემბრიდან 1929 წლის 1 მაისამდე მუშაობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი შეიქმნა გასული წლის ნოემბრის დასაწყისში, მაგრამ მთელი რიგი ტექნიკური მიზეზების გამო მუშაობას მხოლოდ გასული წლის I/XII— დან შეუდგა. პარტიის ცკ-ის მიერ დამტკიცებული კომიტეტის შემადგენლობა არ შეცვლილა. გარდაცვალების გამო, კომიტეტის შემადგენლობიდან გამოყვანილია ხანზინი და გაურკვეველი მიზეზების გამო გერცელ ბააზოვი.

კომიტეტს შემდეგი მუშა კომისიები ჰქონდა: 1. შემრჩევი, რომელიც განიხილავდა განცხადებებს სამედიცინო, ფულადი და სხვა დახმარების საკითხების შესახებ, 2. სამეურნეო, რომლის დაქვემდებარებაში შედიოდა ხორცის, ღვინის და სხვა საქმეები, 3. გადმომხირებელი, სადაც ტარდებოდა კომიტეტის წევრთა მუშაობა შეჯიბრების მონაწილეთა და შესაწირავთა შემომტანების გადმომხირების მხრივ. ამ კომისიებში კოოპტაციით იყვნენ შეყვანილნი ახალი ამხანაგები—მხოლოდ კომკავშირელები და პარტიის წევრები. მაგალითად: ლევიშვილი, ჟელეზნიაკი, კანზაველი და სხვები—კომკავშირელები არიან. ეს კოოპტაცია მოხდა იმის გათვალისწინებით, რომ აუცილებელია მთხოვნელთა საგულდაგულო შერჩევა და, რაც მთავარია, კომიტეტის მიზანი იყო ღარიბები გამოეგლიჯა სინაგოგის გავლენისაგან. როგორც ცნობილია, კომიტეტის პირველ შემადგენლობაში შედიოდნენ სინაგოგათა საზოგადოებების ბევრი წარმომადგენელი. საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა ჩაატარა 14 სხდომა. განიხილა 105 საკითხი, რომელთა შორის 17 ორგანიზაციული ხასიათისაა. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში კომიტეტი იმის გამო არ შეკრებილა, რომ კომიტეტის ზოგიერთი წევრი მაცის ოპერაციების გამო იყო დაკავებული.

კომიტეტს აქვს შემდეგი შტატი: ტექნიკური მდივანი (ევროპელი ებრაელი), მბეჭდავი მემანქანე (ქართველი ებრაელი), კურიერი (ქართველი ებრაელი). მთელი ამ შტატის შენახვა თვეში 140 მან. ჯდება. გარდა ამისა, კომიტეტს ჰყავს მთავარი ბუხჰალტერი, რომელიც მუშაობს უხელფასოდ (ამხ. გასკელი) და ორი მონაგარიშე, რომლებიც აწარმოებენ არტელეებისა

და საარტელო ორგანიზაციის რწმუნებულთა ანგარიშგებას (მათ შესახებ ქვემოთ).

კომიტეტმა შეასრულა შემდეგი სამუშაო:

სამედიცინო დახმარების ხაზით.

კომიტეტის შექმნამდე მოწმობას უფასო სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ აძლევდნენ ებრაელთა ბიბლიოთეკაში, ამასთან, როგორც ჩანს, ეს ხდებოდა მთხოვნელთა ყოველგვარი შერჩევის გარეშე, მოწმობას აძლევდნენ ნებისმიერი ხალხი- ნებისმიერ ხალხს. კომიტეტის ხელში დახმარების საქმის გადასვლის მომენტიდან, ყველა ძველი მოწმობა გაუქმდა, ყველა მთხოვნელი განიხილება შემრჩევი კომისიის მიერ. გვაქვს მთხოვნელის ბინაზე შესწავლის ფაქტები, თუ უკანასკნელს შემრჩევი კომისიის წევრები არ იცნობენ. კომიტეტმა თავისი არსებობის განმავლობაში 165 სამედიცინო დახმარების მოწმობა გასცა.

დახმარების გაწევა ჩვენთან გავლით მყოფთა და სხვაგან გადამსვლელთათვის.

ღარიბ ებრაელებს დახმარებას უწევდნენ მხოლოდ სინაგოგები. შემთხვევით გამეღელს ან მიმავალ მგზავრს თუ არ ჰქონდა არავითარი სახსარი, მას აძლევდნენ ფულს, უყიდდნენ ბილეთს და აგზავნიდნენ მისთვის სასურველი მიმართულებით. ამ საკითხზე კომიტეტი შეუთანხმდა საქართველოს სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს და კომიტეტის შუამდგომლობის მიხედვით, გავლით მყოფთ და ღარიბებს, თუ ისინი თხოვნით კომიტეტს მიმართავენ, სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი მათ აძლევს ლიტერს 50 %-ის ფასდაკლებით. იმისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს მასიურ წასვლა- წამოსვლას და აღნიშნული შეღავათის ბოროტად გამოყენებას, კომიტეტმა პირველივე დღეებიდან გადაწყვიტა შემოიფარგლოს განსაზღვრული პუნქტებით, სადამდეც იგი შუამდგომლობს ლიტერის გაცემის თაობაზე. კერძოდ: ბათუმამდე და ბაქომდე, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებამდე. ასეთი 42 ლიტერია გაცემული. ლიტერების გარდა კომიტეტი გასცემდა ფულად დახმარებასაც, რაც შედის

ფულადი დახმარების პუნქტში და მის შესახებ მოგახსენებთ ქვემოთ. იყო შემთხვევები, როცა რკინიგზის სადგურიდან მოჰყავდათ დახმარებისათვის გაქურდული პირები, რომელთაც მგზავრობის სახსრები არ ჰქონდათ.

ფულადი დახმარება

კომიტეტის შექმნამდე, ფულად დახმარებას უწევდა სინაგოგა. მაგრამ, კომიტეტის შექმნამდე 5–6 თვის წინ ებრაელთა შორის სისტემატურად ფული არ მოკრეფილა, რადგან ხალხს არ გააჩნდა საამისო საშუალება. მხოლოდ შემთხვევიდან– შემთხვევამდე ხდებოდა ფულის მოკრეფა და მთხოვნელთა დაკმაყოფილება. ევროპელ ებრაელებთან ეს ხდებოდა სისტემატურად და რეგულარულად. შემოსავალი ადიოდა 220 მან–მდე. იყვნენ სინაგოგის მუდმივი პენსიონერები. სინაგოგასთან მყოფი ყველა გადამხდელი გადავიდა კომიტეტში. ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, თუ როგორ მეორდება აკრეფილი ფულის თანხა ევროპელ ებრაელთა შორის. ქართველი ებრაელები კი გაიყვნენ ორ ჯგუფად სინაგოგების მიხედვით – ახალციხის ებრაელები თვეში კრეფენ 100 მან–მდე, ხოლო ცხინვალისა 45 მან–მდე.

ევროპელ ებრაელთა შორის აკრეფილმა თანხამ შეადგინა: დეკემბერში –142 მან. და 52 კაპ. იანვარში –142 მან. და 21 კაპ. თებერვალში –148 მან. და 04 კაპ. მარტში –136 მან. და 40 კაპ. აპრილში –85 მან. და 17 კაპ. სულ –647 მან. და 14 კაპ. აქვე შედის დეკემბრამდე შემოსული 103 მან. და 20 კაპ. აქედან ნათლად ჩანს, თუ როგორ მცირდება თანდათანობით აკრეფილი თანხა.

ახალციხელ ებრაელთა შორის ამ პერიოდში შეგროვდა 355 მან. ხოლო ცხინვალელებთან –65 მან. რაც გვიჩვენებს, რომ აკრეფილი ფულის თანხა არ გაზრდილა.

ამ პერიოდში კომიტეტს ჰყავს 84 პენსიონერი, რომელთაგან 24 ევროპელი, ხოლო 60 ქართველი ებრაელია. კომიტეტის მიერ საპენსიო დახმარების გაცემა გამოიხატება შემდეგი ციფრებით: ნოემბერში –178 მან. დეკემბერში –238 მან. იანვარში –352 მან. და 50 კაპ. თებერვალში –412 მან. 50 კაპ. მარტში –441 მან. აპრილში –444 მან. და 50 კაპ. სულ გაიცა 2073 მან. და 50 კაპ. რაც გვიჩვენებს გაცემული საპენსიო დახმარების ზრდას. ამის გარდა კომიტეტი გასცემდა ერთდროულ დახმარებას. აქ შემოდიან აგრეთვე გზად მიმავალი პირებიც. ციფრებში ეს

ასე გამოიყურება: დეკემბერში —250 მან. იანვარში —137 მან. და 50 კაპ. თებერვალში —91 მან. და 42 კაპ. მარტში —113 მან. აპრილში —213 მან. ერთდროული დახმარების სახით 1 მაისამდე სულ 804 მან. და და 92 კაპ. გაიცა.

დასაწყისში კომიტეტმა დაადგინა შემდეგი პრინციპი: საჭიროებისდა მიხედვით გაიცეს საპენსიო დახმარება 6—დან 15 მან—მდე თვეში. მაგრამ ამ ნორმის დაცვა ვერ მოხერხდა და კომიტეტს მოუხდა ამ ნორმების დარღვევა. საპენსიო დახმარება გაიცემა 20 მან-მდე. გარდა ამისა, დაახლოებით ასეთი საჭიროებისათვის კომიტეტი უპროცენტო თანხას იძლეოდა: მკერავის უეცრად დაბრმავება, აღებული შეკვეთების დასამთავრებლად ხელოსნის დაქირავებისათვის საჭირო თანხა, სახელოსნოს მოწყობისათვის საჭირო თანხა და სხვ. სულ გაცემული იქნა 290 მანეთის უპროცენტო თანხა. მთელი თანხა— საპენსიო დახმარება, ერთდროული დახმარება და უპროცენტო სესხი შეადგენს 3168 მან. და 92 კაპ. თავისი თანხებით კომიტეტი ღარიბ მიცვალებულთა დაკრძალვას აწარმოებდა. ასეთი იყო 12, რაზედაც 300 მან—ზე მეტი დაიხარჯა.

ადგილობრივი ოპერაციები.

როგორც ცნობილია, ანარიცხები, რომელსაც ებრაული რელიგიური კოოპერატივი ერკოპი სინაგოგების საზოგადოებისათვის ადრეც აწარმოებდა, კომიტეტის შექმნის მომენტიდან მის სარგებლობაში გადავიდა. ამასთან კომიტეტის კმაყოფაზე ებრაული წესის მიხედვით გადმოვიდა ხორცის მწარმოებლები და აგრეთვე კონტროლიორები: დამკვლევები—კანდიბა და ხარლიაფი, თითოეული მათგანი თვეში იღებენ ხელფასს— 125 მან. კონტროლიორი —რაბინები, კუპჩანი და ბააზოვი, პირველი თვეში იღებს 40 მან. ხოლო მეორე 50 მან. (პირველი მაისიდან შემცირებულები არიან კონტროლიორები— იზრაელაშვილი და გორელაშვილი. პირველი თვეში იღებს 15 მან. ხოლო მეორე 50 მან. რადგან იგი მუშაობს აგრეთვე სასაკლაოზეც). შემოსავალი კი ასეთია: ანარიცხები გასული წლის I/XI—დან მიმდინარე წლის I/IV—მდე 3178 მან. და 96 კაპ. შტატის შენახვა კი ჯდება 260 მან. ნაშთი 570 მან. და 96 კაპ. ამის გარდა კომიტეტმა მიიღო სხვაობა 877 მან. და 42 კაპ.

“საქლვინკავშირის” საშუალებით, კომიტეტმა დაამზადა ქაშერი ღვინო, რომელიც იყიდება ებრაელთა რელიგიური კოოპერატივის (ერკოპი) სავაჭრო პუნქტში, რისგანაც კომიტეტმა ამა წლის 1/V –თვის მიიღო 275 მან. და 06 კაპ. შტატის ხარჯებს გაიღებს “საქლვინკავშირი.”

შრომითი დახმარება

შრომითი დახმარების გაწევას კომიტეტი აქცევს სერიოზულ ყურადღებას. კომიტეტის აზრით შრომით დახმარებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამჟამად კომიტეტმა ჩამოაყალიბა და მუშაობენ შემდეგი შრომითი არტელები: სასადილო, საკანფეტე, ტყავ-მელნის, სამკერვალო, დამფასოებელი, სკამების. სულ 7 არტელი. შემადგენლობა ასეთია:

№	არტელის დასახელება	სულ მაშაყი.	სულ ქალი.	ქართული.	მაშაყები		ქალები		სულ
					ქართ.ებრ.	ევრ.ებრ.	ქართ.ებრ.	ევრ. ებრ.	
1.	სასადილო	5	5	1	5	—	4	—	10
2.	საკანფეტე	10	10	1	8	2	8	1	20
3.	ტყავ-მელნის	8	—	—	3	5	—	—	8
4.	სამკერვალო	—	11	—	—	—	10	1	11
5.	დამფასოებელი	8	—	—	8	—	—	—	8
6.	სკამების	17	—	—	17	—	—	—	17

სულ 74

საჭიროდ და აუცილებლობად მიმაჩნია გაშუქდეს თითოეული არტელის მოღვაწეობა, საჭიროებანი და მოთხოვნილებანი.

1.სასადილო არტელი შექმნილია მცირე სახსრებზე. საპაიო შესატანი ამ არტელისა გახლავთ 75 მან. არტელის ბევრ წევრს საპაიო შესატანი არ გადაუხდია და იგი ხელფასიდან ექვითება. ამ არტელის შექმნისას

თვითონ მეპაიეებმა შემოიტანეს 550 მან. მთელი ეს თანხა მცირედენი გამოკლებით დაიხარჯა შენობის დაქირავებასა და რემონტზე, აგრეთვე ინვენტარის შესაძენად. ამ არტელის გახსნის პირველივე დღეებიდან, კომიტეტი სახკვების ქსელში მის შეყვანას ცდილობდა. გარდა პურისა, არტელი ყოველგვარ სურსათს თითქმის ბაზარზე ყიდულობდა რომლის ყოველდღიური მოხმარების ნორმა სასადილოს დაუწესდა და რეგულარულად ამ ნორმის ფარგლებში მარაგდებოდა.

სასადილოს პირველ ხანებში სპირტიანი სასმელები ჰქონდა. მხედველობაში მიიღო რა სასადილოს საზოგადოებრივი კვების ობიექტად მუშაობის პრინციპი, კომიტეტმა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა აკრძალა. სასადილოში მუშაობს 10 კაცი, რომელთაგან, ორი მზარეულის გამოკლებით ყველა პროლეტარული წარმომავლობისაა. ქალთა და არტელის რიგითი წევრების ხელფასმა აპრილის თვეში 79 მანეთს მიაღწია. მზარეულისამ და გამგისან 99 მანეთს.

2.საკანფეტე არტელი კომიტეტის განკარგულებაში კულტმრეწვეკავშირიდან გადავიდა. არტელის სახსრები შედგებოდა შემდეგი თანხიდან: საპაიო შესატანი ერთ სულზე 100 მან და ანაბრები არტელის მიმოქცევის ხარჯებისათვის 200—დან 500 მანეთამდე. სულ არტელის ჩამოყალიბებისას მეპაიეთა ძირითადმა ჯგუფმა 400 მან. შეიტანა.

მეპაიეთა ძირითადი ჯგუფი— 9 კაცი, როგორც ითქვა, კომიტეტმა კულტმრეწვეკავშირიდან მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ ამ არტელში გვაქვს რამდენიმე არანორმალური მდგომარეობა. მეპაიეთა ეს ძირითადი ჯგუფი შედგება ისეთი პირებისაგან, რომელნიც შემდგომში შესაძლებელია გამოყვანილ იქნენ კომიტეტის შემადგენლობიდან, ე.ი. გარედან დაკვირვების, მათი ქონებრივი მდგომარეობის გამო ისინი არ შეეფერებიან ამ შრომით არტელს. კომიტეტმა ამ არტელის მიმართ ასეთი კურსი აიღო: არტელის ძირითადი ჯგუფის ყველა წევრი ჩაბმულია უშუალოდ მუშაობაში. კომიტეტმა არტელის სახსრების გასაძლიერებლად შეიტანა 1000 მან. და ამასთანავე ახდენს არტელის შემადგენლობის რეგულირებას. დანარჩენი 11 წევრი უკლებლივ ყველა ღარიბთა წრიდანაა.

ამრიგად, არტელის შემადგენლობამ აუცილებლად უნდა განიცადოს გარკვეული ცვლილება.

არტელის ჩამოყალიბების დროს, კომიტეტმა საქვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს შაქრის ნორმის გამოყოფის შესახებ სთხოვა, რაც გამოიხატება 100 ტომრით, ხოლო ფუთობით —600 ფუთი. ესაა მინიმალური ნორმა საკანფეტე არტელისათვის, რაც დააკმაყოფილებდა მის მოთხოვნილებას შაქარზე. მაგრამ იმის გამო, რომ შაქრით მომარაგე-

ბაში ადგილი აქვს წყვეტილობას და ზოგიერთი ამხანაგი საქსახვაჭრობიდან, ვისაც შაქრის უშუალოდ განაწილება ეხება, კომიტეტის მიმართ არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას იჩენს. ამის გამო, დღემდე ვერ მოგვარდა არტელის შაქრით რეგულარული მომარაგების საკითხი. რის გამოც, არტელის მუშაობაში ხშირია წყვეტილობა. ამ არტელს აქვს დიდი პერსპექტივები, თუ ნორმალურად მომარაგდება შაქრით და დაკუმატებთ მიმოქცევის სახსრებს. საჭიროა აგრეთვე არტელის ტექნიკური გადახალისება, რადგან იგი მუშაობს ერთობ პრიმიტიულად. არტელის თანამშრომელთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს 40 კაცამდე.

3. ტყავ — მელნის არტელი: მელნის არტელი შექმნილია მხოლოდ კომიტეტის სახსრებით. მელნის არტელის ჩამოყალიბებისათვის კომიტეტმა 1300 მან. გაიღო. მელნის არტელი მუშაობს ერთობ დეფიციტურ, მაგრამ საშოვნელად სრულიად შესაძლებელ ნედლეულზე (ანილინზე). ამრიგად, არტელს არ უჭირს ნედლეულის შოვნა, მაგრამ ძალიან ცუდადაა დაყენებული მზა პროდუქციის გასაღების საქმე. ძირითადი მყიდველები არიან: “სახელგამი,” “შრომა,” “ზაკენიგა.” ამასთან მრავალი წლის განმავლობაში სახელგამი მელანს ყიდულობს კერძო პირთან — სააკოვთან. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტი ყოველნაირად ცდილობს შეკვეთები ყველა ორგანიზაციიდან მიიღოს, კომიტეტმა ამას ვერ მიაღწია, თუმცა ჩვენი მელანი საკმაოდ მაღალხარისხიანია და ბაზრის ფასზეც ძვირი არაა. უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტს განსაკუთრებით არაკეთილსინდისიერად ეპყრობა “სახელგამის” სავაჭრო განყოფილება, რომელთანაც კომიტეტი 6 თვის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას. მიუხედავად ამისა, იქედან კერძო მეწარმის განდევნა და შეკვეთის ნაწილის მიღებაც კი ვერ შესძლო.

გასაღების ბაზრის უქონლობამ, კომიტეტი აიძულა, მელნის არტელი ტყავის არტელთან გაერთიანებინა, რათა ამ ორი არტელის შენახვა შესაძლებელი ყოფილიყო. ორივე არტელში მუშაობს 8 კაცი. კომიტეტის მიერ დაბანდებული თანხა და მეპაიეთა მიერ შეტანილი მიმოქცევის სახსრები ერთად აღებული 200 მანეთს შეადგენს. არტელი კარგადაა აღჭურვილი. გააჩნია საკმაოდ კარგი შენობა. ცოტა ხნის წინ კომიტეტმა 6 ძალიანი მოტორი არტელისათვის კრედიტით შეიძინა. არტელის წვერთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს 20 კაცამდე. თუ მელნის არტელს აწუხებს გასაღების ბაზრის უქონლობა, ტყავის არტელის პრობლემა ნედლეულისა და მიმოქცევის სახსრების უქონლობა. ჩვენი ცდები, ვაჭრობის სახალხო კომისარიატიდან არტელისათვის ნედლეულის მინიმალურ რაოდენობაზე განაწესის მიღების შესახებ ჯერ-ჯერობით უშედეგო გამოდგა.

4.სამკერვალო არტელი შექმნილია კომიტეტის სახსრებით. საქმეში დაბანდებულია 400 მან. აღნიშნული არტელი შექმნილია მხოლოდ ქართველებზე ქალთა დახმარების მიზნით. ამჟამად არტელს გააჩნია 4 საკერავი მანქანა, რომელიც თვით არტელის წევრებმა მოიტანეს. არტელის საქმიანობა გამოიხატება მხოლოდ კერძო და შემთხვევითი დაკვეთების შესრულებაში. კომიტეტი აწარმოებს მოლაპარაკებას “საქსაკერავმანქანასთან” არტელისათვის 10 საკერავი მანქანის შესყიდვის თაობაზე. საქვაჭრობის კომიტეტის რწმუნებულთან გვაქვს მოლაპარაკება არტელის მანუფაქტურით გეგმიური მომარაგების შესახებ. არტელს დიდი პერსპექტივები აქვს იმ შემთხვევაში, თუ მას მატერიალურად დაეხმარებიან და მანუფაქტურით გეგმიურად მოამარაგებენ.

5.დამფასოებელი არტელი შექმნილია არტელის წევრთა სახსრებით. საპაიო შესატანი დადგენილია 150 მან. და საპაიო შესატანებით შეგროვილი თანხა წარმოადგენს სწორედ არტელის მიმოქცევის კაპიტალს. არტელის თანამშრომლები პროლეტარული წრიდან არიან. საპაიო შესატანი თანხის შესაგროვებლად, მათ საოჯახო ნივთების დაგირავება მოუხდათ. არტელი აწარმოებს მარილის, ლილის, ყავის და სხვა საქონლის დაფასოებას. არტელი ახალგაზრდა და აქვს ზრდის კარგი პერსპექტივა. ნელეული არის და მის შოვნასთან დაკავშირებით სიმწლეებს ვერ ვხვდებით.

6.სკამების არტელი ჩამოყალიბდა ამა წლის აპრილის უკანასკნელ დღეებში. აქ მუშაობს 17 კაცი. მისი მიმოქცევის კაპიტალი, რომელიც საპაიო შესატანისა და დამატებითი ანაბრებისაგან შედგება, 3000 მანეთს აღწევს. ნელეული არის. კომიტეტმა ნელეულის მუდმივად მიწოდების თაობაზე ხელშეკრულება სამზრეთ ოსეთის გრეხილი ავეჯის ფაბრიკას დაუდო. გარკვეული მიმოქცევის სახსრების არსებობის შემთხვევაში არტელის შემადგენლობა 50 –60 კაცამდე შეიძლება გაიზარდოს. არტელის სოციალური შემადგენლობა მისაღებია. პერსპექტივაში გვაქვს კლიტეების დამამზადებელი, წინდების საქსოვი არტელების, აგრეთვე აგურის ქარხნის ჩამოყალიბება.

საჭიროა, მიუვითოთ არტელის შექმნის მუშაობის ზოგიერთი მხარის შესახებ. კომიტეტმა თავისთან შეძღვეი პრინციპი დაადგინა; ამა თუ იმ არტელის ორგანიზაციას მის შემადგენლობაში შეკყავს ერთი ან ორი სპეციალისტი, რომელსაც ესმის არტელის საწარმოო ტექნოლოგიური მუშაობა. მათ მიემაგრებათ ხალხი, რომელსაც არ შეუძლია არა მარტო კვალიფიციური შრომა, არამედ ფიზიკურ შრომასთანაც კავშირიც რომ არ ჰქონია. ყველა არტელი, გარდა სამკერვალოსი, სადაც კვალიფიციური

შრომა აუცილებლადაა საჭირო, საკმაოდ მოზრდილი ხალხისათვის სკოლას წარმოადგენს. არტელების ჩამოყალიბებისა და მუშაობის პრინციპი ერთობ მძიმეა. აღმასკომი ისე ეპყრობა კომიტეტის არტელებს, როგორც კერძო მეწარმეებს. არტელების მიერ დაკავებულ შენობებში კომიტეტი იხდის დიდ ქირას. მხოლოდ დიდი წვალების შემდეგ მივალწიეთ შენობის ქირის ოდნავ შემცირებას. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტს აქვს 7 საწარმოო ობიექტი, დღემდე ვერ მივალწიეთ სახბანკის მიერ კომიტეტისათვის კრედიტის გახსნას, თუმცა საჭირო საგარანტიო წერილი სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატიდან არის. კომიტეტი მუშაობს მხოლოდ თავისი მცირე სახსრებით. თუ კომიტეტს გარკვეული თანხის გამოყოფის სახით რაიმე სახელმწიფო დახმარებას არ აღმოუჩენენ, კომიტეტი უთუოდ მუშაობას ვერ შეძლებს და ახალი არტელების ჩამოყალიბებაზე და მათი ფუნქციონირების შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება იყოს.

არტელების ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან, მათ საქვინანსთა სახალხო კომისარიატის დაბეგვრის ფურცელი მიიღეს, რომელმაც ძალიან მცირე გამოანაკლისის გარდა, კომიტეტის არტელები კერძო მეწარმეებს გაუთანაბრა. გადასახადი მძიმე და აუტანელია. ფინინსპექტორი, რომლის რაიონშიც არტელებია გახსნილი, ჩვენს არტელებს თვითონ უწოდებს პროფესიულ სკოლებს. საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინაშე, იმის თაობაზე, რომ საგადასახადო სისტემის თვალსაზრისით, კომიტეტის ორგანიზაციები ბავშვთა ან ქალთა ორგანიზაციებთან გათანაბრებულიყო. ე.ი. ისინი მთლიანად გათავისუფლებულიყვნენ გადასახადისაგან. მაგრამ, ამიერკავკასიის ფინანსთა სახელმწიფო კომიტეტი ამაზე არ დათანხმდა. თუ არ მოწესრიგდება კომიტეტის არტელებისათვის კრედიტის გამოყოფის, მათთვის მატერიალური დახმარებისა და გადასახადის მოხსნის საკითხი, კომიტეტის მუშაობა შეუძლებელი იქნება. აუცილებელია, აგრეთვე მოწესრიგდეს არტელების გეგმაზომიერი მომარაგების საკითხიც. მაშინ კომიტეტს საშუალება ექნება გარკვეული ღრვის განმავლობაში ჩააბას საწარმოო ორგანიზაციებში ქართველ ებრაელთა ღარიბი ფენების დიდი ნაწილი და მისცეს მათ გარკვეული კვალიფიკაცია.

არტელების მუშაობის თაობაზე უნდა ითქვას აგრეთვე, რომ კომიტეტს. არტელების სუფთა შემოსავლიდან 20 % -იანი ანარიცხები აქვს დაწესებული კომიტეტის სასარგებლოდ, რაც კომიტეტის კაპიტალს შეადგენს. არტელების ორგანიზაციისა და მათდამი კონტროლისათვის კომიტეტში გვეყავს რწმუნებული, რომელიც თვეში 100 მან. იღებს და არტელების

ანგარიშგებისადმი კონტროლის გასაწევად 2 მონგარიშე ერთი ქართველი ებრაელი და ერთი ევროპელი ებრაელი ქალი გვყავს. კომიტეტმა მიმართა *OPT*-ს დაფინანსების, მატერიალური და კონსტრუქციული დახმარების საკითხებზე. პასუხს თან ვურთავთ.

უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტი გამოყოფს სახსრებს ქართველ ებრაელთა კულტურული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ასე მაგალითად; უჯრედისათვის ყოველთვიურად გამოიყოფა 25 მან. ხელს ვუწყობთ ქართველ ებრაელთა ფიზკულტურულ წრეს, ვაძლევთ თანხებს ექსკურსიების მოსაწყობად. ამასთან ერთად კომიტეტი აყალიბებს ჭრა-კერვის სკოლას. განზრახული გვაქვს გაეხსნათ პროფესიული კურსები მოზარდთათვის. კომიტეტს ჰყავს 1 სტიპენდიანტი სტუდენტი ქართველი ებრაელი, რომელიც რეგულარულად იღებს კომიტეტიდან 20 მან-ს. ვფიქრობთ, მოხსენებას მოისმენენ შესაბამის თათბირზე, გამოიტანენ საჭირო ორგანიზაციული ხასიათის დასკვნებს და გაგვიწვევენ დახმარებას. კომიტეტი, ე.ი. მისი პირადი შემადგენლობა უთუოდ უნდა გადახალისდეს, დაცული იქნეს საბჭოთა პრინციპები, გაძლიერდეს კომიტეტის პარტიული აქტივი. ამასთან ერთად უნდა განიხილოს საკითხი ადგილებზე კომიტეტის განყოფილებების შექმნის შესახებ, რადგან ქუთაისის, ონის, საჩხერისა და ცხინვალის წარმომადგენლები დიდი ხანია მოითხოვენ განყოფილებების შექმნას. უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტმა მთელი არსებობის მანძილზე სახალხო კომისარიატისაგან მიიღო 100 მან. კანცელარიის მოსაწყობად და 300 მან. ღარიბთა დასახმარებლად. მოხსენებიდან ჩანს, რომ კომიტეტმა მთლიანად გაამართლა მის წინაშე დასმული მიზნები და აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი მიღწევები.

კომიტეტის თავმჯდ. მოადგილე

ლინეცკი

1929 წ. 3 მაისი. ქ. ტფილისი.

1929 წლის 11 სექტემბერი. ბანძის თემის მცხოვრებ ებრაელთა მიერ, სრულიად საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ფ.მახარაძის სახელზე გაკეთებული კოლექტიური განცხადება.

ცხადია, რომ ჩვენს საარსებო წყაროს წარმოადგენდა ვაჭრობა... განსაკუთრებით ჩვენ ებრაელებს ჯერ ისედაც ღარიბ ვაჭრებს, უმიწაწყლოსა და უბინაოს, განვიცდით დიდ ეკონომიურ კრიზისს და ამასთან ჩვენ რა სახის ვაჭრებიც არ უნდა ვიყოთ, თუგინდ კარზინკის მატარებელი, თუ გინდ ხილის გამყიდველი, მაინც ჩვენ ვითვლებით ნამდვილ ვაჭრებად, როგორც მაღაზიის მეპატრონენი და სხვა ასეთები და ამის გამო... ჩვენ ვწერივართ ჯერ კიდევ ვაჭრებად, თანახმა ვართ სიამოვნებით ავიღოთ ხელი ვაჭრობაზე... უკვე ბევრმა ჩვენთაგანმა გაანება თავი ამ ხელობას..ჩვენ ჯერ კიდევ ვითვლებით ვაჭრებად... ამის გამო ჩვენ არ გვღებულობენ კოოპერატივში წევრებად და არა გვაქვს საშუალება სურსათ-სანოვაგე და ჩვენთვის პირველი მოთხოვნილების საგნები შევიძინოთ კოოპერატიულ ფასებში და გვიხდება კერძო ბაზარზე ყიდვა, რომლის შექმნა ჩვენი ღარიბი მოსახლეობისათვის შეუძლებელი ხდება... გარეშე ამისა, ჩვენ მოკლებული ვართ ყოველგვარ საზოგადოებრივ და საბჭოთა მუშაობას, რისი ხალისი ჩვენც გვაქვს, მუშებთან და გლეხებთან ერთად ვაკეთოდ საერთო სასარგებლო საქმე. მართალია, ვაჭრობას ვეწეოდით მხოლოდ ჩვენი არსებობისათვის და სხვა წყარო არავითარი ჩვენ არ გაგვარჩია და ამის გამო ჩვენ არ წარმოვადგენთ არავითარ ანტისაბჭოთა ელემენტებს.

1.ჩვენ ღარიბ ებრაელობას მიეცეს ხმის უფლება. 2.ვიქნეთ მიღებული კოოპერატივის წევრებად და მოგვეცეს კოოპერატიულ ფასებში სურსათ-სანოვაგე და ჩვენთვის საჭირო ნივთები. 3.აღმოგვეჩინოს დახმარება როგორც ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ისე ცენტრისაგან, ვინაიდან ჩვენი მდგომარეობა ისეთი მწვავეა, მის დაფარვას ვერ შეძლებს მარტო ადგილობრივი ხელისუფლება. ამიტომ, აუცილებლობა მოითხოვს ცენტრის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას ჩვენზე, რასაც ვიმედოვნებთ მოგვაქცევთ ყურადღებას და არ დავრჩებით დღეის იქეთ ასეთ უმწეო მდგომარეობაში.

განცხადებას 51 კაცი აწერდა ხელს

რეზოლუცია: სასწრაფოდ!

ცეკასთან არსებულ ნაც. უმცირესობათა განყოფილებას. საჭიროა ამ განცხადებას ახლავე მიექცეს სერიოზული ყურადღება და გაიგზავნოს ადგილობრივი მდგომარეობის გამოსარკვევად მომზადებული ამხანაგი. გამოკვლევის შედეგები გთხოვთ გვაცნობოთ.

ფ.მანარაძე

11-X/ 29 წ.

№ 32

1929 წელი. თეზისები მექსის პროპაგანდისტებისათვის

მიწათმოწყობის საკითხებში მექსის მუშაობის ძირითად პრინციპებს და მისწრაფებებს სოფლად სოციალისტური მშენებლობის ხაზის გატარება წარმოადგენს. ამის შესაბამისად და მექსის ღირეკტივების თანახმად, მექსი თავის წინაშე შემდეგ ამოცანებს აყენებს:

1. აუუხსნათ მიწებზე გადასახლებულებს მათი მეურნეობის კოლექტივიზაციის აუცილებლობა. კოლექტივიზაციის გატარება ერთი ხელის დაკრითა და იძულებით შეუძლებელია. პირველ ხანებში ინდივიდუალურ სარგებლობაში რჩება ცოცხალი ინვენტარი (პირუტყვი, ფრინველი და ა.შ.). მუდმივ ინდივიდუალურ სარგებლობაში უნდა დარჩეს სახლები. ამავე დროს მექსი უნდა ისწრაფვოდეს სოფლის მეურნეობის მაქსიმალური მექანიზაციისაკენ, რაც, გარდა მისი დიდი სამეურნეო მნიშვნელობისა კოლექტივიზაციის პროცესის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ცალკეულ პირებს დიდ მანქანებზე ხელი არ მიუწვდებათ და შეუძლებელიცაა მათი გამოყენება პირად მეურნეობაში. ისინი ხელმისაწვდომია და სრულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს კოლექტიურ მეურნეობაში. მექსი ისწრაფვის შეიქმნას მიწებზე გადმოსახლებულთა გაერთიანებები სამანქანო ამხანაგობების ფორმით (ტრაქტორის გაერთიანებული ძალებით ყიდვა და მისი გამოყენება, საცხეველები, სათესი მოწყობილობები და სხვა). ამხანაგობა— მიწის გაერთიანებული ძალებით დამუშავება (როცა მიწა გამოიყენება კოლექტიურად, ხოლო ინვენტარი, თუმცა კერძო საკუთრებაა, ისიც გამოიყენება კოლექტიურად), სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები,

კოოპერატივები, სასოფლო —სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებლად: ყველსახადი, წისქვილი, კარაქსახადი და ა.შ. 2.მემსი ისწრაფვის შეიტანოს გადასახლებულთა რაიონებში მრავალმინდვრიანობისა და საზოგადოებრივი თესვის ბრუნვის სისტემა (მინდვრის დაყოფა მთელ რიგ ზოლებად, რომელთაგან თითოეული ყოველწლიურად გამოიყენება სხვა კულტურისათვის). ამას აქვს დიდი სამეურნეო უპირატესობა და ხელს უწყობს აგრეთვე კოლექტივიზაციის პროცესს. 3.მემსი ისწრაფვის იმისკენ, რომ მიწებზე გადმოსახლებულთა მეურნეობა ეფუძნებოდეს არა მარტო მემინდვრობას, არამედ ჰქონდეს მეფრინველეობისა და მეცხოველეობის მიმართულებაც და იყოს ინტენსიფიცირებული: ტექნიკური და სამედიცინო კულტურების თესვა, ნაყოფის მომცემი მცენარეების დარგვა (ვაზი და სხვ.). გადამამუშავებელი ინდუსტრიის დანერგვა (იხ. პუნქ.1) და ა.შ. ეს მისცემს მეურნეობას უფრო მეტად საქონლის მწარმოებლის სახელს და შეუქმნის უფრო მტკიცე მატერიალურ ბაზას. ეს იძლევა აგრეთვე გარანტიას სამეურნეო კატასტროფიდან თავის დასაღწევად მოუსავლიანობის შემთხვევაში. 4.მემსი ყოველ ღონეს ხმარობს მიწებზე გადმოსახლებულთათვის მუშა და სარძევე პირუტყვის სულადობის გასაზრდელად. ამ მიზნით დაავადგინეთ გაიცეს ყველაზე ღარიბებზე კიდევ თითო მუშა პირუტყვი. გადმოსახლებულნი ცდილობენ კიდევ იყიდონ თითო ძროხა, რათა საკმაო რაოდენობით რძე მიიღონ, მემსის მიერ გახსნილ ყველსახადში ჩასაბარებლად. სახელმწიფო მრეწველობისადმი მაღალხარისხოვანი მატყლის ჩაბარების მიზნით, მემსმა გადმოსახლებულთ კრედიტად კარგი ჯიშის ცხვრები მისცა. 5.მემსი ეხმარება გადმოსახლებულთ საკარმიდამო ნაკვეთის შემოღობვაში, რაც დაიცავს ბაღჩა—ბაღებს პირუტყვის მიერ გათელვისაგან. ამ მიზნით, მემსი ცენტრალიზებული წესით კბილიან მავთულს ყიდულობს და გადმოსახლებულთ თვითღირებულების ფასებში ამარაგებს. 6.მემსი იმისკენ ისწრაფვის, რომ გადმოსახლებულთა საშუალებებით (მათთვის მიყიდული ტრაქტორებით, მათი მუშა პირუტყვით) ხვნა შეძლებისდაგვარად წარმოებდეს. გამონაკლისს ვაკეთებთ მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ხვნის დაწყებამდე ჩამოსვლა ვერ მოასწრეს. მათთვის მემსის ტრაქტორები მათ ხარჯზე ხნავენ. 7.გადმოსახლებულთაგან მემსი ითხოვს, რომ ისინი თავისი ნაკვეთების დასამუშავებლად, გაზაფხულზე, არაუგვიანეს 15 მაისისა და შემოდგომაზე —ზერეულე ხვნისათვის ღროულად ჩამოვიდნენ.

იმ გადმოსახლებულთაგან, რომლებიც ამ ვადებს გააცდენენ, მიწის ნაკვეთები ჩამოერთმევათ და იგი სხვა გადმოსახლებულებს გადაეცემა. ეს კეთდება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ისეთი შემთხვევები, როდეს

საც პირები, რომლებიც ჩაეწერნენ გადმოსახლებულებად, რჩებიან ქალაქში, ხოლო მიწას არც ისინი და არც სხვები არ ამუშავენ. 8.მემსი გადმოსახლებულთაგან მოითხოვს, საშემოდგომო თესვისათვის ნიადაგის მომზადება რაც შეიძლება ადრე (აპრილი— მაისი) მოხდეს. რაც უფრო ადრე მომზადდება ნიადაგი, მით უფრო მეტ მოსავალს მოგვცემს საშემოდგომო თესვა. 9.მემსი ატარებს ღონისძიებებს, რომ ჩამოსვლის პერიოდში გადმოსახლებულთა ადგილზე იყოს მოქმედი ჭა. 10.მემსი გადმოსახლებულთაგან მოითხოვს, რომ სახლები იყოს მაქსიმალურად მეტად იაფი. საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 108 კვადრატულ არშინს (სარაიას გარდა). მემსი საამისოდ კრედიტის სახით გამოყოფს საამშენებლო მასალებს და ნაწილობრივ ფულს; საერთო ღირებულებით სულ 400 მანეთს. ყველაზე ღირებებს სარაიასათვის დამატებით 100 მანეთი ეძლევათ. გადმოსახლებულთ შეუძლიათ თავისი სახსრებით აიშენონ უკეთესი ტიპის სახლები. ამ შემთხვევაში მან თავისი სახსრები უნდა დააბანდოს მშენებლობაში მემსისაგან კრედიტის მიღებამდე. ის პირნი, რომლებიც იშენებენ სახლებს 400 მანეთზე მეტი ღირებულებით, სარაიასათვის კრედიტს ვეღარ მიიღებენ. იაფი ღირებულების სახლების შენების პრინციპი შემოღებულია იმიტომ, რომ გადმოსახლებული არ დაიჩაგროს დიდი ვალებით, ისეთი არაპროდუქციული ხარჯის გამო, როგორცაა სახლის მშენებლობა. გადმოსახლებულთ, რომლებიც აშენებენ 400 მანეთზე ნაკლები ღირებულების სახლს, უფლება აქვთ დანარჩენი თანხა გამოიყენონ სხვა სამეურნეო საჭიროებისათვის (ხბოს ყიდვა და სხვა). 11.გადმოსახლებულთა საამშენებლო მასალების იაფი მომარაგების მიზნით, მემსი ამზადებს და გადმოსახლებულთ ცენტრალიზებული წესით ამარაგებს.

ამრიგად, გადმოსახლებულნი, როგორც მემსის რაიონებში ასევე სხვა ორგანიზაციების (აგრო—ჯოინტი ეზო) რაიონებში მარაგდებიან ხე—ტყის მასალით (2 მილიონამდე კრედიტის ფონდი), სასოფლო —სამეურნეო მანქანებით, ხოლო მემსის რაიონის გადმოსახლებულთ მიეცათ აგრეთვე ტრაქტორები (20 ცალი “ფორდზონის” მარკისა და 20 ცალი “ინტერნაციონალი”) მზა კარები და ფანჯრები, კარ—ფანჯრის მოწყობილობანი, მინა და სხვა. 12.მემსი გადმოსახლებულთ აწვდის სრულ ინფორმაციას მათთვის მოცემული კრედიტის დაფარვის შესახებ, რათა ვალის გადახდა არ იყოს მათთვის მიუღებელი. 14.მემსი პროპაგანდას ეწევა გადმოსახლებულთა შორის იმის თაობაზე, რომ მემსი კი არ უშენებს მეურნეობას გადმოსახლებულთ, არამედ პირიქით; გადმოსახლებულებმა თვითონ უნდა აიშენონ იგი თავიანთი პასუხისმგებლობის ქვეშ, ხოლო მემსი დაეხმარება მათ. ამიტომ მემსი ისწრაფვის, რაც შეიძლება მაქსიმალურად მიიზიდოს

მეურნეობაში გადმოსახლებულთა ყოველგვარი ძალები; ამის გამო, მემსს არ შეუძლია მისცეს და არც აძლევს გადმოსახლებულთ ყველაფერს, რაც მათ სჭირდებათ; აძლევს მხოლოდ ყველაზე აუცილებელს. 15.მემსი წინააღმდეგია მიწებზე კვალიფიციური მუშების ან კუსტარული მეწარმეების გაგზავნისა, რომელთაც აქვთ სამუშაო, ან იოლად შეუძლიათ მისი შოვნა. მემსი არაა დაინტერესებული იმაში, რომ მუშები და ხელოსნები, რომლებიც უკვე ჩაბმულნი არიან ინდუსტრიალიზაციის პროცესში, გადააქციოს მიწათმოქმედებად. 16.მემსი არ აპირებს შექმნას კოლექტივები მხოლოდ ახალგაზრდებისაგან. საბიწათმოქმედო მეურნეობა უფრო მეტად საჭიროებს დაოჯახებულთ ვიდრე ახალგაზრდობას. 17.მემსს აქვს ევპატორიაში დიდი და მოხერხებული სახლი ეზოთი და გადახურულია თავშესაფრით, სადაც ჩერდებიან ევპატორიაში გავლით მყოფი გადმოსახლებულები თავიანთი პირუტყვით. აქვე ჩერდებიან გადმოსახლებულები... რომლებიც ჩამოდიან ქალაქებში მემსის კანტორაში სხვადასხვა სამეურნეო საკითხების მოსაგვარებლად. მსგავსი სახლი არის ხერსონში. მემსის ჯანკოის განყოფილება აქტიურად მონაწილეობს ახალი სახლის შექმნაში ჯანკოის რაიონის გადმოსახლებულთათვის. 18.გადმოსახლებულთა მანქანების შესაკეთებლად მემსის ევპატორიაში აქვს თავისი პატარა სარემონტო სახელოსნო. 19.მემსი დროდადრო აწყობს გადმოსახლებულთა კონფერენციებს, რათა ინფორმაცია გაუკეთოს მათ მექკის მიწათმოქმედების პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ატარებს თავის პოლიტიკაში. ამავე კონფერენციაზე მემსი ისმენს გადმოსახლებულთა პრეტენზიებსა და მოთხოვნებს. 20.მემსი ენერგიულად იბრძვის გადმოსახლებულთა მიერ უფრო შეძლებული გლეხებისათვის მიწის არენდით მიცემის წინააღმდეგ. სხვანაირად ეს მიგვიყვანდა ებრაელთა დასახლებებში კულაკობის წარმოშობა —ზრდამდე. 21.მემსი იგივე მოტივებით იბრძვის გადმოსახლებულთა მიერ დაქირავებული შრომის გამოყენების წინააღმდეგ. ეს გამოწვევის შემთხვევაში მხოლოდ განსაკუთრებით მინდვრის სასწრაფო სამუშაოს დროს (მკა და სხვა) აგრონომის ნებართვით გამოიყენება. 22.საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს მემსი ეხმარება გადმოსახლებულ ებრაელთა და არაებრაელ მოსახლეობას შორის, მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის დამყარებაში, რასაც აღწევს ერთმანეთისათვის დახმარების გაწევის, სოფლის მეურნეობაში გამოცდილების გაზიარებისა და სხვა გზით. 23.მემსი ყოველ დონეს ხმარობს ებრაული დასახლებების სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე გადმოსახლებულთა კულტურული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნით, მემსი სისტემატურად მიმართავს სახელმწიფო ორგანოებს ებრაულ

დასახლებებში ამბულატორიების, საავადმყოფოების, აფთიაქების, ბავშვთა მოედნების, ქონ-სამკითხველოების, ბიბლიოთეკების და ა.შ. გახსნის შესახებ. ამასთანავე მემსის ცენტრალური და რესპუბლიკური გამგეობები, რამდენადაც საშუალება აქვთ, აშენებენ დამოუკიდებლად მსგავს დაწესებულებას. ამის გარდა ყოველი ებრაული დასახლება მიმაგრებულია მემსის ერთ-ერთ უფრო მნიშვნელოვან განყოფილებაზე, რათა ეს უკანასკნელი მათ შორის კულტურულ-სამედიცინო მომსახურებას ეწეოდეს.

საზოგადოების ცენტრალური გამგეობის
თავმჯდომარის მოადგილე: რაშკესი
გენერალური მდივანი: კამენშტეინი

1929 წ.

№ 33

1929 წელი. ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის
წევრთა სია

1. ვაშაკიძე ვალერიან- კომიტეტის თავმჯდომარე (სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარი)
2. ლინეცკი აბრაამ -თავმჯდომარის მოადგილე (კპ წევრი)
3. ჟელეზნიაკი რივა -კომიტეტის წევრი (კპ წევრი -ქართ. ებრ.)
4. დანიელოვი მიხეილი -კომიტეტის წევრი (კპ წევრი -ქართ. ებრ.)
5. შაფთოშვილი დავით - კომიტეტის წევრი. (უპარტიო ქართ. ებრ.)
6. თავდიდიშვილი მიხეილ -კომიტეტის წევრი (უპარტიო. ქართ. ებრ.)
7. ჯანაშვილი მორდეხ - კომიტეტის წევრი (კომკავშირელი. ქართ. ებრ.)
8. მალისოვი საული -კომიტეტის წევრი (უპარტიო. ევროპელი ებრ.)
9. გასკელი ანა -კომიტეტის წევრი (უპარტიო. ევროპელი ებრ.)

1. დავარაშვილი აბრაამი – (უპარტიო. ქართვე. ებრ.)
2. ბათაშვილი თამარი – (კომკავშირელი. ქართ. ებრ.)

№ 34

1929 წელი. თ.ჯუღელის მოხსენების თეზისები: “ებრაელთა მიწათმოწყობის მონაცემებისა და პერსპექტივების შესახებ.”

1. მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის მართვის სისტემა დაფუძნებული იყო პრინციპზე: “გათიშე და იბატონე.” რასაც იგი სისტემატურად და თანმიმდევრულად ახორციელებდა ერთი ეროვნების მეორისგან გათიშვისა და ერთის მეორესთან წაჩხუბების მეშვეობით. ასეთი პოლიტიკა, უნიჭო და დანაშაულებრივი მართვით იყო გამოწვეული. მემამულეთა და კაპიტალისტთა გაბატონებულ კლასს საშუალებას აძლევდა შეესუსტებინა პოლიტიკური და ეკონომიური ჩაგვრის წინააღმდეგ მშრომელთა მასების უკმაყოფილება და ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგობა. ქვეყანა ეროვნულ ანტაგონიზმის მიმართულებით წაეყვანა.

2. ყველაზე მეტ ღვენას განიცდიდნენ მშრომელი ებრაელები, რომლებიც მეფის მთავრობის მიერ მოკლებულნი იყვნენ თითქმის ყველა პოლიტიკურ უფლებას და ეკონომიურ შესაძლებლობებს. ისე რომ, საწარმოებში, სახელმწიფო დაწესებულებებსა და სოფლის მეურნეობაში მათ არ ჰქონდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის უფლება. არ ჰქონდათ უფლება რუსეთის უმეტეს ადგილებში ცხოვრებისა, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისა და სხვა.

3. ასეთმა მდგომარეობამ ებრაელთა უმრავლესობა აიძულა ვაჭრობაში, კულტურულ წარმოებაში, დალალობასა და სხვა ნაკლებ სასარგებლო შრომაში ეძებნა საარსებო სახსრები.

4. ოქტომბრის გამარჯვებამ მუშათა კლასი, ყველა მშრომელი კაპიტალისტური ჩაგვრისაგან გაათავისუფლა. საბჭოეთის ქვეყანაში მოსახლე ყველა ეროვნება უფლებრივად ერთმანეთთან გაათანაბრა და მათ შორის, რა თქმა უნდა ებრაელებიც. მაგრამ, მიიღო რა პოლიტიკურ უფლებათა მაქსიმუმი, ებრაელობა რომელიც ადრე თავს წვრილი ვაჭრობითა და

კუსტარული რეწვით ირჩენდა, საბჭოთა ხელისუფლების სწორი და მშრომელთა ინტერესებისათვის გატარებული პოლიტიკის გამო, რაც კოოპერაციისა და ვაჭრობის სახელმწიფოს ხელში გადასვლით, საქარხნო-საფაბრიკო წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოებით გამოიხატა, ეკონომიურად კალაოტიდან ამოვარდნილი აღმოჩნდა.

5. საბჭოთა მთავრობას, მშრომელთა და ლატაკთა საერთო-სახალხო ხელისუფლებას არ შეეძლო, რა თქმა უნდა, გვერდი აეველო ასეთი მდგომარეობისათვის და თავისი არსებობის პირველივე დღეებიდან მიიღო გადამჭრელი ზომები ებრაელთა შორის უმუშევრობის შემცირებისათვის, და ფართოდ გაულო მათ ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებათა კარი. მაგრამ, ებრაელთა დასახლების რაიონებში, ებრაული მოსახლეობის დეკლასირების ტემპი უფრო სწრაფი აღმოჩნდა ვიდრე ახალი ფაბრიკა-ქარხნების შენების ტემპები, რის გამოც შეუძლებელი ხდება ყველა თავისუფალი ებრაელი მუშახელის გამოყენება.

6. ებრაელი მშრომელი მასების მიერ სასოფლო-სამეურნეო შრომაში ჩაბმის თაობაზე წამოყენებულმა საკითხმა, საბჭოთა მთავრობის ფართო მხარდაჭერა ჰპოვა. მანვე შექმნა ებრაელთა მიწათმოწყობის სპეციალური კომიტეტები, ებრაელთა დასახლებლად გამოყო დიდი მიწის ნაკვეთები და მასივები. ხელისუფლება მაქსიმალურად უწევს მათ ყოველმხრივ შესაძლო მატერიალურ დახმარებას. დღემდე 700000 — მდე ჰექტარი მიწა გამოყოფილი ყირიმში, ბელორუსიასა და უკრაინაში. ხოლო ბირობიჯანში 4 მილიონამდე ჰექტარი. სოფლის მეურნეობაში მომუშავე ებრაელთა რიცხვი 1920 წლიდან 1928 წლამდე 35777 — დან 200000 — მდე გაიზარდა.

7. სხვა რესპუბლიკების მსგავსად, საქართველოში შექმნილი საქ.მემსი თავის ამოცანად ისახავს; საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა საზოგადოებრივად სასარგებლო და პირველ რიგში მიწათმოქმედების შრომაზე გადასვლას ყოველმხრივ შეუწყოს ხელი. თავისი არსებობის განმავლობაში, საქ.მემსის კომიტეტი მჭიდროდ მიუახლოვდა ოპერატიულ მუშაობას და 123 ებრაულ ოჯახს მიწის ნაკვეთები გამოუყო კახეთში. მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატმა მიწებზე გადმოსახლებულ თითო ოჯახს გადმოსახლების ფონდიდან 400 მან. გამოუყო (ნაცვლად სხვა ეროვნების გადმოსახლებულთათვის გამოყოფილი 300 მანეთისა), ხოლო კოლმეურნეობების ცენტრიდან და სოფლის მეურნეობის ბანკიდან თითო ოჯახს დამატებით 200 მანეთამდე გამოეყოფა. მაგრამ ეს თანხა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად და საჭიროა მივალწით მემსის, ცკ-ისაგან ან სხვა წყაროებიდან დამატებითი თანხების გამოყოფას ერთ ოჯახზე 400 მან. რაოდენობით. ამასთან ერთად მემსის

წინაშე დგას მეტად სერიოზული ამოცანა— კახეთის გადმოსახლებულთა ჯგუფის ორგანიზაციული და აგრონომიული მომსახურება, რომლის განხორციელებაც წარმატებით მხოლოდ მექსის აქტიური დახმარებით შეიძლება.

8. საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა (ძირითადად, ე.წ. ქართველ და მთის ებრაელთა) უკიდურესად ღარიბული მდგომარეობა ავალდებულებს საქმეკის კომიტეტს, სასწრაფოდ გამოიხადოს მიწაზე მათი დასახლების საშუალებანი. ამიტომ მექსის კომიტეტმა შეიმუშავა თავისი გეგმა უახლოეს დროში (1–2 წ.) გადმოსახლოს სოჭის რაიონში არა ნაკლები 200 და საქართველოს შიგნით არა ნაკლები 100 ოჯახი. იმავე დროს, საქმეკი შეეცდება ცენტრალური მექიდან საქართველოსთვის მიიღოს განაწესები ყირიმის, ბირობიჯანის და სხვა გადასახლების რაიონების შესახებ.

9. სოფლის მეურნეობის მოწყობის საუკეთესო ფორმაა კოლმეურნეობა. საქმეკი ყოველმხრივ მიისწრაფვის იმისკენ, რომ ებრაელი გადმოსახლებულნი გაერთიანდნენ კოლმეურნეობებში, ან მიწის ერთობლივი დამუშავების ამხანაგობებში ისე, რომ კოლექტივთა შემადგენლობა შერჩეული იყოს გონივრულად და არ იყოს უზომოდ დიდი ერთეული.

10. გადმოსახლებულთა თვისობრივი შერჩევა წარმოადგენს გადმოსახლებისა და გადმოსახლებულთაგან წარმატებით მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. ეს, მექსის მაქსიმალური ყურადღებისა და სიფრთხილის გამოჩენას ავალებს გადმოსახლებულთა კონტიგენტის შერჩევისას, რათა ამოარჩიოს ფიზიკურად ჯანმრთელი, სოფლის მეურნეობაში მუშაობის უნარიანი მსურველნი.

11. ებრაელთა სოფლის მეურნეობაში ჩაბმასთან ერთად საქმეკი მიიღებს ზომებს, რომ ფაბრიკა-ქარხნებში და გაფართოებულ ძველ საწარმოებში სამუშაოდ მიღებული იქნეს ებრაელთა შესაბამისი რაოდენობა.

12. საქმეკის წინაშე მდგომი სერიოზული და პასუხსაგები ამოცანები მოითხოვენ სისტემატურ, ბევრით შრომას, რის განხორციელებაც შეუძლებელია მოუმზადებელი და საამისოდ გამოყოფილი მუშაკების გარეშე. ამიტომ, დღის წესრიგში დგას საკითხი, პატარა, მაგრამ შრომის უნარიანი სპეციალური აპარატის შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყოს გამოცდილი აგრონომ-ორგანიზატორი.

1929 წელი. პრაქტიკული წინადადებები საქ.მემსი-ს მუშაობის შესახებ.

მოისმინა რა აშხ. პიტოევის ინფორმაცია საქ.მემსის მუშაობის შესახებ. ცკ აღნიშნავს, რომ მიღწევებთან ერთად (ქსელის გაფართოება, ქართველ ებრაელთა დასახლებაში მონაწილეობა, საზოგადოების ინტერნაციონალიზაცია და ა.შ.) ადგილი აქვს მთელ რიგ არსებით ნაკლოვანებებს მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის საკითხებში. კერძოდ; საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისა და პრაქტიკის, აგრეთვე მემსის მიზნებისა და ამოცანების ფართო მასებს შორის არასაკმარისი პოპულარიზაცია, განყოფილებებისა და უჯრედებისადმი სუსტი ხელმძღვანელობა, მშრომელ ებრაელთა მიწებზე გადაყვანის საქმეში აქტიური მონაწილეობა და გადმოსახლებულთა არასაკმარისი მომსახურება (წითელი გორა), გადმოსახლებულთათვის დახმარების გასაწევად სახსრების მობილიზაციისათვის მემსში აქტივისტების არაინტენსიური მოზიდვა, სუსტი ბრძოლა ებრაელთა შორის შოვეინისტური განწყობილების წინააღმდეგ.

ცკ აღნიშნავს, რომ ზოგიერთი საბჭოთა ორგანიზაციები (კოლმეურნეობათა ცენტრი, ცალკეული ოლქებისა და მაზრების აღმასკომები) ჯეროვნად ვერ აფასებენ მშრომელ ებრაელთა ჩაბმას მიწათმოქმედებაში.

1.ცკ წინადადებას აძლევს საქ.მემსის ფრაქციას ფართოდ გაშალოს თავისი უჯრედების ქსელი საწარმოებში, დაწესებულებებში, სკოლებში და წითელი არმიის ნაწილებში, ამასთანავე სისტემატურად უწევდეს პოპულარიზაციას მემსის მიზნებსა და ამოცანებს. პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე დახმარება გაუწიონ საქ.მემსს ამ საქმეში და ეს მიიღონ როგორც პარტიული დატვირთვა.

2.საქ.მემსის ფრაქციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს გადმოსახლებულთა მომსახურებას და ამ უკანასკნელთა კონტიგენტის გამოვლენას.

3.საქ.მემსის ფრაქციამ უნდა შეიმუშაოს მთელი რიგი ღონისძიებები თავისი ოპერატიული მუშაობისათვის მატერიალური ბაზის გასაძლიერებლად, წვერთა დიდი რაოდენობის მიზიდვის, საწვერო შესატანების აკრეფის გაუმჯობესების, იურიდიული ორგანიზაციების წვევრებისა და სხვათა მეშვეობით.

4.მემკის ფრაქციამ და მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატმა საქ. მემსთან ერთად შესაბამისი საბჭოთა ორგანოების მეშვეობით სასწრაფოდ დაამუშაონ საკითხი სამხრეთ ოსეთის მშრომელ ებრაელთა ნაწილის ტერიფონის ველზე გადმოსახლების შესახებ.

5.კოლმეურნეობათა ცენტრის ფრაქციამ კოლმეურნეობა წითელი გორასათვის დაუყოვნებლივ გამოყოს მუდმივად სამუშაოდ მუშა-ხელმძღვანელი.

6.წინადადება მიეცეს თბილისის, ქუთაისის, კახეთისა და გორის საოლქო კომიტეტებს, სენაკის, ახალციხისა და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტებს ერთი თვის ვადაში დაამუშაონ საკითხი მშრომელი ებრაელების მიწათმოქმედებაში ჩაბმის შესახებ.

7.საქ.მემკის მუშაობის გააქტიურების მიზნით, წინადადება მიეცეს საქ. ცაკის ფრაქციას, გამონახოს საჭირო სახსრები მემკისათვის სპეციალისტი მუშაკის ხელფასის ასანაზღაურებლად.

8.მემსის აქტივის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქ.მემსის ფრაქციამ უნდა მოაწყოს სპეციალური წრეები და კურსები— სემინარები, სადაც უნდა მოიზიდოს სხვადასხვა ეროვნების მუშა-მოსამსახურეები.

9.იმის გამო, რომ ქართველ ებრაელთა შორის ადგილი აქვს წვრილბურჟუაზიულ ვითარებას, წინადადება მიეცეს საქ.მემსის ფრაქციას თავის მუშაობაში აიღოს გამოკვეთილი კლასობრივი ხაზი და გაუმართოს გადამწყვეტი ბრძოლა ებრაელთა მსების შოვინისტურ განწყობილებას.

10.საქართველოს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატმა დააყენოს საკითხი სსრკ მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატის წინაშე სოჭის ოლქში ადგილების გარკვეული რაოდენობის გამოყოფის თაობაზე, იქ ქართველ ებრაელთა დასახლების მიზნით.

№ 36

1929 წელი. პრაქტიკული წინადადებები სრულიად საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის მუშაობის შესახებ.

მოვისმინეთ რა ამხ, ალიბეკოვისა და ლინეცკის მოხსენება საქართველოს ღარეკომის მუშაობის შესახებ, აღვნიშნავთ გარკვეულ წარმატებებს ქ. თბილისის მშრომელ ებრაელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა

და დეკლასირებული ელემენტების საწარმოო არტელებში მიზიდვის საქმეში. ამ წარმატებებთან ერთად შეინიშნება: არანორმალური დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ, როგორც გამგეობის წევრებს, ისე კომიტეტის დაჯგუფებებს შორის, აგრეთვე მათ ირგვლივ და წევრთა შორის გამოვლენილია შოვინისტური განწყობილება.

საქართველოს კპ (ბ) ცკ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით გთავაზობს შემდეგ ღონისძიებებს: 1. სპეციფიურობისა და ქართველ ებრაელთა შორის არსებული წერილობრუაზიული ვითარების არსებობის გამო კომიტეტის ფრაქციამ უნდა აიღოს გამოკვეთილი კლასობრივი ხაზი მუშაობაში და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს მემარჯვენე გადახრის ყოველ გამოვლენას. 2. კომიტეტის ფრაქციამ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოოს ებრაელთა შორის შოვინისტური იდეების ქონე პირებთან. 3. კომიტეტის ფრაქციამ სასწრაფოდ თავის მუშაობის სფეროში უნდა მოაქციოს პროვინციები, გამოიკლიოს ქართველ ებრაელთა ეკონომიური მდგომარეობა, შექმნას განყოფილებები ცხინვალში, ახალციხეში, სურამსა და ებრაელებით დასახლებულ სხვა პუნქტებში. იმავე დროს, გააძლიეროს მუშაობა ქუთაისსა და ფოთში. 4. მშრომელ ებრაელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს, [სსსს] — ის კურსების დაკომპლექტებისას ადგილების შესაბამისი რაოდენობა გამოუყოს ღარიბთა დახმარების კომიტეტს 5. კომიტეტის ფრაქციამ და შრომის სახალხო კომისარიატმა მიიღონ ზომები ღარიბთა ჩაბმისათვის არსებულ და ხელახლა გახსნილ სახელმწიფო საწარმოებში (მაუდის ფაბრიკა, აბრეშუმსახვევი ფაბრიკა, ტრამვაი და სხვ.). 6. არსებული არტელების წმენდა დამთავრდეს სოციალურად უცხო ელემენტებისაგან და მირებულ იქნეს ზომები არტელში ნამდვილად მშრომელი ებრაელი მასების მოზიდვისათვის. 7. არტელებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი მუშაობისას, კომიტეტის ფრაქციამ განახორციელოს ერთფეროვნობის შესახებ პარტიის დირექტივა, დაადგინოს არტელების უფროსებისა და რწმუნებულთა პირადი პასუხისმგებლობა, არ დაუშვას გამოქომაგებისა და ჩარევის ფაქტები კომიტეტის ცალკეული წევრების მხრივ. 8. კომიტეტის ფრაქციამ გააძლიეროს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, განსაკუთრებით ქალთა და ახალგაზრდებს შორის, აგრეთვე არ შეანელოს ბრძოლა რელიგიისა და კლერიკალიზმის წინააღმდეგ. 9. კომიტეტის ფრაქციამ მუშაობა გამოაცხადოს საწარმოს გადასინჯვის, ცალკეული არტელების ხელფასის განაკვეთების მიხედვით. 10. კომიტეტის ფრაქციამ, გამგეობის წევრთა შორის კოლექტიური მუშაობისათვის საჭირო პირობები შექმნას.

1929 წელი. საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის სააგიტაციო-საპროპაგანდო პოლიტიკური განყოფილების (АППО) და ეროვნულ უმცირესობათა პოლიტგანყოფილების თათბირზე— სრულიად საქართველოს ღარებკომის გამოკვლევათა მონაცემების შესახებ გაკეთებული მოხსენების საფუძველზე მიღებული პრაქტიკული წინადადებები.

მოისმინა რა სააგიტაციო პოლიტიკური პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორის მოხსენება სრულიად საქართველოს ღარებკომის გამოკვლევის შესახებ და ღარებკომის წარმომადგენლის თანამოხსენება, ცკ-ის სააგიტაციო პოლიტიკური პროპაგანდის განყოფილება და ეროვნულ უმცირესობათა პოლიტგანყოფილების თათბირი აღნიშნავს: 1. ცკ-ის ღირექტივების შესრულების სწორ მიმართულებას, ქართველ ებრაელთა წარმოებაში მიზიდვის საქმეში და ღარებკომის მუშაობაში ვაჭრობისაკენ გადახრის უქონლობას. 2. არტელებისა და ღარიბ ებრაელ მუშათა კოლექტივების ზრდას. 3. ღარიბ ებრაელთა მასის ნაწილის ჩამოშორებას რელიგიური თემებიდან. 4. ღარიბ ებრაელთა სწორ შერჩევასა და გაგზავნას საწარმოებსა და დაწესებულებებში. 5. მატერილური, სამედიცინო და სხვა სახის დახმარების გაწევას მშრომელ ქართველ ებრაელებისათვის. 6. ქართველ ებრაელთა საკმაო პროცენტის მიზიდვას შრომით კოლექტივებში და ა.შ. მიღწევებთან ერთად თათბირი აღნიშნავს შემდეგ ნაკლოვანებებს: 1. ღარებკომის მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის აუცილებელი სახსრებისა და ფინანსების არქონა. 2. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მხრიდან, ღარებკომისადმი არასაკმაო დახმარება და ხელმძღვანელობა. 3. კულტ-საგანმანათლებლო მუშაობის სრული ჩაშლა, როგორც ღარებკომის წევრთა, ისე დანარჩენ ღარიბებს შორის. 4. ადგილობრივ განყოფილებებთან (ქუთაისი, კულაში და სხვ.) ღარებკომის ხელმძღვანელობისა და კავშირის არქონა. 5. ზოგიერთი შრომითი კოლექტივის (საკანფეტე და სხვ.) კულაკური გადახრა. 6. კომიტეტის მუშაობის დაუსშვებელი კავშირი რელიგიურ თემებთან (უკანასკნელის წარმომადგენელი კომიტეტში. ქაშერი. ხორცი და ღვინო), აგრეთვე რელიგიური კონტროლი ქაშერზე. ზემოთნაჩვენები ნაკლოვანებებიდან გამომდინარე, სამდივნო საჭიროდ თვლის შემდეგი ღონისძიებების გატარებას: 1. კომიტე-

ტის შემადგენლობის გადახალისება პარტიული ფენის გაძლიერებასთან ერთად. 2.წინადადება მიეცეს სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს გაძლიეროს ხელმძღვანელობა და სერიოზული ყურადღება მიაქციოს კომიტეტის მუშაობას, რისთვისაც გამოყოს სპეციალური სახსრები. 3.წინადადება მიეცეს საქართველოს ცაკ-თან (ქალთა კომისია, ბავშვთა კომისია და სხვ.) როგორც საგადასახადო ისე უფლებრივი მდგომარეობით. 4.წინადადება მიეცეს კომიტეტს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს რელიგიური თემების მომსახურება (ქაშური, ხორცი და ღვინო). 5.წინადადება მიეცეს კომიტეტს, დაიწყოს კომიტეტის ადგილობრივი განყოფილებების შექმნა, ხოლო არსებულს გაუწიოს სათანადო ხელმძღვანელობა. 6.კომიტეტმა დაიწყოს კულტ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლა, როგორც შრომითი არტელების წევრთა, ისე დანარჩენ ქართველ ებრაელთა შორის. 7.წინადადება მიეცეს კომიტეტს, შემდგომშიც მიიზიდოს საწარმოებსა და შრომით კოლექტივებში ღარიბი ებრაელობა საპაიო შესატანის გარეშე და იმავე დროს შეუდგეს არტელების წმენდას სოციალურად მიუღებელი პირებისაგან. 8.წინადადება მიეცეს კომიტეტს პერიოდულად მოაწყოს საანგარიშო კრებები და მოხსენებები შესრულებული სამუშაოს პოპულარიზაციის მიზნით. 9.ეთხოვოს საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმს კომიტეტისათვის ერთდროული დახმარების სახით გამოყოს სახსრები ღარიბ ებრაელთა დასახმარებლად. 10.ქართველ ებრაელთა შორის მზარდ უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით, ეთხოვოს საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატს გამოყოს სახსრები შრომითი არტელების გახსნისათვის. 11.კომიტეტმა მომზადებული კვალიფიციური მუშახელის შესაბამისი საწარმოებისათვის გადაცემაზე, შემდეგშიც აიღოს კურსი. ამასთან მათ ნაცვლად მიიზიდოს ახლები. 12.აწარმოოს ბრძოლა რელიგიურ გადმონაშთებთან. მიაღწიოს საერთო სახელმწიფო დასვენების დღეზე და რევოლუციურ ღღესასწაულებზე გადასვლას. 13.კომიტეტმა კურსი შემდგომში იქეთკენ აიღოს, რომ ქართველი ებრაელები ღარებკომის ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მიიზიდოს.

1929 წელი. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განმკარგულებელი სხდომის 1930 წლის 25 მარტის №8 ოქმის მე-7 პარაგრაფის დამატება.

ლონისძიებანი ებრაული მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ითვალისწინებს რა დეკლასირებული ებრაელთა მასების უღარიბესი ნაწილის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას და მათ სწრაფვას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი, 1. ცნობილ იქნეს საჭიროდ ებრაელთა დასახლება მიწებზე და მათთვის ამ საქმეში ორგანიზაციული და ფინანსური დახმარების გაწევა. 2. მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატმა მექვისა და მექსისთან ერთად 1 თვის ვადაში შეიმუშაოს და სახალხო კომისართა საბჭოში წარმოადგინოს ებრაელთა მიწებზე დასახლების ხუთწლიანი გეგმა. მიმდინარე 1929/30 წლების გეგმაში ჩართოს რესპუბლიკის შიგნით ებრაელთა 350 ოჯახის გადმოსახლება და განაწილება, რისთვისაც გადმოსახლების გრძელვადიანი კრედიტიდან გადმოსახლებულთათვის გამოყოს აუცილებელი სახსრები ბინათშენებლობის, პირუტყვისა და ინვენტარის შეძენის მიზნით.

გადმოსახლებული ებრაელების კონტიგენტის შერჩევას, მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატი ამ წელს გამოვიდეს შემდეგი საორიენტაციო გაანგარიშებიდან: ქუთაისის ოლქიდან გადმოსახლდეს 120 ოჯახი, სენაკის მაზრიდან— 60, სამხრეთ ოსეთიდან— 60, აჭარაიდან— 20, გორის ოლქიდან— 60, ახალციხის მაზრიდან— 30 ოჯახი. სოჭის რაიონში გადასახლების გეგმის შედგენისას გადასახლებულთა სიაში დამატებით ებრაელთა ოჯახები შეიტანონ. 3. ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე დაისვას საკითხი ებრაელთა მიწათმოწყობისათვის არსებული სპეციალური ფინანსებიდან კრედიტის გაცემის თაობაზე. მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატმა, მექვისა და მექსისთან ერთად, გადმოსახლების ფონდიდან მის მიერ გამოსაყოფი თანხის გარდა სასწრაფოდ გამოავლინოს დამატებითი თანხები და შესაბამისი განაცხადი წარმოადგინოს. 4. წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა ცენტრს და ადგილობრივ აღმასკომებს სწორი დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებში გადმოსახლებულ ებრაელებს, ხოლო “სოფლის კავშირმა” გადმოსახლებულთა აღნიშნული

მეურნეობანი შეიტანოს მათთვის კრედიტის მიცემის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და იარაღებით მომარაგების გეგმაში. 5. წინადადება მიეცეს სამხრეთ ოსეთის ცაკ-ს, აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს, გორისა და ქუთაისის ოლქების, აგრეთვე სენაკისა და ახალციხის მაზრების აღმასკომებს, სათესლე მასალებით პირველ რიგში უზრუნველყონ ებრაელთა კოლმეურნეობები. 6. საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისა და პრაქტიკის ახსნა-განმარტების მიზნით, საქმემსმა ფართოდ გაშალოს მუშაობა ებრაელ მუშებსა და გლეხებს შორის, იბრძოლოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მათი ჩაბმისათვის, ხოლო სრულიად საქართველოს ღარბეკომმა მუშაობის ცენტრი პროვინციებში გადაიტანოს. 7. საქართველოში მიწების სიმცირის გამო, ერთად დასახლების მსურველ ებრაელთა მიწებით დაკმაყოფილება პირველსავე წელს შეუძლებელი იქნება. ჩაითვალოს აუცილებლობად: ა) ებრაელთა დასახლების პუნქტებში უღარიბესი ებრაელებისაგან ჩამოყალიბდეს მეფრინველეობა-მეოსტენობის სპეციალური ამხანაგობები და წინადადება მიეცეს ადგილობრივ აღმასკომებს ამ მიზნით გამოყონ მიწის შესაბამისი ნაკვეთები, ხოლო "სოფლის კავშირმა" მოამარაგოს ეს ამხანაგობები საჭირო ინვენტარითა და კრედიტით, იმავე დროს მათი საქმიანობისადმი გააძლიეროს ხელმძღვანელობა. ბ) წინადადება ნიეცეს ცეკავშირს, კოოპერაციაში გააწვერიანოს ებრაელი მოსახლეობის უღარიბესი ნაწილი, მოამარაგოს იგი მოხმარების საგნებით, ხოლო მათ შორის ყველაზე გაჭირვებულნი - ქვრივები, ობლები და ინვალიდები, ღარიბთა ფონდის ანგარიშზე გააერთიანოს კოოპერაციაში. 8. ებრაული მოსახლეობის დეკლასირებული ნაწილის- დაფანტული მუშა-ხელის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმა აუცილებლად ჩაითვალოს: ა) წინადადება მიეცეს სრულიად საქართველოს ღარბეკომს და BCHX -ს, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ებრაელთა უღარიბესი ნაწილიდან შექმნას საწარმოო და საამშენებლო არტელები (ფეხსაცმლის, სამკერვალო, ტრიკოტაჟის, საღურგლო, მღებავთა, მღესავთა და სხვ.). ბ) წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და BCHX -ს, მოაწყოს მოკლევადიანი კურსები, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და კვალიფიკაციის შეცვლის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქალთა შრომის ორგანიზაციას და შესაბამისი ფონდებიდან საამისოდ საჭირო სახსრები გამოყოს. გ) BCHX -ს ამ და შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველომ, "კულტმრეწვეკავშირმა" გეგმიურად მოამარაგოს ისინი ნედლეულით, დაჯავშნოს მათთვის განსაკუთრებული ფონდი. დ) წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატსა და BCHX -ს, არსებულ და ხელახლა გახსნილ საწარმოებში (მაუდის ფაბრიკა, ტრამვაი, აბრეშუმსახვევი

ფაბრიკა და სხვ.) ებრაული მოსახლეობის მშრომელი ნაწილის მიზიდვის გეგმა შეიშუშაოს. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ახალგაზრდებს, დააწესოს მათთვის ჯავშანი. შესაბამის კურსებსა და პროფესიულ სკოლებში ძირითადად გააგზავნოს არა ნაკლები 300 ღარიბი ებრაელი ახალგაზრდა.

9.წინადადება მიეცეს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს საქ.ღარებკომის მიმართ გამოიყენოს შეღავათიანი გადასახადები, როგორც ეს ხდება რსფსრ-ში ებრაული გაერთიანებების მიმართ. 10.საქ.ღარებკომის სამეურნეო მოღვაწეობის გასაფართოებლად დაისვას საკითხი სახბანკის წინაშე მისთვის კრედიტის— 50000 მანეთამდე გაზრდის თაობაზე. 11.განათლების სახალხო კომისარიატმა მიიღოს ზომები ღარიბ ებრაელთა შორის კულტურულ—საგანმანათლებლო მუშაობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისათვის, კერძოდ: ა)სკოლებმა, მაქსიმალურად აითვისონ სასკოლო ასაკის ებრაელი ბავშვები, ბ)ებრაელთა კომპაქტური დასახლების ადგილებში შეიქმნას ქოხ—სამკითხველოები. გ)გაიზარდოს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ებრაელებისათვის გაცემული სტიპენდიების რაოდენობა. 12.ებრაულ მოსახლეობას შორის მუშაობის გაძლიერებისა და ცენტრალიზაციის მიზნით, მემკის სპეციალური მუშაკისათვის სახალხო კომისარიატების საბჭოს სახსრებიდან გაიცეს საჭირო თანხა. 13.საგეგმო კომიტეტს დაევალოს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესამუშავებლად ჩასატარებელი მუშაობის სფეროში მოაქციოს ებრაელთა დასახლებების ეკონომიურად გაჯანსაღების შესახებ საკითხი. ებრაელთა დასახლებების საოლქო და სამაზრო გეგმების შემუშავების თაობაზე ადგილობრივ საგეგმო კომიტეტებს სათანადო მითითებები მიეცეს. 14.აუცილებლობად ჩათვალოს, რომ თავისი მუშაობის შერჩევითი მეთოდური გეგმის მიხედვით, საქართველოს PKH —მ 1929/30 წლების ზემოთხსენებული დადგენილებების შესრულების შემოწმება მოახდინოს.

1930 წლის აპრილი. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა სსრკ ცაკი-სა და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე.

ებრაელი მოსახლეობა, რომელიც ძირითადად მისდევდა ვაჭრობას, ხოლო მცირე ნაწილი კუსტარულ ხელოსნობას, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ხშირად გამოთქვამს სურვილს დასახლდეს მიწაზე და შეუდგეს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. დროთა განმავლობაში დეკლასირებული ებრაელთა მასების უღარიბესმა ნაწილმა მიწისადმი სწრაფვა სულ უფრო მეტად გამოამჟღავნა. 1928 წ. კახეთის ოლქში მოწყობილი იქნა გადმოსახლებულებისათვის უბანი მდ. ალაზანზე— სახელწოდებით “წითელი გორა,” სადაც გადმოსახლებული იქნა იმავე კახეთის ოლქის სხვადასხვა სოფლებიდან (ყოფილი თელავისა და სიღნაღის მაზრები) ებრაელთა 120 ოჯახი. ჯერ— ჯერობით ესაა ებრაელებით დასახლებული ერთადერთი უბანი. მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე მათ არ გააჩნიათ რა შემოსავლის არავითარი წყარო და ასეთის მიღების პერსპექტივა, ბოლო დროს, ნახევრად მშვიერი და დუხჭირი ცხოვრებიდან თავის ხსნის ერთადერთ გზად, ებრაულ მოსახლეობას მიწასთან დაკავშირება მიაჩნია და მას მუდმივ სასარგებლო საშუალებათა მიღების ერთადერთ წყაროდ თვლის. ასეთი შეგნების გამო, ჩვენს წინაშე დგება საკითხი ებრაელთა მიწაზე დასახლებისა და ამ საქმეში მათთვის ორგანიზაციული და ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ.

მიმდინარე წელს კვარაუდობთ, გადმოვსახლოთ და მიწაზე დავასახლოთ რესპუბლიკის 359 ოჯახამდე, ხოლო შავი ზღვის ოლქებში 250 ოჯახამდე.

ზემოთ ნაჩვენები 600 ოჯახის გადმოსახლებისა და ბინათმშენებლობისათვის, ცოცხალი და არაცოცხალი ინვენტარის შესაძენად, ასევე დაუბრუნებელი თანხები—წყალგაყვანილობის, გზის მოწყობის, ჭების ამოღების, საავადმყოფოების, სკოლებისა და სხვა მშენებლობისათვის გრძელვადიანი კრედიტის სახით ფულადი სახსრებია საჭირო..

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ ებრაული მოსახლეობა, რომელიც ადრე ვაჭრობას ეწეოდა და თავს გაჭირვებით ირჩენდა, პირველად სახლდება მიწებზე, რომ მათ არასოდეს არ ჰქონიათ სასოფლო—სამეურნეო ინვენტარი, მუშა პირუტყვი, ხოლო უმეტეს შემთხვევაში არ ჰქონიათ საკუ-

თარი ბინა, აგრეთვე ფულადი სახსრები. საჭიროა გადიდებული კრედიტი გამოვყოთ მათი ბინათმშენებლობისა და სამეურნეო ხარჯებისათვის. გლახთა მიწებზე გადმოსახლების დროს, ნორმალურ პირობებში საკრედიტო თანხა 500 მან—დან 700 მან—მდე შეადგენს ერთ ოჯახზე. აღნიშნული თანხა გადმოსახლებულ ებრაელთა ოჯახზე უნდა გაიზარდოს ზემოაღნიშნული მიზეზების გამო მინიმუმ 1200 მან—მდე, რაც 600 ოჯახზე გაანგარიშებით 720000 მანეთს შეადგენს.

გადმოსახლების ფონდი, ძირითადად საქართველოში მიწათმოწყობის გზით სუსტად განვითარებული რაიონების, დაბალი ადგილების ტყის მასივების გამოყენებისა და მელიორაციის შედეგად ფართობების მიღებისათვის იქმნება. იმის გამო, რომ უახლოეს მომავალში ფართობების მიღება მელიორაციის გზით მოსალოდნელი არაა, გადმოსახლება საერთოდ და ებრაული მოსახლეობისა კერძოდ, უნდა მოხდეს ისეთ მიწებზე, რომლებიც მიწათმოწყობისა და ტყის გაკაფვის შედეგადაა მიღებული. უკანასკნელი ორი სახეობის მიწების ათვისება შეუძლებელია გადმოსახლებისათვის მათი წინასწარი მომზადების გარეშე იმის გამო, რომ მიწათმოწყობის ჩატარების დროს, მკვიდრ მოსახლეობას მათ მიერ დამუშავებული მიწები რჩება, ხოლო გადასახლების ფონდში გადარიცხული ზედმეტი მიწები არის უწყლო, მიუვალი, სოფლის მეურნეობის სამუშაოებისათვის ნაკლებ მოხერხებული. ეს მიწები შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ გზების გაყვანის, წყლის მიყვანისა და საერთოდ ყველა იმ ხელშემშლელი პირობების აღმოფხვრის შემდეგ, რაც ართულებს მათ ათვისებას. რაც შეეხება ტყიან ფართობებს, ნათელია, რომ საჭიროა წინასწარ მათი გაკაფვა, გზის გაყვანა, სასმელი წყლის მიყვანა, აგრეთვე, ყველგან ჭაობის ამოშრობა.

ამგვარი მიწების დასახლებისათვის მოსამზადებლად სამაგიერო ანაზღაურების გარეშე ფულადი თანხების დახარჯვაა საჭირო. რესპუბლიკის შიგნით გამიზნულია 350 ოჯახის გადმოსახლება, რომელთათვის საჭირო იქნება ერთ ოჯახზე 5 ჰა. მიწა, სულ 1750 ჰა. აქედან 750 ჰა. მიიღება მიწათმოწყობის შედეგად, ხოლო 1000 ჰა. ტყის ფართობების გაკაფვით. ტყის გაკაფვისათვის საჭიროდ ვთვლით რსფსრ—ს მსგავსად დავაწესოთ პრემია 150 მან. პირველი გაკაფული ჰექტრისათვის, რაც 200 ოჯახზე 30000 მან. შეადგენს. სასმელი წყლის მიყვანა და მიწის ფონდის მომზადებისათვის სხვადასხვა მელიორაციული სამუშაოები 1 ჰა. —100 მან. 1750 ჰა—ზე დაგვიკირდება 175000 მან. ხოლო, გადმოსახლების მიწათმოწყობის ფონდისათვის 5 მან. 1 ჰა-ზე, სულ 8750 მან.

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ მიწებზე პირველად დასახლებული ებრაელები მეურნეობას დამოუკიდებლად ვერ გაუძლევდნენ. საჭიროა გამოვუყოთ მათ გამოცდილი აგრონომი, რომელიც უხელმძღვანელებს მათ მუშაობას. ამ აგრონომის ხელფასი შეადგენს 350 მან. ხოლო წელიწადში მიმოსვლის ხარჯებთან ერთად— 4200 მანეთს. საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ აგრეთვე ისიც, რომ პირველი მოსავლის მიღებამდე პურით უნდა მოვამარაგოთ ეს 600 ოჯახი. თუ, ერთ სულზე ჩავთვლით 1,5 ფუთ ფქვილს თვეში, ხოლო ოჯახში საშუალოდ 5 სულია, 600 ოჯახზე საჭირო იქნება 54000 ფუთი, რომლის ღირებულება 270000 მანეთს შეადგენს, თუ 1 ფუთს 5 მანეთად ვიანგარიშებთ. ამრიგად, რესპუბლიკის შიგნით 350 ოჯახის გადასახლებაზე საჭირო იქნება: საბრუნავი თანხა: 1.ბინათმშენებლობისათვის—420000 მან. 2.პურის შესაძენად—157500 მან. სულ საბრუნავი თანხა— 577500 მან. დაბრუნებული თანხა: 1.პრემია ტყის გაკაფვისათვის— 30000 მან. 2.კოლმეურნეობის ფონდის მომზადებისათვის— 175000 მან. 3.მიწათმოწყობისათვის— 8750 მან. 4.აგრონომის შრომის ანაზღაურება— 4200 მან. სულ საბრუნავი თანხა— 2117950 მანეთი.

რესპუბლიკის გარეთ გადასახლებულთათვის ბინათმშენებლობისა და სამეურნეო ხარჯებისათვის საბრუნავი თანხა 250 ოჯახზე 30000 მანეთია საჭირო. ყველა დანარჩენი ხარჯები, რაც დაკავშირებულია ამ ოჯახების მოწყობისათვის რსფსრ ბიუჯეტიდან გამოვა.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ ცაკ და სახალხო კომისართა საბჭო შუამდგომლობს სსრკ ცაკ-ისა და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღნიშნული თანხის— 1365457 მანეთის გამოყოფის თაობაზე.

№ 40

1931 წლის 17 ივლისი. ლალიაშის განყოფილებას.

კომიტეტის ცენტრალურმა გამგეობამ განიხილა რა თქვენს მიერ წარმოდგენილი ებრაული მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის ბინების შეკეთების ხარჯთაღრიცხვა, ნებას გაძლევთ შეუდგეთ ყველაზე მეტად გაჭირვე-

ბულთა ბინების შეკეთებას, რომელთაგან ცალკეული ბინის ხარჯთაღრიცხვა არ აღემატება 700 მან. მხედველობაში უნდა მიიროთ, რომ ჩვენ გამოვყოფთ თქვენი განყოფილებისათვის ჯერ-ჯერობით 8000 მანეთს, ამასთან გიგზავნით ცენტრალური ბუღალტერის ორ ავიზას.

გთხოვთ გვაცნობოთ მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შაფთოშვილი.
ორგანიზაციულ-მასობრივი სექტორის გამგე შვარცმანი.

№ 41

1933 წლის 14 აპრილი. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოში ებრაელთა მიწათმოწყობის მდგომარეობის, პერსპექტივებისა და საქ. მემსის მუშაობის შესახებ.

მოისმინა რა ამხ. მარკმანის მოხსენება საქართველოში ებრაელთა მიწათმოწყობის მდგომარეობისა და საქ.მემსის მუშაობის შესახებ, საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის სწორი ეროვნული პოლიტიკის, და საქ.მემსის ენერგიული მუშაობის შედეგად, სოფლის ებრაელთა ღარიბი მასების სტრუქტურის საერთო გაჯანსაღების საქმეში მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები. ეს მიღწევები ხასიათდება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით: ა) მოკლე პერიოდში (ორი — სამი წელი) ჩამოყალიბებულია 16 ებრაული კოლმეურნეობა, სადაც გაერთიანებულია 600 ოჯახი — 2500 კაცზე მეტი. ბ) მთელი რიგი კოლმეურნეობები (წითელი გორა, მუხრანი, ქობულეთი) მეურნეობის თვალსაზრისით მომძლავრდნენ და რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა შორის იმყოფებიან. გ) კოლმეურნეობათა უმრავლესობამ გასულ წელს წარმატებით ჩაატარა სასოფლო-სამეურნეო კამპანია და მათ მიერ აღებული ვალდებულებანი გაანაღდა. დ) ებრაელთა სოფლის მეურნეობა მთელი 100 % — ით კოლექტივიზირებულია.

ზემოაღნიშნულის გამო, სრულიად საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატთან, მეძვისთან და მეშისთან ერთად მეორე ხუთწლიელის გეგმაში გაითვალისწინოს საქართველოს ებრაული მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის სამეურნეო მოწყობა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში მათ მიზიდვას.

2. ~~ს~~ უახლოესი საერთო აღწერის ჩატარებისას შეისწავლოს საქართველოს ებრაული მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა და წარუდგინოს საქართველოს ცაკ-ს სპეციალური მოხსენება.

3. აღნიშნავთ რა, რომ ონის, სენაკისა და სურამის კოლმეურნეობებს აქვთ უკიდურესად მცირე მიწის ფართობი, წინადადება მიეცეს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს 2 თვის ვადაში შეისწავლოს საკითხი აღნიშნული კოლმეურნეობების მიწის ფართობების გადიდების შესაძლებლობის შესახებ და წარადგინოს მოხსენება ამ საკითხზე საქართველოს მეძვიში.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს წყალთა მეურნეობას მიმდინარე წლის გეგმაში ჩართოს ვსტურუას სახელობის კოლმეურნეობის (ლაგოდების რაიონი— წითელი გორა) მიწების ამოშრობის სამუშაოების დამთავრება.

5. დაევალოს საქართველოს *ЭКОПСС*, სამშენებლო მასალებით მომარაგებისათვის მეძვი ჩართოს ცენტრალურ გეგმაში, აუცილებლად დააკმაყოფილოს ტირიფონისა და ქუთაისის კოლმეურნეობების მშენებლობის მოთხოვნილებანი.

6. წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს მ.წ. II კვარტლიდან სამრეწველო და სასურსათო საქონლით უზრუნველყოს ებრაულ კოლმეურნეობებში დასაქმებული მშენებელი მუშები.

7. იწონებს რა საქ.მეძვის გადაწყვეტილებას ტირიფონის ველზე სოციალისტური ტიპის დასახლების შექმნის შესახებ, დაევალოს მეძვის, მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატსა და მეშის, უზრუნველყოს აღნიშნული დასახლება უახლოესი 3—4 წლის განმავლობაში ყველა საჭირო საცხოვრებელი, სამეურნეო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებით და ინვენტარით, ჩაატაროს ამ დასახლებაში შიგასამეურნეო მიწათმოწყობა არაუგვიანეს 1933 წლისა.

8. დაევალოს მეძვი—სა და მეშვი—ს, მიმდინარე წლის განმავლობაში შეიმუშაონ ებრაული კოლმეურნეობების სამეურნეო მოწყობის გეგმა, ამასთან ყურადღება მიაქციონ სასაქონლო ტიპის მეურნეობის ორგანიზაციას (სარძევე,

მეზოსტნეობის, მეფრინველეობის) და ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე დამხმარე საწარმოების შექმნას.

9.თვალისწინებს რა, რომ ებრაელ კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ მ.წ. გადავიდა სასოფლო-სამეურნეო შრომაზე, რის წყალობითაც ისინი მოსავლის აღებადღე უზრუნველყოფილნი არ არიან სურსათით, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ფონდების კომიტეტს, 2 კვირის ვადაში შემსის ცეკავშირის დეცენტრალიზებული დამზადებიდან ებრაული კოლმეურნეობის უღარიბესი წევრებისადმი დასარიგებლად 36 ტონა სიმინდი გამოუყოს.

10.მთელ რიგ ებრაულ კოლმეურნეობებში (ტირიფონი, საჩხერე, სურამი და სხვ.) აღინიშნება რა უკიდურესად დაბალი შრომითი დისიპლინა, წინადადება მიეცეს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატსა და შემსი-ს, მიიღონ ყველა საჭირო ზომები დისიპლინის ასამაღლებლად.

11.თვალისწინებს, რომ ებრაული კოლმეურნეობები თითქმის ყოფილი წერილ ვაჭართა დეკლასირებული ელემენტებით კომპლექტდებოდა, რომ კოლმეურნე კადრების შერჩევას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, დაევალოს შემსის, შემსისთან, მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატთან და ადგილობრივ აღმასკომებთან ერთად ორი თვის ვადაში გადასინჯონ ებრაული კოლმეურნეობების თვისობრივი შემადგენლობა.

12.სცნობს რა, რომ ებრაული კოლმეურნეობების კულტურული და სამედიცინო მომსახურება აშკარად არაადაკმაყოფილებელია, წინადადებას აძლევს: 1)განათლების სახალხო კომისარიატს: ა)კოლმეურნეთა სკოლა-მდელი აღსაზრდელი და სასკოლო ბავშვებისათვის განათლების მიცემა უზრუნველყოს. ბ)1933-34 წლებში ებრაული კოლმეურნეობების მოზრდილ მოსახლეობაში აღმოფხვრას წერა-კითხვის უცოდინარობა. გ)თავისი მუშაობის გეგმაში ებრაულ კოლმეურნეობებში ქოხ-სამკითხველოების გახსნა და მათი რადიოფიცირება გაითვალისწინოს. 2)ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს - უზრუნველყოს ებრაულ კოლმეურნეობებში ოჯახების სამედიცინო მომსახურება; 2 კვირის ვადაში, ვ.სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში (წითელი გორა) დააკომპლექტოს სამედიცინო პუნქტი და მოაწყოს პატარა აფთიაქები ყველა ებრაულ კოლმეურნეობებში. 3)მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს- ყველა ებრაულ კოლმეურნეობაში უზრუნველყოს აგრონომიული წესების დაცვა. 4)სახელგამს- მიმდინარე წელს გამოსცეს ბროშურების სერია სსრ-ში ებრაელთა მიწათმოწყობის საკითხებზე. 5)წითელ ჯვარს- თავისი მომსახურების ობიექტებს შორის ჩართოს ებრაული კოლმეურნეობები. პირველ რიგში

ჩაუტაროს სამედიცინო მომსახურება მაღარიის გავრცელების რაიონის კოლმეურნეობებს (წითელი გორა, ქობულეთი და სხვ.).

13. ებრაელ ქალთა საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმის მიზნით წინადადება მიეცეს მემკის და მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს, მემსისთან ერთად შეიმუშაოს ებრაულ კოლმეურნეობებში ქალთა პრაქტიკული შრომითი მონაწილეობის უზრუნველყოფის ღონისძიებები. გარდა ამისა, აუცილებლობად ჩაითვალოს საბავშვო ბაგა-ბაღების გახსნა ყველა ებრაულ კოლმეურნეობაში და ამის ორგანიზაცია დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს.

14. მხედველობაში იღებს, რომ საქმეში ებრაულ კოლმეურნეობებს მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას უწევს და მას სამრეწველო საწარმოების სახით (ტექნიკური, ღვინის, ხის და სხვ.) თავისი ბაზა გააჩნია, წინადადება მიეცეს შესაბამის სახალხო კომისარიატებს და ორგანიზაციებს (მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს, ხე-ტყის გასაღების და სხვ.) თავიანთ გეგმებში გაითვალისწინონ აღნიშნული საწარმოების ნედლეულით მომარაგება.

15. წინადადება მიეცეს საქმეშის გამგეობას თავის შემდგომ მუშაობაში ძირითადად ყურადღება გაამახვილოს ებრაული კოლმეურნეობებისა და მეურნეობის განმტკიცებაზე, ქალაქისა და სოფლის, ებრაული კოლმეურნეობების მოსახლეობაში მასობრივი მუშაობის განვითარებაზე, პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებაზე.

სრულიად საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარე
სრულიად საქართველოს ცაკ-ის მდივანი

ფ. მახარაძე
თ. ჟღენტი

1933 წლის 14 აპრილი.

1933 წლის 4 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი ფ.მახარაძის მიერ გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი.

საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში კომპაქტურად მცხოვრები ებრაელთა ყოფა-ცხოვრებისა და პირობების გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად, საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისარიატმა 27 ივნისის დადგენილებით (ოქმი № 2) გამოვიტანეთ გადაწყვეტილება, სსრკ -ის ცაკის წინაშე აღვძრათ შუამდგომლობა, საქართველოს ღარებკომის ყოველგვარი სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისაგან 5 წლის განმავლობაში განთავისუფლების შესახებ. გამონთავისუფლებული თანხა სახელმწიფო კონტროლის ქვეშ უნდა მოხმარდეს უღარიბესი ებრაული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი შენობების აგებას.

აღნიშნული ღონისძიებები გამოწვეულია ქვემოთ მოყვანილი მდგომარეობებით, რომელთა გაშუქებაც წარმოადგენს ამ მოხსენებითი ბარათის მიზანს და რომელზედაც მივაპყრობთ სსრკ ცაკის ყურადღებას.

საქართველოს ებრაელების უდიდესი ნაწილი, ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის დროს იმყოფებოდა წარმოუდგენლად მძიმე ეკონომიურ და კულტურულ— ყოფით პირობებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ებრაელთა მასამ ვაჭრობაში კერძო სექტორის ლიკვიდაციის შედეგად დაკარგა ისედაც მერყევი ეკონომიური ბაზა და ეკონომიურად უმწეო აღმოჩნდა. ამ მდგომარეობამ, პარტიისა და ხელისუფლების წინაშე საქართველოს ებრაელთა სოციალურ— ეკონომიური მდგომარეობის შეცვლის პრობლემა, მათი საწარმოო პროცესში ჩართვის გზით დააყენა. ამ მუშაობის გვემაზომიერი და სისტემატური წარმართვისათვის საქართველოს სადირექტივო ორგანოების 1928 წლის დადგენილებით, სრულიად საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი— “საქართველოს ღარებკომი” შეიქმნა.

“საქართველოს ღარებკომმა” თავისი არსებობის 5 წლის განმავლობაში (გააჩნია რა 16 აღწერითი განყოფილება), მრეწველობის სხვადასხვა დარგებში (ტრიკოტაჟის, ტყავ— ფეხსაცმლის, მექანიკური, სპორტული, ქიმიური და სხვ.) 136 საწარმოო ჩამოაყალიბა როგორც თბილისში, ასევე

ღარიბი ებრაელებით დასახლებულ ადგილებში. ღარებკომის საწარმოებში ჩაბმული მუშების საერთო რაოდენობა 320 კაცს აღწევს. გარდა ამისა, ღარებკომს საბოლოო მიზნად ღარიბ ებრაელთაგან სახელმწიფო მრეწველობისათვის კადრების მომზადება აქვს დასახული. ღარებკომმა ამ დროის განმავლობაში თავის საწარმოებში მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის 2000- მდე კვალიფიციური მუშა მოამზადა, რომლებიც საქართველოს ფაბრიკა- ქარხნებში დაიგზავნენ. ღარიბი მასების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, ღარებკომმა თავისი არსებობის მოკლე დროის განმავლობაში დიდი კულტ-საგანმანათლებლო მუშაობა ჩაატარა.

საქართველოს ღარებკომი არანაკლებ ყურადღებას აქცევს ღარიბი ებრაელების სამედიცინო მომსახურებასა და ექიმბამობასთან ბრძოლას. მთელ რიგ რაიონებს აქვს ამბულატორიები, საექიმო პუნქტები, რომლებიც ემსახურებიან ღარიბ ებრაელებს. მაგრამ, ყველა ეს ღონისძიება არ იძლევა საჭირო ეფექტს და ფერმკრთალდება საქართველოს ებრაელთა საბინაო პირობების შავ ფონზე. ღარებკომის მმართველი ორგანოების მიერ ჩატარებული გამოკვლევის მონაცემების თანახმად, ცხინვალის, საჩხერის, კულაშის, სურამის რაიონების ებრაელთა საბინაო პირობები ძალზე შემამოშოთებელ სურათს გვიჩვენებენ. აღნიშნული რაიონების მთელი ებრაული მოსახლეობა თითქმის განყენებულად, გამოცალკევებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს, რომელიც თითქოს სადემარკაციო ხაზითაა გამოყოფილი დანარჩენი მოსახლეობისაგან. თავისი გამოცალკევებითა და კარჩაკეტილობით ეს რაიონები ებრაელთა გეტოს გვაგონებენ.

სახლები, სადაც ცხოვრობს ებრაული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, წარმოადგენენ ნახევრადდანგრეულ მიწურებს, რომლებიც აუშენებიათ ფიჩხ-ძეძვისაგან. ისინი ნესტიანია, ბნელი, უშუქო და უჰაერო. დაუცველია ქარისაგან, წვიმისაგან და სიცივისაგან. თითქმის მთელს მოსახლეობას ერთ სულზე აქვს ერთობ არასაკმარისი ფართობი -1 კვ.მ. მრავალწლიანი ოჯახები ცხოვრობენ ერთ ოთახში, რომელთა ფართობი 10-15 კვ.მ. არ აღემატება და არა აქვთ არავითარი სათავსოები. სახლები ისე ახლოსაა განლაგებული ერთმანეთთან, რომ მცირედი ხანძრის შემთხვევაშიც კი, ცეცხლი მოიცავს მთელს კვარტალს და ასობით ათასები გახდებიან სტიქიური უბედურების მსხვერპლნი.

ებრაელთა კვარტალებში არაა კეთილმოწყობის ელემენტარული სახეობები: წყალგაყვანილობა, შუქი, კანალიზაცია იშვიათი მოვლენაა იმ ადგილებშიც კი, სადაც ისინი გააჩნიათ სხვა ეროვნების მცხოვრებთ. არ აქვთ საპირფარეშოები არც ბინებში, არც საზოგადოებრივი სარგებლობისა. რის გამოც მუდამ მოწამლულია ჰაერი და სუფევს უკიდურესი სიბინძურე.

მოსახლეობის შეჯგუფება, ყველაზე ელემენტარული ჰიგიენის უქონლობა, მოსახლეობაში ეპიდემიური დაავადებებისათვის გავრცელების ნიადაგს ქმნიან. ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ებრაელთა რაიონები სხვადასხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების კერას წარმოადგენენ. მძიმე საბინაო პირობების გამო, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაზე ვშვები იტანჯება, რომელთა შორის ტუბერკულოზი და კანით დაავადებანი ფართოდაა გავრცელებული.

ზემოთ მოყვანილის გამო, საქართველოს ღარიბ ებრაელთა საბინაო პირობები მოითხოვს გადაუდებელ საგანგებო ღონისძიებების გატარებას. ამ ამოცანის განხორციელებისა და ღარებკომის მუშაობის გეგმის რეალიზაციისათვის, რაც მთავარია, ქალაქის საბინაო მშენებლობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, კომუნალური მეურნეობის შესახებ პარტიის ღირექტივის ცხოვრებაში გატარების მიზნით, ყველა სახის სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებიდან საქართველოს ღარებკომის 5 წლის განმავლობაში განთავისუფლების შესახებ ვშუამდგომლობთ. მთელი გამოთავისუფლებულ თანხა, მთავრობის საგანგებო კონტროლის ქვეშ ებრაული მოსახლეობის საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს მოხმარდება.

ამიერკავკასიის სფსრ ცაკის თავმჯდომარე

ფ.მახარაძე

4/XII -33 წ.

№ 43

1933 წელი. სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მისალმება საქ. მემსის მეოთხე ყრილობას.

“მემსის” მიერ ჩატარებული მუშაობა მშრომელ ებრაელთა მასების გარდაქმნის საქმეში უეჭველად ღირსია იმისა, რომ მან ჰპოვოს თავისი მკვეთრი გამოხატულება ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. კულტურული მშენებლობის ერთ-ერთი მოწინავე კადრი —საბჭოთა მწერლობა

ენერგიულად უნდა დაეხმაროს “მემსის”, მის წინაშე დასახულ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანათა განხორციელებაში, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ ამ მხრივ მიღებული ღონისძიებანი და რამდენიმე საბჭოთა მწერლის მიერ ჩატარებული მუშაობა უნდა ჩათვალოს დასაწყისად, რასაც უნდა მოჰყვეს საბჭოთა მწერლების მთელი აქტივის ყურადღების მობილიზაცია “მემსის” ამოცანათა ირგვლივ, მწერალთა უფრო ფართო მასის ჩაბმა ამ ამოცანისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

ესალმება რა მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის დარგში მოპოვებულ წარმატებათა ორგანიზატორების შეკრებას, საქართველოს “მემსის” მე-4 ყრილობას, საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირი ამ მისალმებას უერთებს მტკიცე დაპირებას, რომ მწერალთა ორგანიზაცია ყოველმხრივად დაეხმარება “მემსის” შემდგომ ზრდას და განმტკიცებას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლობის
კავშირის თავმჯდომარე მ.ტოროშელიძე

№ 44

1934 წელი. ამონაწერი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის 28 ივნისის სხდომის № 7 ოქმიდან.

მოისმინეს: 19. ღარებკომის ხაზით წარმოებული მუშაობის შესახებ (მომხ. ამხ. ლინეცკი).

დაადგინეს: 1. აღინიშნოს ღარებკომის მუშაობის საჭიროებისათვის გაღებული სახსრების გამოყენების პროექტის დაგვიანებით წარმოდგენის დაუშვებლობა. 2. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა პირველ რიგში მშენებლობა გაშლილი იქნეს ქ. სტალინში. ახალციხეში, საჩხერეში, ონში და კულაში. 3. ღარებკომის ხაზით წარმოებულ მშენებლობაზე ოპერატიული ხელმძღვანელობა დაევალოს სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო საერთო მეთვალყურეობა დარჩეს საქართველოს ცაკის პრეზიდიუმს. 4. მშენებლო-

ბის საწარმოებლად, ლარეკომისათვის გაღებული თანხების კომუნალურ ბანკში განსაკუთრებულ ანგარიშზე გაფორმება დაევალოს ფინსახკომს. 5. მიღებული იქნას ცნობად ამხ. ლინეცკის განცხადება, წინასწარი საორგანიზაციო სამუშაოთა ჩატარების თაობაზე, რაც გამოიხატება ქ. სტალინირში და კულაში მშენებლობისათვის სათანადო ნაკვეთების გამოყოფაში, კომუნალური მეურნეობის სახკომსაბჭოს არტელთან ერთად, საპროექტო სამუშაოთა ჩატარებაში, სააღმშენებლო მასალების დასამზადებლად დამხმარე საწარმოთა მოწყობაში (სატრანსპორტო საშუალებათა შექმნა, კარბების დამუშავება, აგურის და კირის ქარხნის მოწყობა).

სსსრ ცაკის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე

სსსრ ცაკის მდივანი

თ. ულენტი

სწორია: —საოქმო ნაწილის გამგე

ი. როსტომაშვილი

№ 45

1934 წელის 3 მარტი. საქ. მემსის საბჭოს თავმჯდომარის რ. ელიგულაშვილის მიერ, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ფ. მახარაძისადმი გაგზავნილი წერილი.

ამხ. ვანო სტურუას სახელობის წითელი გორას ებრაელთა კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა 1928 წელს, რომელსაც დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდა დღევანდელ მდგომარეობამდე რომ მიეღწია. კოლმეურნეობა განმტკიცებულია როგორც ორგანიზაციულად ისე ეკონომიურად. თითოეულ კოლმეურნე მამაკაცს 1933 წელს საშუალოდ 250 შრომადლე აქვს გამომუშავებული. ქალებს— 160 შრომადლე და მოზარდს— 100 შრომადლე.

გამომუშავებული შრომადლეების მიხედვით, მიღებული სას. სამ. პროდუქციით დაკმაყოფილებულნი არიან მომავალი მოსავლის აღებამდე. გარდა

ამისა, სას. სამ. პროდუქტები საკოლმეურნეო ბაზარზე გააქვთ გასასყიდად.

წითელი გორას ებრაელთა კოლმეურნეების წევრთა 75 % ჰყავს მეწველი საქონელი. 100 % უზრუნველყოფილია ფრინველით და თავიანთი საკუთარი ძალებით. კოლმეურნეობამ აღებული ვალდებულება ხელისუფლების წინაშე დროულად შეასრულა, როგორც ხორცის, ხორბლის, ისე ტექნიკური კულტურის დამზადების დარგში. ხელისუფლებას 1300 ფუთი თამბაქო ჩააბარა, იბრძვის გემის დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის, რასაც მოწმობს ლაგოდეხის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. იმედაძის წერილი. რომელიც თამბაქოს ფოთლის შეტეხვის დარგში კოლმეურნეებს ულოცავს დიდ გამარჯვებებს და სამაგალითოდ მოჰყავს რაიონის სინამდვილეში.

წითელი გორას ებრაელთა კოლმეურნეებმა უდიდეს წარმატებებს მიღწიეს იმ დროს, როდესაც კოლმეურნეების 100 % შეპყრობილია ციებით, იმ დროს, როდესაც საშუაო დღის მთლიანად გამოყენების მაგივრად გამოყენებული არ აქვთ ნახევარი დღეც, ვინაიდან გაციების შედეგად, აკანკალებული ტოვებს საშუაოს და მიდის სახლში. ამ შემთხვევაში ძნელია მათი მდგომარეობის არწერა. ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის დროზე გაითვალისწინა წითელი გორას ებრაული კოლმეურნეობის უსაშინლესი მდგომარეობა და საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს, 1934 წლის ბოლომდე წითელი გორას ჭაობიანი ადგილების დაშრობის წინადადება მისცა.

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ ჭაობის ამოშრობის სამუშაოების ჩასატარებლად საკონტროლო ციფრებში 1934 წლისათვის 800000 მან. გაითვალისწინა. დამატებითი გამოკვლევისათვის კი 120000 მან. გამოყო, მაგრამ, წყალთა მთავარი მეურნეობის მიერ, ამოშრობის მუშაობისათვის თანხა სრულებით არ იქნა გაღებული. გამოკვლევის მუშაობის ჩასატარებლად მხოლოდ 80000 მანეთი დაუმტკიცებიათ. აღნიშნული თანხა შესაძლებელია არ დასჭირდეს გამოკვლევის ჩატარებას, როგორც ეს წყალთა მეურნეობის მუშაკებთან საუბრის დროს გაირკვა და შესაძლებელია მისი გამოყენება დაშრობისათვის, მხოლოდ ეს უმნიშვნელოა მუშაობის დასამთავრებლად.

ყველა ზემოხსენებულის შედეგად, საქმემსის საბჭო გთხოვთ, მიმდინარე წლის განმავლობაში წითელი გორას ჭაობიანი ადგილების დაშრობის მუშაობის საწარმოებლად, სათანადო ორგანოს მისცეთ შესაბამისი წინადადება.

საქმემსის საბჭო დარწმუნებულია ამ საქმეში თქვენი უშუალო ჩარევით სასურველ შედეგს მივაღწევთ.

საქმემსის საბჭოს თავმჯდომარე
საქმეთა მმართველი

რ.ელიგულაშვილი
ჭელიძე

№ 46

1935 წლის 3 თებერვალი. საქმემსის საბჭოს თავმჯდომარის რ.ელიგულაშვილის წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე საქმემსის მოხსენებები პირველად იქნა მოსმენილი სსრკ ცაკ-ის ეროვნებათა საბჭოს მემკი-სა და მემსი-ს ცენტრალური საბჭოს სხდომაზე. ამ მოხსენებებს აქვს ისეთი არსებითი მნიშვნელობა, რომ თუ მანამდე საქმემსი მუშაობდა ცენტრიდან თითქმის ყოველდღიური ხელმძღვანელობის გარეშე, ამ ორგანოების გადაწყვეტილებებით ებრაელთა მიწათმოწყობა საქართველოში გახდა მემკი-სა და მემსი-ს ცენტრალური საბჭოს მომსახურების ობიექტი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გადაწყვეტილებების შემდეგ ებრაელთა მიწათმოწყობა მიიღებს გვერდობით იერ ხასიათს.

1. მ.წ. 13 იანვარს, მემკის თავმჯდომარის, სსრკ ცაკის პრეზიდიუმის წევრის ამხ. სმიდოვიჩის თავმჯდომარეობით ჩემი მოხსენების შედეგად განსაზღვრული იქნა საქართველოში ებრაელთა მიწათმოწყობის გეგმა – 150 ოჯახი.

ამ გეგმის პრაქტიკულად განხორციელებისათვის წინადადება მიეცა საქმემსის, მ.წ. ააშენოს არსებულ კოლმეურნეობებში 75 ერთბინიანი სახლები, ხოლო დანარჩენი 75 ოჯახი დაბინავდნენ ამჟამად არსებული კოლმეურნეობების სახლებში. კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხა მემკ-

მა 161000 მანეთით განსაზღვრა, რომელიც გათვალისწინებულია გადმოსახლებულთათვის ბინების მშენებლობაზე, ცოცხალი და არაცოცხალი ინვენტარის შესაძენად, კოლმეურნეთა პირადი სარგებლობის ძროხებით უზრუნველსაყოფად. მეცხოველეობის ფერმებისათვის პირუტყვის შესაძენად, მევენახეობაზე და გადმოსახლებული 150 ოჯახისათვის სასურსათო დახმარების გასაწევად.

არსებული საწარმოებიდან, აღნიშნული ოჯახების დაფინანსების წყაროს საქ. მექსის წმინდა შემოსავალი -400000 მანეთი, კოლმეურნეთა სახსრები -110000 მანეთი და საქსოფლბანკიდან სასოფლო -სამეურნეო კრედიტი - 200000 მანეთი წარმოადგენს, რომელიც პირობითად საქსოფლბანკიდან პირუტყვის შესაძენად და სასაქონლოფერმების მოსაწყობადაა გათვალისწინებული. იმ შემთხვევაში, თუ საქ.მექსის გაათავისუფლებენ 900000 მან. გადასახადებისაგან. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად მექი-მ 1935 წ. სსრკ ცაკის წინაშე დააყენა საკითხი, საქ. მექსის საწარმოების გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ, ხოლო საქ.მექსის მიეცა წინადადება მიაღწიოს საქსოფლბანკისაგან 200000 მან. კრედიტის მიღებას და ადგილობრივი ორგანიზაციების წინაშე დააყენოს საკითხი საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გამოყოფის შესახებ. საამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად მექის წინაშე დავაყენეთ საკითხი საჭირო სამშენებლო მასალების გამოყოფის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ფონდები მექის უკვე ბირობიჯანის, ყირიმის და უკრაინის ებრაულ კოლმეურნეობებზე აქვს განაწილებული, ანგარიში გაგვიწია, ბირობიჯანისა და ყირიმისათვის გამოყოფილი ფონდებიდან, 700 კუბ.მ. ხის მასალა, 1 ტონა ლურსმანი, 100 რულონი ტოლი, 800 კვ.მ. მინ. გამოგვიყო. რა თქმა უნდა, სამშენებლო მასალების ეს რაოდენობა სრულიად არასაკმარისია სამუშაოების ჩასატარებლად და რესპუბლიკური ფონდიდან საჭიროა დამატებითი მასალების მიღება. მექიმ აგრეთვე დაადგინა, გამოგვეყოს რამდენიმე ტრაქტორი მისაბმელით.

2.მექსის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ღიმანშტეინის თავმჯდომარეობით, 19 იანვარს ჩემი მოხსენება მოისმინა და თავის გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა საქართველოს კ (ბ) 17/XII -34 წლის გადაწყვეტილებათა სისწორეს, ამასთან ერთად აღნიშნა საქ.მექსის მნიშვნელოვანი მიღწევები ინტერნაციონალურ მუშაობასა და საქართველოში ებრაელთა მიწათმოწყობის საქმეში. მექსის ცენტრალურმა საბჭომ წინადადება მისცა საქ.მექსის დაუყოვნებლივ გაშალოს მუშაობა გადმოსახლებულთა შერჩევისა და მექის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული

კოლმეურნეობების მშენებლობისათვის, ამასთან ყველა ზომა იხმაროს კოლმეურნეობებში გამიზნული მშენებლობების დასაფინანსებლად.

მხედველობაში მიიღო, რომ საქართველოში ებრაული კოლმეურნეობების შექმნის სახით, 1935 წელს საქ.მემსის დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდება, საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ 1934—1935 წლებში საქ.მემსი საწარმოებისაგან მიღებული შემოსავლის 50 %-ის ცენტრალური ორგანოებისათვის გადარიცხვისაგან გაათავისუფლა. წინასწარი გაანგარიშებით ეს თანხა 400000 მანეთს შეადგენს.

3. საზღვარგარეთული ებრაული ორგანიზაციები “აგრო—ჯოინტ”—ი (ორგანიზაცია რომელიც ეხმარება კავშირში ებრაელთა მიწათმოწყობას) და “ორტ—ფერბანდ”—ი (ხელოსნური შრომის საზოგადოება) უკვე დიდი ხანია მოსკოვში მუშაობენ მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ორგანიზაციებს გააჩნიათ საკმაო რაოდენობის სახსრები ვალუტის სახით, რომელსაც აგროვებენ საზღვარგარეთ და საკავშირო მთავრობასთან შეთანხმებით ასრულებენ სამუშაოებს ებრაელთა კომპაქტურად დასახლების ადგილებში.

მემკის წინაშე დავაყენეთ საკითხი საქართველოში ებრაელთა მიწათმოწყობის მიზნით, ამ ორგანიზაციების სახსრების გამოყენების თაობაზე. მემკის მეშვეობით მივალწიეთ საქ. მემსის მუშაობისადმი ამ ორგანიზაციების ყურადღებას. ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შედეგად “აგრო—ჯოინტ”—ი დაგვიპირდა, რომ უახლოეს დროში საქართველოში მათი სოფლის მეურნეობის დირექტორი ჩამოვა, რომელიც გაეცნობა საქართველოში ებრაელთა მიწათმოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამის შედეგად მტკიცედ შეგვიპირდნენ, რომ გამოყოფდნენ საჭირო სახსრებსა და ინვენტარს, რაზეც მიღებული გვაქვს სსრკ ცაკის და მემკი—ს თანხმობა (სანქცია). “ორტ—ფერბანდ”—ის ხელმძღვანელობამ რამდენიმე კოლმეურნეობასა და ქალაქის ტიპის დასახლებაში კუსტარული ტიპის სამრეწველო საწარმოების ჩამოყალიბების დაპირება მოგვცა. ამრიგად, როგორც ზემოთ თქმულიდან ხედავთ, საქ.მემსის წინაშე დგას დიდი ამოცანები საქართველოს ებრაელთა სოციალური შემადგენლობის რეკონსტრუქციის საქმეში. დასახული გეგმების შესასრულებლად საჭიროა დახმარება: 1. ერთ—ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს იმ 150 ებრაელი ოჯახის სწორი შერჩევა, რომელნიც უნდა გამოვიყენოთ ამჟამად არსებული კოლმეურნეობების განსამტკიცებლად. მემსი—ს და აგრეთვე საქ.მემსის მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გადმოსახლებულთა საუკეთესო კადრებად ითვლებიან ებრაელები, რომელთაც არ გააჩნიათ გარკვეული პროფესია და დღემდე ვერ შეძლეს პატიოსანი შრომის დაწყება, ვერ

მოიკიდეს ფეხი ვერც სამრეწველო საწარმოებსა და ვერც სოფლის მეურნეობაში. ვფიქრობ, საჭიროა გაითვალისწინოთ ეს გარემოება და შერჩევა მოვახდინოთ ებრაული მოსახლეობის ამ ნაწილში მათი კომპაქტურად დასახლების ადგილზე. ამ მუშაობის სწორად წარმართვისათვის საჭიროა რაიონული, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების კონკრეტული დახმარება. მხედველობაში ვიღებთ რა იმ გარემოებას, რომ ადვილი არაა დაარწმუნო ქართველი ებრაელი აიყაროს მამა—პაპათა ადგილიდან, თავი დაანებოს “ჰაერით ვაჭრობას” (აქეთ—იქით ხეტიალს) და რაიონული ორგანიზაციების დახმარებით დაიწყოს პატიოსანი უზრუნველყოფილი შრომა კოლმეურნეობაში. მექსიმ ამ მიზნით უნდა გაშალოს შესაბამისი მოსამზადებელი მუშაობა. 2. როგორც თქვენთვის ცნობილია, ამჟამად საქართველოში არსებობს 15 ებრაული კოლმეურნეობა. მაგრამ ყველა კოლმეურნეობას როდი გააჩნია საკმაო რაოდენობის მიწის ნაკვეთები, რის მიზეზიცაა ნაწილობრივ თავისუფალი მიწის ფონდების უქონლობა, ნაწილობრივ ებრაელთა მიწათმოწყობისადმი რაიონული ორგანიზაციების უყურადღებობა. საკმარისია ითქვას, რომ ონში 20 ოჯახზე გამოყოფილია —12 ჰა. მიწა, საჩხერეში 37 ოჯახზე —6 ჰა. ახალ სენაკში 23 ოჯახზე —15 ჰა. მიგვაჩნია, რომ საერთოდ უნდა გადავსინჯოთ ებრაული კოლმეურნეობები, საკმარისი რაოდენობის მიწის ნაკვეთებით მომარაგების თვალსაზრისით. 3. სსრკ მექმის მიერ დასახული გეგმის—საქართველოში ებრაელთა მიწათმოწყობის შესახებ შესასრულებლად, საჭიროა პირუტყვის ყიდვა, როგორც კოლმეურნეთა პირადი სარგებლობისათვის ასევე მეცხოველეობის ფერმების ჩამისაყალიბებლად. ამ მიზნით, საქართველოს დამზადების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს... უნდა დაევალოს საქმემსისათვის გამოყოს 250 ძროხა (150 ძროხა კოლმეურნეთა პირადი სარგებლობისათვის, ხოლო 100—ფერმების შესაქმნელად), 80 ღორი, 80 მუშა პირუტყვი გვემძიურ დასამზადებელ ფასებში. 4. მომავალ კოლმეურნეებს, რა თქმა უნდა, არ გააჩნიათ სასოფლო—სამეურნეო ინვენტარი. მოგვიხდება მოვამარაგოთ ისინი ყოველგვარი ინვენტარით თვით უმცირესითაც კი. ამიტომ, საჭირო იქნება დაევალოს საქართველოს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს და სოფლის მეურნეობის მომარაგებას, რათა საქმემსის გამოუყოს ებრაული კოლმეურნეობებისათვის საკმარისი რაოდენობის სასოფლო—სამეურნეო ინვენტარი თანახმად წარმოდგენილი განცხადებისა. 5. როგორც ზემოთ ითქვა, სსრკ მექმა თავისი ფონდებიდან ებრაულ კოლმეურნეობებში მშენებლობისათვის საშენი მასალები გამოყო. მაგრამ, გამოყოფილი ფონდები არაა საკმარისი დაგეგმილი საამშენებლო სამუშაოებისათვის და თუ არ იქნება გამოყოფილი რესპუბლიკური ფონდე-

ბიდან სააშენებლო მასალები, ადგილობრივი სააშენებლო მასალებიდან საკოლმეურნეო მშენებლობის გეგმის შესრულება შეუძლებელი გახდება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ჯამში საქმემსის დასჭირდება უმნიშვნელო რაოდენობის სააშენებლო მასალები, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გამოიყოს ადგილობრივი ფონდებიდან. წინადადება უნდა მიეცეს საქართველოს მომარაგება- გასაღების და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, უზრუნველყონ ებრაული კოლმეურნეობების მშენებლობა საჭირო რაოდენობის მასალებით. 6. რამდენიმე კოლმეურნეობაში მშენებლობის საჭიროებისათვის საქმემსი-მ განიზრახა აგურის ქარხნების აშენება და ხე-ტყის დახერხვა, რისთვისაც გამოიყენებს ელექტრისადგურებს, რომელთა აგებაც გამიზნული გვაქვს, ამისათვის საჭირო იქნება საწვავის გარკვეული რაოდენობა. სათბობის გეგმაზომიერად მიღებისათვის საჭიროა, რომ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სათათბიროს კომიტეტმა და აზნაუთობვაჭრობის საქართველოს განყოფილებამ საქმემსი თავიანთი მომარაგების გეგმაში ჩართონ. სსრკ მემკი კატეგორიულად მოითხოვდა სამ ებრაულ კოლმეურნეობაში პატარა ელექტროსადგურების აშენებას. აღნიშნულის განსახოციელებლად საჭიროა წინადადება მიეცეს საკავშირო ენერგეტიკულ გაერთიანებასა და ამიერკავკასიის ენერგოს, უზრუნველყოს ეს წამოწყება საჭირო მოწყობილობითა და მასალებით. 7. საქმემსი დღემდე ებრაული კოლმეურნეობების მშენებლობას თავისი საწარმოებიდან მიღებული სახსრებით ეწეოდა. ებრაელთა მიწათმოწყობის გეგმა ითვალისწინებს მ.წ. დიდ კაპიტალდაბანდებას, რაც მხოლოდ საქმემსის შემოსავლით ვერავითარ შემთხვევაში მთლიანად ვერ შესრულდება. ამიტომ მემკიმ წინადადება მისცა საქმემსის მიაღწიოს საქსოფლბანკიდან 200000 მან. კრედიტის მიღებას- მუშა პირუტყვის შესაძენად და სასაქონლო ფერმების შესაქმნელად. საჭიროა დაევალოს საქსოფლბანკს, გაგვიხსნას კრედიტი ამ თანხაზე. 8. ქუთაისისა და ტირიფონის კოლმეურნეობების მშენებლობის გამოცდილებიდან გამომდინარე, რასაც დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მტსი აწარმოებდა, მან ზემოაღნიშნული კოლმეურნეობების მშენებლობა ჩაშალა, ამიტომ საჭიროდ ვთვლით, მშენებლობა სამეურნეო წესით მიმდინარეობდეს, რისთვისაც საჭიროა საქმემსისთან შეიქმნას მშენებლობის სექტორი- ორი საშტატო მუშაკით (ინჟინერი და პასუხისმგებელი შემსრულებელი), რომელთაც გააჩნიათ სამეურნეო მუშაობის გამოცდილება. ამასთანავე, საჭიროდ ვთვლი, გთხოვოთ მისცეთ მითითებანი საქ. კ (ბ) შესაბამის რაიკომებსა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ მათ, თავისი ზედამხედველო-

ბის ქვეშ აიყვანონ ებრაელთა მიწათმოწყობის სამუშაოები და საქ.მემსო-ს ჩატარებულ მუშაობაში გაუწიონ საჭირო დახმარება.

გთხოვთ განიხილოთ ზემოთქმული და გამოიტანოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

საქ.მემსო-ს საბჭოს თავმჯდომარე

რ.ელიგულაშვილი

3/II -1935 წ.

№ 47

1935 წლის 5 მაისი. საქართველოს ღარებკომისადმი შუამდგომლობის შესახებ, ფ.მახარაძისა და თ.ჟღენტის მიერ, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტსადმი მიწერილი წერილი.

სსრკ ცაკის 1934 წ. 27 მარტისა და 7 დეკემბრის ორგზის დადგენილებით, საქართველოს ღარებკომის საწარმოები განთავისუფლებულნი არიან გადასახადებისაგან ისე, რომ გამონთავისუფლებული თანხები უნდა მოხმარდეს საბინაო მშენებლობას უღარიბესი ქართველი ებრაელების კომპაქტურად დასახლების რაიონებში. მთავრობის ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების განსახორციელებლად საქართველოს ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ გამოიტანეს შესაბამისი დადგენილებანი (7/VII-34 წ. და 5/1-35 წ.), რომელნიც ითვალისწინებდნენ მშენებლობის წარმოების წესს, დაფინანსებისა და სახსრების ათვისების მეთოდებს და ა.შ. იმავე დროს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სატიტულო ფურცლები მთლიანად მშენებლობისა და ცალკეული ობიექტებისათვის დაამტკიცა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1934 წელს დამტკიცებული კაპიტალდაბანდებათა მოცულობა საბოლოო ფორმით 3550 ათას მანეთს შეადგენდა. ასეთივე თანხით იყო დამტკიცებული მიმდინარე წლისათვის დანახარჯის მოცულობა. ამასთან ნაჩვენებ (3350 ათასი მან.)

თანხაში შედის გარდამავალი— 1934 წელს აუთვისებელი 10450 მან. მშენებლობა მოიცავს 5 რაიონს, სადაც შენდება 23 სახლი. უმეტესად 2 სართულიანი —205 ოთახი 11000 კვ.მ. საერთო საცხოვრებელი ფართით. 1934—35 წწ. გადასახადების ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებით, შემცირდა დაგროვილი ფულადი სახსრებიც, რის გამოც მშენებლობის მოცულობა მისი პირველი პროექტით გათვალისწინებულ მოცულობასთან შედარებით შემცირებულია. ამჟამად თითქმის ყველა მშენებარე რაიონში მშენებლობის მდგომარეობა, მშენებლობების გაშლის, საამშენებლო მასალებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით იმდენად კეთილსაიმედოა, რომ მათი კალენდარული გეგმების მიხედვით დამთავრების სრული გარანტია გვაქვს. მაგრამ უკანასკნელ დროს ამ საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტის გზაზე ვხვდებით წმინდა ფორმალური ხასიათის დაბრკოლებას, რომლის საკუთარი ძალებით გადაწყვეტა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს არ შეუძლიათ.

საქმე იმაშია, რომ მშენებლობა, რომელსაც ეწევა საქართველოს ღარებკომი, არ აღმოჩნდა ჩართული არც რესპუბლიკურ, არც საკავშირო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმაში, რის გამოც რესპუბლიკის საფინანსო ორგანოები იძულებულნი არიან, ამ ბოლო დროს უარი თქვან აღნიშნული მშენებლობების დაფინანსებაზე. 1934 წ. ეს გაუგებრობა აიხსნება იმით, რომ თვით სსრკ ცაკის დადგენილება გამოვიდა მხოლოდ პირველი კვარტალის ბოლოს, ე.ი. იმ დროს, როცა სახალხო მეურნეობის გეგმა უკვე საბოლოოდ იყო დაზუსტებული და დამტკიცებული. ხოლო რაც შეეხება მ.წ. საქართველოს ღარებკომის რესპუბლიკურ გეგმაში ჩაურთველობას, არის ერთის მხრივ 1934 წელთან ანალოგიის შედეგი, როცა არაგეგმიური მშენებლობის დაფინანსება ხდებოდა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ხოლო მეორეს მხრივ იმის მტკიცე რწმენის გამო, რომ სსრკ ცაკის (27/III და 7/ XII— 34 წ.) დადგენილებები წარმოადგენენ საკმარის საფუძველს ხსენებული მშენებლობების კაპიტალდაბანდებათა ლიმიტში ჩასართველად. ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ შეწყვეტილ იქნა მშენებლობათა შემდგომი გაგრძელება. ვითვალისწინებთ რა, რომ საქართველოს ღარებკომის მიერ წარმოებული მშენებლობა მიმდინარეობს საკავშირო მთავრობის დადგენილებათა საფუძველზე, რომ აღნიშნული მშენებლობის წანამძღვარს ქართველი ებრაელებით დასახლებულ რაიონებში უკიდურესად მძიმე საბინაო მდგომარეობა წარმოადგენს, სახსრების გაცემის შემდგომი დაყოვნება გამოიწვევს მშენებლობის ჩაშლას არასასურველი შედეგებით. საქართველოს სსრ ცაკ-ი გთხოვთ მისცეთ მითითება შესაბამის ინსტანციებს ამ

მშენებლობის შემდგომი დაფინანსების შესახებ, რომელსაც გააჩნია ყველა წანამძღვრები მიმდინარე წელს მისი წარმატებით დამთავრებისათვის.

საქართველოს სსრ ცაკის თავმჯდომარე
საქართველოს სსრ ცაკის მდივანი

ფ.მახარაძე
თ.ჟღენტი

№ 48

1935 წელი. ამონაწერი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის 21 მაისის სხდომის № 21 ოქმიდან.

მოისმინეს: 1.საქართველოს ებრაელთა კომპაქტური მოსახლეობის რაიონებში “საქართველოს ღარებკომის” საბინაო მშენებლობის მდგომარეობისა და 1934–35 წლის გადასახადთა ანარიცხებიდან შეგროვილი თანხების გამოყენების შესახებ (მომხ. ამხ. ლინეცკი).

დაადგინეს: 1.ამხ. ლინეცკის მოხსენება მიღებული იქნეს ცნობად. 2.ალინიშნოს, რომ თავდაპირველად დაპროექტებული მშენებლობის ოდენობა (11890 მანეთი), რაც დაფინანსების მხრივ “საქართველოს ღარებკომის” საწარმოთა 1934–35 წლების გადასახადების ანარიცხებზე იყო დამყარებული, სახელმწიფო გადასახადთა ოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით 5815 ათას მანეთამდე შემოკლდა. 3.მიღებული იქნეს ცნობად საქ. სახკომსაბჭოს წარმომადგენლის განცხადება მშენებლობის 300000 მანეთის ფარგლებში დაფინანსების შესახებ ღროებით, სანამ საკითხი საკავშირო ორგანოებში გადაწყდებოდეს. 4.გაუწიოს ანგარიში იმ დაბრკოლებებს, რაც აღმოცენებულია “საქართველოს ღარებკომის” მშენებლობის გაშლის დაფინანსების შეწყვეტის ნიადაგზე და აღიძრას შუამდგომლობა

საკავშირო ცაკის წინაშე, ხსენებული მშენებლობის 1935 წლის კაპიტალური დანახარჯთა გეგმაში შეტანის შესახებ.

სს. ცაკის თავმჯდომარე
სს. ცაკის მდივანი

ფ.მანარაძე
თ.ჟღენტაძე

№ 49

1935 წელი. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 13 ოქტომბრის დადგენილება საქართველოში ებრაულ კოლმეურნეობათა მუშაობის შესახებ (საქართველოს მემსი-ს მიერ მოწვეული კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეების, სარევიზიო კომისიებისა და დამკვერელთა თათბირის შედეგების გამო)

საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის ბიურო აღნიშნავს, რომ საქართველოში ებრაული კოლმეურნეობების პოლიტიკური და სამეურნეო განმტკიცების საქმეში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი წინსვლა. საგაზაფხულო თესვის კამპანია ებრაულმა კოლმეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს ვადაზე 10 ღრით ადრე. ებრაელმა კოლმეურნეებმა 712 ჰა. ნაცვლად დათესეს 779 ჰა. აჩეხეს და გაასუფთავეს ახალი 35 ჰა. (წითელ გორაში). მიმდინარე წელს ებრაულმა კოლმეურნეობებმა თავიანთ რიგებში ღარიბ ებრაელთა წრიდან მიიღეს 158 ოჯახი— 700 სული, ნაცვლად 1934 წლის 84 ოჯახის— 378 სულისა. ამჟამად 14 ებრაული კოლმეურნეობა აერთიანებს 618 ოჯახს— 3030 სულს და თავის განკარგულებაში გააჩნია 849, 5 ჰა. ათვისებული მიწა.

საქართველოს კპ (ბ) ცკ აღნიშნავს, რომ ებრაელმა კოლმეურნეებმა გარკვეულად აითვისეს მიწათმოქმედების საშუალები და მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს ისეთი შრომატევადი კულტურების მოყვანაში, როგორცაა თამბაქო და ჩაი (წითელი გორას, ქობულეთის, კულაშის ებრაულ კოლმეურნეობებში). წარმატებით უძღვებიან მეცხოველეობას და მეფრინველეობას (წითელი გორა, ახალციხე), შრომადღებების გამოუმუშავე-

ბამ 1934 წ. საუკეთესო ებრაულ კოლმეურნეობებში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია: მამაკაცები— 360 შრომადღე წითელ გორაში, 325 ახალციხეში. საშუალოდ ერთი ჰა—დან წითელ გორაში მიიღეს 17 ცენტნერი ხორბალი, 20 ცნ. სიმინდი, შრომადღის საშუალო ღირებულება შეადგენდა: წითელ გორაში —მარცვალი 6 კგ. და ფული 1 მან. და 50 კაპ. ახალციხეში— მარცვალი 5,8 კგ. და ფული 9 მან. და 19 კაპ. მუხრანში— მარცვალი— 6,6 კგ. და ფული 8 მან. და 20 კაპ.

ამასთან ერთად, საქართველოს კ (ბ) ცკ ბიურო აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ებრაული კოლმეურნეობები არ არიან უზრუნველყოფილი აუცილებელი მიწის ნაკვეთებით, რაც იწვევს ზოგიერთ კოლმეურნეობაში მუშახელის სიჭარბეს და გამოუმუშავებელი შრომადღეების დაბალ ღირებულებას (სურამი, კულაში, ვანი, ონი, საჩხერე, ბანძა, ქობულეთი, ახალი სენაკი, სუჯუნა). კოლმეურნეები არ არიან უზრუნველყოფილი (წითელი გორა, ტირიფონის და ქუთაისის გარდა) საკარმიდამო ნაკვეთებითა და პირადი სარგებლობის ძროხებით. კულტურული და სამედიცინო მომსახურება ებრაულ კოლმეურნეობებში დაყენებულია არადაამაკმაყოფილებლად. ზოგიერთი რაიონული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ (ხაშური, ახალციხე, ახალი სენაკი) ებრაული კოლმეურნეობების მუშაობას.

ამავე დროს, საქართველოს კ (ბ) ცკ ბიურო აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ სრულიად არაა შესწავლილი ებრაელთა ყოფა ცხოვრების პირობები მათი კომპაქტური დასახლებების ადგილებში, შრომისუნარიანი ებრაული მოსახლეობის მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში მიზიდვის მიზნით. საქართველოში ებრაული კოლმეურნეობების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს კ (ბ) ცკ ბიურო ადგენს: 1.წინადადება მიეცეს საქართველოს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს მიმდინარე წლის ბოლომდე დაამთავროს ებრაული კოლმეურნეობებისათვის მიწის ნაკვეთების მუდმივ სარგებლობაში გადაცემა და ამავე დროს, ებრაულმა კოლმეურნეობებმა შესაძლებლად მაქსიმალურად უზრუნველყონ მიწის ნაკვეთების ზრდა სახელმწიფო ფონდებისა და საგუბერნიო მეურნეობების ხარჯზე შემდეგ რაიონებში: სურამში, კულაში, ვანში, ონში, საჩხერეში, ბანძასა და ქობულეთში, ახალ—სენაკსა და სუჯუნაში. 2.დაევალოს საქართველოს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს წლის ბოლომდე უზრუნველყოს ყველა ებრაული კოლმეურნეობებისათვის პირადი სარგებლობის საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფა არა ნაკლები 0,25 ჰა. ერთი მეურნისათვის (ოჯახისათვის). 3.მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატმა სპეციალურად გამოუყო ებრაულ კოლმეურნეობებს გრძელვადიანი კრედიტი 150000 მან. მეცხოველეობის განვითარებისათვის.

4. დაევალოს საქართველოს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს ებრაული კოლმეურნეების მიერ კონტრაქტის დადება 197 ხბოზე უთანაბრობის ლიკვიდაციისა და მუშა პირუტყვის გამოზრდის მიზნით, ხოლო საქმემსმა და საქართველოს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატმა გამონახონ დაკრედიტებისათვის საჭირო თანხა 17760 მან. 5. წინადადება მიეცეს საქართველოს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს და საქმემსი-ს, განაცხადის მიხედვით გამოყოს ებრაული კოლმეურნეობებისათვის 2 ძნის შემკვერილი, 2 საცხებელი, 2 ტრაქტორი და სხვა წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. 6. წინადადება მიეცეს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს: ა) მიიღოს ზომები ებრაულ კოლმეურნეობებში უწიგნურობის სრული 100 %-ით ლიკვიდაციისათვის, ბ) იელისის თვიდან შეიქმნას საბავშვო ბაღები წითელი გორას, კულაშის, ქუთაისისა და ვანის ებრაულ კოლმეურნეობებში. გ) დააწესოს 5 გადიდებული სტიპენდია უმაღლეს სასწავლებლებში და 3 სტიპენდია ტექნიკუმებში (ებრაელი) კოლმეურნეების შვილებისათვის საქმემსის წარდგინების მიხედვით. დ) საქმემსის წარდგინების მიხედვით მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნას ებრაელი კოლმეურნეების შვილების მიღება უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში. 7. წინადადება მიეცეს საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატს: ა) გაუწიოს უფასო სამედიცინო დახმარება ღარიბ ებრაულ კოლმეურნეებს, ხოლო დანარჩენებს— საქმემსისთან ერთად შემუშავებული ტარიფის მიხედვით. ბ) მოაწიოს სტაციონალური აფთიაქები და სამედიცინო პუნქტები წითელი გორას, ტირიფონისა და ოფშქეთის ებრაულ კოლმეურნეობებში. გ) საქმემსთან ერთად მოაწიოს ბავშვთა ბაგები თითო 30 ადგილიანი წითელ გორასა და ტირიფონში. 8. დაევალოს საქართველოს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს 1936 წლის ბიუჯეტში წითელ გორაში დაწყებული სამელიორაციო სამუშაოების დამთავრება. 9. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქმემსი მიმდინარე წელს ააშენებს 20 ბინას ტირიფონში, 15 ბინას მუხრაანში და 10 ბინას ოფშქეთში. დაევალოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს გამოუყოს საქმემსის საჭირო საამშენებლო მასალები და მათი ტრანსპორტირებისათვის ორი საბარგო მანქანა. 10. წინადადება მიეცეს საქმემსის, მოამზადოს ებრაული კოლმეურნეობებისათვის 14 მონგარიშე, 8 კოლმეურნეობის თავმჯდომარე და 28 ბრიგადირი საქართველოს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატის კურსებზე. 11. დაევალოს საქართველოს კპ (ბ) რაიკომების მდივნებს ებრაული კოლმეურნეობების განლაგების რაიონებში საქმემსისთან ერთად სასწრაფოდ დაამუშაონ პოლიტ-სამეურნეო განმტკიცების საკითხი, უზრუნველყონ საჭირო დახმარება მათთვის ადგ-

ილებზე შესაბამისი ორგანოების მხრივ. 12. დაევალოს საქართველოს ცაკს, მექის და ყჩყყ-ს; უახლოეს დროში მოახდინოს საქართველოს ებრაული მოსახლეობის დემოგრაფიული აღწერა.

13/X- 35 წ.

№ 50

1935 წელი. “ლარეკომის” თავმჯდომარის ლინეცკის მიერ, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ფ.მახარაძის სახელზე გაგზავნილი წერილი.

სსრკ ცაკის მიმდინარე წლის 21 მარტის დადგენილების საფუძველზე ლარეკომს დავალებული ჰქონდა საბინაო მშენებლობა საქართველოს მშრომელი ებრაელებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში. როგორც თქვენთვის ცნობილია, სსრკ ცაკის დადგენილება ითვალისწინებდა ლარეკომის საწარმოების განთავისუფლებას ყოველგვარი გადასახადებისაგან ისე, რომ გამოთავისუფლებული თანხა უნდა მოხმარებოდა საბინაო მშენებლობას.

1934 წ. საბინაო მშენებლობის სატიტულო სიები ითვალისწინებდნან 4 მილიონი მანეთის ღირებულების მშენებლობას. მიმდინარე წელს გადასახადების ტარიფების დაკლება წამყვან ღირებულებზე (ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის და ა.შ.) სავარაუდოდ მოგვცემს მხოლოდ 3 მილიონ მანეთს. ამ თანხიდან მ.წ. 1/IX —თვისათვის ათვისებულია 1850000 მანეთი. მშენებლობის გაძლიერებული ტემპები კულაში, ონში, ცხინვალში, ახალციხესა და საჩხერეში, სახერხი და მრგვალი ხის მასალების დიდი პარტიების შესყიდვა ჩრდილოეთში უზრუნველყოფს 3 მილიონი მანეთის მთლიანად ათვისებას მ.წ. ბოლომდე.

რაიონებში მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს და 1/XI —თვისათვის იძლევა ასეთ სურათს: 1.ცხინვალი —შენდება სამი 16 ბინიანი ორსართულიანი სახლი, აშენდება კიდევ ხუთი 18 ბინიანი სახლი. 2.კულაში —შენდება ოთხი სამ ბინიანი სახლი, მიმდინარეობს ადგრეთვე 12 ბინიანი სახლის მშენებლობა. 3.საჩხერე —მთავრდება სამი 16 ბინიანი

სახლის მშენებლობა და ჩაყრილი აქვს საძირკველი ასეთსავე ორ სახლს. 4.ონი — ჩატარებულია ტოპოგრაფიული გადაღება. დაწყებულია ერთი ორსართულიანი ორი და სამ ბინიანი სახლის მშენებლობა. მიმდინარეობს გამოყოფილი ნაკვეთის ათვისება. 5. ახალციხე — ჩატარებულია ტოპოგრაფიული გადაღება. დაგეგმილია მთელი კვარტალის განაშენიანება ორი და სამ სართულიანი სახლებით, ორ და სამ ოთახიანი ბინებით, რომელთაგან სამოთახიანი იქნება 12 ბინა, ოროთახიანი — 32 ბინა. მესამე ინტერნაციონალის ქუჩაზე ფასადის მხარის 90 მეტრის სიგრძეზე დაბლა სართულში განლაგებულია დარაბები. მშენებლობა დაიწყება მ.წ. 7 ნოემბერს.

ყველა ნაჩვენებ პუნქტებში შექმნილია დამხმარე საწარმოები: აგურის ქარხნები, გამოსაწვავი ღუმელები, სატრანსფორმატორო სადგურები, საკირეები, ხის სახერხი ქარხნები, სადაც მუშაობენ მშენებლობის რაიონებში მცხოვრები ებრაელები. მშენებლობის შესრულებული კუბატურა შეადგენს 26000 კუბ.მ. მეოთხე კვარტალში ათვისებული უნდა იქნეს კიდევ 29000 კუბ.მ. 1935 წლისათვის მშენებლობის სიების მიხედვით, რაც მოიწონა საქართველოს საგეგმო კომიტეტმა და დაამტკიცა კომუნალური მეურნეობის სახალხო კომიტეტმა, მშენებლობის მოცულობა განისაზღვრება 5 მილიონი მანეთით.

1935 წ. უნდა დამთავრდეს დაწყებული სახლების მშენებლობა, აგრეთვე კულტურულ — საყოფაცხოვრებო კერების აშენება, როგორცაა აბანო, სამრეცხაო, კლუბი, ბაგა, ამბულატორია, სკოლა და სხვ. იმავე დროს ჩატარდება მუშაობა გზის გაყვანის, ელსადგურების მოწყობის, წყალგაყვანილობის, კანალიზაციის და სხვა საკითხების გადასაწყვეტად.

დაწყებული მშენებლობის წარმატებით დამთავრება და საბინაო მშენებლობის დაწყება, საქართველოს ებრაელებით დასახლებულ ახალ რაიონებში დამოკიდებულია მშენებლობის დამტკიცებული გეგმის შემდგომ დაფინანსებაზე. ღარბეკომის საწარმოების გადიდებული წარმოების პროგრამა 1935 წლისათვის უზრუნველყოფს 5 მილიონი მანეთის საგადასახადო თანხას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვშუამდგომლობთ თქვენს წინაშე, გასული წლის მსგავსად მოგვეცეთ წერილი სსრკ ცაკისათვის, ცაკის მ.წ. 27 მარტის დადგენილების უახლოესი წლებისათვის გავრძელების თაობაზე.

საქართველოს ღარბეკომის ებრაელთა დამხმარე კომიტეტის
თავმჯდომარე ლინეცკი.

1936 წ. 4 იანვარი. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი გაგზავნილი წერილი. № 85-31-1

საქართველოს ებრაელთა უკიდურესად მძიმე საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების რადიკალურად გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ ჯერ კიდევ 1933 წ. აღძრეს შუამდგომლობა სსრკ ცაკის წინაშე, საბინაო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ რესპუბლიკის იმ რაიონებში, სადაც სჭარბობს ებრაული მოსახლეობა. საქართველოს ცაკის შუამდგომლობა საფუძველად დაედო 27/VI-33 წელს მის მიერ მიღებული დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ხუთწლიან გეგმას, რომელიც წარმოადგინა საქართველოს ღარებკომმა და კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხას 118000 მანეთით ითვალისწინებდა. აღნიშნული შუამდგომლობის შედეგად, სსრკ ცაკმა 27/XII-34 წლის დადგენილებით, საქართველოს ღარებკომის საწარმოები სახელმწიფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა ისე, რომ გამოთავისუფლებული თანხა ამის შემდეგ საბინაო მშენებლობას უნდა მოხმარებოდა, ხოლო 7/XII-34 წლის დადგენილებით ეს ღონისძიება 1935 წელზეც გავრცელდა. ამ დადგენილებათა საფუძველზე, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა მშენებლობის სატიტულო ფურცელი 1934 წლისათვის 4000000 მანეთის ოდენობით, ხოლო მ.წ. მარტში დანახარჯების რაოდენობა, 1935 წლის გარდამავალი და ახალი მშენებლობისათვის დამტკიცებული იყო 5850000 მანეთის ოდენობით.

საქონლებრუნვის გადასახადების ტარიფის შემცირების შესახებ მთავრობის მიერ შემდგომ გამოცემული განკარგულების შედეგად, გადასახადების ანარიცხებიდან მიღებულმა ფულადმა სახსრებმა იკლო, რამაც მშენებლობის დამტკიცებული გეგმის გადასინჯვის აუცილებლობა გამოიწვია. მშენებლობის შეცვლილი სატიტულო ფურცელი შედგენილი და დამტკიცებული იყო ორი მიმდინარე წლის დაგროვილი საგადასახადო თანხის ბაზაზე და აღნუსხავდა ყველა დანახარჯს 4098 ათასი მანეთის ოდენობით. ამ სატიტულო ფურცლით გათვალისწინებული იყო 72000 კვ.მ სახლის მშენებლობა, რაც 1500 კაცზე იყო გაანგარიშებული. ამასთან საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ სატიტულო ფურცლის შემცირ-

ების მიმართულებით შეცვლამ, ძირითადი დანახარჯები საბინაო მშენებლობაზე გამოიწვია და აღარ გვქონდა შესაძლებლობა გენერალური ხარჯთაღრიცხვის წესით კულტ-საყოფაცხოვრებო შენობების კეთილმოწყობა გაგვეთვალისწინებინა, რაც ხუთწლიანი გეგმის პირველდასაწყისშივე იყო გათვალისწინებული.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ღარებკომს საშუალება ჰქონდა საამშენებლო სამუშაოებს მხოლოდ 1934 წლის ბოლოს შედგომოდა. ამგვარად, მან შეძლო დაემთავრებინა და კულაში ერთი სახლი ჩაებარებინა საექსპლუატაციოდ. სახლები 50 %-ით ტექნიკურ მზადყოფნამდე მიეყვანა. მშენებლობის მზადყოფნის ეს პროცენტი, ისევე როგორც საამშენებლო მასალის სრულიად საკმარისი მარაგი ადგილებზე, მთელი საამშენებლო პროგრამის 1936 წლისათვის დამთავრების გარანტს იძლევა.

1935 წლის მშენებლობის დამთავრების ხელისშემშლელი დაბრკოლებანი შემდეგია: 1.სახსრების უკმარისობა, რაც გამოწვეულია დიდი დანახარჯებით ორგანიზაციულ-მოსამზადებელ ღონისძიებებზე, რომელნიც გათვალისწინებული იყო გაცილებით უფრო დიდი მოცულობის მშენებლობაზე, ვიდრე დაგეგმა ფაქტიურად საგადასახადო თანხის შემცირების შედეგად. 2.კომუნალურ ბანკში დაგროვილი გადასახადების ანარიცხების მიღების სისტემატური დაყოვნება, რაც ბუნებრივია ანელებდა მშენებლობის ტემპს და აძვირებდა მას. 3.საამშენებლო მასალების (განსაკუთრებით ხე-ტყე) არასაკმარისი გეგმიური მომარაგების გამო ამ მასალების დეცენტრალიზებული წესით დამზადება- შესყიდვა კავშირის სხვადასხვა რაიონებში, თავის მხრივ ანელებდა საამშენებლო სამუშაოებს...

სრულიად საქართველოს სსრ ცაკის თავმჯდომარე
სრულიად საქართველოს სსრ ცაკის მდივანი
სწორია: ხელმოწერილია.

ფ.მახარაძე
თ.ჟღენტცი

1938 წლის 3 მარტი. საქ.მემსის საბჭოს თავმჯდომარის რ.ელიგულაშვილის მიერ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ვ.მ.ბაქრაძის სახელზე გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი.

№ 79/392

მემსი (მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოება) ესაა საზოგადოებრივი ინტერნაციონალური ორგანიზაცია, რომლის მიზანია მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობა. საქ. მემსი 10 წელია არსებობს და თავის მუშაობას იგი ისე წარმართავს, რომ ბირობიჯანის ებრაელთა ავტონომიური ოლქისა და სხვა ებრაული ეროვნული რაიონების შექმნა— მოსახურების საკითხების ირგვლივ, ინტერნაციონალურ საბჭოთა საზოგადოებას მობილიზაცია გაუკეთოს. კერძოდ, ეს მუშაობა, საქართველოს ორგანიზებულ ებრაელთა შორის, ებრაული კოლმეურნეობების შექმნით გამოიხატება. ხოლო არაორგანიზებულ ებრაელთა შორის, მათი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმით, მათი სოფლის მეურნეობაში მიზიდვით, ახალი კოლმეურნეობების შექმნის გზით და აგრეთვე უკვე არსებული კოლმეურნეობების შევსებით. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის 3258 კაცი მოვიზიდეთ.

იმ ცნობების მიხედვით, რაც გააჩნია საქ.მემსის, საქართველოს სსრ ებრაული მოსახლეობა ჩაბმულია და ებმება რესპუბლიკის სწრაფად განვითარებად მრეწველობაში. სოფლების ებრაული მოსახლეობა, ებრაელთა ისეთი კომპაქტური დასახლებების ადგილებში. როგორცაა სურამი, ცხინვალის, კულაში, საჩხერე, ლენხუმი, ონი, ბანდა და სხვ, მოითხოვს გაძლიერებულ ყურადღებას. ებრაული მოსახლეობის ძირითად მასას წყვეული წარსულის მიზეზით არ გააჩნია არავითარი პროფესია და მისდევს წვრილმან ვაჭრობას. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ რელიგიას ჯერ კიდევ მტკიცედ აქვს გადგმული ფესვები მათთან. კერძოდ, ებრაელთა მასის ეს ნაწილი წარმოადგენს საქ.მემსის მუშაობის ობიექტს.

1935 წლამდე, საქ. მემსი ეწეოდა მცირე მოცულობის მუშაობას, რადგან მას არ გააჩნდა საჭირო სახსრები, რის შედეგადაც საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოების მიერ ამ საკითხის დასმის შემდეგ ყოველწლიურად გამოყოფენ სასოფლო-სამეურნეო კრედიტსა და დაუბრუნებელი ბიუჯეტის მნიშვნელოვან სახსრებს, ებრაელთა დასახლებების მშენებლო-

ბისა და გადმოსახლების ორგანიზაციისათვის. საამშენებლო სამუშაოები მოითხოვს სერიოზულ ყურადღებასა და დიდ ენერჯიას. იმის გამო, რომ საქართველოს საამშენებლო ორგანიზაციებმა უარი თქვეს საქართველოს ებრაული დასახლებების მშენებლობაზე, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 27 მაისის № 570 დადგენილებაში— საქართველოს ებრაელთა მიწათმოწყობაში საქ.მემსის კაპიტალდაბანდებათა გეგმის შესახებ ნათქვამია: “კოლხიდის დაბლობსა და ტირიფონის ველზე საამშენებლო სამუშაოების წარმოება დაევალოს საქ.მემსის.”

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე, საქ.მემსმა პრეზიდენტთან ჩამოაყალიბა საამშენებლო ბიურო, ხოლო შემდეგ, იმის გამო, რომ საქსოფპროექტი ჩვენს სასწრაფო დაკვეთებს დიდი დაგვიანებით და უხარისხოდ ასრულებდა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 7/IV— 1937 წლის № 322 ნებართვის საფუძველზე, საამშენებლო ბიუროსთან საპროექტო სექტორი ჩამოვყალიბეთ. იმის გამო, რომ მშენებლობა 1936 წელს ერთდროულად კოლხიდასა და გორში ორ საამშენებლო მოედანზე მიმდინარეობდა, ამ სამუშაოთა წარმართვისათვის დამთავრებული ბალანსებით დაინიშნენ სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც ოპერატიულად აბარებდნენ ანგარიშს პრეზიდენტს.

1936 წელს მშენებლობა ფონდების გარეშე მიმდინარეობდა, რადგანაც არც საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და არც რესპუბლიკურ საგეგმო კომიტეტს არ ჩაუსვივართ საერთო სახალხო სამეურნეო გეგმაში, დაფინანსების გეგმაში ჩვენი დაგვიანებით ჩართვის გამო. მიუხედავად ამისა, საქ. მემსმა შესაბამისი მუშაობა ჩაატარა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს კომისიამ 1936 წლის დეკემბერში შეისწავლა რა კოლხიდაში მშენებლობის მიმდინარეობა აღნიშნა: 1. კომისიამ, გაეცნო რა ადგილზე სამუშაოთა მდგომარეობას, დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ საქ.მემსის აღნიშნული მშენებლობისათვის საამშენებლო მასალების ფონდები არ გააჩნდა, მან დროულად მიიღო საჭირო ზომები მშენებლობის გეგმის შესასრულებლად, უკვე სექტემბერში დაამზადა ხე-ტყის მასალები კავშირის სხვადასხვა რაიონებში, რომელიც დროულად იქნა კიდევ შემოზიდული მშენებლობაზე.

კომისია საჭიროდ თელის აგრეთვე აღნიშნოს საქ.მემსის მიერ მშენებლობისათვის კარგად ორგანიზებული მომზადება, რამაც საშუალება მისცა დროულად გაეშალა საამშენებლო სამუშაოები ყველა ობიექტზე. საცხოვრებელი სახლებისა და სხვა შენობების ხარისხს, კომისია დამაკმაყ-

ოფილებლად თელის. კომისია აღნიშნავს, რომ, როგორც სასოფლო-სამეურნეო კრედიტის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები გამოყენებულია დანიშნულების მიხედვით. ზოგიერთ ობიექტებზე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ხარჯებთან შედარებით გაწეულია ეკონომია. ასე მაგალითად: სახლების მშენებლობაზე გაწეულია ეკონომია 3,5 %, რაც მთლიანად შესრულებული სამუშაოების მიხედვით 26401 მან. და 94 კაპ. შეადგენს. ეს აიხსნება ხე-ტყის მასალების უფრო ნაკლებ ფასებში დამზადებით. ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ხარჯთაღრიცხვით. (ხარჯთაღრიცხვით ერთი სახლის ღირებულებაა 8296 მან. ფაქტიურად დაიხარჯა 8004 მან. და 43 კაპ.) გზების მშენებლობაზე არის დაახლოებით 2 % ეკონომია, პროექტებზე — დაახლოებით 2 %, ამოსაშრობი თხრილების გაყვანაზე დაახლოებით — 3 %. დასკვნაში კომისია აღნიშნავს, რომ მიუხედავად მშენებლობის გეგმის შესრულებლობისა, საქმის მიერ გაწეული მუშაობა მშენებლობის უწყვეტობის უზრუნველყოფის, საამშენებლო მასალებითა და კადრებით მომარაგების მხრივ, აგრეთვე შესრულებული სამუშაოების ხარისხი შესაძლებელს ხდის 1936 წლის სამუშაოთა გეგმის შესრულებას შემდეგი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში: სსრკ სახალხო კომისართა საბჭომ გადასახადებისა და მშენებლობის 1937 წლის გეგმები 1937 წ. 10 ივნისს დაამტკიცა, ხოლო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დაზუსტებული გეგმები 1937 წლის 4 აგვისტოს, რასაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მშენებლობის დროულად დამთავრებაზე. 1937 წლის გეგმები მკვეთრად იყო გაზრდილი 1936 წლის გეგმებთან შედარებით. თუ 1936 წელს, ჩვენ გვქონდა 2 საამშენებლო მოედანი, 1937 წელს გვაქვს 6-ის შედეგად გაიზარდა სამუშაოთა მოცულობა. განსხვავება მდგომარეობდა იმაში, რომ 1936 წელს მშენებლობა წარმოებდა ფონდების გარეშე, ხოლო 1937 წ. სსრკ სახალხო კომისართა საბჭომ სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმაში სპეციალური ხაზით გამოგვიყო ფონდები. კერძოდ: ხე-ტყე 11000 კუბ.მ. 8 ავტომანქანა, ტრაქტორები, ლურსმანი და ა.შ. საქმესმა შეძლო გამოყოფილი ფონდებისა და საამშენებლო მასალების ათვისების ნებართვის მიღება. მაგრამ საქართველოს სსრ 1937 წ. 4 ივნისის № 671 დადგენილების “საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ხე-ტყის მასალებით მომარაგების გეგმის შესახებ 1937 წ. II კვარტალში” — II პუნქტში ნათქვამია: “იმის გამო, რომ რესპუბლიკაში ჩვეულებრივი მშენებლობისათვის, მიმდინარე წლის II კვარტალის მრგვალი და დახერხილი ხე-ტყის მასალების ფონდების უკმარისობაა. II კვარტალში გასაშვები ობიექტების დამთავრება საფრთხის ქვეშ დგება; წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ საგეგმო

კომიტეტს საქ. მემსისათვის გამოყოფილი II კვარტალის ფონდები— მათ შორის რესპუბლიკური ფონდიდან 2500 კუბ.მ. შეუმციროს და საქ. მემსი— 1700 კუბ.მ. დაუმტკიცოს.” სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს სთხოვს დაამტკიცოს აღნიშნული დადგენილების მეორე სტატია და წინადადებას აძლევს სსრკ საგეგმო კომისიას საქართველოს სსრ—სათვის შემდგომი კვარტალის ფონდების გამოყოფისას, ეს ფონდები ცალკე ორგანიზაციების მიხედვით არ დაანაწევროს.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოუყო საქ.მემსის ხე-ტყის არასაკმარისი რაოდენობა. ხელს არ გვაძლევდა მისი მოწოდების ვადებიც. ყველა გამოყოფილი განაწესი ავითვისეთ უკლებლივ, გარდა სოჭის განაწესისა, რომელიც შემდეგ გადატანილი იქნა ზუგდიდის ქარხანაზე. მიუხედავად შემდგომი ორგანოების არაერთგზის ჩარევისა, ამ ქარხნიებიდან ხე-ტყის მიღება ვერ მოხერხდა მისი უქონლობის გამო. ფონდირებული ხე-ტყის მასალებიდან (კავშირისა და რესპუბლიკის ხაზით) მივიღეთ სულ 1058 კუბ.მ. ხე-ტყე, მაშინ როცა გეჭირდება 2100 კუბ.მ. ჩვენი ძალებით საფონდო ფასებში რუსეთის ქარხნებში დავამზადეთ და შემოვზიდეთ 2284 კუბ.მ. ხე-ტყე.

თუ ხე-ტყის მასალებით საქ.მემსმა შეძლო თავისი სახსრებით დაეკმაყოფილებინა მშენებლობა, საამშენებლო მასალების მეორე სახეობასთან აგურთან და კრამიტთან დაკავშირებით შეიქმნა რთული მდგომარეობა. საქ.მემსის საამშენებლო მასალებით მომარაგების შესახებ, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებების მიუხედავად, 5950 ცალი საჭირო აგურისა და 2550 ცალი კრამიტის ნაცვლად მივიღეთ 2970 ცალი აგური და 16000 ცალი კრამიტი. რა თქმა უნდა ეს რაოდენობა ოდნავადაც არ აკმაყოფილებს მშენებლობის მოთხოვნილებას. რთული ვითარება შეიქმნა აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების უკმარისობის გამო. სსრკ სახალხო კომისართა საბჭომ საქ.მემსის 8 სატვირთო მანქანა გამოუყო. განაწესი დაშვებული იყო საქტრანსგასაღების საქართველოს განყოფილებაზე, მაგრამ ჩვენი ფონდები სხვა ორგანიზაციებს გადასცეს, ხოლო ჩვენ შეგვპირდნენ, რომ მას მოგვიანებით მოგვცემდნენ (საქართველოს სკს 1937 წლის აპრილის № 416 დადგენილება). მაგრამ დღემდე არ მოუციათ 5 მანქანა. იმის გამო, რომ საქ. მემსის ყველა საამშენებლო მოედანი განლაგებულია რკინიგზის სადგურებიდან დაშორებით, სატრანსპორტო საშუალებები წყვეტენ მშენებლობის ვადების დამთავრების საკითხს. მშენებლობათა ვადების დამთავრების ჩაშლის თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ იძულებული ვართ მივიღოთ ხე-ტყის, ლურსმანის, ცემენტის, აგურის გადატანის მძიმე

პირობები. მაგალითად: წნორის წყალიდან წითელ გორამდე (22 კმ.) ვიხდით ნახევარი დღის საფასურს.

1937 წლის ერთ-ერთ საამშენებლო ობიექტს წარმოადგენს წყლის გაყვანა კოლხიდის ებრაულ დასახლებაში. ნოემბერში სახალხო კომისართა საბჭომ წყალგაყვანილობისათვის აზბესტციემენტის მილები გამოგვიყო. იმის გამო, რომ არც საქემსის და არც სხვა საამშენებლო ორგანიზაციებს საქართველოში არა აქვთ ასეთი მილების დამონტაჟების გამოცდილება, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან, საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობის წინადადებით, ამ სამუშაოების წარმოებაზე დავდეთ ხელშეკრულება თვით სსრკ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის აზბესტის მილების კანტორასთან, რომელმაც სამუშაო ნახაზები შუა გენერალური გეგმის მიხედვით შეადგინა. მაგრამ, საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა ჩვენი სამუშაოები იმის გამო შეაჩერა, რომ გადაჭრილი არაა ნოსირ-ფოთის წყალსადენით წყლის მიწოდების საკითხი. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისათვის ზოგიერთი ტექნიკური საკითხების გაუგებრობის გამო (პიეზომეტრული მონიშვნები და სხვ.) გენერალური გეგმა და ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებული არაა. ამ საკითხების გადაწყვეტამდე წყალსადენის გაყვანის უფლებას არ გვაძლევენ.

ზემოჩამოთვლილი სიძნელეების მიუხედავად, საქ. მემსმა შეძლო საამშენებლო მოედანზე: (კოლხეთი, წითელი გორა, მუხრანი, ქარელი და სოხუმი) გარდა ახალციხისა (რის შესახებაც მოხსენდა სკს განსაკუთრებული მოხსენებითი ბარათით) შეესრულებინა საამშენებლო სამუშაოები დაახლოებით 75 % მოცულობით. 1937 წ. კოლხეთის მეურნეობაში დასახლებულია 108 ებრაული ოჯახი და ტირიფონში -25 ოჯახი. მთლიანად გეგმით გათვალისწინებული 210 ოჯახის ნაცვლად, გადმოსახლებულთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მხრივ უზარმაზარი მუშაობა ჩატარებული.

ჩვენი ორგანიზაციის მუშაობა ხდება უფრო სერიოზული, რამეთუ გვიხდება თითოეული დასახლებელის შერჩევა და მშენებარე სახლზე თითოეულისაგან ვალდებულების მიღება, რომლის წარდგენაც სასოფლო-სამეურნეო ბანკშია სავალდებულო. ებრაელთა გადმოსახლების გარდა, 1938 წელს გამიზნული გვაქვს კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების აგება (სკოლები, ბავშვთა ბაგები, აბანოები, წყალგაყვანილობა, ელექტროგანათება და ა.შ.) დასახლებებში, რადგან ეს დასახლებები ცენტრებიდან შორს არიან. 1938 წელს აგებული სახლების გარდა, 1939 წელს გადმოსახლებული ებრაელებისათვის დამატებით აშენდება: მუხრანში -50 სახლი,

სურამში— 50- 70 (თუ უზრუნველყოფილი ვიქნებით დასამუშავებლად ვარგისი მიწებით), კოლხეთში —50-60 სახლი, ცხინვალში— 50 სახლი (ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილების თანახმად). საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის 14 თებერვლის დადგენილებით 1938 წლის ებრაელთა მიწათმოწყობის ხარჯებია დამტკიცებული. ამ სახსრების გამოყოფისთანავე საქმემსი განსახილველად და დასამტკიცებლად საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს კაპიტალდაბანდებათა გეგმას წარუდგენს და დაუყოვნებლივ შევუდგებით მუშაობას.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ საქმემსი როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც არ აქვს საამშენებლო ორგანიზაციის ჩვევები და გამოცდილება, მუშაობის პროცესში ხვდება მთელ რიგ დაბრკოლებებს: მიმოქცევის სახსრების უქონლობა, მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების უქონლობა, მიწათმოწყობის საშუაოები, ადგილების ამორჩევა და ა.შ.

საქმემსის საბჭოს თავმჯდომარე

რ. ელიგულაშვილი.

№ 53

1938 წლის 26 ივნისი. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ.მილშტეინს.

კულტ— მასობრივი ორგანიზაციის ხაზით, საქმემსის გათვალისწინებული აქვს 15000 მან. გამოყოფა ებრაულ კოლმეურნეობებში ფიზკულტურული საქმის დაყენებისათვის.

გთხოვთ მოიწვიოთ ერთობლივი თათბირი ნომენკლატურულ სახარჯთაღრიცხვო თანხების რაციონალური და ეფექტური გამოყენების საკითხებზე.

საქმემსის საბჭოს თავმჯდომარე
უფრ. ინსპექტორი

რ.ელიგულაშვილი.
ფირჩაძე.

1938 წ. 13 ივლისი. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მოლოტოვს № 02/338

1936 წლამდე საქართველოს სსრ-ში არსებობდა ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი "ღარებკომი", რომელსაც ჰქონდა მთელი რიგი საწარმოები, ეწეოდა ვაჭრობას და მიღებულ მოგებას ანხარდა შრომულ ებრაელთა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. სსრკ ცაკის 1924 წლის 27 მარტის № 90 გადაწყვეტილებით, ღარებკომის საწარმოები გათავისუფლებული იყვნენ გადასახადებისაგან ისე, რომ მიღებული თანხა უნდა მოხმარებოდა შრომელი ებრაელებისათვის ბინების მშენებლობას. სსრკ ცაკის გადაწყვეტილების შესაბამისად ღარებკომი შეუდგა მთელი რიგი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ებრაელებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში. ამასთან მთელი რიგი სახლები დამთავრებულია და ხალხი ჩასახლებულია კიდეც.

საქართველოს კპ (ბ) ცკ და საქართველოს სკს გადაწყვეტილებით 1936 წელს ღარებკომი ლიკვიდირებული იქნა, რის გამოც სტალინირში (სამხრეთი ოსეთის ა.ო.), სამტრედიის რაიონსა და ქ. ახალციხეში დარჩა დაუმთავრებელი სახლები, რომლებიც თანდათანობით ინგრევა. ამ სახლების მშენებლობის დამთავრება შეუძლებელია, რადგან 1938 წლის გეგმის მიხედვით არაა შესაბამისი თანხები.

ღარებკომის ლიკვიდაციის შემდეგ, სალიკვიდაციო კომისიამ, სხვადასხვა ორგანიზაციების მიმართ ღარებკომის დებიტორული დავალიანება—1000000 მან. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გადასცა. რომელთაგან საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატმა 603600 მან. უკვე ამოიღო და სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხა.

შრომულ ებრაელთა საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით და სხვა წყაროების არქონის გამო, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო სთხოვს, სსრკ სახალხო კომისარიატს, ღარებკომის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი თანხიდან, საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე ქ. სტალინირში (სამხრეთი ოსეთის ა.ო.) და სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში გამოიყენოს 800000 მანეთი.

საქართველოს სსრ სკს თავმჯდომარე

ვბაქრაძე

1938 წლის 27 ივლისი. მოხსენებითი ბარათი საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ.ბაქრაძეს.

ქუთაისის ყოფილი მემსის თავმჯდომარის მოადგილე დავით სარიშვილისაგან და ამჟამად სარეწაო არტელის “გაერთიანების” თავმჯდომარის ამხ. ი.მამისთვალოვისაგან.

მოგახსენებთ, რომ ჩვენ გექონდა ქუთაისში საქ.მემსის ხაზით სხვადასხვა საწარმოები, როგორც არის სამკერვალო, სატრიკოტაჟო და კვება, რომელშიდაც ჩაბმული იყო მშრომელი ებრაელობა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზედ მოხდა მემსის ლიკვიდაცია, ხოლო თქვენივე დადგენილების საფუძველზე, საწარმოების გადაცემა მოხდა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებზე, მათ შორის ქუთაისის მემსის საწარმოების- თავისი აქტივ-პასივით გადაცემა მოხდა საქართველოს სარეწაო საბჭოზე.

იმავე საწარმოებში სარეწაო საბჭოს ხაზით ჩამოყალიბდა გაერთიანება სარ. არტელი, რომელშიც ჩაბმულია მემსის ყველა მუშა- მოსამსახურეები და 180 მშრომელი ებრაელი. ეს საწარმო, ამასთანავე ებრაელთა 10000 შეუკავშირებელ მოსახლეში კულტმასობრივ მუშაობას ეწევა. ებრაელთა უბანში აქვს საკუთარი კლუბი. გთხოვთ უშუალოდ თქვენს დახმარებას. თქვენივე დადგენილებით, როგორც მოხდა საქ. სარეწაო საბჭოზე წარმოების გადაცემა, ასევე მოხდეს მემსზე დაშვებული ნედლი მასალის გადმოცემა თქვენივე განკარგულებით და განრიგით, როგორც არის: ტრიკოტაჟის ნართი, ლოსკუტები, დამზადების პროდუქტები და სხვადასხვა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ქუთ.სარეწაო არტელი “გაერთიანება.”

ეს საწარმოები ეწევა, როგორც შეკავშირებული ისე შეუკავშირებელ ებრაელთა შორის კულტმასობრივ მუშაობას, საწარმოებში მათ ჩაბმას. ამისათვის გთხოვთ, რომ ამ საწარმოებს არ შეუშალოთ ხელი და არ მოხდეს დაშვებული გეგმის ჩაშლა და კულტმასობრივი მუშაობის შეკეცვა. იმედი გვაქვს, რომ მოგვაქცევთ ჯეროვან ყურადღებას და დაგვაკმაყოფილებთ კანონიერი მოთხოვნების საფუძველზე, რითაც ებრაელთა შორის უფრო მეტი მუშაობის საშუალება მოგვეცემა, რათა მუშახელი

გარიშსწორება მოხდეს ანგარიშების წარდგენის კვალობაზე. 3.წინადადება მიეცეს საქმემსის სალიკვიდაციო კომიტეტს, ლიკვიდაციისათვის საჭირო სახსრების გარდა, მიღებული სახსრები გადარიცხოს ებრაულ კოლმეურნეობებში მშენებლობის დასამთავრებლად. 4.წინადადება მიეცეს საქმემსის სალიკვიდაციო კომიტეტს, შესაბამის ებრაულ კოლმეურნეობებს 20 სექტემბრისათვის გადასცეს როგორც დაუმთავრებელი ასევე დამთავრებული შენობები მუხრანში, ქარელში, წითელ გორაში, ახალციხესა და სოხუმში. საქმემსის სალიკვიდაციო კომიტეტმა 15 სექტემბრისათვის ხობის ებრაულ კოლმეურნეობაში დაამთავროს გარდამავალი მშენებლობა. გადაცემა მოხდეს ხარჯთაღრიცხვის ფასების მიხედვით. ფაქტიურ ღირებულებასთან შედარებითი განსხვავება ყოფილი საქ. მემსის სახსრებიდან დაიფაროს. მიღება— ჩაბარება მოხდეს მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატისა და სასოფლო—სამეურნეო ბანკის წარმომადგენლების თანდასწრებით.

დაევალოს საქართველოს სსრ მსკ (მომარაგების სახალხო კომიტეტს) კონტროლი დააწესოს მშენებლობაზე და დაწყებული მშენებლობის დამთავრებაში ებრაულ კოლმეურნეობებს საჭირო ტექნიკური დახმარება გაუწიოს. 5.საქმემსის სალიკვიდაციო კომიტეტმა და საქართველოს სასოფლო—სამეურნეო ბანკმა, კოლმეურნეობებზე და კოლმეურნეებზე გადააფორმონ სასოფლო—სამეურნეო ბანკის წინაშე ვალდებულებანი. 6.ებრაული კოლმეურნეობების სამეურნეო მდგომარეობის გასაძლიერებლად, საქ. მემსის მიერ გამოყოფილი საერთო თანხიდან — 12059 ათასი მანეთიდან, სალიკვიდაციო კომიტეტმა ჩამოწეროს 8228 ათასი მანეთი და მათ დავალიანება 3830 ათასი მან. დაუტოვოს, იმ ღონისძიებისათვის რომელსაც სასოფლო—სამეურნეო ბანკი აკრედიტებს. ეს სახსრები გამოყენებილი იქნეს ებრაულ კოლმეურნეობებში შენობების დასამთავრებლად. 7.დაევალოს საქმემსის სალიკვიდაციო კომიტეტსა და საქართველოს—სასოფლო—სამეურნეო ბანკს, აღძრან შუამდგომლობა საკავშირო სასოფლო—სამეურნეო ბანკის წინაშე, გამოუყოს 3880 ათასი მანეთის კრედიტი პუნქტ 6—ში ჩამოთვლილ კოლმეურნეობებს მათ მიერ საქმემსის მიმართ თავისი დავალიანების დაფარვის მიზნით. საქმემსის სალიკვიდაციო კომიტეტმა გადასცეს სასოფლო—სამეურნეო ბანკს აღნიშნული კოლმეურნეობების ვალდებულება ნაჩვენებ თანხაზე. 8.საქართველოს მიწათმოწყობის სკ გადმოსახლების 1939 წლის გეგმაში ჩართოს ებრაულ კოლმეურნეობებში გასატარებელი ღონისძიებები. 9.საქმემსის სალიკვიდაციო კომიტეტის თავმჯდომარის ავადმყოფობის გამო, საქმემსის სალიკვიდაციო

კომიტეტის შემაჯგნლობაში დამატებით შეყვანილი იქნეს საქ. მემსის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე მ.აკაკიტელაშვილი.

საქართველოს სსრ სკს თავმჯდომარე
საქართველოს სსრ სკს საქმეთა მმართველი

ვ.ბაქრაძე.
მ.ნანეიშვილი.

№ 57

1938 წლის ოქტომბერი. საქართველოს სსრ სკს დადგენილების პროექტი ყოფილი საქ. მემსი-ს საწარმოების “სარეწაო საბჭოსა” და სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის შესახებ.

საქართველოს სსრ სკს ადგენს: 1. აღინიშნოს ყოფილი საქ.მემსის საწარმოების მიღების დაუშვებელი გაჭიანურება “სარეწაო საბჭოსა” და სოცუზრუნველყოფის სკ მხრივ. 2. წინადადება მიეცეს ‘სარეწაო საბჭოს’ (ამხ. შავგულიძე) და სალიკვიდაციო კომიტეტს, დაუყოვნებლივ გაგზავნონ თავისი წარმომადგენლები ადგილებზე და 5 დღის ვადაში დაამთავრონ გადასაცემი საწარმოების მიღება— ჩაბარება. გადაცემული საწარმოების ბაზაზე დაუყოვნებლივ შექმნან და გააფორმონ შესაბამისი ვალდებულებები არტელების შესახებ. შესაბამისი საბუთები გაფორმდეს აგრეთვე ყოფილი საქ. მემსის სალიკვიდაციო კომიტეტისათვის სკს 7/IX— 1928 წ. № 1564 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული თანხის გადახდის შესახებ. 3. დაევალოს სარეწაო საბჭოს (ამხ. შავგულიძე) უზრუნველყოს საქ.მემსის სალიკვიდაციო კომიტეტისათვის ზემოაღნიშნული არტელების მიერ 1 ივლისის მდგომარეობის მიხედვით აქტივით, პასივის გადაფარვის შემდეგ დარჩენილი თანხის 50 % —ით გადახდა მ.წ. 10 ოქტომბრამდე, ხოლო დანარჩენი 50 % 1938 წ. 1 ნოემბრამდე. 4. წინადადება მიეცეს სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს (ამხ. ელისაბედაშვილი) დაუყოვნებლივ მიიღოს საქართველოს სსრ სკს 7/IX — 1938 წ. № 1564 დადგენილებით გათვალისწინებული ყოფილი საქ.მემსის საწარმოები და უზრუნველყოს

სალიკვიდაციო კომიტეტისათვის გათვალისწინებული თანხების გადარიცხვა “სარეწაო საბჭოსათვის” ნაჩვენებ ვალებში. 5. წინადადება მიეცეს სახბანკის საქართველოს კანტორას, საერთო საფუძველზე, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გასცეს კრედიტები იმ ორგანიზაციებზე, რომელნიც ყოფილი საქმემსის ბაზაზეა შექმნილი.

საქართველოს სსრ სკს თავმჯდომარე	ვ.ბაქრაძე.
საქართველოს სსრ სკს საქმეთა მმართველი	ნანიშვილი.

შინაარსი

შესავალი	3
თავი I. ებრაელთა სოციალურ– ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში	8
თავი II. კულტურულ– საგანმანათლებლო საქმიანობა საქართველოს ებრაელებში	46
თავი III. ებრაელთა მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის სფეროში	67
მითითებული წყაროები და ლიტერატურა	86
დოკუმენტები	95

შოთა ილიას ძე ვადაჭკორია

ებრაელთა საკითხი და ქართული
სინამდვილე (1921–1940)

თბილისი
2005

კორექტორები: ილია ვადაჭკორია
ლია მურვანიძე –ვადაჭკორია

საბეჭდი ქალაქი 60 X 84 1/16
სააღრიცხვო–საგამომცემლო თაბახი 13,11

შეკვეთა №134